


კვირის პალიტრა

# გზა

F




N5(138) 30/1.-5/11.2003. ღირსი 60 ტ.

F1224  
2003


კოკა ყანდიაშვილი  
სამსახურებრივ  
რომანს გაუბრუნდა

ბუკა მანაგაძე:  
„ჯანსა და ღონეს  
ნამდვილად არ ვუჩივი“



„ქალური ინტუიციის“ —  
რომანი, რომელმაც  
ვნებათაღლვას გამოიწვია

მოსიყვარულა მამა შვილს ეძებს



**„ერთ დღეს კი, ზვიადი მოვიდა.  
 ისეთ ცუდ გუნებაზე იყო...  
 სანათჯან, მამა დაბედუპაო,  
 — შითხრა. ვაკ, ისეთივე  
 ელდა მესა, როგორც გაშინ,  
 უიჩვალად რომ ვნახე აბაღიანი  
 კონსტანტინე გამსახურდია.  
 ახალ კოსტიუმში შინდა  
 დავასაფლავო და რა ვქნათო?..“**

**გვ. 30**

**მინიატურები**

რა ამბავია ამდენი სისარული?! 3

**ერთი კითხვა** 4, 8

**საზოგადოება**

ნოვატორული იდეა: ჯარში  
მსოფლივ ქალიშვილები მიდიან!.. 5

**მოუპიზნესი**

თიკა ჯამბურიას მოსკოვური  
ღუბი, სოსო კავლიაშვილის  
თბილისური კონცერტი და  
ნატო ღუბაიას გზებები 9

**კოლეა**

რა ხდება უსახლკაროდ  
დარჩენილი კოკა ყანდიაშვილის  
პირად ცხოვრებაში? 10

**კრიმინალი**

- „წლების მანძილზე თურქე ჩემი  
შვილის გველს ვკეობდი“ 12

- ქალაქის პროკურორის გველეშობას  
შვანაძის სასამართლო განიხილავს 15

**პროფანია**

ცნობილი კლინკის ავტორმა  
რეჟისურას დიალოგატი და  
ისტორია ამჯობინა 16

**შეგოქმედი**

მარინა ივანიშვილი სიშიშველესთან  
პირისპირ ანუ „თუ მიქარავ –  
ესე იგი, ცხოვრობ!“ 19

**ანტიფარეზი**

ინფორმაციულ-შემცნეებითი  
კოლაჟი გოჩა ღვალის  
უბის წიგნაკიდან 20

**ცხოვრება**

არ დაუპარგოთ შვილს  
მოსიყვარულე მამა! 22

**გზავრული**

„მხიარული ქალები“ 24

**ტესტი**

ერთგული მკითხველი 25

**მამები და შვილები**

ბალაშვილების ღუბი გივი 26

ბერიკაშვილის კარნახით შექმნილა 26

**შეაქონეთ თქვენი ცოლი**

ტესტი ერულიციაზე 28

**საუნჯე**

ქართული თემა ამერიკაში 29

**აღაშინი**

„კონსტანტინე ბამსახურია ჩემი  
შეპირილი კოსტიუმით დაკრძალეს“ 30

**ნოვატორული იდეა: ჯარში  
მსოფლივ ქალიშვილები მიდიან!..**



აი, რა გვეჩვენებს დღეს!.. ამით  
სუსტი სქესის ძლიერი წარმომად-  
გენლები ოჯახებსაც გვირჩენენ,  
პატიოვებულ ვალსაც „ავგუსნიან“,  
სხეულსაც კარგად დაიფარავენ  
და პატიოსნებასაც საიმედოდ შე-  
ინახავენ დაჯავშნული კომბინე-  
ზონის ქვეშ.

5

**რა ხდება უსახლკაროდ  
დარჩენილი  
კოკა ყანდიაშვილის პირად ცხოვრებაში?**

მინდა, მარინა მაყურებელმა  
სხვა როლებშიც ნახოს, რადგან ნი-  
ჭიერია და დიდი მომავალი ელო-  
დება. ისე, კი უნდა ვკითხო – ხომ  
არ ვუყვარვარ?... სხვათა შორის,  
სამსახურში რომანი არასდროს არ  
მაქვს.



10

**„წლების მანძილზე თურქე ჩემი  
შვილის გველს ვკეობდი“**



სადამოს, 9 საათისთვის, თამაშ  
ნაჭყებობას ოჯახს, როგორც ამბობენ,  
სრულიად მოულოდნელად, მეზო-  
ბელი და ამასთანავე ნათესავი –  
ბონდო ნაჭყებობა დაესხა თავს. დამ-  
არალეხულის მხარე აღნიშნავს,  
რომ ის, ავტომატის გარდა, რევოლ-  
ვერითა და ერთი ხელყუმბართაც  
იყო შეიარაღებული.

12

**მეტყუებული ცოლების  
საგედისნერო უმცდროები**

სამწუხაროდ, სტატისტიკა ხშირ  
შემთხვევაში უმოწყალოა – ქმრე-  
ბის დაახლოებით 80% ცხოვრებაში  
ერთხელ მაინც დალაგობს ცოლს.  
რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს,  
ხშირ შემთხვევაში, ამ ნაბიჯის გადა-  
დგმისაკენ მათ თავიანთი საბედის-  
წერო შეცდომებით, სწორედ სა-  
სოწარკვეთილი ცოლები უბიძგებენ.



32

<b>სოციალური ფსიქოლოგია</b>	
მოგზაუბრული ცოლების საბედისწერო შედეგები	32
<b>ემოციური ფსიქოლოგია</b>	
„ბარბაბაჰალი ასაკის“ პრობლემები	33
<b>ტაქარი</b>	
რა უნდა ვიცოდეთ სულიერ მოძღვართან დაკავშირებით?	34
<b>იდეა</b>	
„ორანჯ ბოლის“ ტანია ჩეხვიძონი	
სოფო მელიქიძევილი	35
<b>სპორტის ლეგენდა</b>	
არსაიდან მოვლენილი „არავინ“, რომელიც დიდი უახსრების შავ მარბალიტად იქცა	37
<b>ქარკი</b>	
ჩელენგანოსთვის ყველაზე კარგი რეკლამა – სპანდალია	39
<b>რომანი</b>	
რუსულან ბერიძე.	
ქალური ინტუიცია ანუ ზიამაიას შრთები (ბაბრქელა)	42
<b>როგანი</b>	
ველური ვნებები	
Australian Open-ზე	46
<b>სპორტული მოზაიკა</b>	47
<b>ავტო</b>	48
<b>მოგზაურის დღიურები</b>	
ჩემი „ამერიკული ოდისეის“ ყველაზე სევდიანი უპრცლები...	50
<b>ბომონდი</b>	54
<b>ჯანმრთელობა</b>	
● დაავადება	56
● პროფილაქტიკა	57
● ჰიპერკიბროზი	58
<b>ღიანსაღისის კუთხე</b>	60
<b>სპანდორი</b>	61
<b>პროსკოპი</b>	
კვირის (3-9 თებერვალი)	
ასტროლოგიური პროგნოზი	62
<b>ტანტი</b>	
აღვილია თუ არა თქვენი ცდუნება?	63
<b>კალენდროსკოპი</b>	
ჰრელ-ჰრელი ამბები	53,64

# წიბილი კლიპების აბორაბ რეპისურას დიკლოპატი და ისტორია ამჯობინა



ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემ გვერდით აღამიანი მჯდარა და ერთი საათის განმავლობაში ულანძლია მამაჩემი. მე მშვიდად მისმენია მისი „კრიტიკისთვის“ დიდი ხნის განმავლობაში და გამომშვიდობებისას მითქვამს: კარგად ბრძანდებოდეთ, მე გიორგი შარაძე – გურამ შარაძის შვილი ვახლავართ-მეთქი...

16

## აღვილია თუ არა თქვენი ცდუნება?

როგორ გგონიათ – შეგიძლიათ თუ არა, გამოიჩინოთ ნებისყოფა მაშინ, როცა აშკარად ცდილობენ თქვენს ცდუნებას? საქმე მარტო სიყვარულს არ ეხება – შეიძლება, თქვენი ცდუნება ვინმემ საქმიან ურთიერთობაში, საკუთარი წინსვლისათვის მოინდომოს. როგორ მოიქცევით ამ შემთხვევაში?



63

## ჩელენგანოსთვის ყველაზე კარგი რეკლამა – სპანდალია



საქმე იმდენად სერიოზულად იყო, რომ დღესაც, როცა 45 წლის ორნელა მუტისაგან ინტერვიუს იღებენ, იგი აცხადებს: „ჩემი იმეამინდელი ქმარი, აღრიანო ჩელენგანო!“ კლაულია ჩელენგანო კი, მუტის უპასუხოდ არ გოვებს.

39

## ქალური ინსუიკაი ანუ ჭიამაიას ორთობი

– რას მეუბნები? რადგან დღეაღმენსაც ჰგავს, მგონი, მართლა აღარაფერი მიჭირს – მთელი ოჯახი მე და ჩემს შვილს უცბად გვაღიარებთ და მიგვიღებთ! – რაგომღაც „კბენის“ ხასიათზე დაღვა ნინი. – მთელი ჩემი ოჯახი ამის გაკეთებას, სამწუხაროდ, ვეღარ მოახერხებს...



42

**ბარბაბაჰა: ბიორგი ურთოლიანის კოლაჟი**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურუნალი „გზა“ ბამოლის კვირაში ერთხელ, სუთზაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ურუნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
 რედაქტორი: ვოჩა ტყემელაშვილი  
 მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
 ურუნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

# ჩა ამნავია ამდენი სიხარული?



„ეს რამხელა, რა უძირო და რა გამძლე გამოდქ“ო, სწორედ რომ ადამიანის გულზე ყოფილა ნათქვამი, რადგან ეს ერთი მუჭა ხორცის ნაჭერი თურმე, ისეთი ფაქიზი ორგანოა, რომ ზედმეტად არც წყენინება შეიძლება მისი და არც გახარება. ისიც კაი ხნის წინ დაადგინეს მედიკოსებმა, რომ ადამიანის ნებისმიერ ორგანოს აქვს იმუნიტეტის გამოუმუშავების ანუ შეუუების უნარი. ჰოდა, სწორედ ასეა ჩვენი გულების საქმე: შეეჩვივა წლების მანძილზე მიღებულ ტკივილს, გაჭირვებას, ნერვების წყვეტას, „ვია-მიშველეს“ და მშვენივრად მუშაობს. მაგრამ აქვე არსებობს მეორე საფრთხეც, რომლის გაუფგალოსწინებლობა დაღუპვის ტოლფასია. შეიძლება, მოულოდნელად, ისე გაგვიხარდეს რამე, რომ დადებით ემოციურ დატვირთვას შეუგუებელმა გულმა ვეღარ გაუძლოს და „ტკლავს“ – გასკდეს... გასკდეს და მე შენ გეტყვი, ვულკანიზაციაში მიიტან „დასალატკად“!.. ამიტომ გული, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა გავიხაროთ, თუნდაც მცირე დროით.

აი, რატომ ცდილობს „მთავრობა და მხედრობა ჩვენი“, რომ ზედმეტად არაფერი გაგვიხარდეს, ქვეყანაში მდგომარეობა უცებ არ გამოსწორდეს, ბიუჯეტი ერთიანად არ შეივსოს, სამაჩაბლო და აფხაზეთი მოულოდნელად არ დაბრუნდეს, მილიონი სამუშაო ვაკანსია არ გაჩნდეს, პენსია-ხელფასების დავალიანება არ დაიფაროს, შუქითა და გაზით მუდმივად არ მოვარაგდეთ და ა.შ. თუმცა, ხანდახან შეცდომებიც მოსდის და კაცს რომ სიკეთისა და მაღლის კეთება დაბადებიდან დაჰყვება, ზოგჯერ ვერ არეგულირებს, ვერ თოკავს შესაძლებლობებს და ზედმეტიც მოსდის...

მაგალითად, გასული კვირა, ისევე, როგორც სხვა დანარჩენები, შვიდი კალენდარული დღისაგან შედგებოდა, მაგრამ შვიდი დღის მანძილზე იმდენი მნიშვნელოვანი რამ მოხდა (რა თქმა უნდა, კარგს ვგულისხმობ), რომ გაივსო საავადმყოფოების კარდიოლოგიური განყოფილებები სიხარულისგან გულატკივებული პაციენტებით. რა ამბავია, ერთ სულ მოსახლეზე ამდენი სიხარული?! ხალხი არ ხართ? შეგვიბრალებთ!

ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ სამთავრობო დადგენილება მზადდება თურმე, პარლამენტისა და სახელმწიფო კანცელარიის წინ ხანძარსაწინააღმდეგო სტენდების დადგმის თაობაზე. ვინცობაა, კიდევ მონინდომოს ვინმემ ტანზე ბენზინის გადასხმა და თავის დაწვით სხვების „გათობა“, საცოდავ „სპეცნაზელებს“ ისევ მკერდით არ მოუწიოთ ცეცხლზე გადაფარება, უცებ ჩამოხსნან „ოგნეტუშიტელები“ და დროზე მოახდინონ ხანძრის ლოკალიზება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას. აი, ხალხზე ზრუნვა!..

მერე ის იყო, რომ საცოდავ რუსეთს აფხაზეტზე თავიანთი პასპორტების გაცემა და სოჭი-სოხუმის „ელექტრიკის“ ამოქმედება არ შეარჩინეს და სამთავრობო დელეგაცია აფრინეს მოსკოვში. იქ ჩვენებმა „დაგნარი“ ატეხეს დუმაში, დუმიანი ცხვრებივით ყურებჩამოყრილები უსმენდნენ რუსი დეპუტატები... ამ ამბის ამსახველ კადრებს რომ ვუყურებდი ტელევიზორში, გული ისე ამიფრთხილდა სიხარულისაგან, რომ ჯერ ვალერიანის წვეთები მივიღე, მერე ვალიდოლი დავაყოლე და რომ არ მიშველა, ნიტროგლიცერინის „კაპლებს“ ინდაურივით დავეუწყე ყლაპვა. ბოლოს, „სასწრაფოშიც“ დავრეკე, მაგრამ მორიგემ მითხრა – ყველა ბრიგადა გასულია და დაელოდე-



თო... ხედავთ, რამდენი ყოფილა ჩემნაირ დღეში? მოკლედ, შუქი რომ არ წასულიყო და პატარა წყენას მაინც არ გაენეიტრალებინა ეს სიხარული, ალბათ ამ წერილის კი არა, ანდერძის დაწერასაც ვერ მოვასწრებდი!..

არც სააკაშვილ-შარაძის შარიანმა კინკლაობამ დაგვაკლო ხერი. ისე, რა ქნან? – ორთავეს უნდა, დროშის ფრიალით გაგვიხაროს გული, მაგრამ სხვადასხვაგვარი გემოვნება აქვთ, გემოვნებაზე კი, მოგეხსენებათ, არ დაობენ. თუ სახელმწიფო დროშა მართლა ქვეყნის სიმბოლო უნდა იყოს და ხალხის მდგომარეობას შეესაბამებოდეს, მაშინ ის, სირცხვილისაგან გაშინდისფრებული დროშაც ზედმეტია ჩვენთვის და მერიის (და არა მარტო) თავზე მხოლოდ ტარი (გრძელი და მსხვილი) უნდა იყოს დარჭობილი. ჰოდა, დაგვანებეთ თავი! რატომ ცდილობთ, მაინცდამაინც გაგვახაროთ და ბაირალმა ამაყად იფრიალოს?! იყოს ტარი და ჩვენც გული საგულეში გვექნება...

ამ ყველაფერს კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ კვირა იმ უდიდესმა სიხარულმა დაავიკრავინა, რასაც ქვეყნის პრეზიდენტის საიუბილეო თარიღი ჰქვია. რა ლამაზად ჟღერს – „75“! რიცხვი „75“ ჯერ კიდევ „ვია-75“-მა შეგვაყვარა ქართველებს, ახლა „ვია-75“-იც დაემტა. მაგრამ რა არის სამოცდათხუთმეტი წელი მუხისათვის, რომელიც მთელ ტყეს თავზე დაჰყურებს და წვიმის, სეტყვისა და ქარიშხლისაგან იცავს? – არაფერი. 75 წლის მუხა ჯერ კიდევ ნერგად ითვლება. ვულოცავთ და კეთილი შურით გვშურს: ჩვენც გვინდა მივაღწიოთ მაგ ასაკამდე!..

P.S. ...ღირეკტორი თათბირზე ქვეშევრდომებს აუწყებს, რომ დღეს მისი იუბილეა. გახარებული კოლეკტივი „ფირმენი“ სიმღერით ულოცავს:


- „ჰეპი ბეზდვი თუ იუ, ჰეპი ბეზდვი თუ იუ!“
- „...მაგრამ ვერაფრით გაგახარებთ – ხელფასი კვლავ არ იქნება!“
- „ჰეპი ბეზდვი ფთუ იუ, ჰეპი ბეზდვი ფთუ იუ!“
- ...მოკლედ, რაც წინა კვირაში მოხდა, ამდენი სიხარული და ბედნიერება, სიამაყე და შეება, დაუშვებელია ჩვენი გულებისათვის, რომელიც ასეთ რამეებს არ არის შეჩვეული და ხომ გაგიგონიათ – შეუჩვეველს ნუ შეაჩვევ და შეჩვეულს ნუ გადააჩვევო!
- ასე რომ, შეუზღუდავი უპასუხისმგებლობის საზოგადოების – „პროვოკატორებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ – სახელით, კატეგორიულად მოვითხოვ საქართველოს მოქმედი ხელისუფლებისაგან:
- მოუფროთხილდით თქვენი ამომრჩევლების ჯანმრთელობას და თუ ხელი მაინც სიკეთისკენ წავიცდებათ, გაიხსენეთ: „უკეთუ ხელი შენი გაცდუნებდეს, მოიკვეთე იგი და განაგლე შენგან“ ან თუ ვერ ახერხებთ ამას, გადადქით, ბატონო, და ისეთებს დაუთმეთ სადავეები, ვინც ისევ „შეჩვეულ ჭირში“ გვამყოფებს და „შეუჩვეველ ლხინს“ სიხმარშიც არ გვანახვებს.
- სამაგიეროდ, გული გვექნება ჯანმრთელი.

საქართველოს  
პროვოკატორი  
ბიბლიოთეკა

# „საბოტაჟისა და ტერორისტული აქტის ნიშნები, პირველადი მონაცემებით, არ იკავშირება...“

— 29 იანვარს, სამტრედიის მონაკვეთზე ბაქო-ბათუმის მარშრუტით მოძრაობის დროს დატვირთული მატარებლის კატასტროფის შედეგად მდინარეში 120 ტონა ნავთობი ჩაიღვარა, მდინარეს კი 500 მეტრის რადიუსზე ცვეცლილი მოედო. 8 იანვრის შემდეგ, ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო დამთავრდა და თუ არა მოკვლევა პირველ შემთხვევაზე და რა ინფორმაციას ფლობთ გუშინდელ აფეთქებაზე — იყო თუ არა ეს დივერსია? **ირაკლი ალასანიძე**, უშიშროების მინისტრის მოადგილე.

— დივერსიასთან, საბოტაჟთან და ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული განცხადებები ძალიან ნაადრევია. ყველა შესაძლო ვერსიას ძალზედ სერიოზულად შევისწავლით, ამის შემდეგ კი, აღმოჩენილი გარემოებების ანალიზზე დაყრდნობით, საზოგადოებას ჩვენს მოსაზრებებს ვაცნობთ. სამუშაო უკვე დაწყებულია. მოკვლევას აწარმოებს ტრანსპორტის პროკურატურა, ასევე ადგილზე გაგზავნილ იქნა უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და ანტიტერორისტული ცენტრის ერთობლივი ჯგუფი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საბოტაჟისა და ტერორისტული აქტის ნიშნები, პირველადი მონაცემებით, არ იკვეთება. რაც შეეხება 8 იანვარს მომხდარ აფეთქებას — საბოლოო შედეგები ჯერჯერობით არ არის ცნობილი, მაგრამ რამდენადაც ვიცი, დივერსიას არც მაშინ ჰქონდა ადგილი.



# „დსთ-ის სამიტებს სალახო ფუნქციის გარდა, სხვა დანიშნულება არც აქვს...“



— თქვენი აზრით, რა შედეგები მოჰყვება დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების არაფორმალურ სამიტს? **ირინა სარიშვილი-ჭანტურიძე**, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი.

— სიმართლე რომ გითხრათ, უკრაინაში გამართული დსთ-ის წევრი

სახელმწიფოების მეთაურთა არაფორმალური სამიტისგან რაიმე კონკრეტულ შედეგებს არ ველი. დსთ-ის სამიტებს სალახო ფუნქციის გარდა, მგონი, სხვა დანიშნულება არც აქვს. თანამეგობრობის შექმნის დღიდან მოყოლებული, ვერ ვინსენებ ვერც ერთ შემთხვევას, როდესაც ასეთი შეხვედრების შედეგად, სახელმწიფოებს შორის არსებული პრობლემები მოგვარებულიყოს. საქართველომ საერთოდ უნდა დატოვოს ორგანიზაცია, რომლის წევრობა სახელმწიფოებრივი ღირსების დათმობის ფასად უჯდება. იმის მიუხედავად, რომ სამიტი პოლიტიკურად და ტერიტორიულად ერთობ მომხიბლავ ადგილას იმართება, კიევის ჰაერი პუტინზე ისე არ იმოქმედებს, რომ საქართველოს მიმართ არსებული საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეცვალოს. ეს სამიტი გულუბრყვილობათვის, ორთქლის გამოსაშვებად გამოიხსნება, მორიგი შეხვედრაა...

# „პეტრო „სარაჯიშვილის“ ბაზრობაში აპართაჟს აქვს ნილი...“

— განაცხადეთ, რომ ფინანსური პრობლემების გამო, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებთ. არადა, დადის ხმები, თითქოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრებს ბაზრობებში აქვთ ნილები. ამაზე რას იტყვით? **ირაკლი წერეთელი**, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი.

— რა გითხრათ — ამ ჭორში მართლაც არის სიმართლის ნაწილი, თუმცა, ყველაზე მდიდარი ჩემს პარტიაში მე ვარ. მეტრო „სარაჯიშვილის“ ბაზრობაში მაქვს წილი, მაგრამ ამ ბაზრობას ბანკის დიდი ვალი აქვს. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, თავის დროზე, რომ მომქმედებინა, წილი ბევრ სხვა დაწესებულებაშიც მექნებოდა, მაგრამ ახლა, გვიანდაა ამაზე ფიქრი... თუ პარტიაში ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობა არ შეიცვალა და, ეკონომიკური თვალსაზრისით, არ გაუძლიერდით, არჩევნებში მონაწილე



ობას აზრი არ ექნება. პოლიტიკაში რომ მოღიზიარ, შენი პოლიტიკური ძალის ეკონომიკურ-მატერიალურ საფუძვლებზე სერიოზულად უნდა იფიქრო. ადრე, როგორც შემარჯვენე ორიენტაციის პოლიტიკოსს, იმედი მქონდა, რომ ბიზნესმენები დავაფინანსებდნენ. საქართველოში კი, ყველა, ვინც ფული იშოვა პოლიტიკაში მოვიდა. არადა, საზღვარგარეთ პოლიტიკოსებს ბიზნესმენები აფინანსებენ, ხოლო პოლიტიკოსები იცავენ მათ კონსტიტუციურ უფლებებს. კარგი იქნება, თუ სამომავლოდ, ასეთი პროცესები საქართველოშიც განვითარდება.





შალვა  
ნათელაშვილი

წვიოთ?

— თუ ქმარი უსაქმოდ და ცოლის კისერზე ცხოვრობს, ასეთი ქმრის გვერდით წოლას, თბილ ყაზარმაში წოლა ურჩევნია.

— თქვენ თუ გაუშვებდით თქვენს შვილს ან ახლობელს სამხედრო სამსახურში? **ოღონდ, ალაღად მითხართ...**

— ჩემს ქალიშვილს — კი, ძალიან ყოჩაღია. ცოლისაგან კი, არა მგონია, ჯარში რაიმე ხეირი ყოფილიყო.

— ბატონო შალვა, რა ჩავაცვათ ჩვენს „ჯარისქალებს“ — კაბა თუ შარვალი?

— მსუბუქ ქედანაყოფებში — კაბა, მძიმეში — შარვალი.

— იქნებ, იქამდეც მივიდეთ, რომ თავდაცვის მინისტრადაც ქალი მოგვევლინოს?

— სხვათა შორის, სკანდინავიის ქვეყნებში, როგორც წესი, ქალები არიან თავდაცვის მინისტრები. ჩვენი ქალები ვისზე ნაკლებნი არიან?!

— ჰოდა, აგაშენათ ღმერთმა! ეი. შევთანხმდით?

— რადგან ვხუმრობთ, შევთანხმდით (იციანის).

მანსტანბ ხმალაძე:

— ჩემი აზრით, საყოველთაო გაწვევა არ უნდა ხდებოდეს საერთოდ. ჯარი უნდა იყოს პროფესიული. მე ვფიქრობ, ეს არ არის ქალის საქმე, მაგრამ აკრძალვაც ალბათ არ იქნება სწორი. თუკი სამხედრო სამსახური იარსებებს საკონტრაქტო საფუძველზე, გარკვეული პირობებით და ანაზღაურებით (!) — კი, ბატონო, მსურველი ქალიც წავა ჯარში. ისე კი, ქალს ბუნებით მინიჭებული უმთავრესი ფუნქცია აქვს, რომელიც ყველანაირ ჯარზე მაღლა დგას და ის უნდა შეასრულოს.

— მაგრამ დღეს ხომ ეს ფუნქციებიც აირობა და თავდაყირა დადგა, ბატონო ვახტანგ?

— ამიტომაც ჩვენი საქმე „კარგად“. ეს, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცების ბრალია.

— თქვენ თუ მსახურობდით ჯარში, საბჭოთა არმიის რიგებში?

— არა, არ მომიწია. უმაღლესი დავამთავრე, იქ სამხედრო კათედრა არსებობდა, მერე — ასპირანტურა და ა.შ.

— თქვენს ახლობელ გოგონებს არ გაუშვებდით ჯარში?

— მე ვურჩევდი, ის აკეთონ, რაც ქალმა უნდა აკეთოს ცხოვრებაში, მაგრამ თუ ეს მათი გადაწყვეტილება იქნება, რას ვიზამ!

— მერე განა დაცული იქნება ქალის ღირსება სამხედრო სამსახურის პირობებში, როცა მეთაურის სურვილი კანონია?

— ვერ ვიტყვი, რომ რადგან ქალია, თავს ვერ დაიცავს. თუმცა, მისი ფიზიკური შესაძლებლობების გამო, ქალი ნაკლებად დაცული იქნება და თუნდაც სექსუალური თვალსაზრისით, რისკის ქვეშ მოხვდება.

— ყველა ჯარისკაცი გენერლობაზე ოცნებობს, ამიტომ ლოგიკურია, რომ ქალები ქართულ სამხედრო გენერალიტეტშიც ვინილოთ და თავდაცვის მინისტრის ამპლუაშიც.

— დღეს — ნაკლებად, პერსპექტივაში — კი, რატომაც არა?! თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თავდაცვის მინისტრობა უნდა იყოს სამოქალაქო თანამდებობა, შესაძლებელია, ქალიც გახდეს მინისტრი, რომელიც იქნება სწორი პოლიტიკის გამტარებელი და არა მხედართმთავარი.

...ალბათ უპირანი იქნება, ქალების ბელზე ფიქრისას, თვითონ ქალბატონების აზრაც გავივით, რომ მერე, არადემოკრატიულობა არ დაგვეჩაბონ. ყურადღება ყველასათვის საყვარელ და ღირსეულ ქალბატონზე — თანამრიკო შოხონელიძეზე შევაჩერე.

— ქალბატონო თამრიკო, ალბათ ქვეყანა აღარ დარჩა დედამიწაზე, ქართველებს რომ არ მიგვებაძა და ბარემ, ისრაელის მსგავსად, ჩვენც ხომ არ შეგვექმნა ქალების ჯარი?

— ეჰ! მაგ მიმბაძველობამ დაგვლუპა სწორედ!.. საქართველოში სამშობლოს დამცველი გმირი ქალების ტრადიცია რომ იყო, სად იყო კიდევ?! დაკანონება ამას არ სჭირდებოდა. საჭიროების შემთხვევაში, ქალი თვითონ იღებდა ხელში იარაღს და ბრძოლის ველზე გადიოდა. მაგრამ ყველაზე დიდი გმირობა ის იყო, რომ ქართველი ქალი შეილებს ზრდიდა სამშობლოს, რწმენის დამცველებად. დღეს კი, ყველაფერი გადაგვარდა, ქალმა ყველანაირი ღირსება დაკარგა და ეგლა დარჩა ახლა, რომ ჯარ-

შიც კაცის მაგივრად წავიდეს...

— იქნებ სპეციალური ქვედანაყოფები შეიქმნას ქალებისათვის, სადაც შესაძლებელი იქნება მათი სამსახური...

— იცით, შეიძლება ეს ყველაფერი რაღაც ღონემდე, დასაშვებაც იყოს. მასსოვს, ერთხელ, ინსტიტუტში წამოგვეყარეს — განგაშია ჩვენც შევმინდით — რა განგაში? ვინ გვესხმის თავს-თქო?

— ანუ, ენ. ცრუ განგაში, არა?

— დიას, თურმე მზადება ყოფილა, მაგრამ ვის სჭირდება ეს? კაცების ჯარისთვის ვერ უპატრონიათ!

— ეი. კატეგორიულად ენინააღმდეგებით ამ მოსაზრებას?

— თუ ქალების ჯარში გაწვევა დაკანონდა, უკვე დაწყებული, ჩვენი გადაგვარების პროცესიც იქვე დასრულდება. ჯერ მამაკაცის „გამამაკაცებას“ მივხედოთ. რაც მე მორგუნავს, ის არის, რომ ქართველი ვაჟკაცის ფენომენიც გადაგვარდა და იქამდეც დავიდა, რომ ქალს ყველა მტკივნეულ ადგილზე აჭერს ფეხს. იცის, რომ დედა ყველაფერს გააკეთებს შვილებისთვის და თვითონ წავა ლუკმაპურის საშოვნელად, კაცი კი შინ დარჩება. და თუ ქალს რაიმე შეეშალა, დედობის ჩამორთმევიანაც ემუქრება სასამართლოს ძალით.

ეს კი უკვე კატასტროფაა! ასეთი კაცი, მჯერა, აბჯარსაც მშვიდად აასხამს ქალს...

— თავდაცვის მინისტრობისთვის თუ გაიმეტებთ ქალს?

— (იციანის) კი. რომ იცოდეთ, მინისტრად უფრო ივარგებს ქალი, ვიდრე მე-ბრძოლად. შეიძლება, მისი სიბრძნით, ქალობითა და ქალური ვაჟკაცობით ბევრ ისეთ საკითხს მოაბას თავი, რაც კაცს გაუჭირდება.



ვახტანგ  
ხმალაძე



თამარიკო  
ჭოსხონელიძე

ბა მინისტრობა? ოღონდ, იმ შემთხვევაში დაეთანხმდები, თუ ჯარშიც წავალ და სამხედრო სამსახურს მერეც ვაგავრძელებ... აბა, რაღა ჯარისკაცი ვიქნები, გენერლობაზე თუ არ ვიოცნებე?!

გული ცოტა დამიშვიდდა, რადგან დავინახე, რომ ქალის ჯარისკაცობა მაინც არავის ეხატება გულზე. ჩვენც ავლექით, ვზაზე დავლექით და „ვზის“ სახელით, ჯარისასაკის სხვა ვოგონების აზრიც ვამოვიკითხეთ.

თამარ, 18 წლის:

— დღეს სამხედრო სამსახური ბიჭისთვისაც უპატრონობის სიმბოლოა, რადგან ცოტა ფული და „სვიაზეთი“ საჭირო, რომ ჯარში სამსახურისგან დაიხსნა შვილი. მით უმეტეს, ქალისთვის — რომელი ნორმალური გაუშვებს ჯარში თავის ქალიშვილს?!

— აბა, სანამ თქვენი შეყვარებული ჯარში იქნება, თქვენ რა უნდა აკეთოთ?

— ჩემს შეყვარებულს „კარგი მამიკო“ ჰყავს. ჯარში რა უნდა?

ანნი, 20 წლის:

— თუ ყველა წავა, მეც წავალ (იცი-ნის). მაგარი: ავტომბიტი, ჩხუბი, პარაშუტი!.. მე სნაიპერობას ავირჩევდი.

ქეთი, 23 წლის:

— ჩვენს იმედად თუ დარჩა ქვეყანა, კარგად გეკონია საქმე!.. პრინციპში, ბევრი გოგო უფრო ვაჟკაცურია, ვიდრე დღევანდელი „დედიკოს ბიჭები“. ამიტომ, ჯარში ჯერ ყველა ბიჭი უნდა წავიდეს, რომ დავაჟკაცდნენ, ძლიერ მამაკაცებად ჩამოყალიბდნენ და მერე წავალთ ჩვენ, ქალები, თორემ ეგ საცოდავები სულ „ღანძორიკლებიან!“

ირონიული P.S.

— ბიჭებო!.. ძებო!.. ქართველებო!.. ვირჩევთ, ყველაფერი იღობით, რომ ქალების წინაშე ნამდვილ მამაკაცებად წარმოჩინდით!.. ჯარიც ნახეთ და ბიჭებად წასულეები, კაცებად დაუბრუნდით თქვენს გოგონებს, ქალს დედობა დაავალეთ და მამობა თვითონ იკისრეთ, თორემ ხომ ხელავთ? — „ღანძორიკებიანო!“

და მართლაც, თუ ასე ვაგრძელებდა, მატრიარქატი არ ასცდება საქართველოს და მედიცინის სფეროში მოხშირებულმა სენსაციებმაც თუ „ხელი შეგვიწყო“, ალბათ მალე იმასაც მოვესწრებით, რომ მამაკაცი დაწვება სამშობიაროში და ქალი ისვრის თოფს ძეობის აღსანიშნავად.

ვთქვით, ჩვენს პატრონს!..

ახლა, სჯავრო ასაკის საქლბატონებსაც დავეკითხოთ. თავდაპირველად, ახალგაზრდა მოძღვრალს, ბუბა მანაბ-ბაძის მივმართოთ.

— ბუკა, დღეს ან ხვალ რომ დაკანონდეს და ქართველი გოგონებისთვის ჯარში წასვლა საფალდებულოდ იქცეს, რას იზამ? დაუფიქრებლად მიიღებ გადაწყვეტილებას ჯარში წასვლის შესახებ თუ პროტესტს გამოთქვამ?

— (იცი-ნის) აუცილებელი რომ გახდეს გოგონებისთვის ჯარში წასვლა? ვაიმე! შეიძლება, ძალიანაც არ აღფრთოვანდეს ამით, რა ვიცი... იცი, გოგონები ხშირად ნატრობენ ხოლმე — რატომ ბიჭად, კაცად არ მოვევლინეთ ამ ქვეყანასო. მე ასეთი რამ არასდროს მინატრია და არც ბიჭობაზე მოიხსენიებია. შესაბამისად, არასდროს მიფიქრია ჯარში წასვლაზე. ჩემი თავი ჯარში და სამხედრო ფორმაში ვერაფრით წარმომიდგენია, თუმცა აგერ, მამჩემი მკარნახობს და მეუბნება, რომ ქალს სამხედრო ფორმა ძალიან უხდება. სხვათა შორის, ბოლო დროს, მოდაში შემოვიდა სამხედრო სტილისა და ფერის კომუფლაჟიანი ტანსაცმელი. გოგონებსაც ეცვათ, ახლაც აცვიათ და მგონია, რომ ქალსაც უხდება სამხედრო ფერის — მომწვანო ტანსაცმელი. მეც დიდი სიამოვნებით ჩავიცვამდი, თუკი ჯარში წასვლა მომიწევდა. მოკლედ, თუ ეს საუკლდე-ბულო იქნება და ყველა გოგონა წავა ჯარში, მაშინ რატომაც არა?! — ავდგები და მეც წავალ, თუ ჩემი სამსახური სამშობლოს სჭირდება... ერთი სიტყვით, სამშობლოსთვის ყველაფერზე წავალ!

— პატრიოტული სულისკვეთების კი ყოფილხარ, მაგრამ როგორ ფიქრობ — არ გაგიჭირდება მკაცრ რეჟიმში ჩაჯდომა ან თუნდაც, იმ აუცილებელი აღჭურვილობის ტარება, რომელიც საკმაოდ მძიმეა მამაკაცისთვისაც კი?

— პატრიოტული სულისკვეთება ნამდვილად მაქვს. საბერძნეთში წლების მანძილზე ვცხოვრობდით და ნოსტალგია მკლავდა, სამშობლო მენატრებოდა. ასე რომ, თუ საჭირო იქნება, ჯარშიც წავალ და სხვა საგმირო საქმეებსაც ჩავიდენ... ჯარისკაცის მკაცრ ცხოვრებასთან შეგუება თავიდან, ალბათ ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ჯარისკაცი ყველა დაბრკოლებას ხომ ვაუკაცურად უნდა გაუმკლავდეს? ნელ-ნელა ყველაფერს მივეჩვევი. ძალიან მეშინია სიბნელის და ალბათ იქ ამ შიშსაც დავძლევ.

— გარეგნულად უფრო ნაზი

და სუსტი ჩანხარ, თუმცა ტრიაბახობა: საკმაოდ დიდი ძალა და ენერჯია მაქვს და იარაღის ასხმაც არ მაშინებსო... ხომ არ ვარჯიშობ?

— რა თქმა უნდა, ტრენაჟორებზე დავდივარ და შინაც ვვარჯიშობ ხოლმე. ასე რომ, ტანად შეიძლება, მომცრო და ნაზი ვჩანვარ, მაგრამ ჯანსა და ღონეს ნამდვილად არ ვუჩივი.

— ისე, იარაღთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— მიყვარს იარაღი და თან, მეშინია კიდევ. ოჯახში რაღაც პატარა იარაღი გვაქვს და ახალი წლის დამეს, მამა ყოველთვის მასროლინებს ხოლმე. თან მეშინია და თან მსიამოვნებს, რაღაც უცნაური გრძნობა მეუფლება ხოლმე ამ დროს...

— ახლა ის მითხარი — იარაღი, ჯარი, ბრძოლა — არის თუ არა ეს ყველაფერი ქალის საქმე?

— არა, არა. კი ვამბობ — თუ ყველა წავა ჯარში, მეც წავალ-მეთქი, მაგრამ არა მგონია, ეს ქალის საქმე იყოს. ქალის საქმე ოჯახია — კარგი დედობა, კარგი მეუღლეობა და დიასახლისობა. ისე, უფროსებისგან ხშირად გამოვინა: იმ დროს, როცა ქართველები 2 წლით რუსეთის ჯარში მსახურობდნენ, ზოგს საქართველოში ჩამოსვლისას შეყვარებული უკვე გათხოვილი ხვდებოდა და ზოგსაც იქაური ქალი მოჰყავდა ცოლად... ჰოდა, სატრფოს დაკარგვას არ სჯობს, რომ ადგილს თვითონაც ჯარში წახვიდე?! ამას, რა თქმა უნდა, ხუმრობით ვამბობ...

— მაშინ, ხუმრობა იქით იყოს და საინტერესოა — რას იზამ, ერთ მშვენიერ დღეს, ვთქვათ, თავდაცვის მინისტრობა რომ შემოგთავაზონ? როგორ მიიღებდი ამ ამბავს?

— აუ, ეს რა კარგი კითხვებს მისვამ! ასეთი ინტერვიუ არავისთვის მიმიცია. როგორ მივიღებ გამინისტრების ამბავს და ძალიანაც კარგად! ცული რატომ იქნე-

# „ჩვენი მიზანია იყო საქართველო, „მიწვლილი“ და კალიან თამაში“

— როგორ აფხაზეთს საპარლამენტო დელეგაციის მოსკოვში ამასწინადელი ვიზიტის შედეგებს? თქვენი აზრით, მიაღწიეთ თუ არა რუსეთთან ურთიერთობის პერსპექტივის თვალსაზრისით, პოზიტიურ შედეგებს?

**ირაკლი ბათიაშვილი**, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:

— იყო შეხვედრები, როცა ჩვენსა და რუსულ მხარეს შორის ცხარე კამათამდე კი მიდიოდა საქმე. ჩვენ თავს კი არ ვიცავდით, პირიქით, ძალიან შეუვალ პრინციპებს გამოვხატავდით და პრეტენზიებს გამოვთქვამდით. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, ჩვენი მიდგომა იყო აქტიური, „მიწვლილი“ და ძალიან თამამი! გულწრფელი და პირდაპირი საუბრები აუცილებელი იყო. ის, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ხდება, ანომალიაა. არ შეიძლება, ამხელა მეზობელ სახელმწიფოსთან ვიყოთ ცივი ომის მდგომარეობაში! ვფიქრობ, რომ ეს ვიზიტი რუსეთთან ურთიერთობაში „დათბობის“ წინაპირობაა,



წინ გადადგმული ნაბიჯია. ვიზიტის მიზანი იყო, ისეთი ფუნდამენტური საკითხების გარკვევა, როგორცაა: სამხედრო ბაზების ჩვენი ტერიტორიიდან გაყვანა, აფხაზეთის საკითხი, დევნილების დაბრუნება, სამშვიდობო ჯვარების მანდატის შეცვლის საკითხი, რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობების გარკვევა და ა.შ. ჩვენ გასაგებ ვთქვით, რომ აფხაზეთში მიმდინარე პროცესები ფაქტობრივად, საქართველოს ანექსიაა! ეს ვიზიტი გარკვეულ შედეგებს აუცილებლად

მოიტანს!

## რამაზ კლინაშვილი, პოლიტოლოგი:

— პარლამენტის თავმჯდომარისა და ამ დელეგაციის ვიზიტს არა მგონია, სერიოზული შედეგი მოჰყვას. მართლაც მწვავე გამოვლენები და შეფასებები ჰქონდა ქართულ მხარეს, მაგრამ ასე, ადრეც არაერთხელ მომხდარა. თუმცა — უშედეგოდ. რუსები ხვდ-



ბლოკადაშია, რკინიგზის გასწვრივ სწორედ მის ინტერესებშია. რუსებმა თქვეს — ეს ჰუმანური აქციააო, — თითქოს სულ იმაზე დარდობენ, რომ აფხაზეთი როგორმე რუსეთში ჩავიდნენ და ორიოდე კაპიკი იმოკონოს!



— 31 დეკემბერს, რუს სამხედროებებს აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფნის მანდატი ამოენურებათ, მაგრამ კონფლიქტის ზონის დატოვებას მაინც არ აპირებენ. გენადი სელენიოვი დაგვემუქრა: რუსეთის ჯარის გასვლის შემდეგ, საქართველო საბოლოოდ დაიშლებაო! თქვენ როგორ ფიქრობთ — უნდა შეუწყდეს თუ არა რუს სამხედროებებს მანდატი და როდის იქნება ეს დასაშვები?

**კამელტ შივაშვილი**, პარ-

# „სამხედროებების გაყვანის შედეგად, სამხედრო კონფლიქტი გარდაუვალი იქნება...“

ლამენტარი („აღორძინება“):

— არ ვეთანხმები აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსი სამხედროების ამ ეტაპზე გაყვანის იდეას. აფხაზეთში ისედაც დაძაბული ვითარებაა, სამხედროების გაყვანის შემდეგ კი, ვფიქრობ, სამხედრო კონფლიქტი გარდაუვალი იქნება. ლაპარაკია რუსი სამხედროების, გაეროს ჯარით ჩანაცვლებაზეც, მაგრამ ამის შესაძლებლობა, ფინანსური პრობლემების გამო, ჯერ არ არსებობს.

**ბია მარყარაშვილი**, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:

— დაწვრილებით რომ ვიცოდეთ, ქართული ხელისუფლებ-

ის უმაღლეს ემელონებში რა დონეზე დგას საერთაშორისო სტრატეგიული პარტნიორის მოძიების საკითხი, მაშინ შეიძლება, ზუსტად განმესაზღვრა, თუ რა მოჰყვებოდა რუსული ჯარის გაყვანას აფხაზეთიდან. რუსი სამხედროებისთვის მანდატის შეწყვეტა მხოლოდ მაშინ იქნება დასაშვები, თუ რაიმე მექანიზმით, მოსახ-



ლეობისთვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემა იქნებოდა შესაძლებელი. ეს წინაპირობა აუცილებლად უნდა შესრულდეს, თუმცა, ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მეგობარი ქვეყნების პოზიციასაც. ■

# „ციხაში ზოგიერთი თანაგზროვნის სელაგნყოფით გადიოდა იარაღი...“

— მეხუთე იზოლაციაში ჩა-  
ტარებული პროფლაქტიკური ღონისძი-  
ებების შემდეგ მიტყმა-მოთყმა არ  
შენწყვეტილა. გაგრძელდა სხვადასხ-  
ვა ვერსია. რას იტყვით — რა  
მოხდა სინამდვილეში?

**პაატა მხეიძე**, სასჯელთალ-  
სრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე:

— გასულ წელს, მეხუთე საპრობილი-  
დან მოხდა 2 გაქცევა; გაქცევის 2  
მცდელობა აღკვეთილ იქნა; ადგილი ჰქონ-  
და საპრობილის ადმინისტრაციის მი-  
მართ ფიზიკური განადგურების მუქარას,  
თუ პატიმრების მიერ წაყენებულ მოთხო-  
ვნას — უკანონო ქმედებები ჩაედინათ —  
არ შეასრულებდნენ... აღნიშნულიდან გა-  
მოძინარე, გენპროკურორთან და შს მინ-  
ისტრთან შეთანხმებით, იუსტიციის სამინ-  
ისტროს მიერ დამტკიცდა მეხუთე საპე-  
რობილეში ოპერატიულ-პროფილაქ-  
ტიკური ღონისძიებების გეგმა. კარგა  
ხნის განმავლობაში ვფლობდით ინფორ-  
მაციას იმის შესახებ, რომ სასჯელთალ-  
სრულების უწყებაში დიდი არეულობა  
იგვემუბოდა. პატიმრებს გადაწყვეტილი

ჰქონდათ მძევლების აყვანა, რის შემდეგაც,  
გარკვეულ პირობებს წამოგვიყენებდნენ.  
ჩვენ დავასწარით კრიმინალებს, რასაც  
დიდი არეულობა მოჰყვა. ათი პოლიციე-  
ლი დაშავდა, პატიმრებიდან კი — 30-ზე  
მეტ. ამ ოპერაციით გაფხანტეთ მითი  
ავტორიტეტების უძლეველობის შესახებ.  
მეხუთე საპრობილიდან იარაღის ნახე-  
ვარზე მეტი ამოვიღეთ, თუმცა, ოპერაციის  
ჩატარება ბოლომდე ვეღარ მოხერხდა.  
იძულებულნი ვიყავით, შეგვეწყვიტა იგი,  
რადგან არეულობა კიდევ 10 წუთის  
განმავლობაშიც რომ გაგრძელებულიყო,  
შენობა ნახგრევებად იქცეოდა, ისეთ მღვო-  
მარეობაშია, რომ პატიმრები უპრობლე-  
მოდ აძრობდნენ კედლებიდან აგურებს.  
თანაც, შენობა 800 კაცზე გათვალისწინე-  
ბული, ამჟამად კი იქ 1.600 პატიმარია.  
როდის დაგვექცევა შენობა თავზე, არ  
ვიცით... გარდა ამისა, ძალიან რთული  
იყო სარეჟიმო ვითარებაც. არ დავძალავ  
იმასაც, რომ ციხეში ზოგიერთი თანამ-  
შრომლის ხელშეწყობით შედიოდა იარ-  
აღი, რომელიც ისევ და ისევ, მათ წინააღ-  
მდე გამოიყენეს... ■



## თიკა ჯამბურიას მისკდურები დედაცი, სახლ პავლიაშვილის თბილისური კონცერტი და ნაცვ დემდაძის გეგმები

თიკა ჯამბურია და ვლადიმერ პრესნია-  
კოვი ლუეტს იმდებრენ. ფონოგრამა უკვე  
მზად არის. სულ მალე, თიკა და ნატო  
ლუმბაძე მოსკოვში გაემგზავრებიან, სადაც  
სიმღერას ჩაწერენ. საბუთო საგარაუდოდ,  
თებერვლის ბოლოს დასრულდება. ამის შემ-  
დეგ, დაიწყება მოლაპარაკებები ამ სიმღერაზე  
კლიპის გადაღების თაობაზე. ხარჯებს ქართვე-  
ლი მეცენატი ნაილი ჯანაშია გააიღებს, რომელ-  
იც მოსკოვში ცხოვრობს.

პრესნიაკოვმა თიკას სიმღერები მოისმინა,  
მოეწონა და აღნიშნული ლუეტის ჩაწერაზე  
თანხმობა განაცხადა. ინიციატივა თიკამ  
გამოიჩინა. მისი სურვილი იყო, პრესნიაკ-  
ოვთან ემღერა, რაც მისმა მენეჯერმა რეალო-  
ბად აქცია... მოსკოვში გაემგზავრება დაკე-  
შირებულია აგრეთვე მეორე მნიშვნელოვან  
გეგმასთან. ეს არის სოსო პავლიაშვილის  
კონცერტი. 13 თებერვალს, საკონცერტო დარ-  
ბაზ „რასაში“ პავლიაშვილი სოლო კონ-  
ცერტს გამართავს, რომელშიც მონაწილე-  
ობას მიიღებენ ცნობილი მომღერლები: ლარ-  
ისა დოლინა, იოსებ კობზონი, ნაფეჟა ბაბინა,  
ნანი ბრეგვაძე, დინა ლურწყაია. კონცერტს  
აფინანსებს მოსკოვში მცხოვრები მეცენატი,  
ვლადიმერ ჯღარკავა, რომლის სურვილია,  
რუსეთში ქართველი მომღერლები და ქართუ-  
ლი კულტურა უფრო ფართოდ წარმოაჩი-  
ნოს. მოსკოვის შემდეგ კი, სოსო პავლიაშ-  
ვილი კონცერტს თბილისშიც გამართავს. აქ  
დაგეგმილი კონცერტის პროდიუსერია ნატო  
ლუმბაძე. საერთოდ, 1994 წლიდან მოყოლე-  
ბული, სოსო პავლიაშვილის მიერ საქართველო-  
ში ჩატარებული ყველა კონცერტის ორგა-  
ნიზატორები, ნატო ლუმბაძე და დათო ოქ-  
ტაშვილი არიან. ასე რომ, მეგლომანებს დიდი  
სიხარული ელით — სოსო პავლიაშვილთან  
შეხვედრის სიხარული, რომელიც ფილარმ-  
ონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ან  
სპორტის სასახლეში შედგება.

ლელა ჯანაშვილი

# „ტოტალიზატორიკაშიდან თბილისის ბიუჯეტი 100.000 ლარს მიიღებს...“

— ტოტალიზატორ-  
ების დაბეგვრის ახალი  
რეჟიმის შექმნის ინი-  
ციატივა წამოაყენეთ და  
მოითხოვეთ, რომ მათ  
ფიქსირებული გადასახ-  
ადი დაუნესდეთ. რა  
არის ამის მიზეზი და  
უფრო კონკრეტულად,  
რას ითვალისწინებს  
თქვენ მიერ შემუშავე-  
ბული პროექტი?



**დავით სალა-  
რიძე**, პარლამენტის გა-  
დასახადებისა და შემოსავლების კომი-  
ტეტის თავმჯდომარე:

— ჩვენმა კომიტეტმა მოამზადა საგა-  
დასახადო კოდექსში შესატანი ცვლილე-  
ბების პროექტი, რომელიც ყველა ტო-  
ტალიზატორის თითოეული სალა-  
როსთვის ითვალისწინებს თვეში არანაკ-  
ლებ 2.000 ლარის და არა უმეტეს  
4.000 ლარის გადასახადის დაწესებას.

გარდა ამისა, ადგილობრივ  
საკრებულოებს მიეცემათ  
უფლება, რომ აღნიშნული  
ციფრების ფარგლებში, გა-  
დასახადი თვითონვე დააწე-  
სონ. თბილისში 80 ტოტალ-  
იზატორია რეგისტრირებუ-  
ლი, საიდანაც წელიწადში  
საშუალოდ, 20-30.000 ლარი  
გროვდება. ადგილობრივ ბი-  
უჯეტებს შემოსავლები რომ  
არ დააკლდეს, ტოტალიზა-  
ტორები ან სალაროების  
მიხედვით დაწესებული, ფიქსირებული გა-  
დასახადით უნდა დაიბეგროს, ან ფინანს-  
თა სამინისტრომ, აქციზური მარკების მს-  
გავსად, მათ დანომრილი ბილეთები უნდა  
მიჰყიდოს. თუ ეს ცვლილებები ამოქმედ-  
და, თბილისის ბიუჯეტი ყოველწლიურად,  
100.000 ლარს მიიღებს — მაშინ, როცა  
2001 წელს, ამ მაჩვენებელმა სულ 15.000  
ლარი შეადგინა. ■

კომპანია „პრემიერის“ პრეზიდენტი კოკა ყანდიაშვილი მას შემდეგ, რაც „ტელე-იმედიდან“ წამოვიდა, „პირველ არხზე“ ახალი პროექტის განხორციელებას გეგმავს. გადაცემა — „რა ხდება?!“ ეთერში სახე შეცვლილი დაბრუნდება. ყოველ საღამოს, სავარაუდოდ — ღამის ორ საათზე, პირდაპირ ეთერში ისინი, ვისაც ძილი არ უყვართ, შესვდებიან მეპურეებს, მეხინკლებს, მევენახეებს... ერთი სიტყვით, კოკა ყანდიაშვილს ბევრი ახალი გეგმა და ჯერ განუხორციელებელი იდეა აქვს... ბოლო პერიოდში, მის მიმართ ინტერესი იმ ესპანელი ტელენამყვანი ქალის გამო გაათქვცდა, რომლის ვითომ ცოლად შერთვას აპირებს. თუმცა, ავი ენები იმასაც ამბობენ — ყანდიაშვილი ქართველ ტელევიარსკვლავზეა შეყვარებულიო.



# რა ხდება უსასიკაროდ დარჩენილი

## კოკა ყანდიაშვილის პირად ცხოვრებაში?

ლელა ჭანქოტაძე

— ბატონო კოკა, რა სიახლეა თქვენს ცხოვრებაში?

— ჩემს ცხოვრებაში სიახლე ის არის, რომ ათი დღეა, რაც თბილისში დაბრუნდი. კუბაში ვიყავი. ახალ წელს იქ შევხვდი. ძალიან კარგად დავისვენე. ახლა შემიძლია, ბევრი ახალი რამ გავაკეთო. სიახლეა ისიც, რომ ძალღი ვიყიდე. ახალი მეგობარი შევიძინე. მას კუბა დავარქვი. თავიდან პესო (კუბური ეროვნული ვალუტის სახელი) მინდოდა დამერქმია, მაგრამ კუბა უფრო სრულად გამოხატავს ჩემს სიყვარულს ამ ქვეყნის მიმართ... ერთი სიტყვით, კარგად დავისვენე და კარგ ხასიათზეც ვარ. „იმღერე რამეს“ რომ ვაკეთებდი, ძალიან დავილაღე.

— ამ პროექტის მიმართ განსხვავებული მოსაზრებებია. უმეტესობა უარყოფითად აფასებს წამყვანს.

— ისეთი პროექტი, როგორც არის „იმღერე რამე“, ბევრი ქვეყნის ტელევიზიას აქვს, მაგრამ ჩვენთან ეს გადაცემა მაინც განსხვავებულია იმისაგან, რაც საფრანგეთში, ამერიკაში ან რუსეთში გადიოდა. ამ გადაცემისთვის დაახლოებით 7000 ქართული მელოდის მოძებნა, არანჟირება და

ტექსტების მოძიება მოვიხდა. რაც შეეხება წამყვანს — ოთხი დღეა, რაც დაიწყო ახალი ჩანაწერების ჩვენება; აქამდე რასაც უყურებდა მაყურებელი, ეს ავვისტოში იყო ჩაწერილი. გაძლევთ გარანტიას, რომ თებერვლის ბოლოს, ბახალა შეუყვარდება ყველას, იმ ადამიანებსაც კი, რომლებსაც ის არ მოსწონთ. ოთხი თვის განმავლობაში ვიორგი (ბახალა) სისტემატურად მეტადინეობდა მეტყველებაში, მუსიკისმცოდნეობაში, ისტორიაში... ამ გადაცემასთან დაკავშირებით, ერთ რამეში მაინც შეეცდი: მეგონა, რომ „იმღერე რამე“ მხოლოდ მარტში ან აპრილში გავიღოდა პირველ ადგილზე, მაგრამ ის უკვე დღეს დაწინაურდა „პირველ არხზე“, ყველა ტელეარხის პროგრამებს შორის კი, მხოლოდ ცხრასათიან „კურიერს“ ჩამორჩება.

— შესაძლებელია თუ არა, რომ „პრემიერმა“ თავისი პროექტები სხვა ტელეარხებზეც განახორციელოს?

— რა თქმა უნდა. ახლა გვაქვს მოლაპარაკებები „რუსთავი 2“-თან (ეროსი კიწმარიშვილთან), „იბერიზისთან“ (ლევან ყუბანეიშვილთან). „პირველ არხზე“ იქნება ახალი პროექტი — განახლებული „რა ხდება?!“

— ახლა გადაცემებში ტელენამყვანებად ახალი სახეები ჩნდებიან. რა პრინციპით ხდება მათი შერჩევა?

— შემიძლია ვთქვა, რომ ახალი სახეების უმეტესობა ტელეჟურნალისტიკაში ჩემი დახმარებით მოვიდა. ეს შემიძლია ვთქვა „რუსთავი 2“-ის, „მეტყველ არხის“, „იბერიის“, „პირველი არხის“ ბევრ წამყვანზე. „იმღერე რამეში“ ვვი-

ქრობდი, სოსო თოლორაია მომეწვია, მაგრამ ვერ შევთანხმდით... მინდა, რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი ადამიანი ვაქციო ვარსკვლავად. თავის დროზე, ასე შევამჩნიე გიორგი სანაია და მოვიყვანე „აუდიენციაში“. შემდეგ — აკაკი გოგიჩაიშვილი. ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია. მაგალითად, სერიალისთვის — „ძილის წინ“ ყველა მოქმედი გმირი.

— ეი. შესაძლებელია, რომელიმე გამგლეული შეამჩნოთ და როგორც პოლიფუდის ფილმებში ხდება ხოლმე, ისე აქციოთ ტელენამყვანად?

— ძიელი ბავშვობა მჯეროდა ზღაპრული ცხოვრების. თუკი შემიძლია, ვინმეს ოცნება აუფსრულო, რატომ არ უნდა გავაკეთო ეს?!

— ეი. გადაცემა — „რა ხდება?!“ თქვენს უცნაურ ჩვეულებას — გამუდმებით და ყველგან ეძებოთ საინტერესო ადამიანები — რეალიზაციის საშუალებას მისცემს?

— რატომღაც მეგონა, რომ კარგი იქნება, მოვამზადო არა პოლიტიკური თოქშოუ, არამედ გადაცემა იმაზე, თუ რა ხდება ღამით. არც ერთ ქართულ არხზე არ გვაქვს ღამის პროექტი, რაც იმ ქვეყნისთვის, რომელშიც უმუშევრობის მაღალი პროცენტია, ძალიან მნიშვნელოვანია... სახელმწიფო ტელევიზია ჩემი სახლია, ამიტომ შევთავაზე, გავკვიკეთებინა „რა ხდება ღამით?“ ამ გადაცემაში არ იქნებიან პოლიტიკოსები. სტუმრებს მოვიწვევ არა პოლიტიკაზე, არამედ ისეთ თემებზე სასაუბროდ, როგორცაა ვთქვათ, ბავშვობა. თანამედროვე, ექსტრაორდინარულად მოწყობილ სტუდიაში, სადაც განთავსდება სამი სავარძელი და წითელი როიალი, მოვიწვევ საინტერესო ადამიანებს: მწერლებს, მხატვრებს, მეხინკლებს, მეპურეებს, ბებიებს, ბაბუებს... პირდაპირ ეთერში ვიმღერებთ, ვიცეკვებთ, ვისიამოვნებთ. ახალგაზრდებს უნდა ვაჩვენოთ ცხოვრება...



— თქვენი პროექტი — „ძილის ნინ“ შეჩერდა. რა ინფორმაციას ფლობთ მისი შემდგომი ბედის შესახებ?

— მე დღესაც და ერთი წლის წინაც ვეჭვობდი, რომ ეს პროექტი უნდა გაჩერებულიყო. ის სამი წელი გადიოდა ეთერში და მაღალ რეიტინგს ინარჩუნებდა. ქართული მაყურებელი ღირსია, რომ მეორე ქართული სერიალი შეეთავაზოთ. მე მაქვს რამდენიმე პროექტი, რომელსაც ალბათ „პირველ არხზე“ ვერ განვახორციელებთ.

— თქვენი რომელიმე პროექტი თუ განხორციელდება ბადრი პატარკაციშვილის ტელევიზიაში?

— არ ვიცი. მე ამ არხის გენერალური დირექტორი ვიყავი. როცა წამოვედი, ბადრიმ მითხრა: ჩვენ დაგიკვეთთ რაღაც პროექტებსო, მაგრამ ეს არ მოხდა. ბადრი ძალიან ნიჭიერი კაცია. ის უზარმაზარ ტელეკომპანიას ხელმძღვანელობდა. დარწმუნებული ვარ, რომ მოახერხებს კარგი ტელეკომპანიის შექმნას. მე ეს გამიხარდება.

— თქვენ რატომ წამოხვედით მისგან?

— მე მიმიწვიეს არხის გენერალურ დირექტორად. მერე აღმოჩნდა, რომ მყავდა რამდენიმე უფროსი. იქ ოთხი თვე დაყავი. ძალიან საინტერესოა ბადრისთან მუშაობა, მეგობრობითაც ვმეგობრობთ, მაგრამ მე არ მინდა, ბადრი ჩემი უფროსი იყოს.

— თქვენ თქვით, რომ გადაცემაში — „რა ხდება?“ მონივევთ მხოლოდ საინტერესო ადამიანებს. ბადრი პატარკაციშვილიც თუ მოხვდება ამ ადამიანებს შორის?

— საიმოვნებით მოვიწვევ ჩემს გადაცემაში, რათა უამბოს ხალხს, როგორ იშოვა ამდენი ფული. თანამედროვე რუსეთის პოლიტიკასა და ეკონომიკაში მას ძალიან დიდი როლი აქვს შესრულებული, საინტერესოა ბენილის იმიჯითაც. არის მილიონერი და ბენილი „ჯერონიმო“... რა თქმა უნდა, ჩემი მაყურებლისთვის ეს საინტერესო იქნება, მაგრამ ბადრი მაინც არ მოვა...

— თქვენს პირად ცხოვრებასაც შევხებით, თუ შეიძლება. რა ხდება? რა სახლებია? ვინ არის ის ესპანელი, ვინც ასე მოგხიზლათ?

— ის გახლავთ ესპანელი ტელეეარსკვლავი. ძალიან პოპულარულია. დიდი ხნის წინ გავიცანით ერთმანეთი. ვმეგობრობთ — მეტი არაფერი. ცოლად არ მომყავს. ეს ტყუილია. სიყვარულს რაც შეეხება და თავიდან ოჯახის შექმნას — მე ველოდები, რომ სიყვარული მოვა. ვერ მარტო ვარ, სიყვარულის მოლოდინში.

— ამასობაში, მუსიკრებს აზრი, რომ მარიანა ნონაშვილსა და თქვენ შორის ძალზედ რომანტიკული ურთიერთობაა...

— მე მარიანა მართლა ძალიან მიყვარს.

მარიანასაც ძალიან ვუყვარვარ. კარგი გოგოა, მაგრამ ეს პირად ურთიერთობებში არ გადადის. ჭორია. მასსოვს, მარიანა როგორ მოიყვანეს სინჯებზე, როგორ შეეხვდე და როგორ დავამტყიცე მარეხის როლზე. ძალიან წესიერი და პატიოსანი ადამიანია, თანაც — კარგი მსახიობი. მინდა, მარიანა მაყურებელმა სხვა როლებშიც ნახოს, რადგან ნიჭიერია და დიდი მომავალი ელოდება. ისე, კი უნდა ვკითხო — ხომ არ ვუყვარვარ?.. სხვათა შორის, საშისახურში რომანი არასდროს არ მაქვს.

— ეს თქვენი პრინციპია?

— დიახ. ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

— თქვენი შვილების შესახებ რას გავტყვით?

— თუა და მარიამი, შვიდი და ათი წლის ხდებიან. მათი დაბადების დღეებისთვის ვემზადები. შვილები ჩემთვის ყველაფერია. რამდენიც შემიძლია, იმდენ დროს ვატარებ მათთან.

— თქვენ შესახებ ხშირად ამბობენ, რომ გულჩვილი და გულკეთილი ხართ. შვილები როგორ გაიმეტეთ იმისთვის, რომ უმამოდ ეცხოვრათ? ამდენად აუცილებელი იყო მეუღლესთან გაყრა?

— ამ საკითხზე ბევრი ვიფიქრე, მივხვდი ასეთ რამეს: მე ვიქნებოდი მტყუანი და უსამართლო შვილების, საკუთარი თავის და ჩემი შვილების დღის მიმართ, თუ ვიცხოვრებდი ოჯახში, სადაც არ იქნებოდა სიყვარული. ბავშვები იგრძნობდნენ, რომ მშობლებს შორის არ არის სიყვარული. თანაც ვერ მოვატყუებდი საკუთარ თავს, ასევე ქალს, რომელმაც ორი შვილი მარუქა. ძალიან რთული იყო ბავშვებისთვის ამის ახსნა. ნონამ მითხრა: ჩვენი გაყრა შენი ინიციატივა იყო, ამიტომ შენვე უნდა აუხსნა ყველაფერი ბავშვებსო... შეიძლება, შეცდომაც დაეუფვი, წლები გავიდეს და ამას მივხვდე. მე და ნონა ვმეგობრობთ, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ვცდილობთ, მეტი ყურადღება დაუთმოთ ბავშვებს. მეც ბედნიერი ვარ, ნონაც და ბავშვებიც. ჩვენ ისე ვიცხოვრეთ ამ წლების მანძილზე, რომ არასდროს მოგვსვლია კონფლიქტი, სულ უმნიშვნელოც კი. ნონამ მაინც გამიგო. მისგან ამას ველოდი კიდევ.

— ახლა მარტო ცხოვრობთ?

— დიახ, მაგრამ მარტო არასდროს ვარ. მეგობრები, ახლობლები, ნათესავები ყოველთვის ჩემთან არიან. ვერ ვიტყვი, რომ მარტო ვგრძნობ თავს. როცა პოპულარული ხარ და ყველა გიცნობს, მთელი ქვეყანა ძალიან ახლობელი ხდება შენთვის. წარმოიდგინეთ — გამოდიხარ სადარბაზოდან ყოველ დღით და ხვდები ადამიანებს, რომლებიც გიცნობენ. მიდინხარ სადმე — ვთქვით, ჩხოროწყეში —

და იქაც ყველა გცნობს. ეს ნიშნავს, რომ მთელი საქართველო ჩემი სახლია. სადაც არ უნდა ვიყო, ყველგან ჩემიანები არიან...

— რა არის თქვენი ოცნება?

— ჩემი ოცნება არის სახლი, რომელიც არ მაქვს. ახლა ვცხოვრობ ნაქირავე ბინაში.

— თქვენი ხელფასი არ გაძლევთ იმის საშუალებას, რომ სახლი იყიდოთ?

— კარგი ბინა კორპუსში რომ ვიყიდო, ამის საშუალება მაქვს. მაგრამ მე მინდა ისეთი სახლი, რომელიც ახლოს იქნება მიწასთან. არ ვოცნებობ სასახლეზე. ჩემთვის მნიშვნელობა აქვს სახლის მდებარეობას. მინდა ვიცხოვრო ისეთ სახლში, რომლის ფანჯრიდანაც კარგი ხედი ჩანს. მთელ თბილისში დავდივარ, ვათვალიერებ ხედებს და ვუყურებ ქალაქს, რომელიც ძალიან მიყვარს.

— თქვენი ოჯახის წევრები თუ უყურებენ თქვენს გადაცემებს?

— კუბაში მიველიდი, ბებია — დედაჩემის დედა რომ გახდა ძალიან ცუდად. რა თქმა უნდა, გამგზავრება გადავდე. ერთ კვირაში გარდაიცვალა. მივხვდი — თუ ბებია დაიღუპებოდა, მე ბავშვობას დავკარგავდი. ყველაფერთან ამ ქალმა დამაკავშირა: ქუჩასთან, სკოლასთან, კბილის ექიმთან, კინოსთან და ა.შ. მასსოვს, შევარდნაძე პრეზიდენტად მეორედ რომ აირჩიეს, 9 აპრილი იყო. იმ დღეს მიმყავდა „რა ხდება?“ დღის ხუთ საათამდე. სტუდიაში უამრავი ზარი შემოვიდა. ბოლოს გამოვაცხადე: კიდევ ერთ მსმენელს შემოვიყვან ეთერში-მეთქი. პირდაპირ ეთერში შემოვიდა ზარი. სარედაქტოროში ვერ მიხვდნენ, რომ ბებიაჩემი რეკავდა. მითხრა: შეილო, კოკა, წამოდი სახლში — არ დაიღალეო?... რომ გარდაიცვალა, მოვაძებნინე არქივში ეს გადაცემა და ჩემთვის ჩავაწერიან. ვისმენ ხოლმე, როგორ მეუბნება: „შეილო, მე ვარ, შენ შემოგვევლოს ბაბუკა“. აი, ასეთი ბებია მყავდა...



შვილებთან ერთად

# „წლები განვიწყობთ თურქე ჩვეი პეილი პეკულუს პეიოზლი“

უზენაესი სასამართლო სამეგრელოში, კერძოდ მარტვილის რაიონში ჩადენილი ორი მკვლელობის საქმეს განიხილავს. დანაშაულები სხვადასხვა სოფელში მცხოვრებთ, თუმცა ორივე შემთხვევაში, ნაჭყებიების ოჯახებს უკავშირდება. მკვლელობამ, რომელიც შარშან, სოფელ კურზუში მოხდა, 18 წლის ზაზა ნაჭყებიას სიცოცხლე შეინირა. აღნიშნულ საქმეს კოლეგია მოსამართლე გიორგი ქოიავას თავმჯდომარეობით განიხილავს. რაც შეეხება მეორე დანაშაულს, ის 27 წლის მალხაზ ნაჭყებიამ ჩაიდინა. ამ მკვლელობის დეტალების განხილვას უზენაესი სასამართლო უახლოეს მომავალში დაიწყებს.



სასამართლო კოლეგია, თავმჯდომარე გიორგი ქოიავა

## მეზი სანაპა

2002 წლის 19 იანვარს, საღამოს, დაახლოებით 9 საათისთვის, მარტვილის რაიონის სოფელ კურზუში მცხოვრებ თამაზ ნაჭყებიას ოჯახს, როგორც ამბობენ, სრულიად მოულოდნელად, მეზობელი და ამასთანავე ნათესავი – ბონდო ნაჭყებიანი დაესხა თავს. ამ უკანასკნელს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა. დაზარალებულის მხარე აღნიშნავს, რომ ის, ავტომატის გარდა, რევოლვერითა და ერთი ხელყუმბართაც იყო შეიარაღებული.

ბონდო ნაჭყებიანი ოჯახში მყოფ ხუთ წევრს ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა. როგორც სამართალდამცავები ამბობენ, მათ სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა, თუმცა ტყვიები ოჯახის ოთხ წევრს რაღაც სასწაულებრივად ასცდა. საუბედუროდ, სასიკვდილოდ დაიჭრა თამაზ ნაჭყებიას 18 წლის ვაჟი – ზაზა. ტყვია მას კისრის არეში მოხვდა. ზაზა მაშინვე დაგარდა და რამდენიმე წუთში გარდაიცვალა. სახლში იმ დროს, მასთან ერთად მამამისი – თამაზ ნაჭყებიანი, დედა – ლილი ნაჭყებიანი, მოხუცი ბებია და უფროსი ძმა – ზურა იყვნენ. სროლის მომენტში, მათ ოთახიდან გაქცევა და დამალვა მოახერხეს, ტყვიას მხოლოდ ზაზა ვერ გადაურჩა.

ბონდო ნაჭყებიანი, რომელიც სამართალდამცავთა თქმით, ნასვამი იყო, ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, იქაურობა დატოვა და მეზობლის – ლულუნი ნაჭყებიას სახლში მივიდა. ცოტა ხანში კი, იქიდან პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში, სამართალდამცავების წინაშე საკუთარი ნებით გამოცხადდა.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ბონდო ნაჭყებიანი ავტომატით ტყვიებს ეზრდებოდა ისროდა. ტყვიებს ის თამაზ ნაჭყებიას სახლის კარსა და ფანჯრებს ესროდა, თან ისე, რომ იცოდა – ოჯახის ყველა წევრი შინ, ერთ ოთახში იმყოფებოდა. დაზარალებულის თქმით, ტყვიები გარედან ოთახის დახურულ კარს ხვდებოდა. ნატყვიარები მას დღესაც ეტყობა. რაც შეეხება დანაშაულის მოტივს – გამოძიების დასკვნით, ეს თამაზ და ბონდო ნაჭყებიებს შორის ურთიერთშელაპარაკება გახლდათ. თავად დაზარალებული და განსასჯელი დასძენენ, რომ შემთხვევამდე, დღისით, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, საღამოს კი, როგორც აღმოჩნდა, ეს ხუმრობა არც ერთ მათგანს არ მოსწონებია, ორივემ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბონდო ნაჭყებიანი თავს ვერ სძლია, გაბრაზებულმა შინიდან ავტომატი წამოიღო და საქმის გასარჩევად თამაზ ნაჭყებიას შინ მიუვარდა.

### თამაზ ნაჭყებიანი, დაზარალებული:

„48 წლის კაცი ვარ, მარტვილის რაიონის სოფელ კურზუში დავიბადე და დღემდე იქ ვცხოვრობ. ბონდო ნაჭყებიას, რაც თავი მახსოვს, ვიცნობ. ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და ერთმანეთს ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა. ძალიან ვახლოობოდა და ბოლოს, დავნათესავდით კიდევ. ჩვენთან, სამეგრელოში წესადაა – როცა ოჯახ-

ის რომელიმე წევრი დაიღუპება, შემდეგ, ჭირისუფალი ძალიან ახლობელ ადამიანს აიყვანს და ვარდაცვლილის ნაცვლად, მას უნათესავდება. მეც, მამაჩემის ვარდაცვალების შემდეგ, მამად ბონდოს მამა ვცანი და ოჯახებით დავნათესავდით. ერთმანეთზე ახლობელი, წესით და რიგით, არავინ უნდა გვეყოლოდა. წლების მანძილზე, ასეც მეგონა, სინამდვილეში კი, თურმე, ჩემი შვილის მკვლელს ვძმობდი...

ბოლო დროს, ენგურჭესის მშენებლობაზე ვმუშაობდი, თუმცა მალე, სამსახურს თავი დავანებე და ოჯახის სარჩენად ტყეში მუშაობა და შეშის ჭრა გადავწყვიტე. იმ საბედისწერო დღესაც, ჩვეულებრივად, დილით ადრე ავდექი და წასასვლელად მოვემზადე. 2002 წლის 19 იანვარი იყო, ძალიან ციოდა და თან ძლიერ თოვდა. ვიფიქრე – წავალ მაინც ტყეში და ვნახავ, შეიძლება მუშაობა თუ არა-მეთქი. შინიდან ნაჯახი წავიღე და წავედი. ისე თოვდა, რომ მუშაობას ნამდვილად ვერ შევძლებდი. ამიტომაც მაშინვე, შინ დაბრუნება გადავწყვიტე. ტყიდან სოფლისკენ მიმავალ გზას დავადექი და უკვე დაახლოებით ოთხი კილომეტრი მექნებოდა გავლილი (სახლამდე სულ 14 კილომეტრი უნდა გამევილო), როცა მანქანის ხმა შემომესმა. გამიხარდა, ვიფიქრე – სოფლამდე ჩავყვები და ფეხით სიარული აღარ მომიწევს-მეთქი. სატვირთო მანქანა იყო, ჩემი მეზობლები აღმოჩნდნენ და მაშინვე გამიჩიერეს. მე სირბილით წავედი ავტომანქანისკენ, მაგრამ სანამ იქამდე მივირ-

ბენდი, ხმა შემომესმა: დამიანე ჯიქია, სად იყავი? გავხედე და მანქანასთან ბონდო ნაჭყებია შევნიშნე. მე მომმართავდა, თან იცინოდა და ისევ გამიმთვრა — დამიანე ჯიქია, აქ რას აკეთებო? დამიანე ჯიქია ჩვენს სოფელში მცხოვრები ერთი ჭკუასუსტი კაცია, ამბობენ — ვიჟიაო. სულ ფეხშიშველა დადის, გადარეული, ავადმყოფია. ვიფიქრე — ბონდო მეზომრება-მეთქი, — და ამიტომაც, მეც სიცლით ვუპასუხე: ვინ არის, ბიჭო, დამიანე? მაშინ, შენც დამიანე ხარ, თუ კარგია-მეთქი... ამაზე მან კვლავ ხუმრობით რაღაც მითხრა, მეც შევეპასუხე ისევ და ბოლოს შევატყვე, რომ ბონდოს ზედმეტი მოსდიოდა, ხუმრობას ვერ ზომავდა და ბევრი რამ შეურაცხყოფილიც მითხრა. მიუხედავად ამისა, მისი ნათქვამი სერიოზულად მაინც არ აღვიქვი. როცა მანქანაში ვჯდებოდი, საბარგულზე დაწყობილი შემა შევნიშნე. ნამდვილად არ ვიცოდი, ვისი იყო ან ვისთან მიჰქონდათ და გულუბრყვილოდ ვიკითხე: ვისია ეს შემა? ბონდო, შენი ხომ არ არის-მეთქი? სოფელში ერთი მეზობელი გარდაგვეცვალა, დაკრძალული იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო და შემაც თურმე იქ, ჭირისუფლის ოჯახში მიჰქონდათ. სწორედ ამის გამო გაიგო ბონდომ ჩემი ნათქვამი ცუდად. უფიქრია — განგებ მითხრაო, — და გაბრაზებულმა შემომხვდა. რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, რომ ეწყინა. გამიკვირდა და ხმამაღლა, მანქანაში მყოფი დანარჩენი მეზობლების გასავლენად ვთქვი: ბონდო, როცა თავად ხუმრობს, ჰკონია, რომ არაფერია, ხოლო მას თუ გაეხუმრნენ — ქვეყანა იქცევა-მეთქი. ამ დროს უკვე ვზაში ვიყავით, სოფლისკენ მივდიოდით. ჩემს სახლს რომ მივუახლოვდით, მანქანა ვავაჩერებინე და ჩავედი. მაშინვე უკან მოვიხედე და ბონდოს შევხედე. საშინლად გაბრაზებული მიყურებდა, მისი თვალები არასდროს დამავიწყდება...

შინ რომ მივედი, ცოლ-შვილს ვუამბე ჩემი და ბონდოს ხუმრობის შესახებ. ისიც ვთქვი: მკონი, რაღაც ეწყინა და ვერ ვავიგე, რა უნდა ამ კაცს-მეთქი. ამ საუბრიდან არ ვასულა ნახევარი საათი, რომ ეზოში, ავტომატით შეიარაღებული ბონდო შემოვარდა. მაშინ, დაახლოებით საღამოს 9 საათი იქნებოდა. ეზოში ბონდო თუ შემოვიდა, არ ვიცოდი. ფანჯრის მინაზე ბრახუნის ხმა შემომესმა, ვიკითხე — ვინ არის-

მეთქი? როცა მიპასუხა, მხოლოდ მაშინ შევიცანი მისი ხმა. ვიფიქრე აბრახუნებდა ფანჯარაზე და — თამაზ, გარეთ გამოდიო! — იძახდა.


გარეთ რატომ უნდა გამოვიდე? — შინ შემოდი, ოჯახში-მეთქი, — და ცოლს ვუთხარი, კარი გაეღო. ბონდო შინ ავტომატით შემოვარდა და უხეში სიტყვებით მომმართა. ვეუბნებოდი: მე შენთვის არაფერი დამიშავებია და თუ მაინცდამაინც, რამე ვაწყენინე, ზვალ ვილაპარაკოთ, დღეს მთვრალი ხარ-მეთქი. ჩემი არ ესმოდა, ავტომატი პირდაპირ ჩვენკენ მომართული ეჭირა ხელში და ყვიროდა. მაშინ, ჩემმა უფროსმა ვაჟმა — ზურამ ავტომატის ლულას ხელი სტაცა და ბონდოსთვის იარაღის წართმევა სცადა. იმ მომენტში, მეც მივვარდი ბონდოს და მისი განიარაღება გადავწყვიტე, მაგრამ ამ დროს დაიძახა: ავტომატის გარდა, რევოლვერიც მაქვსო, — და ის ჯიბიდან ამოიღო. ამის გამო გადავწყვიტე, თავი შემეკავებინა და ავტომატს ხელი ვაგუშვი. ბონდო ყვიროდა: ყველას ამოგწყვეტთო. ზურამ ის კარისკენ წაიყვანა, უნდოდა სახლიდან გაეყვანა. ვაიყვანა კიდევ. კარიც მოვხურეთ. ამ დროს, ბონდო შემოტრიალდა და მიხურული კარისკენ დაიწყო სროლა. ზოვი ტყვია რას მოხვდა და ზოვი — რას. ჩემი მეუღლე მეორე ფანჯრიდან გადახტა, დედაჩემი საღვაც დაიძალა. სწორედ ამ დროს დავინახე, რომ უმცროსი შვილი — ზაზა მოწყვეტით ძირს დავარდა. მე მაშინვე მასთან მივვარდი, მივხვდი, რომ დაიჭრა და შევიღს ზემოდან დავემხე. მას შემდეგ რა მოხდა, არაფერი მახსოვს...

როგორც მოწმეთა ჩვენებიდან ჩანს, ბონდო ნაჭყებია თამაზ ნაჭყებიას სახლში მისვლამდე, სხვებთან ერთად გარდაცვლილი მეზობლის ოჯახში მივიდა და იქ შემა მიიტანა. ჭირისუფალმა მეზობლებს სუფრა გაუშალა. ბონდო ნაჭყებია მღვინო დალია. „მოგვიანებით მითხრეს მეზობლებმა — ბონდო სუფრასთან ვერ ისვენებდა, საღვაც წასვლა უნდოდაო. საერთოდ, სმა ყოველთვის უყვარდა, მაშინ კი, ნახევარ საათზე მეტხანს არ გაჩერებულა და წა-

სულა“; — ამბობს თამაზ ნაჭყებია. თავად განსასჯელი აღნიშნავს, რომ ჭირისუფლის სუფრასთან მან დაახლოებით ერთი-ორი ლიტრი ღვინო დალია.

**ბონდო ნაჭყებია** ამჟამად 63 წლის გახლავთ. იგი ადრე, ნასამართლვეი არ ყოფილა. მომხდარის შესახებ კი ასე მოგვითხრობს:

„მე და თამაზმა ერთმანეთს ხუმრობა დაუწყეთ, თუმცა, თამაზს აშკარად ზედმეტი მოუვიდა. ბევრი ისეთი რამ მითხრა, რაც ნამდვილად მეწყინა. ეს მარტო მე კი არა, მანქანაში მყოფმა მეზობლებმაც შეამჩნიეს და აღნიშნეს კიდევ. მე არაფერი მითქვამს, გადავწყვიტე, მისი ნათქვამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმეცა... გარდაცვლილი მეზობლის ოჯახიდან შინისკენ წავედი, მაგრამ ვიდრე ჩემს სახლთან მივიდოდი, შესახვევთან თამაზი შემხვდა. ახლა, როცა ყველაფერი გავაანალიზე, ვფიქრობ, რომ ის იქ სპეციალურად დამხვდა. შინ მიმიპატიჟა: წამოდი, არაყი მაქვს და ცოტა დაველითო. ვუპასუხე: ხომ იცი, არაყს ვერიდები, მე ღვინო მაქვს და სჯობს, ჩემთან წავიდეთ-მეთქი. თავისი მაინც არ დაიშალა და მეც დავთანხმდი. მის სახლში რომ შევედი, თამაზმა და მისმა ორივე შვილმა მაშინვე ჩხუბი, ცემა დამიწყეს. თამაზი ირონიულად მეუბნებოდა: მე ვიცი, შენ რა არაყსაც დაგალევიებო. სამივე მირტყამდა. იქ იმ დროს არავინ იყო, თორემ, ვინმე დამეხმარებოდა და დროზე დავგაშორებდა ერთმანეთს. როგორღაც მოვახერხე და მათ თავი დავაღწიე. იქიდან შინისკენ ვავიქციე, ძალიან ანერვიულებული ვიყავი და გაბრაზებულმა, ავტომატი ავიღე. მაშინვე, თამაზის სახლისკენ წავედი, მიხდოდა, ისინი ავტომატით შემემხნებინა. ამიტომაც ვისროლე, ეზოში რომ



შევედი. არავის მოკვლის განზრახვა არ მქონია, სახლის კედელს ვესროდი და არა კარსა და ფანჯრებს...”

პროკურორი განსასჯელის ჩვენებას არ იზიარებს. სამართალდამცავთა პოზიციით, დასაშინებლად ჰაერის ან კედლის მიმართულებით ნასროლი ტყვია, ზაზა ნაჭყებიას კისერში არ მოხვდებოდა. ბრალდების აზრით, ბონდო ნაჭყებია იარაღს თამაზ ნაჭყებიასა და მისი ოჯახის წევრებს განზრახ უშიშნებდა და რამდენიმე ადამიანის ერთბაშად მოკვლას არ ერიდებოდა.

პროკურატურა განსასჯელს, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი, განზრახ მკვლელობის გარდა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექმნა-შენახვასა და ტარებაში ადანაშაულებს. ამ ნაწილში ბონდო ნაჭყებია თავს დამნაშავედ ცნობს და აღნიშნავს, რომ ავტომატი მან 2001 წლის სექტემბერში, უცნობი მამაკაცისგან შეიძინა. „საქონელს მივერეკებოდი და მაშინ შემხვდა ის კაცი. ერთ ძროხაში გაუცვალე. ტყეში ვმუშაობდი, მწყემსი ვიყავი და ამიტომაც ვიფიქრე, რომ იარაღი დამჭირდებოდა“, – დასძენს განსასჯელი. სამართალდამცავთა ცნობით, მან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდითა და 45 საბრძოლო ვაზნით შეიძინა. ბონდო ნაჭ-

ყებია რევოლვერისა და ასაფეთქებელი ნივთიერების – ხელყუმბარის ტარებას უარყოფს. თუმცა, დაზარალებულის თქმით, არსებობენ მოწმეები – კერძოდ, მეზობლად მცხოვრები ღუნინ ნაჭყებია და მისი მეუღლე, რომლებიც ამბობენ, რომ შემთხვევის შემდეგ მათთან მისულმა ბონდო ნაჭყებია მათთან ავტომატთან ერთად, რევოლვერი და ხელყუმბარაც დააწყო.

სასამართლო სხდომაზე ამჟამად, მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს. ჩადენილი მკვლელობისთვის ბონდო ნაჭყებია 10-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. სასამართლო განაჩენს მას, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში გამოუტანს.

რაც შეეხება მეორე დანაშაულს – მარტვილის რაიონში, ე.წ. აჭვის მთის ტერიტორიაზე მომხდარ მკვლელობას, ის 2001 წლის 14 ივნისს მოხდა. ურთიერთშელაპარაკება ამ შემთხვევაშიც მოგვარებს – ნაჭყებიებს მოუხდათ ერთმანეთში. 27 წლის მალხაზ ნაჭყებია თავისივე მეზობელი გოგიტა ნაჭყებია დასაკეცი დანით მოკლა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მან დანა ჯიბიდან ამოიღო და გოგიტას რამდენჯერმე ჩაარტყა სხეულში. სწორედ ამის გამო, პროკურატურა მალხაზ ნაჭ-

ყებიას განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში სდებს ბრალს. თუმცა, თავად ბრალდებული ამას უარყოფს და ირწმუნება, რომ ჩხუბისას ის მხოლოდ თავს იცავდა.

**მალხაზ ნაჭყებია** (წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):

„2001 წლის 14 ივნისს, მარტვილის რაიონის სოფელ კურზუს ტერიტორიაზე, აჭვის მთაზე ვიმყოფებოდი. ჩემთან ერთად იყო გოგიტა ნაჭყებიაც, რადგან იქ ორივეს ცალ-ცალკე, სასიმინდე ყანა გვაქვს და ტრაქტორისტებს ვამუშავებდით. მუშაობის შემდეგ, მეზობლის, ყორუი ნაჭყებიას კარავში შევედი და ტრაქტორისტებთან ერთად ღვინო დავლიეთ. ამ დროს, გოგიტა რატომღაც გაბრაზდა და გინება დამიწყო. ერთმანეთს შეველაპარაკეთ. შემდეგ ჩხუბი დავიწყეთ, რა დროსაც გოგიტამ ქვა აიღო და სახეში ჩამარტყა. ამის გამო, მე მას ხელით შევეხე. გოგიტა წაიქცა, ხოლო მე ზედ დავეცი. გოგიტამ კვლავ ჩამარტყა ქვა სახეში და ჩემი გინება განაგრძო. გამახსენდა, რომ ჯიბეში დასაკეცი დანა მქონდა, ამოვიღე და მოვიქნე. სად ჩავარტყი ან რამდენჯერ, არ მახსოვს... როცა შინ მივედი, ტანსაცმელზე დავიხედე და მაშინ ვნახე, რომ მთლად სისხლში ვიყავი მოსვრილი...“

### საზღვრის დასვინს დეპარტამენტის თანამშრომელს ნარკოტიკები აღმოუჩინეს

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეს, ჯანდარის სასაზღვრო საგუშაგოს ზემდეგს – 36 წლის შმაგი ხახუტაშვილს, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა. ამის გამო ის რუსთავის პოლიციის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს.

როგორც ამბობენ, ჩხრეკისას შმაგი ხახუტაშვილს 11,63 გ ჰერონი, 1,15 გ მარიხუანა და 1,2 გ მეტადონი უპოვეს. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას მთავარი სამხედრო პროკურატურა აწარმოებს.

### ძმა დაჭრა და მიიპალა...

2003 წლის 27 იანვარს, ქალაქ გორში მცხოვრებმა ომარ მამისაშვილმა დანით მძიმედ დაჭრა ღვიძლი ძმა. დაჭრილი, გიორგი მამისაშვილი მაშინვე საავად-

მყოფოში მიიყვანეს. როგორც ექიმებმა აღნიშნეს, მისი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა.

გიორგი მამისაშვილი მხოლოდ 14 წლისაა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ძმაზე რამდენიმე წლით უფროს ომარსა და გიორგის შორის შელაპარაკება მოხდა, რა დროსაც ომარმა დანა გამოიყენა. ომარ მამისაშვილი ამჟამად იმალება. გამოძიებას გორის რაიონის პროკურატურა აწარმოებს.

### დააკავეს ქუთაისელი. კრიმინალი ქებაი

ქუთაისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა არაერთ ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი ძმები – გრიგოლ და ვეფხია ჯიქიები დააკავეს. წინასწარი ინფორმაციით, ნიღბებაფარებულმა ძმებმა ბოლოს, ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევში ჩაიდინეს ყაჩაღობა.

ჩხრეკისას, მათი საცხოვრებელი ბინიდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდით და 60 საბრძოლო ვაზნით, სანადირო დანა, საფანტის პისტოლეთი და ნიღბები ამოიღეს. გამოძიებას ქუთაისის პროკურატურა აწარმოებს.

# ქალაქის პროკურორის მკვლელობას უზენაესი სასამართლო განიხილავს

თბილისის პროკურორის — მიხეილ ქურდაძის ათი წლის წინ მომხდარი, გახმაურებული მკვლელობის განხილვა უზენაესმა სასამართლომ დაიწყო. განსასჯელი, 34 წლის კობა გურგენიძე გახლავთ. 1993 წლის 10 მარტს მომხდარი მკვლელობა 2001 წელს გაიხსნა. 150-მდე ეჭვმიტანილის დაკითხვის შემდეგ, როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, პროკურორის მკვლელს მიაგნეს, თუმცა, წლების მანძილზე მიმდინარე გამოძიების მიუხედავად, ჩადენილი დანაშაულის გარემოებები დღემდე ბუნდოვანია. ბურუსითაა მოცული მკვლელობის მოტივიც და ამასთანავე, თავად მკვლელის ვინაობაც, რადგან სასამართლო პროცესზე საქმის მასალებში ბრალდების საწინააღმდეგო ბევრი საკითხი ღიადაა დაჩრენილი.

## მეზო სანაპი

მკვლელობაში ბრალდებული, კობა გურგენიძე, დაკავების დღიდან, დუმილის უფლებას იყენებს. ის სამხედრო პოლიციაში მსახურობდა, ვინმე ვინა გოდერძიშვილთან ერთად. ცნობილია, რომ გოდერძიშვილი და გურგენიძე სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ერთად იბრძოდნენ, შემდეგაც მეგობრობდნენ. გოდერძიშვილს გურგენიძე სამსახურის შემდეგ, სალამოებით, საკუთარი ავტომანქანით შინ, ლილოს დასახლებაში მიჰყავდა ხოლმე. 1993 წელს, ერთ სალამოს, ლილოსკენ მიმავალთ, აეროპორტის ტერიტორიაზე ავტოავარია მოუხდათ. ისინი პოლიციელთა მანქანას შეეჯახნენ. ავტოავარიის შედეგად, საჭესთან მჯდომი ვინა გოდერძიშვილი დაიღუპა. რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ 2001 წელს, პროკურორ ქურდაძის მკვლელობაში კობა გურგენიძე სწორედ, აწ გარდაცვლილი ვინა გოდერძიშვილის დამ — ლალი გოდერძიშვილია ამხილია.

საქმის მასალების მიხედვით, 1993 წლის 10 მარტს, მიხეილ ქურდაძე თავისივე საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით ჩაცხრილეს. მას 5 ტყვია მოხვდა, აქედან 2, როგორც სამართალდამცავები დასძენენ, საკონტროლოდ იყო ნასროლი. მკვლელობას მხოლოდ ერთი ადამიანი — ქურდაძის მეზობელი, სიმონ კანდელაკი შეესწრო, თუმცა, მკვლელის სახის გარჩევა ვერც მან შეძლო. თავდაპირველ ჩვენებებში ის აღნიშნავდა, რომ დამნაშავეს მხოლოდ

თვალი მოჰკრა, როცა ეს უკანასკნელი გარბოდა. მოგვიანებით კი, მომხდარი ფაქტიდან ორი წლის შემდეგ, განმეორებითი დაკითხვისას განაცხადა, რომ მკვლელს ზოლიანი ქუდი ეხურა და ტყავის ქურთუკი ეცვა. თუ რატომ არ დააფიქსირა მან ეს დეტალი ადრინდელ ჩვენებებში, სამართალდამცავებს ჯერჯერობით არ გაურკვევიათ. კანდელაკის ჩვენებების საფუძველზე, გამოძიების პერიოდში, დამნაშავეის ფოტორობოტი შექმნეს. წინა სასამართლო სხდომაზე, პროცესის მონაწილეებს და დარბაზში მსხდომთ ეს ფოტორობოტი წარუდგინეს. ის მკვეთრად განსხვავდება განსასჯელის — გურგენიძის გარეგნობისგან.

### ალექსანდრა პოჩიავშილი,

განსასჯელის ადვოკატი:  
„ინფორმატორი — ლალი გოდერძიშვილი, რომელმაც შს სამინისტროს, კობა გურგენიძის შესახებ განუცხადა, ფსიქიკურად დაავადებული ვახლავთ. 1983 წლიდან, ის შიზოფრენიით დაავადდა, 1991 წლიდან, ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის კვლევით ინსტიტუტში მის ავადმყოფობასთან დაკავშირებით ამბულატორიული ბარათები გახსნილი. ეს ბარათები რეალურად არსებობს და მასში დაწვრილებით, დეტალურადაა დაფიქსირებული, როგორც დაავადების განვითარების ეტაპები, ასევე ისიც, თუ რამდენად სერიოზული ავადმყოფი ვახლავთ ის.

აღსანიშნავია, რომ მის მიერ გურგენიძის დასახლებიდან წელიწად-ნახევარში, ლალი გოდერძიშვილი გარდაიცვალა. როგორც ექიმებმა დააფიქსირეს, ამის მიზეზი, ათვისებებიანი სიმსივნე იყო. ვარდა ამისა, შიზოფრენიით დაავადებამდე, როგორც ეს კლინიკაში შედგენილ დოკუმენტებში წერია, გოდერძიშვილმა მეტიმეტად ტრავიკული, სტრესული მომენტები გადაიტანა: ძმის მშობიარობა, მუღლესთან განქორწინება, ძმის დაღუპვის ფაქტი (სხვათა შორის, ეს მოხდა ქურდაძის მკვლელობიდან ორი კვირის შემდეგ), დაავადდა საშვილოსნოს ყელის კბოთი. ექიმი-ფსიქიატრები დასძენენ, რომ ყველაფერმა ამან გოდერძიშვილის ნერვები წონასწორობიდან გამოიყვანა და მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა. არსებობს გოდერძიშვილის ჩანაწერები, სადაც ის აღნიშნავს, რომ აქვს მოჩვენებები, ესმის უცნაური ხმები და ა.შ. აქედან გამომდინარე, ყოველად დაუსვენებელი იყო, რომ პროკურატურას გაეზიარებინა იმ ადამიანის ჩვენება, რომელსაც შიზოფრენია და პალუცინაციები სჭირდა. უფრო მეტიც — იგი გამოძიების მიერ საქმეში ძალითაა ჩართული. მას ათქმევინეს ის, რაც სურდათ. სასამართლომ ამ ქალის ჩვენებები არაკითარ შემთხვევაში არ უნდა გაიზიაროს“.

ლალი გოდერძიშვილის ჩვენებით, მან ერთ სალამოს გაიგონა, როგორ უთხრა კობა გურგენიძემ მის ძმას — ვინა გოდერძიშვილს, რომ ქალაქის პროკურორის მკვლელობაში ვიღაცებმა მას 10.000 დოლარი გადაუხადეს. ლალი გოდერძიშვილის თქმით, გურგენიძე ვინა გოდერძიშვილს ეუბნებოდა: მე იმიტომ ამირჩიეს, რომ კარგად ვისვრი; თუ უარს ვეტყვოდი, ამის გაკეთებას შენ დაგვაულებდნენო.

სასამართლო სხდომაზე ამჟამად, განსასჯელის დაცვის მხარის მტკიცებულებებს იძიებენ.



სასამართლო კოლეგია, თავმჯდომარე ჯემალ ლეონიძე

გიორგი შარაძე  
(მარცხნიდან მეორე)  
ექსპოზიციის გახსნისას



# სამხილი პოეზიის უსოკანო ჩაიხუნას

## ლიტერატურის და ისტორიის სახეობის

რამდენიმე დღის წინ, საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიხსნა მუდმივმოქმედი ექსპოზიცია „1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი საგარეო ურთიერთობები“. ამ გამოფენის ერთ-ერთი ავტორი, დიპლომატი და ტელერეჟისორი ბიორბი შარაძეა. მან უკანასკნელი წლების განმავლობაში მოინახულა არაერთი ქვეყანა და საქართველოში ერის ისტორიული წარსულის უნიკალური დოკუმენტები ჩამოიტანა, რომელთა მცირე ნაწილი, საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიფინა. თუმცა, გიორგი შარაძეს ფართო საზოგადოება იცნობს, როგორც კლიპმეიკერსა და ტელეკომპანია „იბერვიზის“ ერთ-ერთ დამაარსებელს. „იბერვიზის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელად მისი მუშაობა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა. ომის დაწყების დღეს იგი განსაკუთრებული ემოციით იხსნებს.

### ხათუნა მაღრაძე

— აფხაზეთის ომი სულ რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როცა მე, დავით კვიციანიძე და დავით გაჩეჩილაძე, სოხუმში, „ობკომის“ (კომპარტიის საოლქო კომიტეტი. — ავტ.) შენობაში ვისხედით და ვლადისლავ არძინბასთან აუდიენციას ველოდებოდით. მასთან ინტერვიუ უნდა ჩავგვეწერა. ჩვენ ომის დაწყების თაობაზე არაფერი ვიცოდით, ამიტომ შეხვედრა 45 წუთით რომ გადაიდო, ცოტა არ იყოს გაგვიკვირდა, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა — უნდა დავლოდებოდით. უეცრად ფოიეში აფხაზი დეპუტატი შემოვარდა და რაღაც დაიყვირა აფხაზურად. მე ვიკითხე: რა მოხდა-მეთქი? ახალი ამბის მომტანი მომბრუნდა და მიყვირა: „მოშორდით აქედან, ოკუპანტებო!“ მივხვდი, რაშიც იყო საქმე, შენობა დავტოვეთ და ექვსი საათის განმავლობაში ვცდილობდით დოკუმენტური კადრების გადაღებასა და ოპერატიული მასალის მომზადებას. როგორც ჩანს, აფხაზებმა მოგვიანებით შეგვნიშნეს. უცებ, ჩვენი მეგზურ-

ის — დამეი ტარბას მზერას გავაყოლე თვალი. ვხედავ — ჩვენ წინ დგას მებრძოლი, ავტომატმომარჯვებული და თვალებით გვებურღავს. ცოტა ხანს ასე გვიყურა, როგორც ჩანს, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. შემდეგ ავტომატი დაუშვა და გვითხრა: „თქვენს ხელისუფლებას გადაეცით, რომ დამპყრობლები არიან“. მასთან კამათს რა აზრი ჰქონდა, ამიტომ არაფერი გვიპასუხია, მხოლოდ რამდენიმე კადრის გადაღება შევძელით, მოსკოვის სამხედრო ოლქის დასასვენებელ სახლთან მდებარე პატარა მდინარეზე გავედით და ნავით გადაგვკეთეთ ე.წ. ფრონტის ხაზი.

— მძევლად აყვანის მცდელობა არ ყოფილა?

— ჩვენზე კარგ მძევლებს იმ პერიოდში ვერ ინატრებდა კაცი, მაგრამ ძალიან დაბნეულები იყვნენ. მხოლოდ ორი ერთეული მძიმე სამხედრო ტექნიკა ჰქონდათ და არაორგანიზებულად მოქმედებდნენ.


როგორც ჩანს, აფხაზებმა მოგვიანებით შეგვნიშნეს

— ამის შემდეგ, კვლავ ჩადიოდით აფხაზეთში?

— სწორად, მაგრამ არა როგორც მებრძოლი, არამედ როგორც ჟურნალისტი, კამერით ხელში. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში სრული ინფორმაციული ვაკუუმი იყო. ჩვენ ვცდილობდით, როგორმე მოგვეპოვებინა ნებისმიერი ოპერატიული მასალა. ეს ძალიან რთული სამუშაო იყო, ამიტომ შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებდით.

— თქვენ „იბერვიზის“ ერთ-ერთი დამაარსებელი იყავით. დღეს მისი ძირითადი ბირთვი სხვა ტელეკომპანიაში საქმიანობს. თავი დაანებეთ ტელეჟურნალისტიკას?

— მინდა გითხრათ, რომ ამ ტელეკომპანიის ფინანსურ დამაარსებლად არ ვითვლებოდი, თუმცა, როცა იქ მივედი, კამერაც კი არ იყო მასალის მოსამზადებლად, ამიტომ მე, საკუთარი კამერით ვმუშაობდი. ასე რომ, მხოლოდ იდეური დამაარსებელი შეიძლება მეწოდოს. მოგვიანებით, როცა „იბერვიზია“ დაიშალა, „პირველ არხზე“ გადავედი სამუშაოდ და 24 წლის ასაკში, დავინიშნე ერთ-ერთი ყველაზე დიდი რედაქციის მთავარ რედაქტორად. მაგრამ დიდხანს ვერ შევძელი იქ გაჩერება, რადგან ჩემი ასაკის გამო, გამუდმებით პრობლემებს ვაწყდებოდი. ახლა „პირველ არხზე“ ახალგაზრდები ჭარბობენ, ჩემს დროს კი ეს ტენდენცია არ იყო. სტერეოტიპების ნგრევისა და ახლებური აზროვნების დასაწერად, გარკვეულ წინააღმდეგობებს ვაწყდებოდი, ამიტომ მუშაობა გამიჭირდა. მოგვიანებით, სტუდია „აუდიენციაში“ გადავედი, სადაც თითქმის ხუთი წელი ვმუშაობდი მთავარ რეჟისორად. 1999 წლის მარტში კი, შვეიცარიაში გავემზავრე, უჩვენავი გაეროს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისა და შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩოს ატაშედ. ამიტომ, ტელევიზიასაც ჩამოვ-





„მანას“ ფესტივალზე (დაჯილდოებისას)

შორდი, თუქცა - არა საბოლოოდ.

— როგორც დიპლომატი, ფინანსურად ალბათ უფრო უზრუნველყოფილი იყავით, ვიდრე ტელევიზიაში, არა?

— არა, იმდროინდელი საქართველოს ფინანსური მდგომარეობა, არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მაღალანაზღაურებადი დიპლომატი ვყოფილიყავი ისეთი მაღალი ფასების ქვეყანაში, როგორცაა შვეიცარიის კონფედერაცია.

— მერე, როგორ ირჩენდით თავს?

— ვაკეში ბინა მაქვს და ის გავაქირავე თბილისში მყოფ ავსტრალიელეზზე, რომლებიც საკმარის თანხას იხდიდნენ. მართალია, ყველაფერში არ მყოფნიდა, მაგრამ თავის გატანას ვახერხებდი.

— რამდენადაც ვიცო, შვეიცარიაში მხოლოდ დიპლომატიური მოღვაწეობით არ იყავით დაკავებული.

— ციურიხის ბიბლიოთეკაში ბევრი საინტერესო რამ აღმოჩნდა: გრიგოლ რობაქიძის 60 უცნობი წერილი, გერმანულ ენაზე შვეიცარიელი ფილოსოფოსის რობერტ კორტის მიმართ დაწერილი. გარდა ამისა, ციურიხში მცხოვრები ცნობილი შვეიცარიელი ქართველოლოგის, ქალბატონ ლეა ფლურის კერძო არქივში მივაკვლიე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-21 წწ.) სახელმწიფოებრიობის პირველხარისხოვან დოკუმენტებს. ესენი ვახლავთ: საქართველოს სახელმწიფო გერბი; საქართველოს მთავრობის შტანდარტი იოსებ შარლემანის ავტორობით; საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1921 წლის 21 თებერვალს - დამოწმებული დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის წევრთა ავტოგრაფებით; 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამო-

უკიდებლობის აქტის ორიგინალი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ბეჭდური ვარიანტი, ხელმეორედ დამტკიცებული 1919 წლის 12 მარტს. ეს ხუთი ორიგინალი, რომელიც არც ჰარვარდის და არც ლევილის სამთავრობო არქივის ნაწილში არ იყო და დაკარგულად ითვლებო-

და, ქალბატონ ლეა ფლურთან აღმოჩნდა და მისი ხელშეწყობით ჩამოვიტანე საქართველოში. დღეს ისინი პარლამენტში, მის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაშია გამოფენილი.

— შვეიცარიაში გამგზავრებამდე თქვენ უკვე გყავდათ მეუღლე, რომელიც ახლა უწევთ შვილებს ცხოვრობს. მის შესახებ ხომ ვერ მოგვიყვებოდით რაიმეს?

— როცა ჩემი მომავალი მეუღლე, თათა ჩხეიძე გავიცანი, ჯერ კიდევ „იბერვიზიაში“ ვმუშაობდი. პროგრამების რედაქციამ, კონკურსი გამოაცხადა დიქტორების მისაღებად. თათაც, თავის ჯგუფელებთან ერთად, ამ კონკურსში მონაწილეობისთვის მოვიდა. მე ამ დროს ჩემს ოთახში ვიჯექი და ვმუშაობდი. უცებ კარი გაიღო და მშვენიერი გოგონა შემოვიდა. ვინაიდან ეს კონკურსი მე სრულიად არ მეხებოდა, სხვები საჭირო მისამართზე გავუშვი, თათას კი ვუთხარი - აქ დარჩით, უნდა გავესაუბროთ-მეთქი. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ერთმანეთს ვხვდებოდით, ერთი წლის შემდეგ კი, როცა ჩემი უღროოდ დალუპული მეგობრის, ნიკა ნიკოლაძის დაბადების დღიდან ვბრუნდებოდი, შევთავაზე დაქორწინება, ისიც დამთანხმდა და შევუღლდით. მამაჩემი იმ დროს ავსტრიიდან ბრუნდებოდა და ეს ამბავი საიდანაც თვითმფრინავში შეიტყო.

— როგორ იყო რძლისა და მამამთილის შე-

ხვედრა?

— ძალიან თბილი, შემდეგაც, ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ შორის გაჩნდა მოუგვარებელი პრობლემები, თითქოს ვერ გავუგეთ ერთმანეთს. სამწუხაროდ, თათამ, როგორც მოულოდნელად შემოაღო ჩემი ცხოვრების კარი, ისე მოულოდნელად გაიხურა და ჩვენ დავშორდით, მაგრამ მე დღესაც დიდ პატივს ვცემ მას, როგორც ჩემი შვილის დედას.

— თქვენი შვილი დედასთან ცხოვრობს?

— კი, ნიკა უწევს, მაგრამ ჩამოდის ხოლმე. იგი 9 წლისაა და უკვე სამ ენას ფლობს. მე და ნიკას ყოველთვის განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა გვქონდა, ვგაქვს და გვექნება. იგი ძალზედ ყურადღებიანი, ცნობისმოყვარე, კარგი სპორტული მონაცემების მქონე ბავშვია და ვიმედოვნებ, რომ ასეც გააგრძელებს.

— გიორგი, რადგან ოჯახზე დავინწყეთ საუბარი, ბატონ გურამზეც მინდა გკითხოთ. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა საკმაოდ ხმაურთანაა. ოჯახი როგორ ხვდება ხოლმე მის ამა თუ იმ წამოწყებას?

— მე არანაირად არ ვერევი მის საქმიანობაში. ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემ გვერდით ადამიანი მჯდარა და ერთი საათის განმავლობაში ულამძისა მამაჩემი. მე მშვიდად მისმენია მისი „კრიტიკისთვის“ დიდი ხნის განმავლობაში და გამომშვიდობებისას მითქვამს: კარგად ბრძანდებოდეთ, მე გიორგი შარაძე - გურამ შარაძის შვილი ვახლავართ-მეთქი... ნეტავ, განახათ ამ ადამიანების სახეები! ვერანაირი შეპასუხება მსგავს შედეგს ვერ

## ჯეონეტი GEONET

- ◆ ნახანაბ სუბსონი
  - მოსახსრება ინტარნეტ ბარათებით - 10/20 ლარი
  - ინტარნეტი პაროლის და დამოუკიდებლად ბარათზე - 771 772
  - ბაზოყოფილი ხაზები (Leased Lines)
- ◆ ვაბ ჰოსტინგი
- ◆ სუბსონების ბანონაზება
- ◆ სისუბსონი ინტარნეტი
- ◆ მოსახსრება საბანეოფონო ბანათებით - 10/20 ლარი
  - აბ, კანადა, რუსეთი - 0.43 ლარი

საქართველოს  
მედიკონი  
ბიბლიოთეკა



ახლა ნიკა (ფოტოზე - პარიზში) ენევეაშია, მაგრამ ჩამოდის ხოლმე

გამოიღებდა. ასე რომ, გურამ შარაძის შვილობა, რამდენადაც კარგია, იმდენად ხანდახან დისკომფორტსაც მიქმნის, მაგრამ მას თავისი ცხოვრების გზა აქვს არჩეული და მე არანაირი უფლება არა მაქვს, ჩავერიო, თუშცა, მის გამოსვლებსა და ინიციატივებში დიდად მიუღებელს ხშირ შემთხვევაში, ვერაფერს ვხედავ.

**— თქვენ თვითონ პოლიტიკოსობაზე არ გიფიქრიათ?**

— ბევრჯერ შემძლო ამ გზაზე დადგომა, მაგრამ დიპლომატიური მოღვაწეობა და შემოქმედებითი მუშაობა უფრო მიზიდავს. ბავშვობიდანვე არ მიყვარდა არანაირი გაერთიანებები. პიონერთა რიგებში მიღების წინა დღეს, ძალიან მძიმე ტრავმა მივიღე და პიონერიც კი ვერ გავხდი. კომკავშირშიც სკოლის დამთავრებამდე სამი დღით ადრე გავწვევრდი. სულ ეს იყო მთელი ჩემი „პოლიტიკური მოღვაწეობა“ და არა მგონია, რომ მომავალშიც რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი გავხდე.

**— თქვენ ბევრი კლიპის ავტორი ხართ, მათ შორის არის ცნობილი მუსიკალური კლიპებიც. ბოლო წლებში რატომ არ გადაიღეთ რაიმე ახალი?**

— იმ პერიოდში, როცა მე კლიპებზე ვმუშაობდი, საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობდა შოუბიზნესი. არ იწყებოდა ამდენი სიმღერა, ამდენი კომპოზიცია. მუსიკალური რადიოც, სულ ერთიორი ფუნქციონირებდა. შესაბამისად, არ იყო შეკვეთები და ანაზღაურება. მიშველ



თათამ, როგორც მოულოდნელად შემოაღო ჩემი ცხოვრების კარი, ისე მოულოდნელად გაიხურა

ენთუზიაზმზე მუშაობა ვეღარ შევძელი.

**— არ აპირებთ, დაუბრუნდეთ კლიპმეიკერობას?**


— სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა. შემოქმედებით შიშშილს განვიციდი, რაც ამ საქმიანობას ჩამოვშორდი. როცა ახალ ნამუშევრებს ვუყურებ, ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ შემიძლია, სერიოზული კონკურენციის გაწევა. ჩემი კლიპები და სხვა ნამუშევრები 3 წლის განმავლობაში ტელეფესტივალ „მანას“ 25-მდე ნომინაციაზე იყო წარდგენილი. ერთ-ერთი, კინოფესტივალის — „ოქროს არწივის“ ამავე სახელწოდების კლიპი (ქუდი, საცნობი) „მანაზე“ აღინიშნა პრიზით — „საუკეთესო სარეკლამო რგოლი“. უკრაინის ერთ-ერთ ფესტივალზე კი, მაღაზიათა ქსელის — „ალბატროსის“ რეკლამისთვის მერგო პრიზი „საუკეთესო რეჟისორული გადაწყვეტისათვის“. ეს წარმატებები ერთგვარად სტიმულს მაძლევს, რომ თავისუფალ დროს, კვლავ დავუბრუნდე ამ საქმიანობას.

**— ბოლო დროს საოცრად მომრავლდა ქართული კლიპები. თქვენი აზრით, რამდენად ხარისხიანია მხატვრული თვალსაზრისით ეს ნამუშევრები?**

— თავად ის ფაქტი, რომ ამ მიმართულებით რაღაც კეთდება, უკვე დადებით შეფასებას იმსახურებს, მაგრამ ყველა მათგანი ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს საშუალო დონის მოთხოვნებსაც კი. პერსონიფიცირებას ნუ მოვახდენთ, რადგან მხოლოდ რამდენიმე რეჟისორია, რომელიც ნორმალურად მუშაობს, დიდი ნაწილი კი, არაპროფესიონალიზმის გამო, მხოლოდ თითებს აწკაპუნებს სამონტაჟო პულტის კლავიშებზე. იმედი მაქვს, რომ ისინიც ისწავლიან და კიდევ უფრო წინ წავა შოუბიზნესი საქართველოში. როცა მე და ჩემი მეგობარი ლევან კოლუაშვილი „ანო და ვანო“ ვიღებდით, მაშინ მუსიკალური კლიპის ცნების არსიც კი არ იცოდა ბევრმა. ამიტომ ახლა რასაც ვუყურებ, ეს უკვე შედეგია.

**— როგორ ფიქრობთ — აუცილებელია თუ არა კლიპისათვის შინაარსი, რაღაც ფაბულა?**

— გააჩნია მუსიკას და სიმღერის სტილს: თუ პოპია, შეიძლება მომღერლისა და მოცეკვავეების მანიპულირებით შეავსო 3 თუ 4 წუთი, მაგრამ თუ ამ სფეროში დასავლეთის მდიდარ გამოცდილებას გადავხედავთ, კლიპების უდიდეს ნაწილს აქვს შინაარსი. მეც ვფიქრობ, რომ მას პატარა ნოველის შინაარსი მაინც სჭირდება. საერთოდ, კლიპს დიდი მნიშვნელობა აქვს სიმღერის წარმატებისთვის, ამაში კი, მისი ფორმა და შინაარსი უნდა დაეხმაროს. მე მინახავს ბევრი მუსიკალური ნომერი, რომელიც საშუალოზე დაბალ დონეს ვერ სცილდება, რეჟისურის წყალობით კი, დიდი პოპულარობით სარგებლობს მსმენელში.



**ბენიალური**

**ფრანკ**

**შემოქმედებითი მიდგომა შეცდომების დაშვებას გულისხმობს, ხელოვნება კი მაშინ იწყება, როცა იცი, თუ რომელი შეცდომა არ უნდა დაგავიწყდეს.**

*ს. ადამსი*

ნანა ქიბიაური

„დავიბადე და ვცხოვრობ თბილისში. ვსწავლობდი სკოლაში, აკადემიაში, ოჯახში. მმფარველობდნენ გველემშაი და კურო... წარმოვადგენ ხანგრძლივი სელექციის შედეგს, გენების არცთუ ისე ტიპურ კომბინაციას ან რენკარნაციას – ნებით უფლისა. ინსტალირებული ვარ ძნელად კენეტადი მოდელის სახით... ერთი ჩემი წინაპარი ამბობდა: აზროვნება ჩემი პროფესიაა... ასევე – ჩემიც ალბათ. მიყვარს ძაღლები, კატები, ცხენები, საერთოდ – ცხოველები და ზოგიერთი ადამიანი... რეალობასთან დამოკიდებულება – დადებითი. რეალობასთან ურთიერთობა – ლაღობითი. აქედან – ილაღავთ ჩემთან ერთად! ვიბეჭდებოდი: „სპექტრში“, „ომეგაში“, „ახალ ეპოქაში“, „დილის გაზეთში“, „მერიდიანში“.

პერსონალური გამოფენები: Frauenkulturherbst. ჰამბურგი, 1991; საჯარო ბიბლიოთეკა, თბილისი 1997; „ორიენტი“, თბილისი, 1999.

1978 წლიდან მიღებული მაქვს მონაწილეობა ასორმოცდაათ გამოფენაში. შეგიძლიათ მიხილოთ ინტერნეტ საიტზე: www.art.ge – აი, ყველაფერი ის, რასაც მოქანდაკე და მწერალი მარინა ივანიშვილი საკუთარ თავზე ამბობს. დანარჩენი, რთიიც ის ცოცხლობს, სუნთქავს და რასაც ქმნის, თვითონ უნდა წაიკითხოთ და ნახოთ. თუძეცა, ამისთვისაც მზადყოფნაა საჭირო. მას, ვინც შეძლო თვალი გაეხსნა, სიშიშვლისთვის, გაღერება „ორიენტიდან“ გამოყოლილი მძაფრი შთაბეჭდილება დღემდე მოჰყვება. მორალისტები კი მაინც არ ისვენებენ. აი, ერთ-ერთი კომპეტენტური აზრი: „შიშველი სხეული ხელოვნებაში პორნოგრაფიაა, ის კი, ვინც მას გამოსახავს – პათოლოგიური“. მორალისტს ფსიქოლოგიც „შეეშველა“: „სიშიშველი ქართული ეროვნული ცნობიერებისათვის მიუღებელია!“ როგორია ხელოვნის რეაქცია ასეთ შეფასებებზე? „ცეცხლი ჩემკენ!“ მაწერა გამოფენის მოსაწვევს და ქალის და მამაკაცის ერთმანეთს გადაჭდობილი შიშველი სხეულები თეთრი ხელთათმანით სტყორცნა მორალისტებს. მისი რომანი – „პომოსესუსალისტი ქილერის რეუელი“, რომელიც უნა კოკტოშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნდა, საგაზეთო ქსეროქსზე გამრავლებული ფურცლების სახით ვრცელდებოდა. ამას მოჰყვა აბჯრად მარინა ხოტივარის ფსევდონიმით გამოქვეყნებული მოთხრობა – „თეთრი სივრცე ანუ ძალიან არაქართული ზღაპარი“. სამომავლოდ კი, მისი სცენარის მიხედვით ეროტიკული ფილმის გადაღებაა დაგეგ-



მახინა ივანიშვირი სიშიშველთან კიხისკიხანუ „თუ მიქაჩაე - ესე იგი, ცხოეხოხი..“

მელი. ამჟამად მარინა ივანიშვილს, როგორც ხელოვანს, „სიზარმაცის კვირეული“ აქვს გამოცხადებული და ინტერვიუზე მოუცლელობის მიზეზით უარი არ ვკვითხრა.

— ქალბატონო მარინა, მხოლოდ თქვენი შემოქმედება კი არა — სალაპარაკო ენაც კი გამომწვევი და სკანდალურია. ამას ნინათ, ტელევიზიით განაცხადეთ, რომ საქართველოში არის ფალოსის კულტი და მისი ქურუმები ქალები არიან...

— ეს ალბათ, ნანა ჯაფარიძის გადაცემაში ვთქვი. ტელევიზიაში მისულამდე, ავარიამი მოვეყვი და სიმართლე გითხრათ, კარგად არც მახსოვს, რა ვილაპარაკე. „სპრაიტის“ რეკლამისა არ იყოს, მე ვარ მე, მაქვს ჩემი აზრი და შემიძლია სრულიად შეუნიღბავად, ხმამაღლა ვთქვა. და თუ ვინმეს ამის გამო სკანდალურ პიროვნებად ვესახები — ეს მისი ნებაა. ბევრი ჭორი მსმენია ჩემს თავზე. ჭორი — ეს არის სოციალური თამაში და ზოგჯერ, ეს თამაში მე თვითონაც წამომიწყია. ჩაიდენ რაღაცას, და აძლევ ხალხს საფიქრალს და სალაპარაკოს — რა არის ამაში ცუდი? ჩემი თავის იმიჯმეიკერი მე ვარ. სხვებსაც ამას ვურჩევდი: ჭორზე არ უნდა იდარდო — ჭორზე უნდა იკაიფო და არასოდეს მოიწყენ.

— მართლა არაფერს ნიშნავს თქვენთვის, რას ფიქრობენ თქვენზე სხვები? ბეჭრ კრიტიკოსს მიაჩნია, რომ თქვენი შემოქმედება ქართული მენტალიტეტის ჩარჩოს სცილდება...

— ქართული მენტალიტეტი?! ზოგისთვის ეს ცინესიმაგრა, მაგრამ თუ,

როგორც პიროვნება, თავისუფალი ხარ, შეიძლება დადგეს დრო და ეს ცინესიმაგრა ცინედ იქცეს, მხოლოდ ცინედ. რაც გინდება, ყველაფერი არ შეიძლება, მაგრამ მინდა კი ის, რაც მართლა არ შეიძლება? ალბათ არა! მხოლოდ ერთი პრინციპი მაქვს ცხოვრებაში — სხვას არ ვავნო. ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი. მაგრამ „ჩემს დაუკრეფავშიც“ ნურავინ გადმოვა. ახლა, ერთი ანეკდოტი გამახსენდა: კაცი მივიდა პოლიციაში — ჩემს მეზობლად უმსგავსობა ზდება და მომხდელით. ჯერ ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ ყოველდღე რომ მიდიოდა და ჩიოდა, შეწუხდნენ და შინ გაჰყვინენ. აი, ნახეთ, რა დღეში ვარ, რა უმსგავსობა ზდება ჩემს მეზობლად... მიადგა მაგიდა კედელს, დადგა მასზე სკამი, მერე მორე სკამი, აძვრა ზედ, გადასწია კედელზე დაკიდული ნახატი, გაიხედა ჭურჭრუტანაში და იყვირა: აი, ცოლ-ქმრის საწოლი პირდაპირ დგას და ისევ ერთმანეთს ეფერებანო!.. რა გინდა, ყველა ერთნაირად ზომ არ იცხოვრებს. გაუშვი, ზოგმა ისე იცხოვროს, როგორც ეცხოვრება...

— ჭურჭრუტანიდან თვალთვალს ალბათ ის ადამიანები ვერ ასცდებიან, ვისაც ჩვენ „არაორდინარულს“, „უცნაურს“, ან „თავისებურს“ ვუწოდებთ... ისე, თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ...

— კიდევ კარგი, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ. ბევრი მათგანი, ვინც გარემოსთან გაუცხოებულია, მართლაც პატივისცემას იმსახურებს. მე მესმის მათი. შეიძლება იმიტომ, რომ ერთ-ერთი მათგანი ვარ. ყველაფრის ფასს რომ გაიგებ, მერე

ინფორმაციული-შეხვედრითი კონკრეტი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. პირუტყვით მოვაჭრეს ჩიღარი ჰქვია.
2. პუშკინი დროს „ლიხთი ამშხის“ ეძახდა.
3. პო მდინარეა იტალიაში, ლო – საფრანგეთში.
4. ყაირი ცხენის ან ხარის დასაჭვდი ლურსმანია.
5. „ზოდიაქო“ ბერძნული სიტყვაა და ცხოველის ნიშნავს.



6. გუსტავ ეიფელი თავისუფლების ქანდაკების შიდაკარკასის ავტორია.
7. ამერიკული ქაბლეონი საკუთარ გამოცვლილ კანს თვითონვე მიირთმევს.
8. ხარისხის გასაუმჯობესებლად ფაიფურის მასალას ორი წელიწადის განმავლობაში აძველებენ.
9. არისტოტელე სილამხეს ღმერთის საჩუქრად მიიჩნევდა, თეოფრასტე – უსიტყვო მოტყუებდა.
10. ზუნა დე იბარბურე ურუგვაიელი პოეტი ქალია, შიპიონე მავრი – იტალიელი, ანა მარია მატუტე – ესპანელი.
11. ავსტრიელი კომპოზიტორი ფრანც შუბერტი ბავშვობაში სამეფო კარის კაპელაში მღეროდა.
12. ალბატროსის გაშლილი ფრთების სიგრძე სამ მეტრს აღწევს. ეს ფრინველი ისეთ მანძილებს ფარავს ფრინოსას, რომლის დაფარვაც არც ერთ სხვა ფრინველს არ შეუძლია.
13. კრდი კრივეტების ერთ-ერთი ნაირსახეობაა. ეს არსება ყველაზე მრავალრიცხოვანია დედამიწაზე. მათი საერთო მასა ადამიანების საერთო მასაზე მეტია.
14. სამხრეთ-აღმოსავლეთი ალასკის სანაპიროსა და მიმდებარე კუნძულებზე მცხოვრებ ინდიელებს, ტლინკიტები ერქვათ.
15. გეოგრაფიულ აღმოჩენებში საკმაოდ დიდი წვლილი სახელგანთქმულ მეკობრეს, ფრენსის დრეიკს აქვს შეტანილი. იგი უამრავი კუნძულის აღმოჩენია.
16. სერგი გვარჯაღაძის პოპულარობაში დანამდვილებით რაჭაში, შორის ტბაზე თევზაობისას დაწვწუნდი, როდესაც რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მოთევზავე ტყიბულელები ყოველი თევზის წყლიდან ამოყვანისას გაჰყვიროდნენ: „არის კონტაქტი!“
17. სასახლეში, რომელიც ლუდოვიკო XIV ინგლის ვეტერან ჯარისკაცთათვის ააშენა, დღეს იარაღისა და არტილერიის მუზეუმი გახსნილი. P.S. ამავე სასახლის ეზოშია ნაპოლეონის საფლავიც.
18. ხარიტეკია პატარა ჩიტია, რომელიც ცხოველების ბეწვში ჩამჯდარი ტკიპებით იკვებება. ჟირავისა და გარეული კამჩის სხეულ-

სამყარო უფასურდება. რაც უფრო მეტად ვერკვევი ფასებში, მით უფრო მეტად მინდა აქედან „დავახვიო“. ვინც თამამის პირობები იცის, ის ყოველთვის გადის თამამიდან. ვერძნობ, ჩემი ბოლოც ეს იქნება. მეგონა, სამყაროს შეცვლა შეიძლებოდა. საშინელი შეგრძნებაა, როცა უნდა აღიარო, რომ არის კედელი, რომელსაც ვერ გაარღვევ. მერე, ან დამკვირვებლის სტატუსი უნდა მიანიჭო თავს და შეეგუო სხვების შემოუბრობას, ან აქედან „დაახვიო“. ბოლოს კი, ჩნდება კითხვა: არის კი საჭირო კედლის გარღვევა? იქნებ ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს?..

— მარინა ივანოვილი, როგორც მწერალი — ამის შესახებ რას გვეტყვი?

— ჩემს თავს მწერალს ვერ ვუწოდებ. ის, ვინც მხოლოდ საკუთარი თავისთვის წერს, მწერალი არ არის. თუმცა, არ დაგიმალავთ და როცა ჩემი რომანი — „ჰომოსექსუალისტი ქალერის რვეული“ გამოქვეყნდა, მართლაც დამინტერესა მკითხველის რეაქციამ. რამდენიმე პროფესია მაქვს: მოქანდაკის გარდა, ვარ ხატმწერი, გრაფიკოსი, ვებტერინარი და ბიოინერგეტიკოსი. ყველგან მოვსინჯე თავი და მათ შორის, მწერლობაშიც. რაც მთავარია, რასაც ვაკეთებ, ის არ არის დამტამულები შემოქმედება. ამას ვერძნობდი მაშინ, როდესაც მესმოდა, როგორ ჩურჩულით კითხულობდნენ რომანის თუნდაც სახელწოდებას, ვერძნობდი მაშინ, როდესაც გამოფენაზე მოსული დამთვალეირებელი მორცხვად აპარებდა თვალს შიშველი სხეულისკენ.

— თქვენ ამბობთ, რომ სიშიშველი სილამაზეა და არა სირცხვილი, არა?

— ადამიანი ჯერ საკუთარ სიშიშვე-

ლეს უნდა შეეგუოს თურმე. ერთხელ მაინც უნდა აღმოჩნდე სიშიშველესთან პირისპირ და საკუთარ სხეულს თვალი გაუსწორო, მერე ყველაფერს ეჩვევი, ემოციები „ირეცხება“ და უფრო ობიექტური ხდები საკუთარი თავისა თუ სხვისი შემოქმედების შეფასებისას. მე ხატვა დავიწყე მანამდე, სანამ სიარულს ვისწავლიდი. დედა ხატავდა და არც მახსოვს, კონკრეტულად როდის შემოვიდა ჩემს შემოქმედებაში შიშველი ნატურა, მაგრამ კარგად მახსოვს, აკადემიაში რომ მივედი და ვნახე, როგორ იდგა შიშველი ნატურა და როგორ იხმოდა 100 თავჩაღუნული სტუდენტის გასშირებული სუნთქვა. მერე კი, მათ ცხოვრებაშიც ყველაფერი ისე შეიცვალა, როგორც იმ ანეკდოტშია: მხატვარმა სახლში მიიყვანა „ნამა“. ქალმა გაიხადა, მაგრამ მხატვარმა ხელები გაასავსავა: არა, ჩაიკვი და თუ შეიძლება, შემეწინააღმდეგეო...

— თქვენ როგორ მუშაობთ ნატურასთან?

— ვინ გავყინო ამ ზამთარში?! ვყიდულობ ეროტიკულ ჟურნალებს და იქ ვეძებ სასურველ ნატურას.

— თქვენ ხომ ხატებსაც წერთ. ვიცი — თქვენ მიერ დანერგული ერთ ხატს მირონიც სდის. შეიძლება ერთი ადამიანი ხატებსაც წერდეს და ეროტიკული ჟურნალებიდანაც „ინერდეს“?

— მე არ ვცხოვრობ ე.წ. ეკლესიური ცხოვრებით. თუმცა, სრულიად შეგნებულად მოვიხატე 23 წლის ასაკში. „მოვიარე“ ბევრი ფილოსოფიური სკოლა და ბოლოს, აქ გაჩერდი. 90-იან წლებში ყველას გვქონდა სულიერი შიმშილის განცდა. მქონდა ისეთი შეგრძნება, რომ აუცილებლად უნდა

ერთხელ მაინც უნდა აღმოჩნდე სიშიშველესთან პირისპირ





წელიწად-ნახევრის განმავლობაში, 170 ხატი შევქმენი

დამეწერა ხატები და წელიწად-ნახევრის განმავლობაში, 170 ხატი შევქმენი. ჩემს სახლში ერთი კედელი ხატებით არის სავსე, მეორე კი – შიშველი სხეულებით. ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან. აქ პარადოქსულს ვერაფერს ვხედავ: ადამიანი თავისი სხეულით და სულით შექმნა ღმერთმა. ხატებში დაცულია კანონიკური ფორმა. ეს ფორმა წმინდა მამებმა ჩამოაყალიბეს და ხატწერა არის ერთადერთი, სადაც არ მაღიზიანებს ჩარჩოები. ჩემი წინაპარი, პავლე ფლორესკი წერდა: „კანონიკური ფორმა არის სიკვდილი უნიჭოსთვის და აბსოლუტური თავისუფლება – ნიჭისთვის“. ერთ-ერთი ხატი შევწირე რესპუბლიკურ საავადმყოფოში არსებულ ეკლესიას. ჩემთვისაც ძალიან მძულავდა იყო, როდესაც მითხრეს, რომ ამ ხატზე მორწმუნე გამოჟონა. საერთოდ, ქართული ხატი ქართულ ეკლესიაში იშვიათობაა. არადა, ის თავისი შინაარსით თუ ფორმით მართლაც განსაკუთრებულია.

— ალბათ, როგორც ყველა ხელოვანი, თქვენც კმაყოფილი ხართ მაშინ, როდესაც მხარზე მუზა გაზოთ?

— თუ არ მაქვს საქმე ან სათქმელი, ძალიან დაუცველი ვარ. შემოქმედებას თავისი სივრცე აქვს და კმაყოფილი ხარ მაშინ, როდესაც ამ სივრცეში ხდება შენი სრული განხორციელება. რამდენჯერმე მეც მქონდა ისეთი განცდა, როდესაც შემოქმედებით სივრცეში გაქრა დრო და რეალობა. მაშინ, რაღაც მისტიკური სამყაროს ნაწილი ხდები და ეს მშვენიერია. ბევრს ჰგონია, რომ კარგი ქანდაკებისათვის აუცილებლად ლამაზი სხეული ან ფორმა საჭიროა. ეს ასე არ არის. ვისაც ვხატავ ან ვაქანდაკებ, მისი სულიერი სამყარო ან ხასიათი საერთოდ არ მაინტერესებს. სხეული შეიძლება არ იყოს ლამაზი,

მაგრამ „ლაპარაკობდეს“. მახსენდება ერთი გამოჩენილი ფოტოგრაფის, ჰელმუტ ნიუტონის სიტყვები. მან თითქმის ყველა ცნობილი ვარსკვლავის შიშველი ფოტო გადაიღო. ის ამბობდა: „მიმიფურთხები იმისთვის, რა აქვთ მათ სულში!“ ადამიანს იმიტომ მიეცა ენა, რომ თავისი ფიქრი დამალოს. იფიქვა სამოსელი. სხეული საიდუმლოა. თუშეცა, არიან ადამიანები, რომლებიც სამოსლის გარეშე იხევენ გრძობენ თავს საზოგადოებაში, როგორც სმოკინგში გამოწევილები. მათ ნუღისტებს უწოდებენ და მათი რიცხვი მსოფლიოში თანდათან იზრდება. რა არის გარდაცვლილი ადამიანის სხეული? არაფერი! ფოტოსურათი უფრო მეტყველი და ცოცხალია, ვიდრე მიცვალებულის სახე. ამით იმის თქმა მინდა, რომ სხეული სულის გარეშე არაფერია.

— თქვენ, როგორც ვიცო, 12 ძალიან გყავთ სახლში, გატაცებული ხართ ცხენოსნობით...

— 12 ძალიან მყავდა. არ იფიქროთ, რაიმე განსაკუთრებული ჯიშის ძაღლები მყავდა – ყველა, ქუჩიდან ავიყვანე. დღეს არც ერთი აღარ მყავს. რაც შეეხება ცხენოსნობას – ეს ჩემი სუსტი წერტილია. ერთი ცხენი მომიყვანეს სვანეთში. ულამაზესი, მზისფერი... მეუბნებოდნენ: არ შევძლე, ძირს დაებრტყები. მაინც შევჯექი. გააჟვინე და.. მართლა დავებრტყე. მეგობარმა მითხრა: რას მიქარავ? – ხომ ვითხარი, დაებრტყები-მეთქი! მაშინ ად სიტყვებით დავიმშვიდე თავი: მერე რა?! თუ მიქარავ – ესე იგი, ცხოვრობ! მაინც ის უნდა გააკეთო ადამიანმა, რაც გინდა. არ უნდა შემინდე. ბოლოს და ბოლოს, მაშინ იფიქრებ, ტყუილად უმტარი რომ ხარ, როცა გეცვირანი...

ინფორმაციული-შედეგებითი კოლაჟი

ეოზა დვალის უბის წიგნაკიდან:

იდან ამოწმებული ბეწვით იგი ბუდეც კი იშენებს.

19. რუსეთში გვირგვინი წარჩინებული გვარის გერბის აუცილებელი ატრიბუტი იყო. გერბზე გამოსახული გვირგვინის ქიმოთა რაოდენობა მფლობელის ტიტულის დადგენის საშუალებას იძლეოდა. აზნაურის გერბზე გამოსახულ გვირგვინს 5 ქიმი ჰქონდა, ბარონის გერბზე გამოსახულს – 7, გრაფისას – 9. თავადის გერბზე გამოსახული გვირგვინი უქმო იყო.

20. „საქართველოში მცურებელი თევზაგვებულები. რუსეთში ყოფილა შემთხვევები, როცა კონცერტის დროს მცურებელი სცენაზე ამოსულა, დაუბოკა და ჩემთვის ხელზე უეცრად. საოცარი ის არის, რომ ამას ქალებიც აჩადიებდნენ.“ – ჰყვებოდა ერთ-ერთ ინტერვიუში ნანი ბრეგვაძე.



21. კუნძული სიტე, რომელზეც პარიზი აღმოცენდა, მდინარე სენაში მდებარეობს. ეს კუნძული დღესაც პარიზის გულია. P.S. საფრანგეთის დელაქალაქს სახელი ამ კუნძულზე მცხოვრები აბორიგენი მეთევზეების – პარიზიების – მიხედვით ეწოდა.


22. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ინგლისში მკვეთრად შემცირდა კატების რაოდენობა, რადგანაც ფრონტიდან დაბრუნდა უამრავი ჯარისკაცი და შესაბამისად, შემცირდა მარტოხელა ქალების რაოდენობაც, რომლებსაც ეს ცხოველები ჰყავდათ შინ.

23. რადიოს გამოგონებულ მარკონის (საბჭოთა კავშირში ამ გამოგონების ავტორად პოპოვი ითვლებოდა) თავდაპირველად მოკვლასაც უბიძგებდნენ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ რადიოტალღები ადამიანთა სხეულებში აღწევდა, ნერვულ სისტემას შლიდა და არღვევდა ძილის ნორმალურ ფუნქციას.

24. როდესაც გერმანელმა ბოტანიკოსმა კარლ გებელმა ნახა ნახატი „ადამის ციფრით დაცვამა“, მხატვარს ურჩია, თავიდან დაეხატა სურათზე გამოსახული ვაშლი. – ეს ვაშლი მე ნატურიდან მაქვს დახატული! – განაწყინდა მხატვარი. – გასაგებია, მაგრამ თქვენ ვერ გაითვალისწინეთ, რომ ვაშლის ეს ჯიშში მხოლოდ ოთხმოცი წლის წინ არის გამოყვანილი, – უთხრა ბოტანიკოსმა.

25. ერთხელ ერთმა საშუალო ნიჭის დრამატურგმა ვოლტერს უთხრა: „თქვენ ტრაგედიების კითხვისას მიგხვდი, რომ უკეთესად ვერასოდეს დავწერ, ამიტომაც გადავწყვიტე მხოლოდ კომედიები ვწერო“. – ვოლტერმა პასუხად გაუღიმა და მოლიერის წაკითხვა ურჩია.

საკუთარი შეცდომების გამო ხარკის გადახდა ხშირად გვინებს ხოლმე. უმეტეს შემთხვევაში კი, შეცდომებს გამოუცდელიობის გამო და გულისხმას აყოლილები ვუშვებთ. გამართლებასაც მოვუძებნით არასწორ ქმედებას და სიყვარულს გადავაბრალვებთ ხოლმე. და რადგან შეუძლებელია, ერთდროულად შეყვარებულნი იყო და გონიერნიც, სწორი გზაც ურმის გადაბრუნების შემდეგ თუ გამოჩნდება... საკუთარი, 24-წლიანი ბიოგრაფიიდან ყველაზე სევდიან მონაკვეთზე დათო კილაძე (ეთიკური მოსაზრებით, გვარ-სახელი შეცვლილია) გვიამბობს.



# არ დაგვარებთ შვილს ურსიყვარულს შავს!

## მარი ჯაფარიძე

— 17 წლის ვიყავი, როდესაც ჩემს მეზობლად, მდგმურად ჩემი თანატოლი გოგონა გადმოვიდა. ერთმანეთი მოგვეწონა. მისმა გამორჩეულმა ყველაფერი დამაგიჟა. ინსტიტუტში სწავლასაც თავი დავეანებე და მასთან შესახვედრად თავქუდმოგლეჯილი გავბოდი ხოლმე... ერთ დღესაც, ოჯახს ვაუწყე, რომ მისი ცოლად შერთვა მსურდა. ჩემმა მშობლებმა სასტიკი უარი მტკიცეს. კერძო სახლში ვცხოვრობ, იქვე, ჩემს ეზოში ჩემი მამიდა და ბიძა ცხოვრობენ. ისინიც მირჩევდნენ, კარგად ამეწონ-დამეწონა ყველაფერი, რადგან ფიქრობდნენ, რომ სოფოს არ ვუყვარდი და მხოლოდ ჩემი გამოყენება სურდა.

— რას გულისხმობ გამოყენებაში?

— როგორც თავად სოფომ მაძმო, მამამისი დალუპულა მის დაბადებამდე, დედა — ცოტა მოგვიანებით. ჰყავს ერთადერთი ძმა. გაზარდა ბიცოლამ. ოთხი წელი ვიყავით ცოლ-ქმარი და დავიფიცებ, რომ ძმის გარდა, არც ერთი მისი ნათესავი თვალთაც არ მინახავს. მაშინ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი. ახლა ცოტა საეჭვოდ მეჩვენება. ხშირად ვთავაზობდი — შენი მშობლების საფლავზე მივიდეთ-მეთქი. ფეხს ითრევდა, არ მომყვებოდა — ხან რას იმიზეზებდა, ხან რას. ახლა, დღევანდელი გადასახედისა და რომ ვუყურებ, ვრწმუნდები იმაშიც, რომ მისთვის პირველი მამაკაცი არ ვიყავი, ვფიქრობ აგრეთვე, რომ მისი წარსულიდან

ბევრი რამ ჩემთვის ბურუსითა და საიდუმლოებით არის მოცული. მას სჭირდებოდა თავშესაფარი და გათხოვილი ქალის სახელი...

— როგორ დაქორწინდით?

— უკვე ვითხარით, რომ ოჯახი ჩვენი შეუღლების წინააღმდეგი იყო. ერთხელაც, ამის თაობაზე მორიგი სკანდალის შემდეგ, შინიდან გავიქეცი. ამ დროისთვის, სოფო თავის ახალგაჯობილ მეგობარ გოგონასთან ცხოვრობდა და იქ მივაკითხე. შევუღლდით. ორი კვირის თავზე, ჩემმა ოჯახმა მომგონა და დიდი ჩხუბის შემდეგ, შინ დავბრუნდი. სოფო იქ დავტოვე და დავუბარე, რომ აუცილებლად მივაკითხავდი, ოჯახში საქმის მოგვარების შემდეგ და თან წავიყვანდი. ვფიქრობდი — შინ რომ დავბრუნდებოდი, დედას გულს მოვუღებოდი და დავიყოლიებდი, რომ სოფო რძლად მიეღოთ. მესამე დღეს, ქუჩაში მიმაგალს სოფო შემხვდა. მისაყვედურა — აღარ გიყვარვარ, მიმატოვე და აღარ მაკითხავო. მეც ჩაკვიდე ხელი და ჩემი მეგობრის სახლში მივიყვანე (ბინა დაკეტილი ჰქონდა). 4 თვე ვიცხოვრეთ იქ, სამინელი გაჭირვება გადავიტანეთ: არც ერთი არ ვმუშაობდით, პროდუქტი ჩემს მეგობარს მოჰქონდა ხოლმე, მაგრამ მასაც არ შეეძლო ჩვენი უზრუნველყოფა. მშობლები არც მკითხულობდნენ. რამდენჯერმე დავრეკე შინ და მიპასუხეს: შენ თუ გინდა, მოდი, ეგ კი აქ მოსული არ ვნახოთო. რა უნდა მეღონა? — ჩემი მეუღლე ქვეყანას მერჩივნა და მასთან ერთად თუნდაც ჯოჯოხეთ-

ში ვიცხოვრებდი. მასსოვს, დამლაშობით გარეთ გამოვდიოდი და იმ გამხმარ პურს ვიპარავდი, ჯიხურზე რომ აქვთ ხოლმე ჩამოკიდებული — „რეკლამისთვის“. მრცხვენია, რომ ვინსენებ, როგორ ვთხოვლობდი სოფოსთვის სიგარეტის ღირებულებას გაძლევდისგან, ჩემთვის კი, მიწაზე დაგდებულ „ბიჩოკებს“ ვაგროვებდი. მასსოვს, მთელი 10 დღე მხოლოდ სიგარეტსა და წყალზე ვიყავით. ბოლოს, სოფოს შიმშილისგან ცრემლები წამოვივიდა. გავგიჟდი, რა გზას დავდგომოდი, აღარ ვიცოდი. გადავწყვიტე, ჯიხური გამეტეხა და ასეც მოვიქეცი. არც მანამდე და არც მერე, არასდროს არაფერი მომიპარავს. დაღამებას დაველოდე, ფეხსაცმლის ძირებზე ქსოვილის ნაჭერი შემოვიხვიე და სოფოს წინააღმდეგობის მოუხდავად, ჯიხური მაინც გავტეხე. თან საკმაოდ ვრისკავდი, რადგან ჯიხურიდან 200 მეტრში პოლიციის განყოფილება იყო, მაგრამ მაგას უკვე აღარ დაგიდევდით... იქ მხოლოდ 4-5 კოლოფი სიგარეტი და რამდენიმე შოკოლადის ფილა აღმოჩნდა. რაღას ვიზამდი? — მივიტანე სახლში და ნამტირალევე სოფოს წინ დავულაგე. მან კი მაგიდას ხელი გადაუსვა და ყველაფერი იატაკზე გადმოყარა... ამასობაში ახალი წელიც მოვიდა. პირველ იანვარს შინ დავრეკე და დედას ვთხოვე: თუ შეიძლება, მოვალ-მეთქი. — მოდიო. — მარტო არ მოვალ, სოფოსაც მოვიყვან-მეთქი. დამთანხმდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ოჯახმა რძალი ჩვეულებრივად მიიღო, პატარა ქორწილიც გადავიხადეთ და დავიწყეთ ჩვეულებრივი, ოჯახური ცხოვრება.

— როდესაც მეგობრის ბინაში ცხოვრობდით, სოფოს ძმა არ გავითხავდათ?

— არა. როდესაც ჩემს ოჯახში გავვედით საცხოვრებლად, მაშინ მოვიდა და კარგა ხანს, ისიც ჩვენთან ცხოვრობდა. მე სამსახური ვიშოვე. ცოლიანი კაცი ვიყავი და ოჯახი უნდა მერჩინა. მშენებლობაზე ვმუშაობდი, დღეში ხუთ ლარს მიხდიდნენ. ჩემმა მშობლებმა ცოლ-ქმარი მარტო დავეტოვეს, თვითონ კი სოფელში გადავიდნენ საცხოვრებლად. ამასობაში, ჩვენს მეზობლად, მდგმურად გადმოვიდა ახალგაზრდა კაცი. დავგვიხლოვდა. თავისი ძმაკაცებიც გაგვაცნო და სწორედ ერთ-ერთ მათგანზე ვიქცევე, რომ ჩემს ცოლთან რაღაც კავშირი ჰქონდა. სამსახურიდან შინ დაბრუნებულს, ან ის მხვდებოდა ჩვენთან სტუმრად მოსული, ან სოფო იყო მათთან...

— სოფოს არ ეკითხებოდით ამ მამაკაცის თაობაზე?

— რა თქმა უნდა, ეკითხებოდი, მაგრამ მეუბნებოდა, დაძმური ურთიერთობა გვაქვსო. არ ვტყუვდებოდი, მაგრამ ფაქტზე ვერასდროს წავასწარი. ამის გამო, სამსახურსაც დავანებე თავი და შინ დავვუკეცი. ცოტა ხანში, პატარა მარიამი შეგვეძინა. სინარულით ცას ვეწიე. ჩემი მშობლები თბილისში დაბრუნდნენ, რომ პატარას გაზრდაში მოგვხმარებოდნენ. მარიამი რომ წლინახვერის გახდა, ისინი სოფელში დაბრუნდნენ და ბავშვიც თან წაიყვანეს, რადგან სოფომ მალაზიაში გამყიდველად დაიწყო მუშაობა და მეც იმავე მალაზიაში გამომიჩნდა სამსახური. ცოტა ხანში, სოფოს დიდი დანაკლისი აღმოაჩნდა სექციაში და მალაზიიდან დაითხოვეს. მეც დავანებე იქ სამსახურს თავი და იძულებული ვავხდი, ისევ მშენებლობაზე მე-მუშავა. მალე სოფომ ისევ იშოვა სამსახური, ოღონდ — სხვა მალაზიაში. ხშირად ვაკითხავდი იქ. მალაზიაში, მეორე სართულზე უფროსის კაბინეტი იყო. უმეტეს შემთხვევაში, სოფო სექციაში არ მხვდებოდა. თანამშრომლები დაუძახებდნენ და უფროსის კაბინეტიდან გამოვიდოდა ხოლმე. ყველაფერს ვხვდებოდი... ერთხელ, მისმა თანამშრომელმა დამირეკა კიდევ და მითხრა: ბრმა ხომ არა ხარ? — შენი ცოლი სულ უფროსთან რომ ზის, რატომ არ კითხულობ, რას აკეთებსო?..

— ოჯახში, მისი ასეთი საქციელის გამო, ჩხუბი არ მოგდიოდათ?

— კი, ხანდახან. თითქოს რაღაცნაირად, შებოჭილი და შებორკილი ვიყავი. გამონათებასავით მქონდა დროდადრო და მაშინ ვჩხუბობდით კიდევ. ცოტა ხანში, როგორც ჩანს, მოსწყინდა მის კუროს: სექციაში დანაკლისი აღმოაჩნდა და იქიდანაც დაითხოვეს.

— ახლობლებს, შენი ოჯახის წევრებს თუ უზიარებდი შენს ეჭვებს?

— არა, არასდროს არაფერი მითქვამს, რადგან დამამტკიცებელი საბუთი არ მქონდა. ის კი არა და, ფაქტზე რომ დამეჭირა, ამისთვის ოჯახში სუფრასაც ვშლიდი და იმ ჩვენს მეზობელსაც ვეპატიუებოდი ხოლმე თავის ძმაცაცებთან ერთად. ერთხელაც, ასეთი თავშეყრისას (სასმელი ძალიან მალე მეკიდებოდა, ორი ჭიქის მერე ისეთი მოვრალი ვიყავი, ფეხზე ძლივს ვიდექი ხოლმე) დავთვერი და სტუმრები სოფომ გააცილა. ჯერ კიდევ არ იყო კარგად

შელამებული. ტახტზე მივწექი, თავის აწვევის ძალაც აღარ მქონდა. შემოვიდა ახლობელი გოგო და მითხრა: დათო, გამოდი გარეთ, ნახე, რა კარგი ამინდიაო. ვერ შევძელი. არადა, თურმე სოფო და თავისი საყვარელი ეზოში ერთ ამბავში იყვნენ; პირდაპირ ვერ მითხრა ამ გოგომ, უნდოდა, ჩემი თვალთ დამენახა... ჩემი ახლობლები ყველაფერს ხელაძვნიენ. ყველაფერი კი, იმის შემდეგ მიაბბეს, როცა ოჯახი დავანგრევი.

— როგორ მიიღე ეს გადაწყვეტილება?

— ერთ დღეს, შინ მივედი და შეგვა-მათდით — რა თქმა უნდა, იმავე საკითხის გამო. მაშინ პირველად და უკანასკნელად შევეხე ხელით. გულახდილად გეტყვით — მხოლოდ სილა გავაწანი. ჩავუღლავე თავისი ბარგი-ბარხანა და თავიდან მომწყდი-მეთქი, ვუთხარი. იმ დამეს, მამიდაჩემთან ეძინა. დილით კი, ისევ მამიდაჩემის პროტექციით, შემოვუშვი შინ. შემდეგ წავუყენე ულტიმატუმი: სოფელში წავიდეთ, ერთი-ორი წელი იქ ვიცხოვროთ, მანამდე, მარიც წამოიზრდება და სამივე ერთად დავბრუნდებით-მეთქი. არ უნდოდა წამოსვლა, მეურჩებოდა, მაგრამ ბოლოს, დამთანხმდა. ერთი კვირის შემდეგ აჩემა, თბილისში დავბრუნდეთო. ვერ დამიყოლია. რამდენიმე დღის შემდეგ, თბილისიდან ნათესავები ჩამოვიდნენ და დედაჩემი მათ გამოჰყვა, ექიმთან მისვლის საბაბით. სინამდვილეში, მას თურმე სოფოს ჩანთაში უპოვია, ხელსაწმენდ ქაღალდში გახვეული რაღაც ფხვნილი და იმის დასადგენად წამოსულა, თუ რა ფხვნილი იყო... ორი კვირა ველოდე დედაჩემის გამოჩენას. მეგონა, ექიმმა ცუდი დიაგნოზი დაუსვა და მე, სოფო და მარი თბილისში ჩამოვედით. როგორც დედაჩემმა მითხრა, ეს ყოფილა ფხვნილი, რომელსაც სოფო მიყრიდა ხოლმე და რის გამოც, ასე ადვილად მეკიდებოდა სასმელი. თან გავხდი, „გავიცრიცე“, ვმტერდებოდი და გონება მხოლოდ ხანდახან მინათდებოდა... არასდროს მჯეროდა, რომ ჯადო სინამდვილეში არსებობდა... დედამ ისევ დაგვეტოვა და სოფელში დაბრუნდა. რამდენიმე დღეში კი, მეც წავკედი, სოფო კი სახლში დავტოვე. ბავშვიც მასთან დარჩა. სოფლიდან შემოვუთვალე: მე აღარ დავბრუნდები და შეგიძლია, სადაც გინდა, იქ წახვიდე-მეთქი. ძმას მოუკითხავს და წაუყვანია. მივედი ცნობილ გამომ-ლოცველთან. შემილოცა, მთელი სეანსი ჩამიტარა და ახლა თავს კარგად ვგრძნობ.

ფერ-ხორციც დამიბრუნდა და ხარივით ვსვამ კიდევ.

— ამის შემდეგ სოფო აღარ გინახავს?

— არა. ყოფილი მეუღლე აღარ მინახავს. რამდენიმე ხანში, ბავშვი მოიყვანა, მამიდას დაუტოვა და გაქრა. 5 თვე არ გამოჩენილა: მარი სოფელში წავიყვანე და გვერდიდან არ მომიცილებია: ჩემი უფროსი და მცხეთაშია გათხოვილი. მე და მარი მასთან სტუმრად ვიყავით, როდესაც შემომითვალეს, რომ სოფო მამიდაჩემთან გველოდებოდა და ბავშვის წასაყვანად იყო მისული. იმ დღეს ვერ დავბრუნდით. მეორე დღეს ისევ შემომითვალეს: იმუქრება — პოლიციის ძალით წავართმევ შვილს, დედა ვარ და ნახვის უფლება მაქვსო. იმ დილით წაიყვანა მარი და მას შემდეგ ბავშვი აღარც მინახავს.

— შენ თვითონ არ მიაკითხე?

— მე მისი არც მისამართი ვიცი, არც ტელეფონის ნომერი. არც ერთ მის ნათესავს არ ვიცნობ, ამიტომ ვერანაირად ვერ მივაგნებ. ჩემი მიზანიც, როდესაც ინტერვიუზე დავთანხმდით, სწორედ ეგ იყო: ვფიქრობ — იქნებ, თქვენი საშუალებით მივაწვდინო ხმა და ვუთხრა, რომ უზომოდ მენატრება ჩემი პატარა მარიამი და მასთან შეხვედრის საშუალება მომცეს...

*P.S. ვუერთდებით დათოს თხოვნას და ძემართავთ სოფოს, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი სახელი შეცვლილია, ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, ალბათ ამოიცნობთ საკუთარ თავს და მიხვდებით, რომ შეილს არ უნდა დაუკარგოთ მოსიყვარულე მამა!..*



ავთო მარბველავშილი

ჩემს სამუშაო გრაფიკში პარასკევი და შაბათი შედარებით თავისუფალი დღეებია. სწორედ პარასკევს, დილით დამირეკა ერთმა მეგობარმა და მითხრა:

– დღეს ქუთაისში მივდივარ ჩემი მანქანით და თუ გინდა, შენც წამოდი. ხვალ კი უკან დავბრუნდეთ.

იმ „უიკენდზე“ ნამდვილად არ ვაპირებდი თბილისიდან გასვლას, მაგრამ მშობლიური ქალაქის მონატრებამ, გვემეზბი შემაცვლევინა და სიამოვნებით დავთანხმდი. მოკლედ, ოთხი საათი იქნებოდა, ქალაქი რომ დავტოვეთ. მოშივებულებმა, „ლულა-ქაბაძს“ რიკითის სუფთა ჰაერიც დავაყოლეთ და დათომაც სიურპრიზად გამიმხილა, რომ გზად ზესტაფონის რაიონის ერთ-ერთ სოფელში უნდა შეგვევლო პანაშვიდზე – მის თანამშრომელს ბებია გარდასცვლოდა.

– ეჰ, რა ქალი იყო! გაგიჟდება სიხარულით, შენ რომ დაგინახავს!

– ვინ, მიცვალებული?

– კახა, კაცო! იცნობ შენ. შარშან ზომ იყავი ჩემთან, დაბადების დღეზე?

– იფ, რა სუფრა იყო! რომელია იმათგან კახა?

– ტელეფონზე რომ დამირეკა, ვერ მოვალო.

– ო! კი ბატონო, შევიართო.

მოგესხნებათ, შემოდგომის მიწურულს, საღამოს შვიდი საათი უკუნეთი დამეა უკვე. ჰოდა, კაი დაღამებული იყო, როცა კახას ჭიშკარს მივადექით და მაყარივით მივუსიგნალეთ.

– აუჰ! დავაგვიანეთ! – ამოიხზრა დათომ – ჭიშკარი რომ დაკეტილია, „ზნაჩიტ“ პანაშვიდიც დამთავრებულია.

– კაცო, მიცვალებული ზომ იქნება ოჯახში? შევიდეთ, „ერუგი“ დავარტყათ და მორჩა.

ასეც მოვიქცეთ, მაგრამ ეზოში რომ ჩამოვბრუნდით, მანქანაც შემოყვანილი დავგხვდა და ჭიშკარიც შეინიდან ჩაკეტილი. ვინ გვიშვებს?! – ნამგზავრი ხართ, მოშივებულები იქნებით, დამესაც გაგათევიანებთ და ხვალ, კაი დროც ვატაროთო – გვითხრა ცხონებული მარუსას (ასე ერქვა მიცვალებულს) მგლოვიარე შვილიშვილმა – კახამ, რომელსაც გულზე მრგვალ ჩარჩოში ჩასმული, 19-20 წლის გოგონას სურათი შევნიშნე. იგივე სურათი ეკეთა ოჯახის ყველა წევრს და კუთხე-მეზობელს.

– ა, ესაა ბებიანემი, – ხმა აუთრთოლდა კახას – ქორწილზე გადაღებული სურათია. მის მერე, არც ღირსებია სხვა



„მხიარული ქელები“

სურათი საცოდავს!

სიცილი ძლივს შევიკავეთ და უკან გავეყვით გულდათუთქულ ჭირისუფალს, რომელიც ქვედა სართულზე, ბუხრიან დიდ ოთახში შეგვიძღვა.

– ვინც მოვიდა, გაუმარ...

– „ჯოს“!... – ერთხმად შესძახეს შეზარხოშებულმა მასპინძლებმა და მათმა მეზობლებმა და ჩვენს საპატივცემულოდ, რადგან ორნი მივედით, ორ-ორი ჩაის ჭიქა დააწვევილეს და დაცალეს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი „ნა-ლულაქაბაძევი“ ვიყავი, ნიგვზიანი ლობიოსა და აჯიკის სუნმა ისე იმოქმედა, რომ ნემოს გრავიურით გაფორმებული კეცის მჭადი შუაზე გავტეხე და მსხვილბოლქვიანი პრასი მაგიდას თავით დავარტყი.

– ჩვენებური ხარ, გეტყობა, შენ გენაცვალე! – მომიღერსა თამადამ და „ალავერდიტაც“ დამაჯილდოვა – ჩემო ბიჭებო, ამ პატარა ჯამით მინდა, ქალბატონი მარუსა ბიცოლას შესანდობარი ვიქვა. ეჰ, რა ყოფილა სიკვდილი, თორემ თქვენნაირი სტუმრები რომ მოსულიყვნენ, შენ გააჩერებდი მაგას „ზალამი“ დაწოლილს?

დიდებულია ქართული ენა! ნახეთ, იმ მოხუცმა იმერელმა, რა ლამაზად აღმიწერა ორი სიტყვით, მარუსას პიროვნება და განვლილი ცხოვრებისეული გზა! საღღერძელო ფეხზე ადგომით, ერთხმად შეისვა და რადგან „წასულებზე“ გაჩერება არ შეიძლება, თამადამ იმავე ჯამით მარუსას მშობლების სულიც ასწენა, მერე – დედამამიშვილების, მერე ბებია-ბაბუების

და... სუფრაც გამხიარულდა.

– კახა, მოუყვი, ერთი ამათ, როგორ იყო, რომ ჩამოდი? – ჩაიხითხითა ბატონმა ლეომ (კახას მამამ და მარუსას შვილმა).

– რომ არ მენერვიულა, დამირეკეს და მითხრეს – სასწრაფოდ ჩამოდი, ბებიანაშენია გაცივებული... ჩამოვედი და რას ვხედავ? არ წევს მარუსა „ლედნიკში“?! მე ვუთხარი – ამისთვის ყინულები დაგიწვევათ და გაცივებოდა, აბა რას იზამდა-მეთქი!..

– მართლა, ლეო! – მიმართა კახას მამას თამადამ – ბოლო-ბოლო, დაადგინეთ ასაკი? საფლავის ქვაზე რაღაცა ზომ უნდა დავაწეროთ?

დაიწყო კამათი, ვის რომელი წლიდან ანსოვდა მარუსას გამოთხოვება ამ სოფელში, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, თვითონ ლეომ დაასკვნა:

– 18 წელს იყო დაბადებული. აბა, გამოთვალეთ, რამდენი წლის გამოდის?

– ოთხმოცდაოთხის, ოთხმოცდამეხუთეში... – წავიკალკულატორე მათდა გასაოცრად.

– რა იცი შენ, რომ 18 წელს დაიბადა? – ვიდაცას ეჭვი შეეპარა, რომ მარუსა გაცილებით მეტის იქნებოდა.

– რა ვიცი და, მამაჩემი რომ გაბრუნდებოდა, ასე ეძახდა – „შე ჩემისთვრამეტიანო!“

ისეთი ხარხარი ატყდა, თითქოს ქორწილის სამზადისი ყოფილიყო.

– ეს ღვინო იქნება ხვალ, ქელებში? – ძლივს ამოილულულა თამადამ.

– რავა, არ ვარგა? – იწყინა ლეომ.

– გემოთი კაია, მაგრამ „ჭრა“ არა აქვს.

– შე კაცო, ფეხზე ვეღარ დგახარ და, მაგი მაკრატელი არაა, „საროჩკა“ რომ შემოგაჭრას – ენამოსწრებულად უპასუხა კახამ და ისევ გადავიხარხარეთ.

– დროა აწი, მოვასვენოთ სტუმრები – ჩაგვერთო კახას დედა და შვილს ზედა სართულზე განთავსებული საძინებლისკენ მიუთითა.

– არა, რას ბრძანებთ? ჩვენ უნდა წავიდეთ! ჰო, დათო? – მაგრამ დათოს თავი თბილ მჭადზე დაედო და მშვიდად ეძინა.

– დღეს მაინც აღარ დალიო, თუ ძმა ხარ! – ვთხოვე მეორე დღით დათოს, რომელიც ჭურის მოხდის რიტუალს ესწრებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაიღობდა გამშრალ ყელს „ჭაშნიკით“, მაგრამ ისეთი თვალებით შემომხედა, ეროსი მანჯგალადის სიტყვები გამახსენდა: უნდა გაგაადამიანუროო... და მეც ყველას დავასწარი დილის მადლისა და ჭურმარნის დალოცვა. იქვე, ჭურისთავზე გაიშალა სახელდახელო სუფრაც და ზუთ-ზუთი გვერდით მირთმეული, როცა ჭიშკართან დოლ-გარმონის ხმა გაისმა.

– ტირილიც სიმღერით ვიცით ქართველებმა! – აღფრთოვანება ვეღარ დავმალე და ჭეშმარიტი ხელოვნების სადღეგრძელო შევთავაზე, რომელიც ყველამ აიტაცა და „მუსიკალური ოქტავონიც“ გაიმართა.

– ასე ადრე არ გელოდით, ბატონო! – მოუბოდიშა ლეომ, – ჯერ დედაჩემი ჩაცმულიც არ არის.

– ჩაცმული, თორემ არ გადმოხტეს საცეკვაოდ! – ბებამისზე რომ იყო საუბარი, სულ დაავიწყდა კახას.

– ჩვენ რეპეტიციის გასავლელად მოვედით, ადრიანად – აგვისსნა კლარნეტთანმა მუსიკოსმა და თევზის ბაჟეს საერთო ჯამიდან მოუწო.

– რა რეპეტიცია? ფილარმონია კი არ მაქვს აქ! – იწყინა ლეომ.

– არა, ბატონო! ტექსტი ხომ უნდა მოვამზადოთ? სახელი უნდა ვიცოდეთ...

– მარუსა.

– ასაკი?

– აუ, დაიწყო ამან თავიდან! მაგის გულისთვის კინაღამ დავკალით გუშინ ერთმანეთი. რა მნიშვნელობა აქვს ასაკს?! ჭიქას მოჰკიდე ხელი, თუ კაცი ხარ და მიტირე დედა!

მუსიკოსებმაც თითო დაცალეს და ინსტრუმენტების ჟღერადობაც მოსინჯეს.

– „დო“ მომეცი! – ბრძანა „მაე-

სტრომ“ და კლარნეტში ისეთი ძალით ჩაჰბერა, რომ დაუღეჭავმა ხახვის ნაჭერმა „დო“-ს ნახვრეტში ამოყო თავი...

„დაო, გაშალე მარჯვენა,

შენი სიკვდილი არ გვეკერა, ნანინავ და...“ შვილს რა ჰქვია?

– ლეო.

„ეთხოვება ლეოს მარო,

შენი დედა აღარ ვარო, ნანინავ და...“

– ექსპრომტად გალექსა გამოცდილმა მგოსანმა.

ლეოს ცრემლი მოერია და მუსიკოსს სახელის დაზუსტება სთხოვა.

– „მარო“ და „მარუსა“ ერთი არაა?

– გაუკვირდა კლარნეტისტს.

– კია, ჩემო ძმაო, მარა, ყველა „მარუსათი“ იცნობდა და შენ რომ „მარო“ ახსენო, იფიქრებენ სხვაა, ვიღაცა მკვდარი და ხალხი გამექცევა.

– კი, ბატონო! – ისეთი სიტყვის ძებნა დაიწყო „ხელოვნების კუმირმა“, რომელიც „მარუსას“ გაერთიმეობდა. ბოლოს, ლიმონით დახუნძლული ბუჩქი შენიშნა და რითმაც მოვიდა:

– „ბეკრი მოისხა ციტრუსმა,

აღარ გვეყვს ჩვენი მარუსა, ნანინავ და...“

სიცილი ვეღარ შევიკავე, ხელები სახეზე ავიფარე და აფუხუკუნდი. ციციკაცილიკაურის ნაჟურმა კი თვალებიდან ცრემლად დამიწყო დენა.

– შენ, გულს ვენაცვალე! – ზემოდან დამემხო ატირებული დათო – ხომ არ იცნობდა მარუსა ბებიას, მაგრამ მაინც როგორ ეცოდება!

ამაზე სულ დავეცი და აფხარკალდე.

– ეგი, ბიძიკო, ავიზნიანი თუ იყო, გეთქვა და არ დავალევივინებდით – უსაყვედურა დათოს ლეომ და დათოც „ზედ დამაკვდა“.

– ე, ბიჯო, უშველეთ! შავი ნაჭერი უნდა ახლა მაგას თვალზე! – შეშინდა კლარნეტისტი... დანარჩენი აღარ მახსოვს. მართლა კინაღამ მოვკვდი სიცილისაგან.

– გილოცავ გადარჩენას! – მითხრა კახამ, როცა სული მოვითქვი – ისე, ბარემ მუსიკაც აგერ გვეყვდა და ქელეხის პურმარილიც...

მოკლედ, ცხონებული მარუსა, სასაფლაომდე მივაცილეთ, სამ-სამი პეშვი მიწაც მივაყარეთ და იმ პირობით, რომ ორმოცზეც დავაფასებდით, ოჯახს დავემშვიდობეთ.

რა ქუთაისი, რის ქუთაისი?... კვირა დილა თავზე დავვათენდა, თბილისში რომ შევედით...

# ერთგული პიტიხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-  
მახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა  
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი  
და არც ამ ტექსტის კითხვებზე გავიჭირდ-  
ებათ პასუხის გაცემა...

## 1. სად ჩაინახა 5700 წლის 606 ჩანის ხმის ჩვეულება?



- ა) ბირმაში;
- ბ) ინდოეთში;
- გ) ჩინეთში.

## 2. რა ერძება მიხაილ გულ- ბაკოვის რომანში – „ოსტატი და მარგარიტა“ კატას?



- ა) ბესენჯერი;
- ბ) ბეჰემოთი;
- გ) ბემბი.

## 3. რამდენი წლის ასაკში გადაწყვიტა ვინსენტ ვან გოგმა ხატვის სწავლა?




- ა) 40-ის;
- ბ) 15-ის;
- გ) 27-ის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

**მალაშვილების  
როუსი  
გოზი  
ბუჩიკაშვილის  
ჯახნახით  
შექმნიდა**



მასავეთ რომ მქონდა საქმე აწყობილი, ორ ცოლს მოვიყვანდი...



**ჯემალ და გია ბალაშვილებს** ინტერვიუსთვის შოუბიზნეს-ცენტრ „ლომისის“ ოფისში მივაკითხე. საზეიმო განწყობილება მამა-შვილს ჯერ კიდევ ჰქონდა გამოყოლილი ახალი წლის დღეებიდან. ბატონი ჯემალი უკვე „იუმორინა 2003“-ზე მუშაობდა და ერთ-ერთი მსახიობისთვის იუმორისტულ ნომერს წერდა. პროფესიით ფოლკლორისტიმა, ამჟამად „ლომისის“ მუსიკალურმა ხელმძღვანელმა — გია ბალაშვილმა მითხრა: გასული წელი შემოქმედებითად ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იყო — 40-ზე მეტი კონცერტი ჩატარდა ანშლავით ფილარმონიაში. ხუთი უძლიერესი პროგრამა იქნა გამოტანილი, მაგრამ ამაზე გაჩერებას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ და წლელს, დიდი გეგმები გვაქვსო. წელიწადი ნაყოფიერი რომ იყოს, ამას კარგი მეკვლე სჭირდება. ჰოდა, ბალაშვილების მეკვლე უკვე დიდი ხანია, გია ყოფილა: ორი წლიდან ეს არის მეკვლე. მანამდე ვინ იყო, არ მახსოვს. ჯერჯერობით კარგი ფეხი აქვს და ამიტომ არ ჩამოგვიღაბორანტებიო, — მითხრა ბატონმა ჯემალმა.

**ნათია თენგიშვილი**

— ბატონო ჯემალ, თქვენ და გია ერთად მუშაობთ და ერთ საქმეს ემსახურებით, ხშირად კამათობთ ხოლმე?  
— კამათით არასდროს გვიკამათია, ყოველთვის ვცდილობდით, ჩვენ-ჩვენი არგუმენტები შეგვეჯერებინა და ისე გადაგვეწყვიტა ყველაფერი. ჩვენ ვმეგობრობთ და წინა პლანზე ჩვენთვის ის საქმეა წამოწეული, რომელსაც ვემსახურებით. საერთოდ, კამათის დროს ადამიანები ცდილობენ, ურთიერთობა გაარკვიონ და არა ჭეშმარიტება. ჩვენ კი, მამა-შვილს, ურთიერთობის გარკვევა არ გვჭირდება. თანაც გიას გამორჩეული მუსიკალური სმენა დაჰყვა. პირველი სიმღერა რომ იმღერა გიამ, წლისა და ორი თვის იყო. ჩემთან და ვახო ტატიშვილთან ერთად იმღერა „ოცდახუთსა დეკემბერსა“, სხვათა შორის — ძალიან კარგად.

**გია:**  
— რა თქმა უნდა, მე ეს არ მახსოვს,

მაგრამ მახსოვს სხვა რამ და ძალიანაც მწარედ. ამას წინათ, ერთმა ჟურნალისტმა მკითხა: სიმღერა როდის დაიწყეთო? მოუყევი და დავამატე — მანამდე, სანამ სიმღერას დავიწყებდი, მართალია, ვერ ვლაპარაკობდი, მაგრამ 11 თვის ასაკში სტვენით ვიმეორებდი მელოდიას-მეთქი. მეორე დღეს, ვხედავ გზუთში წერილს ასეთი სათაურით: „გია ბალაშვილი: 11 წლის ასაკში გამართულად ვერ ვმეტყველებდი, სამაგიეროდ, ვუსტვენდი“. კინალამ გავგიჟდი. რაც შეეხება მამასთან კამათს — უმთავრეს საკითხებში ჩვენი შეხედულებები ემთხვევა. ბავშვობაში, რომ მეკითხებოდნენ — ვინ არის შენი ყველაზე დიდი ძმაცაციო? — ვუბნებდი — მამა-მეთქი. დღემდე ასეა. ისე, საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, მამას ეკუთვნის. უფროს-უმცროსობის გაგება არ მეშლება.

**ბატონი ჯემალი:**  
— არა, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს? ჩემმა შვილიშვილმა, სანდრომ რომ მირჩიოს რამე, თუ არგუმენტი ძლიერია, იმას

დაუჯერებ. მთავარია, საქმეს წაადგეს. ვცდილობდი, გია ისე გამეზარდა, რომ არჩევანის თავისუფლება ჰქონოდა. ძალიან ცუდად მახსოვს საბავშვო ბავშვი. ომის დროს, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა — შიმშილი, სიცივე და ა.შ. შინ კი თბილოდა, მაგრამ დედაჩემი მუშაობდა და იძულებული იყო, ბავშვი წავეყვანე... აი, გია კი თვითონ ირჩევდა, როდის წავიდოდა ბავშვი და როდის არა.  
— გია, პროფესიის არჩევის დროსაც თავისუფალი იყავით თუ მაინც იმოქმედა იმან, რომ მამათქვენი მუსიკოსი იყო?  
— სკოლაში კარგად ვსწავლობდი. პროფესიული არჩევანის დროს, ჩემთვის ორი, აბსოლუტურად განსხვავებული მიმართულება გამოიკვეთა — მუსიკა და ფიზიკა-მათემატიკა. მაინც მუსიკამ გადაწონა. ბავშვობიდან მაინტერესებდა მუსიკის სტრუქტურა, არც ვიცოდი, ამას რა სპეციალობა შეისწავლიდა. აღმოჩნდა, რომ ეს არის მუსიკის თეორია და ისწავლება კონსერვატორიაში. სკოლა შედაღზე

დავამთავრე; მაშინ ეს განიჭებდა უფლებას, რომ ერთი გამოცდა ჩაეგებარებინა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. მუსიკისკენ გადავიხარე და ვფიქრობ, არც შევმცდარვარ. როცა „ლომისი“ ჩამოყალიბდა, ბიზნესში აღმოვჩნდი ჩაბმული. აქ მხოლოდ მუსიკის და გიტარაზე დაკვრის ცოდნა არ არის საკმარისი – წარმოდგენა უნდა გქონდეს მენეჯმენტზე, მარკეტინგზე, სარეკლამო საქმიანობაზე და ა.შ.

— ბატონო ჯემალ, გიას პროფესია უცებ აურჩევია, თქვენი, როგორც ვიცი, სამი ინსტიტუტი მოიარეთ...

— სამი ინსტიტუტი მოვიარე, ვიდრე მივხვდებოდი, რა მინდოდა: ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეტალურგიის ფაკულტეტი (სადაც ორკესტრის გულისთვის შევედი იმიტომ, რომ გიტარისტად მიმიწვიეს) და უცხო ენები. მხოლოდ ეს უკანასკნელი მაინტერესებდა ნამდვილად.

ამ დროს, ოთახში ვახტანგ ტატიშვილი შემოვიდა. ჩვენს საუბარს ყური მოჰკრა და თქვა: იმ ინსტიტუტიდან მხოლოდ დიპლომი წამოიღო, თორემ, ცოდნით უკვე ყველაფერი იცოდა; გასტროლებზე რომ დავდიოდით, იქ ისწავლა ენები, თავისითო...

**ბატონი ჯემალი:**

— ლათინურ ამერიკაში მეორე გასტროლების დროს, ფაქტობრივად, თარჯიმანი მე ვიყავი. ოფიციალურ თარჯიმნად

ჩვენს ჯგუფში „კაგებეშნიკი“ (უშიშროების სამსახურის თანამშრომელი, — ავტ.) იყო გაფორმებული. იცოდნენ, რომ ენას კარგად ვფლობდი, დამიბარეს და მითხრეს: თარჯიმანი შენზეა მონდობილი, იმ კაცს თავისი საქმე აქვს და თავი დაანებეთო. ის თარჯიმანი გასტროლების დროს, სულ რამდენჯერმე ვნახე. ბუენოს-აირესის ტელევიზიაში, რადიოში და სხვა ჟურნალისტებისთვისაც მე ვთარჯიმნიდი. სიხარულით მოვეკიდე ამ საქმეს — დიდი პრაქტიკა იყო ჩემთვის. ენამ დავიწყება იცის, ახლაც მიდევს ლექსიკონები მაგიდაზე და კვითხულობ ხოლმე.

— გია, შენც ასე გულმოდგინედ მეცადინეობდი ხოლმე შენი სპეციალობის დასაუფლებლად?

— გიტარაზე დაოსტატებას ორსაათიანი მეცადინეობა რომ არ ეყოფა, ამას შინაც ვხედავდი. ყველაზე დიდი გამძლეობის გამოჩენა დედაჩემს მოუხდა: სანამ ჯემალი უკრავდა საათობით, კიდევ არა უშავდა, მაგრამ მეც რომ დავემატე, ამას როგორღა იტანდა, არ ვიცი. მშვიდი ნერვების პატრონი გურული გვყავს და ეგ არის...

**ბატონი ჯემალი:**

— მარტო ეგ კი არა, დედამისის დამსახურება იმამიც არის, უცხო ენები რომ ავითვისე. რუსულ-ესპანურ და ინგლისურენოვანი, ორიათასისიტყვიანი ლექსიკონი მქონდა. „ივერიელებს“ ნამღვევი დაუღვე: 5 მანეთს მივცემ იმას, ვინც ერთ სიტყვა-

ში მაინც გამომიჭერს-მეთქი. ეს კარგი თანხა იყო მაშინ და სტიმულიც დიდი ჰქონდათ, მაგრამ 3-4 საათში ერთ ხუთმანეთიანსაც კი ძლივს მართმევდნენ და სტიმულიც ეკარგებოდათ... მერე, ასეთ გამოცდებს ჩემი მეუღლე მიწყობდა — რა თქმა უნდა, უფასოდ.

— თქვენი დუეტი, სადაც ერთად უკრავთ გიტარაზე, დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში. როდის ჩამოყალიბდა?

**ბატონი ჯემალი:**

— დიდი ხანია, შექმნილია — შინ სულ ვუკრავდით, მაგრამ ალბათ „ბალავილურ“ ხასიათშია ისიც, რომ სანამ საქმეს არ დასჭირდა, არც ერთს არ მოგვსვლია თავში, სცენაზე გამოვსულიყავით. ერთ მშვენიერ დღეს, კონცერტისთვის გვჭირდებოდა განსხვავებული ინსტრუმენტული ნომერი. ვივი ბერიკაშვილმა მითხრა: კი, მაგრამ სულ სხვაგან რომ ეძებ, გამოდით შენ და გია და დაუკარითო. მეც დაფიქრდი, გამოვედით და დაუკარით.

**გია:**

— 7-8 წლის ასაკში, საკმაოდ კარგად ვუკრავდი. უკვე შეიძლებოდა, რომ გამოვსულიყავი და ხალხის წინაშე წარვმდგარიყავი. მაშინ, ალბათ უფრო ეფექტურიც იქნებოდა, მაგრამ მამამაც არ დამაჩქარა და მეც, სანამ შინაგანად არ გავიარე პროფესიული დაოსტატების გარკვეული გზა და საქმემ არ მოითხოვა, მანამდე არ



„ივერიის“ მიუზიკლ „რქიანეთის“ მონაწილეები

# ტესტი პრუდიციანაზე

1. რა ფერისაა ღვინო, რომელსაც საბავშვო რიტუ-ალების დროს იყენებენ?



- ა) თეთრი;
- ბ) წითელი;
- გ) შავი.

2. ხმლის, ხანჯლის და თოფის ჩამოსაპოვებელ თას-მას ჰქვია:



- ა) სარტყელი;
- ბ) ხვანჯარი;
- გ) ვოთურგა.

3. კანარის კუნძულები ესპანურად სიტყვასიტყვით ნიშნავს:



- ა) შიშვლების კუნძულს;
- ბ) ძაღლების კუნძულს;
- გ) სამოთხის კუნძულს.

4. პალტოს ძველი ქართული შესატყვისია:



- ა) ნაბდაური;
- ბ) ბუშლატი;
- გ) გვაბანაყი.

შედეგად ჩვენი ღუეტი.

— ბატონო ჯემალ, თქვენს ქალიშვილზეც გვითხარით ორი-ოდ სიტყვა.

— დიდი სიამოვნებით. ჩვენ გვყავს უნიჭიერესი თეონა. როგორც ამბობენ, ხასიათით მამას ჰგავს და ეს ძალიან კარგია (იცინის). პროფესიით ფილოლოგია, რამდენიმე წელი იმუშავა „იბერი-ზიაში“ ჟურნალისტად. ახლა, დედის გზას იმეორებს: ორი შვილი ჰყავს — სანდრო და ნინი და მათ ზრდის.

**ბია:**

— საოცარი გემოვნება აქვს. მე ყოველთვის მაინტერესებს მისი აზრი და ჩემი შესაიღუმლეც თეონა.

**ბატონი ჯემალი:**

— ჩვენს გემოვნებაზე დიდ გავლენას ახდენს და ხმამაღლა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ჩაცმულობაზე თეონა ბალაშვილი ზრუნავს. 16 წლის არც იყო, რომ გათხოვდა. საირმეში ვიყავი და იქ გავიგე ეს ამბავი. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა!.. საბედნიეროდ, ჩემს სიძეს ვიცნობდი და ვიცოდი, ერთმანეთი რომ უყვარდათ. უბრალოდ, ასე ადრე თუ გაიქცეოდნენ, არ მეგონა. ძალიან დიდ პატივს ვცემ ჩემს სიძეს — არჩილ ხვედელიანს და მიხარია, სიყვარულით რომ შექმნეს ოჯახი (ბატონმა ჯემალმა ვიას გადახედა. — ავტ.). ეს საკუთარ თავზე არაფერს ამბობს, ამიტომ მე ვიტყვი, რომ ახლა ყველაზე მეტად, ვიას დაოჯახებაზე ვფიქრობთ. მეც 30 წლისამ მოვიყვანე ცოლი, მაგრამ მე ბინა არ მქონდა. მე და დედამისი ექვსი წელი დავდიოდით და მერე დავკორწინდით. ამას აქვს თავისი ბინა ყიფშიძის ქუჩაზე. მასავით რომ მქონოდა საქმე აწყობილი, ორ ცოლს მოვიყვანდი...

ვია და ჯემალ ბალაშვილები ნინისთან ერთად



**ბია:**

— მიმაჩნია, რომ ასეთი საკითხები ზუსტად წყდება. ასე რომ, ვნახოთ...

— ბატონო ჯემალ, თქვით — 6 წელი ვხვდებოდი მომავალ მეუღლესო. როგორ გაციანით?

— ჩემი მეუღლე — მანანა პატარაია „გეპეში“ გავიცანი. ჩვენი ანსამბლი ძალიან პოპულარული იყო და თავყვანისმცემელი გოგონები მოდიოდნენ ხოლმე რეპეტიციანზე. ერთ დღესაც, ჩვენმა მომღერალმა დარბაზში თავისი დაქალი შემოიყვანა, რომელიც თავისთვის, წყნარად დაჯდა. შევთვალე, რომეწონა, მივედი და ვუთხარი: — დამელოდე-მეთქი. რას დამელოდებოდა? — ალბათ გიჟი ვეგონე. მერე, მეგობარმა უთხრა: მთლად, ბოლომდე ჩამოყალიბებული გიჟი არ არისო, — და შემხვდა (იცინის). ასე დაიწყო ყველაფერი. მაშინ რომ ვუთხარი — დამელოდე-მეთქი, — მერე ეს, ჩვენი დევიზი გახდა და დიდი ხანი მელოდა... უცხოეთის 60 ქვეყანა მოვიარე და მთელი საბჭოთა კავშირი მრავალგზის. წარმოიდგინეთ, რამდენი ხანი მელოდა! ოჯახიც, შვილებიც და სიტბოც მისი დამსახურებაა. დღემდე ერთად ვართ. ახლა უკვე შვილიშვილებს ზრდის...

ერთ საინტერესო ამბავსაც მოგიყვებით: 1972 წელს, როცა ედუარდ შევარდნაძე იყო ცეკას პირველი მდივანი, მაშინ დავდგით მიუზიკლი „რწყილი და ჭიანჭველა“. გახსოვთ ალბათ — „გურული ახტა, გურული დახტა“ — და ა.შ. ეს როგორ გაბედესო?! — აღშფოთდა მკვანი და დავგვიბარეს ერთ „მაღალ“ კაბინეტში. თან პირდაპირ ვერც გვეუბნებიან — შევარდნაძე რატომ გამოიყვანეთ რწყილის როლშიო? — ეშინიათ. ხან აქედან მომბარეს, ხან იქიდან და ბოლოს, მითხრეს: იქნებ, რწყილი ამოიღო. — როგორ უნდა ამოვიღო? — რწყილი და ჭიანჭველა, არ გამოვა-მეთქი, — ვუთხარი. ბოლოს, რომ ვერ მითხრა ვერაფრით თავისი სათქმელი, ისევ მე შევეშველე: რა გინდა ამ რწყილისგან? — მეგობრის გადასარჩენად დახტის, იყოს გურული-მეთქი... სანამ შევარდნაძე არ მოვიდა სანახავად და კინალამ სიცილით არ მოკვდა, თავი არ დავგანებებს... ჩვენს პრეზიდენტს, რაც არ უნდა დააბრალო, იუმორის გრძნობა არა აქვსო, მაგას ვერ იტყვი...

ბატონი ჯემალ ბალაშვილისგან ისიც შევიტყვე, რომ „ივრია“ ახალ მიუზიკლზე მუშაობს და კიდევ ერთი: ჩვენთვის ყველაასთვის საყვარელ მსახიობს, გვი ბერიკაშვილს 15 მაისს 70 წელი უსრულდება და ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად „ლომისი“ მსახიობის ბენეფისს გამართავს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ცისანას შევეცოდე და ყაბალახი მაჩუქა



წელიწადში ორჯერ, ნიუ-იორკში იმართება გამოფენა-გაყიდვის მსგავსი შოუ, სადაც მსოფლიოს ცნობილი დიზაინერები წარმოადგენენ თავიანთ პროდუქციას. ევროპიდან იქ ჩასული დიდი მალაზიების მფლობელები აუცილებლად ესწრებიან ამ შოუს და აფორმებენ კონტრაქტებს იმ დიზაინერებთან, რომლებიც მათთვის მისაღებ პროდუქციას ქმნიან. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, წლეულს პირველად, ამ შოუში მონაწილეობას მიიღებს შპს „თექა“. ამასთან დაკავშირებით, მის ერთ-ერთ დამფუძნებელს — ცისანა ძოთილაიძეს ვესაუბრეთ.

# ქართული ტექა აშურდკაში

## ნათია თენიშვილი

— ქალბატონო ცისანა, როგორც ვიცი, თქვენ თექას ავსტრალიური მატყლისაგან ამზადებთ.

— თავიდან, როცა ჩემმა დამ — ლიამ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, ის თუშურ მატყლს იყენებდა. მისი ნახელავი შემთხვევით ნახა ერთმა ამერიკელმა, მოეწონა და შეკვეთები მისცა. მატყლითაც ის ამარაგებდა. ჩემი მეორე და — ლეილა, ამერიკაში ცხოვრობს. სწორედ მან შემოგვთავაზა იქაური ბაზრის ათვისება. ქსოვილს ვაწარმოებთ ავსტრალიური მერინოსის მატყლისგან, უძველესი თუშური ტრადიციებით. ყველაფერი ხელით კეთდება და ქსოვილი, როგორც ყველა შალი, სამკურნალო თვისებებს შეიცავს.

— მარტო ლაბადებს ამზადებთ?

— არა, კვერავთ ყველაფერს და თქვენ წარმოიდგინეთ, საყოფაცხოვრებო ნივთებსაც კი. მე მაქვს ყავის ჭიქა, რომელსაც შემოკრული აქვს თექა. ძალიან სასიამო-

ვნოა ამ ჭიქით ყავის დაღვევა. კვერავთ ყაბალახს, თანამედროვე ესკიზებით. ქალმანი გადავქციეთ ოთახის ჩუსტად და ა.შ.

— ამერიკაში წასვლას როდის აპირებთ?

— ჯერ მზადების პროცესში ვართ. შოუზე გასატანად აუცილებელია 150 ეგზემპლარი მაინც. ვამზადებთ ასევე სარეკლამო ბუკლეტებსაც. თექის ნაწარმის რეკლამირებას სხვა მოდელებთან ერთად, მსახიობი ნინო ხომასურიძეც ახდენს.

„ეს ჩვენი შემოქმედებითი კავშირია. ცისანა ჩემი მეგობარია. მასთან ვიყავი და უბრალოდ მოვიზომე ლაბადა. ეტყობა, მოეწონა და მოხოვა, რეკლამისთვის გადაძელო სურათები. მეც დავთანხმდი ფოტომოდელობაზე. ამერიკაში გასაგზავნი ბუკლეტების ფოტოები ჩვენმა მეგობარმა — იური მეჩითოვმა გადაიღო“, — მითხრა მსახიობმა.


— რამდენად მოსახერხებელია სატარებლად თექის ნაწარმი?

**ნინო ხომასურიძე:**

— გადასარეგია, გახდა აღარ მინდო-

და. ცისანას შევეცოდე და ყაბალახი მაჩუქა. თუმცა, ახლა პარიზში მივდივარ და დამპირდა, რომ ლაბადას მაჩუქებს. უზარმაზარი იდეები გვაქვს მე და ცისანას — არა მხოლოდ ამერიკასთან, არამედ ევროპასთან დაკავშირებითაც, მაგრამ კონკრეტულად ჯერ არაფერს ვიტყვი.

*P.S. აქვე გავარკვეით ისიც, რომ ქალბატონი ნინო 20 თებერვალს პარიზში მიდის ახალ ფილმში მონაწილეობის თაობაზე მოსალაპარაკებლად. ჯერ არც რეჟისორი ვიცი, ვინ არის, არც სცენარი და არაფერი სხვა, მაგრამ ალბათ დავთანხმდებით, — მითხრა მან.*



ნინო ხომასურიძე



მ  
ე  
რ  
ე  
ბ  
ე  
ბ

წარმატება არასდროს არ ეძებს ადამიანს, მას თავად ადამიანმა უნდა მიაგნოს.

უ. ბრაიანი

გენიალური



# „კონსტანტინე გაშსახურდია ჩემი შუკრილი კოსტიუმით დაკნძალეს“

მანია კახიძე

— ძია საიათ, მიაშხეთ თქვენს ცხოვრებაზე. საიდან, როგორ აღმოჩნდით თბილისში?

— მამაჩემი ნავი, ირანელი აზერბაიჯანელი გახლდათ. 18 წლის იყო, ირანში აჯანყება რომ დაიწყო და სხვებთან ერთად წამოსულა იქიდან. ზოგი გორში დასახლდა, ზოგი — ბაქოსა და ქუთაისში, მამაჩემმა კი თბილისი აირჩია. მერე, თბილისელი აზერბაიჯანელი ქალი ითხოვა, ვერაზე, პეტრიაშვილის 37-ე ნომერში ეზო იყიდა და საკუთარი ხელით ააშენა სახლი. დიდი კონსტანტინე გამსახურდიას მეზობლები ვიყავით. ნაღდი ვერელი ვარ! ვერას ისეთი განსაკუთრებული გემო აქვს, ამის გადმოცემა გამიჭირდება. მე ვერამ და ვერელებმა გამოზარდეს და ძალიან ვამაყობ ამით... მერე, 1937-ში, მამაჩემი დააპატიმრეს და ათი წლით გააციმობირეს. დედაჩემი ექვსი შვილით მარტო დარჩა. მამა გზის მშენებელი იყო. ელბაქიდის დაღმართი, კრწანისის აღმართი და ბევრი სხვა ქუჩა, მისი ნახელავი ქვაფენილით არის მოკირწყლული. ახლაც არ ვიცი, რისთვის დააპატიმრეს. ტყუილუბრალოდ აგვირიეს ოჯახი. ციმბირიდან დაბრუნებულმა, მხოლოდ ექვსი თვე იცოცხლა. იმდენი რამ გადაიტანა, სისხლი ჩაექცა და მოკვდა. ორთაჭალაში, განჯის სასაფლაოზე დაკრძალული. ამის შემდეგ, 1950 წელს, ირანელობის გამო, ჩემი ოჯახი შუა აზიაში გადასახლეს, მაგრამ ისე მიყვარდა საქართველო, თბილისში დაბადებულს სადღაც ჯანდაბაში, აზიაში როგორ უნდა მეცხოვრა?! ჰოდა, არ წავედი, დაძრული მატარებლიდან ჩამოვხტი, მარჯვენა ფეხი

სწორედ მაშინ მოვიტეხე და დღესაც ინვალიდი ვარ... ცის და ღვთის ანაბარად დარჩენილი, გივი სამოსონაძემ (აცხონოს ღმერთმა!) წამიყვანა და სუფსაში გადამალა. იქ ტარიელ ჭანტურიას მამის, ბატონი პროკოფის ოჯახმა შემიკვდლა, საკუთარი შვილივით მივიღინენ. მერე, ბათუმში ვცხოვრობდი. ხრუშჩოვმა ამნისტია რომ გამოაცხადა, თანდათან თავი დამანებეს, ჩემი ოჯახის წევრებიც თბილისში დაბრუნდნენ და ყველაფერი კალაპოტში ჩადვა.

— ხელობა ვინ გასწავლათ?

— ვერის ბაზარში ვატარებდი დროს. ბავშვურად, ცოტა ხელმრუდეც ვიყავი. ერთ დღეს, ვერელმა დათიკო გველეხიანმა მითხრა: რას დგახარ უსაქმოდ? — წამოდი, ხელობა ისწავლეო. მანვე მიმაბარა ოსტატს — ბესო ყამარაულს. იცით, რა კაცი იყო ჩემი ოსტატი? ნაღდი მოხვევე, სამართლიანი, მკაცრი... მისმა სიმკაცრემ მაქცია სწორედ კაცად.

— ცოლად თბილისელი გოგო ითხოვეთ ალბათ.

— 25 წლისა დავქორწინდი. ჩვენი უბნელი გოგო შემიყვარდა. ერთი შვილი შეგვეძინა — ნაილი. აზერბაიჯანელ კაცს ერთი შვილი არ ეპატიება, მაგრამ მეტი არ გავვიჩნდა და... ჩემმა ქალიშვილმა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. ახლა ბაქოში ცხოვრობს ქმარ-შვილთან ერთად და ჰყიდარ ალიევთან კანცელარიაში მუშაობს თარჯიმნად. ნაილიმ წიგნი გამოსცა საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების შესახებ. როინ მეტრეველს ვაჩუქე და ძალიან მოეწონა. სამი შვილი ჰყავს ჩემს გოგოს, ორს თბილისში ვზრდით.

**რაც მართალია — მართალია დღეს ბევრი მოდელიერი გვყავს საქართველოში. ლამის ყოველკვირა ენცობა დეფილე, მაგრამ ვიდრე ქართული მოდა 21-ე საუკუნის დაბეჭობას განიზრახავდა, ქართველი თერძები არც მანამდე ყოფილან გულხელდაკრეფილნი. ერთ-ერთი მათგანი, თბილისში დაბადებული და ვერაზე გაზრდილი სანიბო ჯალილ სოფია გახლავთ, რომელიც აგერ უკვე 55 წელია, დიდი გატაცებით უკერავს კოსტიუმებს თბილისის ყველაზე ცნობილ ადამიანებს. ვერელ ოსტატს თავის ატელიეში ვენვიე.**




უფროსმა ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა, ამჟამად შინაგან ჯარში მსახურობს, ოფიცერია, პანკისშიც რამდენჯერმე იყო... კიდევ რა გაინტერესებს?

— ვერაზე თქვენი მეგობრები ვინ იყვნენ?

— მე მაქვს უფლება, მართლაც მეგობრები ვუწოდო მათ, ვამაყობ ჩემი მეგობრებით — თამაზ და ოთარ ჭილაძეებით, ჯანსუღ ჩარკვიანით, ვიზო ნიშინანდით, ნიაზ დიასამიძით...

— თქვენ თქვით, კონსტანტინე გამსახურდიას მეზობელი ვიყავიო. ზვიად გამსახურდიასთანაც ამხანაგობდით?

— მე ზვიადზე უფროსი ვიყავი, თან — სხვა წრის ბიჭი იყო, თავისებური, მინცდამინც კონტაქტში არ შემოდიოდა ჩვენთან, მაგრამ სალამს ვერ დაასწრებდი. თუ მიხვიდოდი და შენს გასაჭირს ეტყვიდი, რაც შეეძლო, დაგეხმარებოდა, უბნის ბიჭების თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებდა...



— ენ. „ბირუაზე“ არ გამოდიოდა სოლმე?

— როგორ არა? მაგრამ ძირითადად, წყნარად იქცეოდა. საერთოდაც, მოსმენა უფრო უყვარდა.

— კონსტანტინე გამსახურდიას როგორი ურთიერთობა ჰქონდა ირანელ მეზობლებთან?

— ძალიან კარგი, ოღონდ, პირადად მე, სალამსაც ვერ ვუბედავდი. ერთ მშვენიერ დღეს კი, გავიხედე და ატელიეში მოვიდა მძლოლთან ერთად. ვაჰ, თვალები ლამის ამოძიკვივდა გაცივებისაგან. ირაკლი აბაშიძეს შენ უკერავ კოსტიუმსო? — მკითხა. — დიან-მეთქი, — ვუპასუხე. — მეც შემიკერეო. დავტრიალდი და შესანიშნავი პიჯაკი და შარვალი „გამოვუწყვე“. წასადებად რომ მოვიდა — რამდენი გადაგიხადლო? — ვიუარე. — ირაკლი აბაშიძე რას გაძღვევსო? — არ ვიცი, კონვერტით მძღვევს-მეთქი, — ვიცრუე. რა უნდა მექნა? ამხელა მწერლისთვის რა უნდა მუშაობა?! — 800 მანეთს მოგცემო, — თვითონვე „დაადო ფასი“ ჩემს ნახელავს. ხუთი დღის მერე, ვხედავ, ისევ მოვიდა: ძალიან მომეწონა, 1.000 მანეთს მოგცემ და კიდევ შემიკერეო... აი, ასე დაიწყო ჩვენი სიახლოვე. უამრავი კოსტიუმი შემიკერავს კონსტანტინე ბატონისთვის. ავად რომ იყო, სახლში მივდიოდი ზომების ასადებად. ძალიან უყვარდა ჩემთან საუბარი, მეც დიდი გული-სყურით ვუსმენდი ამ ბრძენკაცს... ერთ დილას კი, ზვიადი მოვიდა. ისეთ ცუდ გუნებაზე იყო... საიათჯან, მამა დამელუპაო, — მითხრა. ვაჰ, ისეთივე ელდა მეცა, როგორიც მაშინ, პირველად რომ ვნახე ატელიეში კონსტანტინე გამსახურდია. ახალ კოსტიუმში მინდა დავასაფლავო და რა ვქნათო? — მითხრა. — ნუ შეწუხდები, არხეინად იყავი, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ-მეთქი. მისივე მანქანით გავიქეცი მაღაზიაში, შავი ქსოვილი ვიყიდე და საღამოს 5 საათზე კოსტიუმი მივიტანე კიდევ. ზვიადმა რომ დამინახა, გაგიჟდა — უკვე მზად არისო?! რამდენიმე დღის შემდეგ, დაკრძალვაზეც მივედი, ჩემი ადამიანური ვალი მოვიხადე ამ დიდებული ქართველის წინაშე.

— როგორ მოახერხებ 4-5 საათში კოსტიუმის შეკერვას?

— ბიჭებიც ღაცხმარე. ხომ 72 წლისა ვარ, მაგრამ დღესაც, საჭირო რომ იყოს — დილას მოდი, საღამოს მზად იქნება. აუცილებელი სულაც არ არის, ვინმე გარდაიცვალოს — ბედნიერებაში რა, კოსტიუმი საჭირო არ არის? ნეფესაც უცბად ჩავცემე, მაშ...

— თქვენი სხვა, ცნობილი კლიენტების ვინაობას ხომ ვერ გამიმხელთ?

— მკერავი ვარ, შვილო, რა მაქვს დასამალი?! რაღაცნაირად, ისე წავიდა ჩემი ცხოვრება, სულ მწერლებს, პოეტებს, ინტელიგენციას ვუკერავდი და ვუკერავ: ირაკლი აბაშიძეს, იოსებ ნონეშვილს, მორის ფოცხიშვილს, ნოდარ დუმბაძეს, გიზო ნიშნიანიძეს, ჩემს საყვარელ ძმებს — ჭილაძეებს, ჯანსუღ ჩარკვიანს... ჯანსუღი მუდამ თავს იწონებს — საიათას შეკერილიაო. როინ მებრეველსაც დღემდე, მე ვუკერავ...

— ყველაზე მომთხოვნი რომელია?

— (იცინის) თამაზ ჭილაძე.

— ჰო, მართლა, კონსტანტინე გამსახურდიას რომ უკერავდით, ზვიადისთვის არ შეგიკერავთ კოსტიუმი, მისი პრეზიდენტობის დროს?

— არა, არც ერთი პრეზიდენტისთვის არ შემიკერავს, მაგრამ შევარდნაძემ ღირსების ორდენით დამაჯილდოვა!

— საიდან იცის ედუარდ შევარდნაძემ თქვენი ოსტატობის შესახებ?

— ვაჰ, როგორ თუ საიდან? ლამის მთელ თბილისს ჩავაცვი და!..

— კარგი, პრეზიდენტობისთვის არ შეგიკერავთ, მაგრამ მინისტრებისთვის ან სხვა თანამდებობის პირებისთვის?

— ადრე, ჯუშუბერ პატიაშვილსაც ვუკერავდი. იცი, ჩემი საყვარელი კლიენტი კიდევ ვინ არის? გენერალი ავთანდილ იოსელიანი. საყვარელი-მეთქი, რომ ვამბობ კლიენტზე, პროფესიული „ზღვლიადით“ ვამბობ: ბატონი გენერალი ძალიან კარგი „რანშმერების“ კაცია, ისეთი ტანი აქვს, ავღილად იკერება მისი ტანსაცმელი. ხელოვნისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს... ჰო, იმას ვამბობდი — ჩემი გოგო ხომ ბაქოში ცხოვრობს და ერთხანობას, საშინლად ვდარდობდი, ვერ გადამეწყვიტა — წავსულიყავი თბილისიდან თუ არა. ასეთ დღეში რომ ვიყავი, ბატონმა ავთომ დამაწყნარა, კეთილი სიტყვა მითხრა და ძალიან დამეხმარა, საკუთარ თავში გავრკვეულიყავი. დიდი მორალის კაცია. იმ ხანებში, ისე უხასიათოდ ვიყავი... ახლა, თამაზ ჭილაძემ წამიკითხა ნოტაცია. რომ ვუთხარი — შეიძლება წავიდე, თამაზჯან-მეთქი, — შავ დღეში ჩამავლო: გიჟი ხომ არა ხარ, უთბილისოდ მაინც ვერ გაძლებ,

დაჯექი და შენი საქმე გააგრძელო... ჰო, მერე იცი, კიდევ რა მოხდა? — ავთანდილ იოსელიანმა ვალერი ჩხეიძეც მოიყვანა ჩემთან და ისიც გამოვაწყვე... ჩემთვის, მაგალითად, ის დღეა ყველაზე კარგი, როცა ადამიანს გავახარებ, კონტად მოერგება ჩემი ნახელავი და კმაყოფილი წავა. გეფიცები, ჩემი კლიენტები უზომოდ მიყვარს...

— საინტერესოა, თქვენ თვითონ ვინ გიკერავთ?

— ჩემი ხელები. ეს ატელიე კოსტავას ქუჩაზე, 72-ე ნომერში მდებარეობს, მაგრამ უკვე ისეთი „ბებერია“! ცოტა უნდა გავახლო აქაურობა. ერთბაშად არ გამომდის, ნელ-ნელა ვაკეთებ — ძვირია ყველაფერი და რა ვქნა?! იცი, სახელიც შევარჩიე და ეგეთი რაზე მინდა დავარქვა: „სალონი „ფრენჩი“ — ვერელი საიათა...“ „ნიჩევი“, არა?

— ძია საიათ, ასე ძალიან რომ გიყვართ თბილისი, ქართულადაც მშვენივრად ლაპარაკობთ, ქართულ კერძებს თუ ამზადებთ ოჯახში?

— ყველაფერს ვამზადებთ, მაშ, როგორ?! უკვე აღარ ვიცი, რა არის ქართული და რა — აზერბაიჯანული. ოჯახში, უფრო მეტად, ქართულად ვლაპარაკობთ. სიყვარულით კი, ნივთიან ღობილი მიყვარს მშინილთან ერთად, კიდევ — საცივი; მჭადზე და ყველზე ვეიჟლები... ის კი არა, ჩემს გოგოს აქედან ვუგზავნი ხოლმე ღერძილს, მჭადის ფეხელს, გორულ ვაშლს... შვილო, კარგად შემომხედე: ხომ გჯერა, რომ ამ ხნის კაცი ტყუილს არ გეტყვი? ჰოდა, იცოდე — მე ძალიან მიყვარს ჩემი თბილისი, ჩემი საქართველო, ჩემი საქმე, ის ადამიანები, ვისაც 55 წელია ვაცემე, ის ადამიანები, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ ჩემს გულში სამუდამო ადგილი აქვთ დამკვიდრებული, მათი საფლავები და ა.შ. შვილთან წასვლაზეც უარი ვთქვი. ახლა კი, შენა თქვი — როგორი კაცია ძია საიათა?! ჰო, აქა ვარ და აქ უნდა მოვკვდე, ოღონდ — ჯერ არა, ჯერ არ მინდა! ვინც გინდა, მოიყვანე — ჩავაცემე, შენმა და ჩემი გოგოს მზემ!..



სამწუხაროდ, სტატისტიკა ხშირ შემთხვევაში უმონწილოა — ქმრების დაახლოებით 80% ცხოვრებაში ერთხელ მაინც ღალატობს ცოლს. თუმცა, ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მცირეა იმ მოღალატე მამაკაცთა რიცხვი, რომლებიც ცოლის მიტოვებასა და საყვარელთან წასვლაზე სერიოზულად ფიქრობენ. მიუხედავად ამისა, ასეთი გადწყვეტილების მიღება ზოგიერთ მათგანს მაინც უხდება. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ხშირ შემთხვევაში, ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ მათ თავიანთი საბედისწერო შეცდომებით, სწორედ სასონარკვეთილი ცოლები უბიძგებენ.

## მოტყუებული ცოლების საბედისწერო შეცდომები

მეუღლის ღალატის შეტყობისას, ქალმა შესაძლოა, თავი დაკარგოს და სისულელეები აკეთოს, ამით მხოლოდ ოჯახიდან ქმრის წასვლას შეუწყობს ხელს

მორიდებული ქალბატონის გარდასახვა აღვირახსნილ ქალად

აი, მოტყუებული ქალის ჩვეული აზრები: „რადღან ქმარს სხვისკენ გაუნა ვულმა, ეს იმას ნიშნავს, რომ მე, როგორც ქალი, აღარ ვაკმაყოფილებ. რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ჩემს კისერზეა: სახლი, კარი, ბავშვები, სამსახური, საღლა მაქვს ლოგინზე ფიქრის დრო?! ვინ უნდა მოვევო და დაკარგული ავინაზღაურო!“ ასეთი საინტერესო დასკვნის გამოტანის შემდეგ, ქალი აქტიურ ქმედებაზე გადადის (რაღა თქმა უნდა, რჩევას მეგობარს ეკითხება ან მისთვის საინტერესო თემაზე დაწერილ წიგნში ეძებს). რას მივიღებთ შედეგად? გარეგარე ვართობამოყრცხებული ქმარი მშობლიურ ბუდეში, კანონიერ ცოლთან ბრუნდება, რომელთანაც სულაც არ სჭირდება კანონიერ როლში ყოფნა, რადგან მასთან კარგად შეჩვეული და მეუღლე ლოგინი აქვს. მაგრამ მოლოდინი არ უმართლდება და ქმარს

საკუთარ საძინებელში, მისთვის სრულიად უცხო ქალბატონი ხვდება: სანთლებით განათებულ ოთახში, შავ წინდებსა და სექსუალურ, წითელმაქანებთან საცვალში გამოწყობილი „უცნობი“, საკუთარი ტემპერამენტის დემონსტრირებას საკმაოდ მოუხერხებლად ახდენს (ქალი ქმრის მოსვლაზე ამ ილუზიების სწავლას წიგნის ან ტელევიზორის მეშვეობით ცდილობდა). ქმარი გაოგნებულია... შესაძლოა, მამაკაცი ოდესღაც ოცნებობდა კიდევ, რომ ცოლი ლოგინში შედარებით თავისუფლად და თამამად მოქცეულიყო, მაგრამ მეუღლის ასეთი მოჩვენებითი ვნება, მას არაფერში სჭირდება. ცოლის მეტამორფოზის მიზეზს მამაკაცი იოლად ხვდება, შედეგად კი დანაშაულისა და დისკომფორტის გრძობა ერთდროულად ეუფლება. გაითვალისწინეთ: ამ გრძობების შერწყმა საკმაოდ სახიფათო კომბინაციაა ქმნის, რომლის ხშირად გამოყენების შემთხვევაში, თქვენ ქმარს პირდაპირ შინიდან წასვლისკენ უბიძგებთ.



მტაცებელი ფრინველი	ბრტყლად შემწვარი ვარია	კითხვა, რომელსაც პასუხობენ სიგყვით — „იმიტომ“	სახელმწიფო ევროპაში	ცურვის სტილი	ქალაქის გრანსპორტი, რაღაღანით მოძრაობ			
პანტომიმის მსახიობი	სახელმწიფოს საპროტესტო დოკუმენტი	მაღალი ხარისხის ბროლი	სერიული გამოცემის ერთი წიგნი	რიგელი მოჭადრაკე მისილ ...	ფირნიში	გამიანი უალკოჰოლო სასმელი	ფულის ერთეული რუმიენტში	დამფრთხი

ჩემი ქმარი  
გამოუსწორებელია,  
სამაგიეროდ, მე შემოძლია  
შევიცვალო

ასე ვარაუდობენ ქალები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქმრის ღალატის მიზეზი მათი შედარებით მოუვლელი გარეგნობა და საშინაო ტანსაცმელი გახდა. სცენარი ამ შემთხვევაშიც „სექსუალური“ სერიის მსგავსად ვითარდება. ცოლი ვერ ხვდება, რომ ქმრისთვის შინ სადა ვარცხნილობის მქონე, უმაკიაჟო (მით უმეტეს, რომ შინ მაკიაჟი აბსოლუტურად უადგილოა), მისთვის ნაცნობ ხალათსა თუ სპორტულ, გრძელ მაისურში გამოწყობილი მეუღლე ძალზე ძვირფასია (მით უფრო გადაპრანჭულ, ჭარბად სუნამონაკურებ საყვარელთან შედარებით). ქმარს სულაც არ სურს, რომ შინ მკვეთრად შეღებილი, ჟოლოსფერთმიანი და ექსტრავაგანტურსამოსიანი ცოლი ელოდებოდეს. ასეთი მოულოდნელი გარდასახვით კი, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ შედეგს მივიღებთ. ცოლის აკვიატებულ სურვილს, დაინტერესოს ქმარი საკუთარი ახალი იმიჯით, სრულიად საპირისპირო რეზულტატი მოაქვს – მეუღლეში იგი ერთდროულად ზემოთ ნახსენებ, დანამაჟისა და დისკომფორტის გრძნობას იწყებს.

უთქმელი საყვედური ზოგჯერ  
სკანდალზე უარესია

არსებობს ტანჯული ქალების ისეთი კატეგორიაც, რომელიც მოტყუებული ცოლის ხვედრად, ასკეტურ და მღუმარე მოთმინებას მიიჩნევს. ის მეუღლეს ერთ სასაყვედურო სიტყვასაც არ ჰკადრებს, სკანდალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იგი სიტუაციაში გასარკვევად ელემენტარული საუბრის უფლებასაც კი არ მისცემს საკუთარ თავს – ვაითუ, მეუღლე გაანაწყენოს და მანაც არჩევანი საყვარლის სასარგებლოდ გააკეთოს?! ასეთი ცოლები ჩუმად კი არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი არსებით უტყფ საყვედურს გამოხატავენ. ასეთ ქალებს აზრადაც არ მოსდით, რომ სწორედ მათ აწყენინეს, უღალატეს და მოატყუეს. ქალთა ეს კატეგორია მსხვერპლია მთავარი აზრისა, რომ ცოლი თავადაა დამნაშავე, თუკი მას ქმარი ღალატობს. ასეთი თვითჩივილისა და მორჩილების შემხედვარე მეუღლე კი ფიქრობს: „ამას ხომ სჯობდა, ნაძირალა დაემსა ჩემთვის ან გეარაინადაც გავეთათხე!“ ამ სიტუაციაში მამაკაცი თავს ნამდვილ ტირანად აღიქვამს და ეს მას სულაც არ საძოვინებს. გაითვალისწინეთ: მამაკაცი ვერ იტანენ დისკომფორტს და ტოვებენ ისეთ ცოლებს, რომლებიც ხშირად აიძულებენ მათ, განიცადონ ეს გრძნობა.

## „ბარდამავალი ასაკის“ პრობლემები

როგორ მოვახერხოთ ტყუილში ბავშვის მხილება ისე, რომ მისი თავმოყვარეობა შეუღალავი დარჩეს? ეს კითხვა ბევრ მშობელს აწუხებს, ბევრსაც ჩიხში აქცევს ხოლმე. მართლაც, რა ძნელია, თვალი გაუსწორო ასეთ სინამდვილეს: თქვენი ხუთიოდე წლის შვილი, რომელსაც ადრე, მსგავსი რამ არ ახასიათებდა, ახლა წამდაუნწყურ თქვენს მოტყუებას ცდილობს: მაგალითად, ძაღულად გააქრობს ყველა კანფეტს და დაუფიქრებლად, უმანკო თვალებით მოძიარალი გეტყვი, რომ ეს მისმა პატარა დაიკომა ჩაიღინა... ბუნებრივია, თქვენ წინაშე დადგება კითხვა: რისთვის სჭირდება პატარას უმიზეზო ტყუილი?

ფსიქოლოგების თქმით, 4 წლის შემდეგ, ბავშვის ფსიქიკაში სერიოზული ცვლილებები ხდება. ის მეტად აკვირდება გარე სამყაროს, საკუთარ თავს უსვამს ისეთ კითხვებს, როგორც ადრე არ დაფიქრებულა და ცხოვრებაში პირველად, იოლ, მისთვის მოსახერხებელ პასუხებსაც პოულობს. რატომ არ შეიძლება, ავიღო შოკოლადის ფილა? მხოლოდ იმიტომ, რომ დედამ ამიკრძალა?... თუ ბავშვს არც დედის წყენინება უნდა და ტყბილზეც ვერ ამბობს უარს – როგორ უნდა მოიტყვეს ასეთ შემთხვევაში? ძალიანაც მარტივად: უჩუმრად შეექცეს საყვარელ ნუგბარს და მერე, ეს სხვას გადააბრალოს!.. თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ის რწმუნდება: გამოჩნდები აიოლებს ცხოვრებას.

შშობლებმა უნდა იცოდნენ: როცა ბავშვი ფანტაზიორობას იწყებს, ის ვერ ხვდება, რომ ყველაზე უწყინარი ტყუილიც კი, მინც ტყუილია. აქედან გამომდინარე, საჭიროა, არა მკაცრად ნათქვამი შეგონება, არამედ სხვაგვარი, უფრო ფრთხილი რეაქცია. ეცადეთ, მშვიდად გაერკვეთ სიტუაციაში. რაკი თქვენი პატარა ცრუობს – ეი. საამისო მიზეზიც აქვს. წარმოიდგინეთ, რომ მას შეიძლება, თვითონაც უნდა, თქვას სიმართლე, მაგრამ შიშობს, რომ ვერ გაუგებენ... ასეა თუ ისე – მთავარია, არ იჩქაროთ ბავშვის დასჯა! დაფიქრდით – რა შეცდომა დაუშვით თავად და კიდევ, რა შეიძლება შეგეშალოთ ბავშვთან ურთიერთობისას. მხოლოდ საფუძვლიანად აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილება იქნება სწორი.

## რჩევა

ვინ არის დამნაშავე ტალატში?

არ იფიქროთ, რომ თქვენს მეუღლეს ღალატში, სექსუალური, მოვლილი და შესანიშნავად აღზრდილი ცოლი არ სჭირდება. რა თქმა უნდა, სჭირდება, მაგრამ ქალი ასეთი, ან მეუღლების პირველივე დღიდან უნდა იყოს. ან ნელ-ნელა შეიცვალოს ისე, რომ საკუთარი ბუნებრიობა და ინდივიდუალობა შეინარჩუნოს. გაითვალისწინეთ: ასეთი გარდასახვა მოულოდნელად გამოჩნდებოდა მეტოქის შიშში კი არა, ქმრის სიყვარულში უნდა განაპირობოს.

ნუ შეგაშინებთ გულახდილი საუბარი

ქმარმა ვიღალატათ, თქვენ შეურაცხყოფილი და ნაწყენი ხართ? ნუ შეუშინდებით მოღალატის წინაშე თქვენი ჭეშმარიტი გრძნობების დემონსტრირებას! ისიც ხომ თავს თქვენ წინაშე დამნაშავედ გრძნობს. ამ შემთხვევაში კი, სიტუაციის გასანეიტრალებლად გამოდგება კლასიკური სკანდალი (ყველა თავისი ატრიბუტით): ყვირილით, ჭურჭლის მსხვერვითა და დედასთან წასვლის მუქარით. ეს ხომ უფრო ბუნებრივი და თანაც პატიოსანი საქციელი იქნება...

.....! იცოდე, კაბა არ დამიგვიანო!“ („ჭრიჭინა“)	იგალიელი კინოკომი- კოსი	ნადირობის დროს მოკლული ცხოველი *	მავთული	ხერხვის დროს მიღებული ხის ნაფხვენი
თავადამნაურ- ლი გიგული ვეროპაში	ჩრდილო- აღლანტიკური სამხედრო ბლოკი	1000 კგ	მეშობლისად- მი უსასყიდ- ლო დახმარე- ბა ყანაში	გამის ნოტი
			თამაში: „... სული ვსურს“	ძილისპირუ- ლი სიმღერა
				„... სჯობია დონესა, თუ კაცი მოიგონებსა“

### შორენა მერკვილაძე

საუბარი სულიერ მოძღვართან დაკავშირებით, „გზის“ წინა ნომერში დაიწყო. რა შემთხვევაში შეიძლება შევიცვალოთ სულიერი მოძღვარი? როდის უნდა ვთხოვოთ კურთხევა სულიერ მოძღვარს და რა ძალა აქვს მოძღვრის კურთხევას? როგორ უნდა მოვიქცეთ სულიერი მოძღვრის გარდაცვალების შემთხვევაში? რომელი ასაკიდან უნდა შევადგეს ბავშვს სულიერი მოძღვარი? — ამ და სხვა კითხვებთან დაკავშირებით, გვესაუბრება სოფელ დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის მღვდელი, მამა შიო (მენაბდე).

— როგორც საუბრისას აღვნიშნეთ, თუ ადამიანი ატყობს, რომ სულიერ მოძღვართან მისი ურთიერთობა ვერ აწეწო, ანუ სულისთვის სასიკეთოდ ვერ წარმართა, შეუძლია სხვა სულიერი მოძღვარი აირჩიოს. კიდევ რა შემთხვევაში შეიძლება შევიცვალოთ სულიერი მოძღვარი?

— წმინდა მამების ღარიბებით, მორწმუნე ამ საკითხს ძალიან ფრთხილად უნდა მიუღწევს. მათი განმარტებით, სულიერი მოძღვარი უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება გამოვიცვალოთ. მაგალითად, თუ ის მწვალებლობაში ჩავარდა, ან ეკლესიისგან განკვეთეს. თუ ვატყობთ, რომ სულიერმა მოძღვარმა ქრისტეს სწავლებას გადაუხვია და ჩვენც არაჭეშმარიტი გზით მივყავართ; სულიერი მოძღვრის გამოცვლის მიზეზი შეიძლება გახდეს აგრეთვე მისი სხვა (შორეულ) ეკლესიაში გადაყვანა, სადაც სიმორის გამოწერილობითაც კი ვერ ვახერხებთ მასთან ურთიერთობის გაგრძელებას; სხვა სულიერი მოძღვართან გადასვლა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, თუ მიძიდ დასწულდა და ვერ ახერხებს სასულიერო მოღვაწეობას.

— როდის არის აუცილებელი მოძღვრის კურთხევა და რა ძალა აქვს მოძღვრის კურთხევას?

— როდესაც ადამიანს დაოჯახება სურს, აუცილებლად უნდა სთხოვოს კურთხევა მოძღვარს. ასევე საჭიროა მოძღვრის კურთხევა მგზავრობის წინ, სახლის შეძენის ან საცხოვრებლის შეცვლის დროს; იმ შემთხვევაში, თუ ოპერაციის გაკეთება გვესაჭიროება; სამსახურის დაწყების ან შეცვლის დროს. როგორც აღვნიშნეთ, სულიერმა შევიღმა მის ცხოვრებაში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი მოძღვართან შეთანხმებით უნდა გადაჭრას. იმ შემთხვევაში, თუ სულიერი შევიღის მიერ გადასაწყვეტი საკითხი თუ გასაკეთებელი საქმე, მისი



მამა შიო (მენაბდე)

## რა უნდა ვიცოდეთ სულიერ მოძღვართან დაკავშირებით?

სულისთვის სასარგებლოა, მოძღვარი აძლევს კურთხევას. მოძღვრის კურთხევით კი, ადამიანი ღებულბოს უფლის მადლს, რადგან მადლი თვით უფლისგან მოდის და მოძღვარი მხოლოდ ამ მადლის გამტარია.

— ზოგჯერ მოძღვარი თავის სულიერ შევიღს ადებს ეპიტიმას, ანუ საეკლესიო სასჯელს. რა შემთხვევაშია აუცილებელი ეპიტიმია?

— ეპიტიმია მაშინა საჭირო, როდესაც ადამიანი რაიმე ცოდვაში ჩავარდება. ასეთ დროს, მოძღვარმა სულიერ შევიღს შეიძლება დაუნიშნოს მეტანიები, დაუწეოს ლოცვითი კანონი ან გარკვეული პერიოდის მანძილზე უზიარებლობა და სხვა. ე.ი. დაადოს ეპიტიმია. მაგრამ ეპიტიმის დადების დროს გასათვალისწინებელია სულიერი შევიღის, როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური მდგომარეობა. როგორც ექიმის მიერ დანიშნულ ნემსის ჩხვლეტას არ შეიძლება სასჯელი ვუწოდოთ, რადგან ნემსს განკურნებისთვის გვინიშნავენ, ასევე არ შეიძლება, ეპიტიმია ჩაითვალოს სასჯელად. ეპიტიმია საჭიროა სულის სამკურნალოდ, მის სრულყოფილად განსაწმენდად. ეპიტიმია, ანუ დაკანონება, უნდა გავყოთ როგორც სინანულის დრო, როდესაც ადამიანი ნანობს ჩადენილ არაქრისტიანულ საქციელს და გარკვეული დროის განმავლობაში, განსაკუთრებულად ვევედრება ღმერთს ცოდვების პატიებას.

— როგორც საუბრისას აღვნიშნეთ, სულიერი მოძღვრის ცხოვრებაში ამა თუ იმ ცხოვრებისეული პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში, სულიერი შევიღი მოძღვარს სულიერად უნდა შეენიოს (იკითხოს ლოცვები სულიერი მოძღვრისათვის და სხვა). უნდა შეენიოს თუ არა სულიერი შევიღი სულიერ მოძღვარს

### მატერიალურადაც?

— კორინთელთა მიმართ პავლე მოციქულის მიერ მიწერილი ეპისტოლეის თანახმად: „უკე თუ ჩვენ სულიერი დავსთესეთ თქვენს შორის, დიდმე რა არს თქვენგან თუ ხორციელი მოვიმოთ ჩვენ?..“ (I კორინთელთა 9, 11-12). მოციქულთა 41-ე კრების დადგენილებით, ვინც საკურთხეველთან დგას საკურთხეველიდან უნდა საზრდოობდეს. რაც თვითონ უფალმა ბრძანა. მოციქულთა მე-6 კრების დადგენილებით: „მაგრამ უნდა იკმარონ ის, რაც მოაქვს მომანს“. აქედან გამომდინარე, სასულიერო პირები უნდა იყვნენ მრევლის კმაყოფაზე. ასევე, თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, სულიერი მოძღვარი მრევლის, ე.ი. სულიერი შევიღების კმაყოფაზე უნდა იყოს. პირველ რიგში იმიტომ, რომ მას არ დასჭირდეს მატერიალურზე ზრუნვა. მოძღვარმა მიელი თავისი დრო, სულიერი შევიღების დამოძღვრას უნდა მოახმაროს. თუ მოძღვარს მატერიალური პრობლემების მოგვარებაზე მოუწევს ზრუნვა, ბუნებრივია, მას დრო აღარ დარჩება იმისათვის, რომ თავისი სულიერი შევიღები სულიერად ასაზრდოოს. თუკი სულიერი მოძღვარი სულიერ საზრდოს გვაძლევს, რატომ არ უნდა შევეწიოთ ჩვენ მატერიალურად, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღვთისგან დადებული პასუხისმგებლობაცაა. მართალია, სულიერი შევიღები უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ სულიერ მოძღვარს მატერიალურად უნდა შეეწიონ, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, მათი სურვილისამებრ.

— როგორ უნდა მოიქცეს სულიერი შევიღი სულიერი მოძღვრის გარდაცვალების შემთხვევაში?

— ასეთ დროს, სულიერი შევიღი ვალდებულია, ლოცულობდეს გარდაცვლილი მოძღვრის სულისთვის, ევედრებოდეს ღმერთს, რომ მისი სული დაეგანოს ცათა სასუფეველში. გარდაცვლილი სულიერი მოძღვრის ნაცვლად კი, სხვა სულიერი მოძღვარი უნდა შეარჩიოს.

— როგორ უნდა შევჩვიოთ ბავშვი მოძღვართან ურთიერთობას და რა ასაკიდან უნდა შევეურჩიოთ მას სულიერი მოძღვარი?

— ბავშვი მონათლება თუ არა, ამის შემდეგ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება სწორად ვაზიაროთ. თუ ძალიან პატარა არ არის, ვეცადოთ, სწორად ვატაროთ ეკლესიაში. როდესაც აღსარების თქმის სურვილი ექნება, უნდა მივიყვანოთ მოძღვართან (დაძალებით არ უნდა დავაძალოთ). ეს ყველაფერი ბავშვს მოძღვართან ურთიერთობას მიაჩვევს. რაც შეეხება სულიერი მოძღვრის შერჩევას, მას ზრდასრულობის ასაკში, საკუთარი სულის კარნახით შეარჩევს.

ამას წინათ, აშშ-ში გამართულ, ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებით იასპარეზა 15 წლის თბილისელმა გოგონამ, სოფო მელიქიშვილმა. მან მაიამიში, „ორანჯ ბოლის“ სახელით ცნობილ, პრესტიჟულ ტურნირში გაიმარჯვა, ხოლო მეორე, არანაკლებ სოლიდურ შეჯიბრებაში, რომელსაც „ვინტერ კაპი“ ჰქვია, მეორე ადგილი დაიკავა. ადრეულ ასაკში ქართველი ჩოგბურთელების მიერ მიღწეული წარმატებები გასაკვირი არ არის (სამწუხაროდ, მერე უჭირთ ხოლმე მსოფლიო ელიტაში გზის გაკვალვა). არც სოფო მელიქიშვილის ეს გამარჯვებები იქნებოდა სენსაციური, რომ არა ერთი ფაქტი: ორიოდე წლის წინ, სოფო ჩოგბურთისთვის თავის დანებებას აპირებდა, ამის მიზეზი კი, საკმაოდ უცნაური იყო: საჩოგბურთო ენაზე რომ ვთქვათ, მელიქიშვილმა „ჩანოდება დაკარგა“.



# „ორანჯ ბოლი“ სოფო მელიქიშვილი სოფო მელიქიშვილი

## ქაბა ლეონიძე

აშშ-ში ჩასულმა (სხვათა შორის, მამინაც მაიამიში იყო ჩასული, „ორანჯ ბოლის“ ტურნირში სასპარეზოდ), სტრესი გადაიტანა, თბილისში დაბრუნებულმა ვერა და ვერ დაუმიზნა ჰაერში ავადმჯობურთს ჩოგანი — ხან საერთოდ აცდენდა ჩოგანს, ხან ისე სუსტად ურტყამდა, რომ ძლივს აწვდენდა ბურთს ბადეს. გახურებული თამაშისას კი რვიანად ხმარობდა მარჯვენას, მაგრამ რად გინდა? — ვინც ჩოგბურთში ოდნავ მაინც ერკვევა, იმას კარგად მოეხსენება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაწოდებას. მხოლოდ ჩოგბურთელთათვის დამახასიათებელი ამ სენისგან სოფო მელიქიშვილის განკურნებას ვინ აღარ ეცადა. მორიგობით ავარჯიშებდნენ ლეგენდარული ჩოგბურთელები და დიდებული მწვრთნელები: ალექსანდრე მეტრეველი, თეიმურაზ კაკულია და ლეილა მესხი. ამოდ — სოფო კვლავ უნიათოდ იქნედა ჩოგანს. არც ცნობილი ამერიკელი მწვრთნელის,

ნიკ ბოლიტიერის საჩოგბურთო აკადემიაში დანერვილმა სპეციალურმა ვარჯიშებმა უშველა გოგონას და ბოლოს, თითქმის იმედგადაწურული ნიჭიერი ჩოგბურთელის მამამ კიდევ ერთ მწვრთნელთან, ალიკა ყარანგოზიშვილთან მიიყვანა, თან იდეაც შესთავაზა: მარცხენა ხელით ხომ არ ეცადა თამაში? რა ვიცი — იქნებ, ცაცია მარჯვენაზე ნაკლები არ აღმოაჩნდესო. ალომ არ უმტყუნა მირიან მელიქიშვილს — მალე სოფო შეეგუა „ახალი“ ხელით თამაშს და კარგ შედეგსაც მიაღწია. ახალმა მწვრთნელმაც, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს, სწორად წარმართა სამწვრთნელო პროცესი და სოფო მელიქიშვილიც ძველებზე უკეთ ათამაშდა. ამის საუკეთესო დადასტურებად იმის თქმაც საკმარისია, რომ სოფომდე „ორანჯ ბოლიში“ არც ერთ ქართველ ჩოგბურთელს არ გაუმარჯვია. ბუნებრივია, რომ გოგონა ახლა, ძველებური განცდის გარეშე საუბრობს იმ საჩოგბურთო სენზე, რომელიც მოიხადა და თავის დროზე, თურმე სახელგანთქმულ ავსტრიელ თომას მუსტერსა და რუს მეჩოგნე-სექს-სიმბოლოს, ანა კურნიკოვასაც სჭირდა.

სოფო მელიქიშვილი კვლავ ამერიკაშია და მორიგი ტურნირისთვის ემზადება. „გზა“ ტელეფონით დაუკავშირდა ქართველ ჩოგბურთელს.

— სოფო, გილოცავთ მაიამის ტუ-

რნირებზე წარმატებით ასპარეზობას! უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ 2 წლის წინ მაიამიში დაკარგული ჩანოდება ისევ ამ ქალაქში დაიბრუნეთ?

— დიდი მადლობა მოლოცვისთვის. მისარა, რომ ბოლოს და ბოლოს, ქართველმა ჩოგბურთელმა შეძლო „ორანჯ ბოლის“ მოგება. მართალია, თბილისიდან წამოსვლამდე, უკვე მარცხენა ხელით ვაწვდიდი ბურთს, მაგრამ მართლაც, ამერიკაში დავამტკიცე პრაქტიკულად, მიღწეული შედეგით, რომ კვლავ შემიძლია ძველებზე უკეთ თამაში. ისე გამოვიდა, რომ ამერიკა, მაიამი და „ორანჯ ბოლი“ ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანეს სახელებად იქცა და თუ უწინ, ავად ვიხსენიებდი, „ორანჯ ბოლის“ მოგების შემდეგ, ყველაფერი შეიცვალა.

— თბილისიდან რომ წახვედით, არ აპირებდით ამერიკაში დარჩენას. რატომ შეცოვდით ამდენ ხანს მაიამიში?

— როცა „ორანჯ ბოლის“ და „ვინტერ კაპის“ ტურნირებზე წარმატებით ვიასპარეზე, ჩემი ავტორიტეტი უცებ ამაღლდა აქაურ საჩოგბურთო წრეებში, ბევრი ქომაგი გამომიჩნდა. საჩოგბურთო ინვენტარის მწარმოებელი ფირმები დაფაცურდნენ, მათი აგენტები ხან ჩოგანს მანიჭებდნენ ხელში, ხან სპორტულ ჩანთას — ჩვენთან გააფორმე კონტრაქტი, ინვენტარით ჩვენ უზრუნველგყოფთო. მაიამის ერთ-ერთმა საჩოგბურთო კლუბმა კი, თავის კორტებზე ვარჯიში შემომთავაზა — რა თქმა უნდა, უფასოდ. სიამოვნებით დავთანხმდი, დავრჩი და ვვარჯიშობ — ნაღდი პროფესიონალის რეჟიმით, საუკეთესო პირობებში. მწვრთნელ-



იც საუცხოო მყავს — ვენესუელელი დომინგო ალვარესი. თავის დროზე, არაერთ ცნობილ ჩოგბურთელთან უმუშავია. ამ კლუბს „ექსტერნ ტენის კლბი“ ჰქვია და აქ ვარჯიში თვეში 3.000 დოლარი ღირს, მე კი ერთ ცენტსაც არ მახდევინებენ.

— თანაც, თბილისურ ზამთარსა და ყინვებს გაერიდეთ...

— ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია. ჩემთვის მთავარია, რომ ძალიან კარგ პირობებში ვვარჯიშობ, კარგი მწვრთნელი და კარგი სპარინგ-პარტნიორები მყავს. სხვათა შორის, კლუბი ოკეანის ნაპირთან ახლოს მდებარეობს, პლაჟიდან 20-30 მეტრშია ის კოტეჯი, სადაც მე და მამამეძი ვცხოვრობთ. თავისუფალ დროს, სულ წყალში ვარ, დელფინებს ვეთამაშები, ვცურავ.

— ეი. კონტრაქტის გაფორმებაც შემოგთავაზეს. ხომ არ მოგიწონიათ ხელი?

— არა, კონტრაქტამდე ჯერ საქმე არ მისულა. ჩემთვის უმჯობესია, ევროპის რომელიმე კლუბთან გაავფორმო კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში, მარტო ამერიკაში კი არა, ევროპის ქვეყნებში მოწყობილ ტურნირებშიც შევძლებ მონაწილეობას. იმედი მაქვს, რომ მომავალში, უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწევ. უკვე უფროსი ასაკის ჩოგბურთელებთან ასპარეზობისას, გამოცდილებასაც შევიძინე და მომეგებიანი კონტრაქტის გაფორმების საშუალება მომიცემა.

— ამერიკაში ქართველ ჩოგბურთელებს ხომ არ შესვენების ართ?

— კი, სალომე დევიძე და ლადო ჩიხლაძე ენახე, „ორანჯ ბოლის“ ტურნირზე ითამაშეს. სამწუხაროდ, ორივე, პირველსავე წრეში დამარცხდა. ძალიან მეწყინა მათი წარუმატებლობა. 2-3 დღე ვიყავით ერთად, მერე სალომე და ლადო ქალაქ ბოკარატონში წავიდნენ — იქ ცხოვრობენ და ბოკარატონის საჩოგბურთო აკადემიაში ვარჯიშობენ. ეს ქალაქი მაიაშიდან 50 კილომეტრშია და იმედი მაქვს, რომ კიდევ ენახავ ლადოსა და სალომეს.

— საბოლოოდ გადაწყვიტეთ ქალთა ჩოგბურთში გადასვლა? ასაკობრივ ტურნირებს აღარ ითამაშებთ?

— ჯერ 15 წლის ვარ, ჩოგბურთში კი ასაკობრივი ზღვარი 18 წლის შემდეგ იშლება. ასე რომ, 3 წლის მანძილზე შემიძლია, ასაკობრივ ტურნირებშიც ვიასპარეზო და პროფესიონალებშიც. აქცენტს პროფესიონალთა ტურნირებზე გადავიტან, თუმცა, შიგადაშიგ, ასაკობრივ შეჯიბრებებშიც გამოვალ, ოღონდ — 16 წლამდე ჩოგბურთელთა ტურნირებში აღარ ვითამაშებ, მხოლოდ 18 წლამდე გოგონათა შორის, სერიოზულ შეჯიბრებებში ვცდი ძალებს.

— როგორ ფიქრობთ — შე-



ძლებთ პროფესიონალებში ფეხის მოკიდებას? იქ უღიმობელი კონკურენციაა, მეტი დატვირთვა და მოთხოვნაა, თქვენ კი მხოლოდ 15 წლის ხართ.

— თუ ყველაფერი ჩემი და ჩემი მწვრთნელის, ალიკა ყარანგოზიშვილის გეგმით წარიმართა, პრობლემებს უთუოდ გადავლახავ. კონკურენცია, პრობლემებთან, ხელოვნურ თუ ობიექტურ წინააღმდეგობებთან ბრძოლა ჩემთვის უცხო არ არის. ამ ყველაფერს და მათ დაძლევის ბავშვობიდან შევეჩვიე. მამა, მთლიანად ოჯახი მხარში მიდგანან, ყველანაირად მიწყობენ ხელს, რომ ყოფით პრობლემებზე არ ვიფიქრო და მართლ ჩოგბურთზე, ოსტატობის დახვეწა-ამაღლებაზე ვიზრუნო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნამდვილად მაქვს შანსი, რომ დიდ ჩოგბურთს ნელ-ნელა გავუშინაურდე. თავიდან, მცირე საპროფესიონალი ტურნირებით დავიწყებ — 10.000-დოლარიანით, ყველა ასე იწყებს. მერე ალბათ, როცა ოსტატობასა და თამაშის ხარისხს მოვუმატებ, სპორტული შედეგიც ხელშესახები მექნება და უფრო პრესტიჟულ და სოლიდურ ტურნირებში ვცდი ბედს. არა მგონია, ხელი მომიცაროს. მთავარია, ჩაწოდება აღარ დაუკარგო (იციან)...

— პროფესიონალთა ტურნირში მონაწილეობისთვის ჩოგბურთელს შესაბამისი სარეიტინგო ქულები სჭირდება. თქვენ თუ გაქვთ შესაბამისი სარეიტინგო მონაცემები, რომ უპრობლემოდ დაგვართონ ნება ამგვარ შეჯიბრებებში საასპარეზოდ?

— ჯერჯერობით, მხოლოდ პროფესიონალთა ერთ ტურნირში მითამაშია — შარშან, სექტემბერში, თბილისის ქალთა ტურნირში, ე.წ. „ველური ბარათით“ დამიშვეს, რისთვისაც დიდად მადლიერი ვარ ტურნირის ორგანიზატორებისა და პირადად ლეილა მესხისა. მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა ჩაწოდება დაბრუნებული, ამიტომ, მხოლოდ საკვალიფიკაციო ეტაპის 2 წრე გადავლახე, ძირითად ტურნირში კი ვერ

მივიღე მონაწილეობა. თუმცა, ამ ტურნირში ასპარეზობით, ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო კლასიფიკაციაში ჩემი ანგარიში გავსხენი — უმნიშვნელო რაოდენობის, მაგრამ პირველი სარეიტინგო ქულები მოვიპოვე. ახლახან, აქ, ქალაქ კიდისკეილში გაიმართა ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მასში მონაწილეობა მინდოდა, მაგრამ „ველური ბარათიც“ არ შემხვდა, რადგან სარეიტინგო ქულები არ მეყო საამისოდ, თანაც, ამ ტურნირში თამაშის სურვილი ბევრმა ცნობილმა ჩოგბურთელმა გამოთქვა — ისეთებმა, რომლებსაც ჯერ ვერ შევედრები... საერთოდ, იანვარში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ძალზე ცოტა ტურნირი იმართება ხოლმე, ამიტომ, უქმად მეფიჩი ჩოგბურთელები, უმთავრესად კანადიდან და ჩრდილოეთ ევროპიდან, ცხელ ქვეყნებს მოაწყვდებიან ხოლმე — ავსტრალიას, ინდოეთს, აშშ-ის ფლორიდის შტატს: ყინვასა და სიცივესაც არიდებენ თავს და წარმატების მეტ-ნაკლები შანსიც ეძლევათ. ჩოგბურთელთა ამ „მასობრივმა გადმოფრენამ“ ფლორიდაში ტურნირის მიღმა დამატოვა — სწორედ იმიტომ, რომ სარეიტინგო ქულები არ მეყო. იმედი მაქვს, ვთქვათ გაისად, ანალოგიური რანგის შეჯიბრებებში უპრობლემოდ ვიასპარეზებ. ახლა, თებერვლიდან, უამრავი ტურნირი ჩატარდება. შევარჩევ ჩემს შესაფერისებს, ვითამაშებ და ნელ-ნელა სარეიტინგო მდგომარეობასაც გავიუმჯობესებ.

— სოფო, როგორც ვიცი, „ვინტერ კაპის“ ტურნირში ტრავმამ შეგიშალათ ხელი საფინალო მატჩის მოგებაში. მაინც, რა მოხდა?

— წინა, ნახევარფინალურ შეხვედრაში მუხლი ვიტკინე და ამიტომაც, ფინალში ვერ შევძელი ჩემი ოსტატობის სრულად გამოვლენა. ფრანგ ვანესტის შეჯიბრებზე „ვინტერ კაპის“ ფინალში. პირველი სეტი 6:4 მომიგო, მერე, უკეთ ავთამაშდი და გავათანაბრე ანგარიში — 7:5 გავიმარჯვე. მაგრამ ამ დროს, უკვე მუხლის ტკივილი მაწუხებდა და ძალიან მიშლიდა ხელს. მესამე, გადაწყვეტ სეტში ტკივილს ვეღარ ვუძლებდი, მოძრაობაშიც ხელს მიშლიდა, სისწრაფეც დამეკარგა და წავაგე — 6:0. ძალიან დამწყდა გული, შანსი მქონდა, ზედიზედ ორი ტურნირი მომიგო, მაგრამ ბოლოს, იღბალმა მიმტყუნა. არა უშავს, მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ: მაიაში 12 შეხვედრა ჩავატარე, აქედან 11 მოვიგე და მხოლოდ ბოლო შეხვედრაში დავმარცხდი — ეს ერთი; მეორეც — ისეთ ტურნირში გავიმარჯვე, რომელიც დღემდე, არც ერთ ქართველ ჩოგბურთელს არ მოეგო; და მესამე და, ჩემი აზრით, უმთავრესი — საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა დაიბრუნე!.

# არსაიდან მოვლენილი «არავინ», რომელიც დიდი ფეხბურთის შავ მარბალიტად იქცა

**ეუსებიო იმ ვარსკვლავთა პლეადას მიეკუთვნება, რომელმაც ფეხბურთის განვითარების ისტორიაში დიდი რევოლუცია მოახდინა და სპორტის ამ სახეობას მთელი პლანეტის მასშტაბით საერთო-სახალხო პოპულარობა მოუტანა. ტყავის ბურთის პორტუგალიელ დიდოსტატს 60-70-იან წლებში თავისი ბრწვნივალე თამაშით აღტაცებაში მოჰყავდა მსოფლიოს მილიონობით გულშემატკივარი, რომელმაც იგი გამორჩეულად შეიყვარა და დააფასა. ცოტა ხნის წინ, ეუსებიო 62 წლის გახდა. იმ პერიოდიდან, როდესაც მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა სპორტის უმაღლეს მწვერვალებს იტყობდა, საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მისი თამაშის არანეგულბრევიად ლამაზი მანერა და ბურთის ფლობის ფილიგრანული ტექნიკა დღემდე, სამაგალითოდ ითვლება.**

1960 წლის ზაფხულში, ბრაზილიური კლუბი „ფლორიანო“, რომელსაც პენტაკამპეინთა 1950 და 1954 წლების სამუნდიალო ნაკრების წევრი, ნახევარმცველი კარლოს ბაუერი თავკაცობდა, აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში კომერციული მატჩების ჩასატარებლად იმყოფებოდა. სამშობლოში დაბრუნებამდე კარლოს ბაუერს ლისაბონში, თავისი ყოფილი მწვრთნელი („სან-პაულუში“ თამაშის პერიოდში) და იმხანად „ბენფიკას“ დამრიგებელი, ბელ გუტმანი მოუნახულებია და მისთვის აფრიკული შთაბეჭდილებების გაზიარებისას, ერთი მოზამბიკელი ახალგაზრდა ფეხბურთელის შესახებ უამბონია. „ის მე არ გამომაღგება, — უთქვამს აფრიკელ ფეხბურთელზე საუბრის დასასრულს ბაუერს თავისი ყოფილი მწვრთნელისათვის, — ბრაზილია სავსეა მისნაირებით! თქვენ კი, გირჩევდით, ყურადღება მიაქციოთ მას“. „ჰმ, თუ შენ ასე ფიქრობ!.. რა ჰქვია მას? — უკითხავს გუტმანს, — და საერთოდ, ვინ არის?“ „არავინ“, — ღიმილით მიუგია „ბენფიკის“ დაინტრიგებული მწვრთნელისათვის კარლოსს, — „სპორტინგ ლორენსო მარკეში“ მისი მეტსახელია „არავინ“.

**სრული სახელი:** ეუსებიო და სილვა ფერეირა  
**დაბადების თარიღი:** 1942 წლის 25 იანვარი  
**დაბადების ადგილი:** ლორენსო-მარკეში (მოზამბიკი)  
**ამჟამად:** თავდამსხმელი  
**კლუბები:** „სპორტინგ ლორენსო მარკეში“ (1957-1960) — მოზამბიკი; „ბენფიკა“ (1960-1975), „ბეირა მარი“ (1976-1977), „ტომარი“ (1977) — პორტუგალია; „როდ აილენდ ოუშერზი“ (1975), „ბოსტონ მინიტმენი“ (1975), „ლას-ვეგას კვიკსილვერი“ (1977), „ნიუ-ჯერსი ამერიკენზი“ (1977-1978) — აშშ; „მონტერეი“ (1975-1976) — მექსიკა; „ტორონტო მეტროს-კროსია“ (1976) — კანადა.




მაგრამ ამ ქალაქში იმ ბიჭს თითქმის ყველა იცნობს...“

კარლოს ბაუერსა და ბელ გუტმანს შორის გამართული „ისტორიული საუბრიდან“ სულ რაღაც რამდენიმე კვირის გასვლის შემდეგ, შავკანიანი, არცთუ ისე განათლებული მოზამბიკელი ფეხბურთელი „ბენფიკაში“ ჩარიცხეს. მაშინ ეუსებიო მხოლოდ 18 წლისა იყო. „გადაწყვიტე, ეუსებიოსათვის ზმირად მიმეცა თამაშის საშუალება და მოედანზე არ შემეხლუდა, — ისწენებდა მოგვიანებით გუტმანი, — მას სხვადასხვა სათამაშო სიტუაციიდან გამოსვლის ინდივიდუალურად მოძებნის საშუალება მივეცი. ეუსებიოს თავად უნდა ეპოვა ის მეთოდი, რომლის საშუალებითაც თავის თამაშსა და ნიჭს, პარტნიორების მოქმედებას შეუთავსებდა: შეიძლება ეუსებიომ სწორედ ამის შედეგად შეძლო თავისი ორიგინალური სათამაშო სტილის, თვითმყოფადობის შენარჩუნება საკმაოდ მკაცრ ტაქტიკურ რეჟიმში მომუშავე გუნდში“.

სხვათა შორის, ევროპაში საფეხბურთო კარიერის დასაწყისი ეუსებიოსათვის არც ისე იოლი აღმოჩნდა. „ბენფიკის“ მთავარი მწვრთნელის შეხედულებას მოზამბიკელი ამომავალი ვარსკვლავისადმი კლუბის დანარჩენი ხელმძღვანელობა ნაკლებად იზიარებდა. ლისაბონური გუნდის ახალგაზრდა შავკანიანი ფორვარდისადმი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი გულშემატკივართა და სპორტულ ჟურნალისტთა ნაწილიც. „მოხუცმა გუტმანმა შეცდომა დაუშვა: მისი მურვეობით ეუსებიო „ბენფიკაში“ არსაიდან მოვიდა და იგი გუნდში კვლავ „არავინაა“, — წერდა თურმე იმ პერიოდში ერთ-ერთი ლისაბონური გაზეთი, რასაც წინ უსწრებდა 1961 წლის მაისში „ბენფიკის“ მიერ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩატარე-





არჯვა. „ბენფიკა“ ბედნიერი გუნდია, რომ მის შემადგენლობაში ისეთი ბომბარდირი თამაშობს, როგორც ეუსებია, – უთქვამს მამინ ლეგენდარულ „სამეფო კლუბელ“, ალფრედო დი სტეფანოს, – მას ხომ თვით პელებს ადარებენ. შეიძლება, ეს შეხედულება გადაჭარბებულიც იყოს, რადგან პელები შეუდარებელია, მაგრამ ეუსებია ამჟამად კონკურენტის გარეშე დარჩენილი იმ სათამაშო სიურპრიზების წყალობით, რომელსაც იგი ნებისმიერ დაცვას უწყობს ხოლმე“.

გასული საუკუნის სამოციან წლებში, როდესაც ეუსებია საუკეთესო სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა, იგი მართლაც უჩვენებდა „ფეხბურთის მეფის“ შესაფერის თამაშს. პორტუგალიელი ვარსკვლავი არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩეოდა. მოზამბიკში ცხოვრებისას, იგი იუნიორთა შორის ქვეყნის ჩემპიონიც გახდა 100-მეტრიან დისტანციაზე სირბილში. გარდა ამისა, ეუსებია ბრწყინვალედ თამაშობდა კალათბურთს, თუქცა, ცხაღია, მისი მთავარი კოჩი იმ საფეხბურთო ნიჭი იყო, რომლის საშუალებითაც წლების განმავლობაში, უდიდეს სიაშივრებას ანიჭებდა გულშემოტკივრებს. ბურთის ფლობის საუცხოო ტექნიკის, სისწრაფის, პლასტიკისა და მოძრაობის კოორდინაციის ერთმანეთთან შერწყმის წყალობით, ეუსებია ყოველთვის დიდ თავსატეხს უჩენდა მცველებს. სწორედ ამიტომ, მას ხან „შავ პანტერას“ უწოდებდნენ, ხან „შავ მარგალიტს“, ხანაც „დიდ ჯენტლმენს“. ეს უკანასკნელი მეტსახელი პორტუგალიელ ვარსკვლავს მეტისმეტად კორექტული თამაშისა და რაინდული თვისებების გამო შეარქვეს. საკმარისაა, გავისხენით 1968 წელს „უემბლიზე“ „ბენფიკას“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის გამართული ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი, რომლის უკანასკნელ წუთებზე ეუსებია თავისი გუნდისთვის გამარჯვების გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ალექს სტეპანიძე საოცარი სიზუსტით, ინტუიციის წყალობით შეძლო მისი შეტევის ჩაშლა. როგორ გგონიათ, რა რეაქცია პოქნდა ამაზე „ბენფიკის“ სუპერფორვარდს?.. სწორედ ისეთი, როგორც შეეფერებოდა ჭეშმარიტ რაინდს – ეუსებია სტეპანიძის მივიდა და იმის ნიშნად, რომ ამ უკანასკნელმა შესანიშნავად ითამაშა, მხარზე ხელი მოუთათუნა...

თავისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში, ეუსებია არაერთი კლუბი გამოიკვალა, მაგრამ ყველაზე დიდ გამარჯვებებს მან სწორედ ლისაბონის „ბენფიკასთან“ ერთად

მიღწია. ეუსებია 11-ჯერ მოიგო პორტუგალიის ჩემპიონატი, 5-ჯერ – ქვეყნის თასი და ერთხელაც – ევროპის ჩემპიონთა თასი (1962 წელი). პორტუგალიელ სუპერვარსკვლავს 1965 წელს, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისათვის დაწესებული პრიზი – „ოქროს ბურთი“ გადაეცა, ხოლო 1968 და 1973 წლებში, კონტინენტის ქვეყნების ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირისათვის დაწესებული ჯილდო – „ოქროს ბუცი“.

საკლუბო დონეზე ჩატარებულ 373 მატჩში ეუსებია 342 გოლი აქვს გატანილი, ხოლო პორტუგალიის ნაკრებში ჩატარებულ 64 შეხვედრაში მან 40-ჯერ შეძლო მეტოქის კარის აღება. დიდოსტატის სანაკრებო კარიერიდან არ შეიძლება არ გავისხენით ინგლისის 1966 წლის მუნდალი, რომელზეც სწორედ ეუსებია დასასხურებით პორტუგალიელმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ნისლიან ალბიონზე გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და დრამატული აღმოჩნდა პორტუგალია-ჩრდილოეთ კორეის მეოთხედინალური შეხვედრა, რომლის 25-ე წუთზე (!) ყველასათვის მოულოდნელად, აზიელები 3:0 იგებდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქნებოდა, თითქოს მათ საბოლოო გამარჯვებას წინ ველარაფერი აღუდგებოდა, მაგრამ ეუსებია წყალობით, სამხრეთკორეელებმა სასწაული მოახდინეს და ის მატჩი ანგარიშით 5:3 მოიგეს. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ „შავმა პანტერამ“ ოთხჯერ შეძლო კორეელთა კარის აღება. გარდა ამისა, 9 გატანილი გოლით იგი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

მუხლის სერიოზული ტრავმის გამო, ეუსებია საკმაოდ ადრე, 32 წლის ასაკში მოუწია დიდ ფეხბურთთან გამოთხოვება, მაგრამ მოზამბიკელ დიდოსტატს საყვარელი საქმის გარეშე, არც ამის შემდეგ უცხოვრია. იგი ოკეანის გაღმამ გაემგზავრა და რამდენიმე წლის განმავლობაში აშშ-ის, კანადისა და მექსიკის გუნდებში თამაშობდა. სხვათა შორის, ვარსკვლავის ეს ნაბიჯი ძალიან მტკივნეულად აღიქვეს „ბენფიკის“ ქომაგებმა, მაგრამ საყვარელ ფეხბურთელს მათ ყველაფერი აპატიეს მას შემდეგ, რაც ეუსებია კვლავ დაბრუნდა ლისაბონში, სადაც იგი ჯერ საფეხბურთო მიმოძიწველად მუშაობდა ტელევიზიაში, შემდეგ კი „ბენფიკის“ ერთ-ერთ მწვრთნელი და კლუბის საპატიო წევრიც გახდა. „ბენფიკის“ სტადიონზე „ესტადიო და ლუშზე“ ეუსებია პატივსაცემად ძველია დადგმული, ხოლო პორტუგალიელი ვარსკვლავის ცხოვრების შესახებ გადაღებულ ფილმს "Sua Majestade O Rei" (მისი უდიდებულესობა მეუფე) ეწოდება.

ბული პირველი მატჩი, რომელშიც პორტუგალიელმა მრავალი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და შეხვედრის მხოლოდ ფრედ – 1:1 დასრულება შეძლეს. გუნდის წარუმატებლობა ძალიანად ეუსებია დაპირადა, რასაც იგი ძალიან განიცდიდა, ასე იყო თუ ისე, ეუსებია ისღა დარჩენოდა, რომ გუნდში სრულყოფილად დამკვიდრებისათვის თავი არ დაეზოგა, თანაც მას ხომ დედა და რვა ძმა ჰყავდა სარჩენი.

ეუსებია ფეერიულმა საფეხბურთო ნიჭმა პირველად პარიზში გამართულ მატჩში, იმავე წლის ზაფხულში გაიბრწყინა. მამინ „ბენფიკა“ „სანტოსს“ ხვდებოდა, სწორედ იმ „სანტოსს“, რომელსაც პელები ლიდერობდა. შეხვედრა პორტუგალიელთათვის კატასტროფულად წარიმართა: უკვე პირველ ტაიმში „ბენფიკა“ ანგარიშით 0:5 აგებდა და როგორც მოსალოდნელი იყო, მინდორზე პელები მეფობდა. ლისაბონური გუნდი სამარცხვინო დამარცხებას ეუსებია გადაარჩინა, რომელიც მოედანზე მორე ტაიმში შემოვიდა და სულ რაღაც 20 წუთში მძევნარე სამხრეთამერიკელთა კარში სამი გოლის გატანა მოახერხა. ის შეხვედრა მანაც პორტუგალიელთა დამარცხებით დასრულდა, მაგრამ სწორედ იმ დღიდან დაიწყო ეუსებია აღმასვლა საფეხბურთო მწვერვალზე.

პორტუგალიელთა შავკანიანი თავდამსხმელის ფენომენალურობა მიუღმა საფეხბურთო სამყაროში 1962 წელს, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ამსტერდამში გამართული ფინალური მატჩის ხილვის შემდეგ აღიარა, რომელშიც ერთმანეთს „ბენფიკა“ და „რეალ“ ხვდებოდნენ. ლისაბონური გუნდი იმ შეხვედრაშიც აგებდა, მაგრამ ეუსებია თავისი ბრწყინვალე თამაშითა და ორი გატანილი გოლით მატჩის მსვლელობაში გარდატეხა შეიტანა, რის შემდეგაც „ბენფიკამ“ ანგარიშით 5:3 გაიმ-

**ჩ**

ელენტანოლოგები მის ცხოვრებას ხუთ შემოქმედებით პერიოდად ყოფენ:

- 1956-62 – ამბოხის პერიოდი
- 1963-65 – ჩამოყალიბების პერიოდი
- 1966-69 – უნივერსალური გზავნილების პერიოდი
- 1970-80 – მონუმენტური პერიოდი
- 1981-დან – ოლიმპიური პერიოდი

მაგრამ ჩელენტანოს ბიოგრაფებს ყურადღების მიღმა რჩებათ მისი პირველი და უბედნიერესი ხანა, როცა ადრიანო მეამბოხე კი არა, გლუკის ქუჩაზე მცხოვრები უბრალო, პატარა ყმაწვილი იყო. მილანის განაპირას მდებარე ქუჩას, ქუჩას ვერც კი უწოდებდით, რადგან ჩელენტანოების სახლი უშუალოდ მწვანედ აბინებულ მინდვრებს ესაზღვრებოდა. გლუკის ქუჩას ეს სახელი გერმანელი კომპოზიტორის პატივსაცემად დაერქვა, გერმანულად იგი „ბედნიერებას“ ნიშნავს. იქ ცხოვრება პატარა ადრიანოსთვის ნამდვილი ბედნიერება იყო. იგი დიდიდან დაღამებამდე სახლთან ახლოს მდებარე მინდვრებში ფეხშიშველი დარბოდა, დედა კი უშლიდა, რადგან მას სუსტი ფილტვები ჰქონდა. ერთხელაც ბიჭუნა სერიოზულად გაცივდა და მშობლები იძულებულნი გახდნენ, ფილტვების სამკურნალოდ სამხრეთში გაეგზავნათ. ადრიანო მშობლიურ სკოლასაც გამოეთხოვა და როგორც აღმოჩნდა, საშუალოდ: დღემდე ჩელენტანოს განათლება დაწყებითი სკოლის კურსით ამოიწურება. შინ დაბრუნებულ ადრიანოს სწავლა აღარ გაუგრძელებია; სავარაუდოა, რომ ეს უშედეგოც იქნებოდა, რადგან ბიჭუნა საკმაოდ მძიმედ აზროვნებდა და სწავლითაც არ იკლავდა თავს. ის კი არა და, ძალზედ მუსიკალურ ოჯახში აღზრდილი ყმაწვილი მუსიკისადმიც საოცარ გულგრილობას ავლენდა. 12 წლის ადრიანო მშობლებმა შევირდად მესაათე ტრანკვი-



„ამ ცხოვრებაში მან უკვე ყველაფერი მოიმუშო: დიდება, სიმდიდრე, საკუთარი თავისა თუ ღვთის რწმენა, ულამაზესი ცოლი, უმშვენიერესი ქალიშვილები, არაჩვეულებრივი ვაჟიშვილი, სათაყვანებელი დედა, ნერვიული გამოფიტვა და სიყვარული, ქანდაკება Grevin-ში \_ მილანის ცვილის ფიგურების მუზეუმში, ჯონკურენტების აღიარება, შვილის წარმატებით ბედნიერი მშობლების სიყვარული, მეგობრების აღფრთოვანება... რაღა უნდა აყლდეს მას? ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ, მარადიული სიჭაბუკე“.

**უზაბარტო სიმონია**  
(ჩელენტანოს ბიოგრაფი)

# ჩელენტანო სოვის ყველაზე ყრუი რიყოსმა – სკანდალი

ლო გაღვანის მიაბარეს, რათა მას ხელობა ესწავლა. ყველასათვის მოულოდნელად, ბიჭუნამ შეიყვარა ეს ხელობა და დიდი მოთმინება და გულმოდგინება გამოიჩინა მის შესასწავლად. ჩელენტანო ალბათ კარგი მესაათეც განდებოდა და ათასობით მილანელს საათებს შეუკეთებდა, რომ არა გაღვანის სახელისნოს მოპირდაპირე მხარეს მდებარე მუსიკალური მალაზია – via Baracchini. მისი ვიტრინიდან ლიტლ რიჩარდი, ელვის პრესლი და ყველა იმჟამად პოპულარული მომღერალი ერთდროულად უღიმოდა მას. მიუხედავად იმისა, რომ ადრიანო მუსიკისადმი სრული გულგრილობით გამოირჩეოდა, ამ მალაზიასთან ყოველი გავლისას, სულ უფრო და უფრო ხანგრძლივად ყოვნიდებოდა ხოლმე, ვიდრე ერთხელ არ აღმოაჩინა, რომ ვიტრინის წინ იმდენ ხანს მდგარა, რომ სამსახურში წასვლას აზრი აღარც კი ჰქონდა.



... ისინი გლუკის ქუჩის (ან იტალიის ასეთივე ქუჩების) მცხოვრები გოგონები და ბიჭუნები იყვნენ. როცა იმხანად ქუჩების მთელი სივრცე დაიპყრო. ყოველ კვარტალში უკრავდნენ როკს. ჯგუფები მიკრობებივით მრავლდებოდა. 1954 წელს ჩელენტანომ მუსიკის წერას მიჰყო ხელი; სიტყვე-



ბი სიმღერისათვის მისმა მეგობარმა მიქელე დელ პრეტემ დაწერა – მათ მშვენიერი სიმღერა გამოუვიდათ. 1955 წლიდან მოყოლებული, ისინი სიმღერებს ერთად ქმნიან. 1957 წლისთვის მესაათე ჩელენტანო ცნობილი როკერი გახდა. მილანის სპორტის სასახლეში გამართულ ვერობის როკ-როლის ფესტივალ – Chiaccio-ზე მან გაიმარჯვა (ადრიანომ საკუთარი სიმღერა – Ciao ti diro შეასრულა). ამავე კონკურსზე ჩელენტანო მისთვის მეტად ძვირფასი მეტსახელითაც დაჯილდოვდა: მომღერლის განსაკუთრებული პლასტიკით მოხიბლულმა მაყურებელმა, მას Mollegiato უწოდა, რაც „ზამბარებიანს“ ნიშნავს.

1957 წლის 20 მაისს, ფესტივალ Chi-



„ჭირვეული“ ვერც რომის პაპმა მთარჯულა

accio-ს ორგანიზატორმა, სინიორ ვიურ-ტლერმა ჩელენტანოს შინ დაურეკა და ფირმა Saaf-თან კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. ასე გახდა ჩელენტანო პროფესიონალი. სამი წლის შემდეგ, მან Saaf-თან კონტრაქტი გაწყვიტა და საკუთარი საპროდიუსერო ფირმა – Clan Celen-tano დააარსა. მისი მხრიდან ეს ძალზედ გაბელული ნაბიჯი განსაკუთრებით ევროპაში ის იყო პირველი მომღერალი, ვინც ამხელა შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვება შეძლო. ისეთმა გიგანტებმაც კი, როგორც „ბიტლები“ და „როლინგ სთოუნზი“ იყო, ასეთი ნაბიჯის გადადგმა ბევრად უფრო მოგვიანებით გაბედეს. „ჩელენტანოს კლანის“ წევრები იყვნენ: ჯინო სანტერკოლე (ადრიანოს დისწული), მილენა კანტუ (მისი პირველი შეყვარებული), დეტო მარიანო და ღონ ბეკი (მისი მეგობრები გლუკის ქუჩიდან). საპროდიუსერო ფირ-

ვათა შორის, ეს შიში დღემდე გამოჰყვა).

ჩელენტანო ნამდვილი სამოციანელია. მის ცხოვრებაში ყოველივე 60-იანი წლების მემკვიდრეობასთანაა კავშირში. მაგრამ სან-რემოს ფესტივალზე პირველად იგი 1959 წელს გამოვიდა და მეორე ადგილი დაიკავა. ამბობენ, მისთვის პირველი ადგილი უფრო უპრიანი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ჟიური გაანაწყენა, რადგან თავზედმა ადრინამო თავისი 2400 baci მაყურებელთა დარბაზისკენ ზურგშექცეულმა იმღერა! სიმღერა იტალიურ ჰიტ-ალბუმს უმაღლეს სი-ავეში მოექცა (უნდა აღინიშნოს, რომ მის-ტერ ვიურტლერსა და მის „საარს“ ამაში არანაირი ღვაწლი არ მიუძღოდით და ჩელენტანომაც მათთან კონტრაქტი გაწყვიტა) და ბევრით უკან ჩამოიხრია ფესტივალის გამარჯვებული. ამას მთელ იტალიაში ძალზედ დიდი გამოხმაურება მოჰყვა – სან-რემოში შექმნილი სიტუაცია იტალიის პარლამენტის მსჯელობის საგანიც კი გახდა(!!!). ჩელენტანომ აღმოაჩინა, რომ ყველაზე კარგი (და იაფი) რეკლამა, სკანდალი იყო. აქედან მოყოლებული, მთელი ათწლეულის მანძილზე, სან-რემოს ფესტივალი ერთი მსახიობის – ადრიანო ჩელენტანოს თეატრად იქცა. „კლანმა“ შექმნილი სკანდალური სიტუაცია თავის სასარგებლოდ გამოიყენა და სასწრაფოდ დიდი დისკი გამოუშვა, რომელიც ასევე სწრაფად მოექცა ჰიტ-ალბუმების სიაში. დაახლოებით იმავე ხანებში, ჩელენტანოს ცხოვრებაში მეორე და მთელი მისი შემდგომი ცხოვრების მენეჯერ-ადმინისტრატორი გამოჩნდა. თუმცა, იმჟამად იგი ჯერ კიდევ არ იყო მენეჯერი.

მშვენიერი კლაუდია მორონი რომელიც გახლდათ (სწავლისაღმი ბეჯითი

დამოკიდებულებით არც ის გამოირჩეოდა, მას 8 კლასის განათლება აქვს). დრამატურგის ქალიშვილი ადრეულ ასაკშივე გადაიღეს შემდგომში კლასიკად ქცეულ ფილმებში: „როკო და მისი ძმები“ და „სოდომი და გომორი“. მისი საეკრანო სახელი კლაუდია მორი იყო. იგი 27 წლის გახლდათ, როცა 1961 წელს Uno strano tipo-ს გადაღებებზე ჩელენტანო გაიცნო. ისინი 1964 წლის 14 ივლისს დაქორწინდნენ და როგორც ჩანს, უსაზღვროდ ბედნიერებიც იყვნენ, რადგან სამოციანი წლების ბოლომდე, მხოლოდ სიმღერითა და შვილების გაჩენით იყვნენ დაკავებული.

1965 წ. – ჩელენტანოს სიმღერები Sono un simpatico და La festa, საუკეთესო სიმღერებად აღიარეს, ალბომი Non mi dir – წლის საუკეთესო დისკად. შეეძინათ ქალიშვილი როზიტა.

1966 წ. – სან-რემოს ფესტივალზე მისი სიმღერის – Il ragazzo della via Gluck პრემიერა შედგა, რომელმაც მთელი მსოფლიო დაიპყრო და ჩელენტანო მსოფლიო ვარსკვლავად იქცა, თუმცა ფესტივალის ჟიურიმ სიმღერისა და შემსრულებლის იგნორირება მოახდინა. შეეძინათ ვაჟიშვილი ჯაკომო.

1967 წ. – ჩელენტანომ მეუღლესთან ლუეტში შეასრულა La coppia piubella del mondo („ამქვეყნად ყველაზე ლამაზი წყვილი“).

1968 წ. – მეუღლეებმა ლუეტში შეასრულეს Azzuro. შეეძინათ ქალიშვილი როზალინდა.

1970 წ. – კლაუდიამ ველარ მოითმინა და სან-რემოზე წესრიგი დაამყარა: ლუეტმა იტალიური გაფიცვის ნაღვლიან თემაზე შექმნილი მხიარული სიმღერით – Chi non lavora non fa l'amore – ჟიურის გული საბოლოოდ მოინადირა.

სან-რემო, რომელიც მთელი ათი წლის მანძილზე არ ნებდებოდა და არ აღიარებდა ჩელენტანოს (უნდა აღინიშნოს, რომ ამით მომღერლის იმიჯი კიდევ უფრო იზრდებოდა), ბოლოს და ბოლოს, დანებდა. მენეჯერ კლაუდიას ხანაც დადგა. მეუღლეთა როლები მკვეთრად გაიმიჯნა: ადრიანო – შემოქმედება და თავშეუკავებელი იდეები; კლაუდია – ჯანსაღი აზრი და ფინანსები. დღემდე კლაუდია მართავს „კლანს“, რომელიც ამ ხნის მანძილზე საკმაოდ შეიცვალა. შესანიშნავად აღჭურვილი ხმის ჩამწერი სტუდიის გარდა, „კლანმა“ მილანის ერთ-ერთ მოედანზე 4 ათასი კვმ-ის მულტიმედიის ციტადელი აღმართა. ამასთან, მთელ იტალიაში „კლანი“ იყო და არის თითქმის ერთადერთი, მსხვილი, ასპროცენტინი იტალიური ფირმა.

70-იანი წლებიდან ჩელენტანოს ცხოვრებაში „მონუმენტური“ ხანა დაიწყო,





კლაუდიასთან (მარცხნივ) ერთად



ორნელა მუტისთან ერთად

რაც იმაში გამოიხატა, რომ მთელი ათწლეულის მანძილზე, ადრიანო ბევრს და ინტენსიურად მღეროდა და ხშირად თამაშობდა კინოში. ყველაფერ ამას კი, საოცრად „მონუმენტურად“ აკეთებდა და ქმნიდა კლასიკურ ნაწარმოებებს, ტიპაჟებს თუ ჟანრებს.

აბა, გამოიცანით, ვინ გამოივონა რეჟი? დიას, ადრიანო ჩელენტანომ! ეს კი 1972 წლის ოქტომბერში მოხდა, როცა ჩელენტანომ დამაჯერებელი რეჟიტატივით იმღერა Priscencolinesinainciuosol (აბა, სცადეთ და წარმოთქვით ეს აბრაკადაბრა – თქვენ სწორედაც რომ რეჟი გამოვივით). ფილმებში კი იგი ლეგენდარული სოფი ლორენისა და ენტონი ჭუინის პარტნიორად გვევლინებოდა. მისმა ალბომმა Svalutation (1976) გერმანიისა და საფრანგეთის ჰიტ-ალბომებში პირველი ადგილი დაიკავა. მან ფეხბურთის ტიფოზების შევიწროებაც კი შეძლო და მთელ იტალიაში მაყურებლით სავსე სტადიონებზე გამოდიოდა. ჩელენტანომ მიღწევა აბსოლუტურად ყველაფერს, რისი მიღწევაც მოუძენს ხელეწიფებოდა.

იმხანად ადრიანო წმინდა წიგნებით დაინტერესდა. მან ყურადღებით წაიკითხა „ახალი აღთქმა“, შემდეგ კი „ძველ აღთქმასაც“ გაეცნო. თუმცა, როგორც ჩანს, იგი ამ წიგნებს მეტისმეტად ვიწრო პროფესიული თვალსაზრისით მიუდგა და წარმოიდგინა, თუ რაოდენ ეფექტური იქნებოდა მასში აღწერილი ამბების შოუდ წარმოღვევა.

იგი სასწრაფოდ დაუკავშირდა რომის პაპს და აბორტების წინააღმდეგ გაილაშქრა, რომის პაპი საპასუხოდ მის კონცერტს დაესწრო. ჩელენტანოსთვის ყველაფერი ნათელი გახდა: „სამყარო – საოცარი მექანიზმია, იმდენად სრულყოფილი, რომ მისი შექმნა მხოლოდ ღმერთს შეეძლო. მე მრცხვენია, როცა ის ადამიანები,

ვინც საკუთარ თავს მეცნიერებს უწოდებენ, რაღაც მიკრობებზე ლაპარაკობენ, რომლებიც იმდენად ხანგრძლივად მრავლდებიან და ერთიანდებიან, რომ ადამიანის გონი შექმნეს; ადამიანებს ისინი მაიმუნისგან წარმოშობილად მიიჩნევენ...“ მან ფილმში „ბინგო-ბონგო“ – საკმაოდ ნიჭიერად დაასაბუთა ამ მოსაზრების აბსურდულობა და დამტკიცა, რომ ასეთი რამ, შესაძლოა მოხდეს, ოღონდ პირიქით – ადამიანის გამაიმუნებით. ჩელენტანო როლში მეტისმეტად შეიჭრა და 1985 წელს გადაწვევითა გადაეღო ფილმი – „ჯოან ლუი“. სურათის სრული სათაურია: „ჯოან ლუი: ერთ მშვენიერ ორმაბათს, მე დაგბრუნდები მიწაზე“. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, პირდაპირ გეტყვით, რომ იტალიურად „ლუი“ ნიშნავს „მას“, ამ შემთხვევაში კი ეს – „მას“ არის ის, ვინც დედამიწაზე ჯვარცმოდან ორი ათასი წლის შემდეგ ბრუნდება და აღმოაჩენს, რომ ამ სამყაროში კვლავაც ისეთივე მანკიერებანია გამეფებული, ოღონდ ტექნიკური პროგრესის წყალობით, კიდევ უფრო დახვეწილი სახით. იგი შეძრწუნებულია (ქრისტეს როლი ჩელენტანომ თავად შეასრულა), შემდეგ კი მიდის ტელევიზიაში და ცეცხლოვანი როკ-ენ-როლის მეშვეობით, კაცობრიობის ხსნას ცდილობს... „გრანდიოზული შოუ“ სამარცხვინოდ ჩაფლავდა! ეს იყო საშინელი მარცხი, რომელიც დიდმა შოუმენმა ცხოვრებაში პირველად იწვნია. მაშინ კი მიხვდა ჩელენტანო, რომ გადაამალა და გადაწვევითა, რომ თავად აღარასოდეს გადაეღო ფილმი.

1980 წელს მომდერალი ორნელა მუტისთან ერთად განმაურებულ ფილმში „ჭირვეულის მორჯულებაში“ გადადიეს. მართალია, კომედიას უდიდესი წარმატება ხვდა წილად, მაგრამ ჩელენტანოების ოჯახური იდილია კი, კინალამ ემსხვერპლა მას. საქმე იმდენად სერიოზულად იყო,

რომ დღესაც, როცა 45 წლის ორნელა მუტისაგან ინტერვიუს იღებენ (მართალია იშვიათად) იგი აცხადებს: „ჩემი იმჟამინდელი ქმარი, ადრიანო ჩელენტანო!“ თუმცა, არასოდეს დასძენს, რომ ისინი ოფიციალური და კანონიერი მეუღლეები არასდროს ყოფილან. კლაუდია ჩელენტანო კი, რომელიც ანლა უკვე სამი მოწიფული შეილის დედაა, მუტის უპასუხოდ არ ტოვებს (თუმცა ამ შემთხვევაშიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკმაოდ იშვიათად ხდება, რადგან მას ინტერვიუების მიცემა არ უყვარს): „მან 14-გვერდიანი წერილი მომწერა, სადაც მისწინდა, რომ უნებლიე ღალატი, ოჯახის დანგრევის საფუძველი არ შეიძლება გახდეს. იგი შემთხვევით კავშირს მექანიკოსის მიერ ახალი მანქანის ტექნოლოგიურებას ადარებდა და მთხოვდა, მეპატიებინა მისთვის...“ კლაუდიას სჯერა, რომ 64 წლის ადრიანო აღარასოდეს უღალატებს მას.



დასაწყისი იხ. „გზა“, №40-52, 1-4

თბილისში დაბრუნებული ნინო მაშინვე რესპუბლიკურ საავადმყოფოს მიაშურებს. მარის, ჩაძინებულ ნიტასთან ერთად, მანქანაში დატოვებს და თავად, დიტოს სანახავად გასწევს. დიტო თავალებს არ დაუჯერებს, მაგრამ შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ მის ნინო ნამდვილად ნინო დგას, სასწრაფოდ თავის მართლებას მოჰყვება. თუმცა, სათქმელს მოულოდნელად მოვარდნილი ახლობელი ქალები გააწყვეტინებენ. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა და ლამაზი გოგონა დიტოს გულზეც დაეკონება. ამის შემხედვარე ნინო, მაშინვე იქაურობას გაეცლება.

პალატიდან გამოსული ნინო დერეფანში მარის და ნიტას შენიშნავს. მარი თავს იმართლებს: ბავშვმა რომ გაიღვიძა და ვერ დაგინახა, ატირდა და ველარაფრით გავაჩუმეო. ნინო შვილს მიეფერება და სამივენი გასასვლელისკენ გაემართებიან. საავადმყოფოს კიბეზე ჩასვლისას, მათ შემთხვევით დიტოს მამა ხვდება და ნიტას დანახვაზე ადგილზე გაშეშდება. ნინო და მარი მისხედებიან, რომ მან ბავშვი დიტოს მიაშვავს... შინ დაბრუნებული ნინო მარის გაანდობს — დიტოს ალბათ აღარასოდეს შევხვდები, რადგან მას უკვე სხვა, თანაც, ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი ქალი ჰყავსო...

— ქალი თუ ცოლი? — კიდევ უფრო დაუკონკრეტა კითხვა მარმი.

— აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს?... — უპასუხა ნინომ და იმის ნიშნად, რომ ამ საკითხზე საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, ფეხზე წამოდგა.

— აქვს და, თანაც, ძალიან ღიდი მნიშვნელობა... — მაინც არ მოეშვა მარი.

— კარგი რა, მარი, გაიხედე გარეთ — დაგავიწყდა, რომელი საუკუნეა?

— არ დამევიწყნია: ოცდამეერთეა, მაგრამ ოცდამეათეც რომ იყოს, ქართველი კაცისთვის ცოლი და ოჯახი, მაინც პირველ ადგილზე იქნება, უბრალოდ ქალი კი, თუნდაც ძალიან საყვარელი...

— მოიცა, მოიცა... — ნერვიულად წელში გასწორდა ნინო. — მაგით რისი თქმა გინდა? მეც არა ვარ ცოტნეს ცოლი, მაგრამ მერე რა?

— რა და... — სიტყვა აღარ გაავრძელა მარმი.

— ჰო, ჰო, დაასრულე, რა? — ისევ შეუტია ნინომ.

— კი, ბატონო, დავასრულე: ცოტნეს



რუსულან ბერიძე

# ქალური ინსუიკია ანუ ჭიამაის თერთობი

ცოლი რომ იყო, ის ახლა შენ გვერდით იქნებოდა და არც ჩვენ ვიხეტიალებდით წინ და უკან, ასე უაზროდ... — ჩაიბურტუნა მარმი.

— აი, თურმე, რა ყოფილა?!. მე კი მეგონა, რომ...

— არა, არა, ნინო... მაპატიე, — სასწრაფოდ უკან დაიხია მარმი, — მე სულ სხვა რამის... მე იმის თქმა მინდოდა, რომ თუ დიტოს, ცოლი კი არა, უბრალოდ ქალი ჰყავს, ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის...

— კარგი, მოვეშვით ამაზე ლაპარაკს! — კამათის გაგრძელება აღარ ისურვა ნინომ. — ძილის დროა, ხვალ ადრე ვართ ასადგომები... დიტოსთან ურთიერთობას კი, როგორმე უშენოდაც გავარკვევ...

— ჩარევა არც მე მიფიქრია, უბრალოდ, ჩემი აზრი გითხარი... — დაბნეულად ჩაილაპარაკა მარმი და ისიც ფეხზე წამოდგა. — ხვალ რა დროს გავდივართ?

— როგორც კი ნიტა გაიღვიძებს, ვისაუბრებთ და მაშინვე გზას გავუდგებით.

— იმედია, ამჯერად მაინც ჩავალწევთ

ქობულეთამდე.

— ნუ ნერვიულობ, ამჯერად ნამდვილად ჩავალწევთ...

მეორე დღით ნიტამ ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა, მაშინვე ნინოს საძინებელში შეტყუნცულა და ლოგინში ჩაუკოტრიალდა. ნინომ შვილი გულში ჩაიკრა და იმდენ ხანს კოცნა, სანამ ნიტამ არ გააჩერა:

— მოიცა, რა, დღეიკო, იცი, როგორ დავიღალე?..

— დაიღალე? — გაეღიმა ნინოს. — რამ დაგალა, ჩემო სიცოცხლე? სიზმარში ბევრი ხომ არ იცვლქე?

— არა. დედას გეფიცები, კარგად ვიტყვოდი...

— აბა, რა მოხდა?

— რა და... ვიღაცა ცუდი ბიძია მოვიდა, ხელი ჩამჭიდა და საღვაც შორს წამიყვანა... ისე შორს, რომ ძალიან დავიღალე... მაგრამ მაინც მივდიოდით და მივდიოდით...

— მერე, მე სად ვიყავი? მე რატომ არ დავესიზმრე? ხომ ვეტყვოდი იმ ცუდ ბიძიას: ახლავე ხელი გაუშვი ჩემს ნიტას-მეთქი...

— შენ არ იყავი, მარტო ის ბიძია იყო...

— მარი?

— მარი კი, იყო, მაგრამ მერე წავიდა...

— მერე?

— ხომ გითხარი, მერე ის ცუდი ბიძია მოვიდა-მეთქი... — ტირილს აღარაფერი უკლდა ნიტას.

— კარგი, ჩემო ანგელოზო, კარგი... — დამშვიდება დაუწყო ნინომ. — გინდა, შენი სიზმარი და ის ცუდი ბიძიაც წყალს გავატანო?

— კი. მინდა, — პაწია თავი დამჯერად დაუკრა ნიტამ.

— აბა, წამომეყვი...

ნინო ლოგინიდან წამოდგა, ნიტა ხელში აიტატა, საბაზანოში შეარბენინა და ონკანი მოუშვა:

— წყალო, წყალო, შორს წაიღე, ცხრა მთას იქით გადაკარგე ნიტას ცუდი სიზმარი...

ნიტა ნიჟარაში ხმაურით ჩამავალ წყალს თვალგაფართოებული აკვირდებოდა.

— წაილო? — ჩურჩულით იკითხა მან შემდეგ.

— კი, სიყვარულო, წაილო.

— ის ცუდი ბიძიაც წაიყვანა?

— კი, ისიც წაიყვანა... მოდი ახლა, დაბლა ჩავიდეთ და რამე შეეჭამოთ, კარგი?..

ნიტამ ერთი უცნაურად, რაღაც არა-

ბავშვურად ამოიხსრა და ნინის გულში ისე ჩაეკრა:

– ყიცილიყო შეეკამოთ, რა...  
– ყიცილიყო?... კარგი, ყიცილიყო იყოს, – დაეთანხმა ნინი და გულში ჩახუტებული შეილი სასადილოში ჩაარბენინა.

მარი იქ უკვე გაწყობილ სუფრასთან იჯდა და დედა-შვილის გამოჩენასა ელოდა. ნინი მაშინვე მაგიდას მიუჯდა და ნიტა კალთაში ჩაისვა:

– ნახე, ჩემო სიცოცხლე, მარის რა კარგი ფაფა გაუკეთებია, ხომ შეჭამ?

– არა! მე ყიცილიყო მინდა! – გაჯიუტდა ნიტა.

– კარგი, კარგი, ნუ ნერვიულობ, ახლავე დაებრაწავ, – ფეხზე წამოდგომა დააპირა ნინიმ, მაგრამ ნიტამ არ გაუშვა:

– არა, შენ არა... მარიმ დამიბრაწოს!

– ნეტავ, ყიცილიყო რამ გაასხენა?! – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მარიმ.

– მიდი, რა, მარი, ნუ აატირებ, – შეეხვეწა ნინი, – დიდიდან უხასიათოდა... სიზმარში ვიღაცას შეუშინებია...

მარი სამზარეულოში უხალისოდ გავიდა...

საუზმის შემდეგ, ნინიმ სახლის კარი საგულდაგულოდ გამოკეტა, შემდეგ სამივენი მანქანაში ჩასხდნენ და გზას გაუდგნენ. ქალაქს გასცდნენ თუ არა, ნიტას ნელ-ნელა ჩვეული ხალისი დაუბრუნდა და მალე ძველებურად ენად გაიკრიფა. ნინი და მარი მის კითხვებზე პასუხის გაცემას ამჯერად ერთმანეთს აღარ აცლიდნენ და ასეთი ყურადღებით გარემოცულ ნიტასაც მეტი რაღა უნდოდა: ფურტულელებდა და ფურტულელებდა... საერთო მხიარულებაში გზაც სწრაფად ილეოდა და მალე ზღვაც გამოჩნდა.

– დედიკო, ნახე, ნახე, რა დიდი წყალია! – სიხარულით ტაში შემოჰკრა ნიტამ.

– ჰო, ჩემო ანგელოზო, მაგ დიდ წყალს ზღვა ჰქვია, – აუხსნა ნინიმ და ცენტრალური გზიდან ნელ-ნელა გადაუხვია...

ქობულეთში ჩასულმა ნინიმ თავიდან, კერძო სასტუმროებს ჩამოუარა, მაგრამ რატომღაც არც ერთზე არ მოუვიდა გული. ზოგან ნომრები არ მოეწონა, ზოგან – კვება. ამჯერად რაიმის რჩევით არც მარის გამოუღვია თავი. ნინიმ უბის წიგნაკი გამალა და ცოტნეს ძველისძველი მასპინძლების მისამართების ძებნა დაიწყო.

– ცოტნემ კი ძირჩია, მაგრამ მართალი გითხრა, სულიკოსთან მისვლა მაინცდამაინც არ მინდოდა, – გადაულაპარაკა მან ფიქრებში წასულ მარის, – მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ცოტნეს ძველისძველი ნაცნობია და ნამდვილად არაფერს გაგვიჭირებს... თანაც, ზედ ფიჭვნართან ცხოვრობენ, იქიდან კი ზღვაც ერთი ხე-

ლის გაწვდენაზეა... ჰა... რას იტყვი? მივიღეთ?

– როგორც შენ გინდა... ჩემთვის სულერთია... – უხალისოდ ჩაილაპარაკა მარიმ...

– სადა ხართ ამდენ ხანს? გადაგვრია სიზმრებმა! – ღიმილით შეეგება მათ, ჭიშკარში გამოჩენილი მასპინძელი, – ჩვენ ჯერ კიდევ გუშინ გელოდით...

– გუშინ? – შეეცა ნინი.

– ჰო, ცოტნემ დაგვირეკა და ვერ გვითხრა...

– კი. გუშინ ნაშუადღევს, უკვე აქ უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ გზაში რაღაც პრობლემები შეგვექმნა, შემოგვალაძა და აღარ შეგაწუხეთ... – სასწრაფოდ გამოასწორა თავისი ნათქვამი ნინიმ.

– რა შეწუხება იყო?... მაინც უნდა მოსულიყავით... ალბათ, რომელიმე სასტუმროში გაჩერდით, ხომ?

– კი, მაგრამ პირობები არ მოგვეწონა...

– სამაგიეროდ, ჩვენ ნამდვილად ყველა პირობას შეგიქმნით, – დაიტრატა მასპინძელმა და, მართლაც, სულ ცოტა ხანში, ნინი და მისი „ამალა“, ორ, ყველაზე ნათელ და მზიან ოთახში დააბინა, რომელსაც ფანჯრები ზღვის მხარეს ჰქონდა. დიასახლისმა კი, კვების პრობლემაც მაშინვე მოუგვარა: წინა საღამოს რასაც შემიკვით, მეორე დიდიდან იმას მოგართმევთ, – და აბა, დასვენებისთვის მეტი რაღა იყო საჭირო...

როგორც კი ნინიმ და მარიმ ოდნავ სული მოითქვეს, ბარგი ამოალაგეს და ტანსაცმელიც გამოიცვალეს, დიასახლისმა მაშინვე სუფრასთან მიიწვია და ცხელ-ცხელი აჭარული ხაჭაპურით გაუმასპინძლდა. სადილის შემდეგ კი, ნინიმ და მარიმ ნიტას ხელი ჩაავლეს და ზღვისკენ გასწიეს.

სანაპირო, შხეზე საგულდაგულოდ გარუჯული თუ გასარუჯად გამოზადებული დამსვენებლებით იყო გადაჭვდილი. ნინიმ და მარიმ ერთ პატარა თავისუფალ ადგილს ძლივს მიაგნეს და სასწრაფოდ ქოლგაც გამალეს. მარი ქოლგას შეეფარა, ნინიმ კი „სარაფანი“ გაიძრო, ნიტასაც გახადა და ზღვისკენ გააქანა. თავიდან ბავშვმა იქაურობა კვილით აიკოლო და ნინის ტკიპასავით მიეკრა, მაგრამ შემდეგ, ეტყობა, ზღვის მოადერსე ტალღებმა ისიც მოხიბლა და საერთო ყვირილ-ხივილს მისი მხიარული კისკისიც შეუერთდა.

მარი კი ისევ ქოლგის ქვეშ იჯდა და არც ტანსაცმლის გახდას ფიქრობდა. უცხად, ნინის საზაფხულო ჩანთაში მობილური ტელეფონი აწკრიალდა. მარიმ ჯერ ნინის დაძახება გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ, მის მკლავებზე მონანავე ბუნდოვანი ნიტას რომ გახედა, გადაიფიქრა.

– გისმენთ... – ჩასძახა მან ყურმილში. – არა, ბატონო ცოტნე, მარი ვარ, მარი... გისმენთ... ნინი? ნინი და ნიტა ზღვაში არიან ჩასულელები, დაუძახო... კარგით, ახლავე...

სწორედ იმწუთას, ნინიმ მარისკენ გამოიხედა და ხელით მიანიშნა – ვის ელაპარაკებო?... მარიმ ის მაშინვე თავისკენ იხმო. ნინიმ ბავშვი წყლიდან ამოიყვანა და მარისკენ გამოსწია. მარიმ სასწრაფოდ პირსახოცი შეაგება და ნიტა ორივემ გულდაგულ შეამშრალა. შემდეგ ნინიმ აპარატი ჩამოართვა.

– გისმენთ! აა-ა, ცოტნე, შენა ხარ? ჰო, რა იყო? აბა, რას ვიზამდით?... არა, გუშინ გვიან ღამით ჩამოვედით... რიკითზე რაღაც ავარია მოხდა და გზა იყო ჩაკეტილი... სულიკოსთან ვეღარ მივედი, მომერიდა... სასტუმროში გაგჩერდით... მობილური?... იმიტომ გამოვრეთ, რომ ნიტა იყო ძალიან დაქანცული და არ მინდოდა, ზარს გაეღვიძებინა... კარგი, კარგი... აუცილებლად დაგირეკავ...

ნინიმ ტელეფონის აპარატი ისევ ჩანთაში შეინახა და თავი ხელებში ჩარგო.

– რა იყო? – ჰკითხა მარიმ. – მოხდა რამე?

– არაფერი... უბრალოდ... ცოტნე ცხოვრებაში პირველად მოვატყუე და ამის გამო, თავს დამნაშავედ ვგრძნობ...

– რას იზამ? ეტყობა, ხანდახან ტყუილიც აუცილებელია... – თავისთვის ჩაილაპარაკა ფიქრებში წასულმა მარიმ...

ერთმა კვირამ ისე უცხად გაიბრინა, რომ ნინის და მარის არც კი უგრძნიათ. ამასობაში, ნინი „გემრიელად“ გაირუჯა, ნიტა გოჭვით დაიბრაწა, გამუდმებით ქოლგას შეფარებულ მარის კი, ისევ მიტკლისფერი ელო. თუმცა, ნინის რჩევას ყურად მანიც არაფრით იღებდა და ზღვაში ფეხსაც კი არ ისველებდა. ბოლოს ხეწუნამუდარა ნინისაც მოჰპყრდა და მარის საერთოდ შეეშვა: შენი ნებაა, როგორც გინდა, ისე დაისვენე...

იმ დღესაც მარი ქოლგის ქვეშ იჯდა და ზღვაში მოჭყუმალავე დედა-შვილს სევდიანად გაჰყურებდა. უცხად, ნინის ჩანთაში ისევ ტელეფონი აწკრიალდა. ალბათ ცოტნეაო, – გაიფიქრა მარიმ და ნინის გასძახა. ნინიმ ნიტა ვერაფრით ამოიყვანა ზღვიდან და მარის ანიშნა, ტელეფონს შენ უპასუხეო. მაგრამ სანამ მარიმ ნინის ჩანთა გახსნა, ზარიც შეწყდა.

ამასობაში, ნინიმ ნიტა ზღვიდან ნაპირზე მაინც გამოიტყუა, ხელში აიტატა და სასწრაფოდ მარისთან გაჩნდა:

– ვინ იყო?

– არ ვიცი. სანამ ჩანთა გავხსენი, გაითიშა.

ნინიმ ნიტა გაამშრალა, „სარაფანი“

გადააცვა და ისიც მაშინვე იქვე ჩამომსხ-  
დარ ტინეიჯერ გოგონებთან სათამაშოდ  
წაცუნცულდა.

ცოტა ხანში, ტელეფონმა ისევ დარე-  
კა. ნინიმ აპარატი მოიმარჯვა და თან  
მარის გადაულაპარაკა:

- ნეტავ, ამჯერად ვის მოვენატრეთ?
- მე მომენტურად, ჩემი მშვენიერო, მე...
- მოესმა მას ყურმილში მამაკაცის საო-  
ცრად ნაცნობი და სასურველი ხმა...

ნინიმ ღიბის ხმა მაშინვე იცნო, მა-  
გრამ მაინც თავი დაიხვია:

- რომელი ბრძანდებით?
- ღიბო ვარ, ნინი, ღიბო, ვერ მი-  
ცანი?...

- ღიბო? საიდან? როგორ?... ჩემი  
ნომერი ვინ მოგცა? - აღელვება რომ  
როგორმე დაეფარა, კითხვა კითხვაზე დაა-  
ყარა ნინიმ.

- შენი ნომერი?... ჩიტმა ჩამიჭიკჭიკა.
- მაგ „ჩიტს“, შემთხვევით, გიორგი  
ხომ არ ჰქვია და ყურზე მობილური ხომ  
არა აქვს მიწებებული?

- ყოჩაღ, ზუსტად გამოიცანი.
- მერე რაო, „ჩიტმა“ კიდეც რა ჩაგი-  
ჭიკჭიკა?

- რაო და... ღიბო, ბიჭო, თვალებს  
ლოდინით სულ ტყუილად იღამებ, შენს  
სანახავად მაინც არავინ მოვაო...

- რატომ?
- იმიტომ, რომ შენი საყვარელი ქალები  
ქობულეთში ზღვაში ჭყუმპალაობენო...
- ქალები?
- ჰო. ერთი დიდი და ერთი, ძალიან  
პატარაო.

ღიბო უცბად გაჩუმდა. ხმა ვეღარც  
ნინიმ ამოიღო. შემდეგ, ისევ ღიბომ დაი-  
წყო:

- ნინი რატომ არ მითხარი?... რატომ  
დამიმალე?...
- რა?
- შეილი რომ გყავდა... - ხმა აუ-  
კანკალდა ღიბოს.
- რატომ უნდა მეთქვა? ანდა, როდის  
უნდა მომესწრო?...

- ჰო, მართალი ხარ... - დაიბნა ღიბო.  
- მაგრამ... იცი, რომ მამაჩემი სინარული-  
გან ჭკუაზე აღარ არის?... ბავშვი შენ ხომ  
გგავს და გგავს, მაგრამ დედაშენს - უფრო  
მეტად, პირდაპირ მისი დაპატარავებული  
ასლიაო, - გაუთავებლად ამას გაიძახის...

- რას მეუბნები? რადგან დედაშენსაც  
ჰგავს, მგონი, მართლა აღარაფერი მიჭირს  
- მთელი ოჯახი მე და ჩემს შვილს  
უცბად გვადიარებთ და მიგვიღებთ! - რატომ-  
ღაც „ბებნის“ ხასიათზე დადგა ნინი.

- მთელი ჩემი ოჯახი ამის გაკეთებას,  
სამწუხაროდ, ვეღარ მოახერხებს...

- რატომ? უმცირესობაში ხომ არ  
დაგტოვენ?
- ნინი, ასე ნუ ხუმრობ, რა, გეხვეწები...

- საიდან მოიტანე, რომ ვხუმრობ... მე  
ახლა ნამდვილად არ მეხუმრება...

- არც მე... იმიტომ, რომ დედაჩემი,  
ვისაც თურმე შენი... ჩვენი შვილი ასე  
ჰგავს, ცოცხალი აღარ არის...

- რას მეუბნები? - შეცბა ნინი. -  
მაპატიე, ღიბო, მე ხომ არ ვიცოდი...

- იცი, დედაჩემს რა ერქვა?
- აბა, საიდან?
- ნიტა.
- რა-ა-ა?
- ნიტა!

- ღიბო, მგონი, ახლა შენ დადექი  
ხუმრობის ხასიათზე და თანაც, სრულიად  
უადგილოდ.

- არა, ნინი, არ ვხუმრობ... დედაჩემს  
ნამდვილად ნიტა ერქვა, მე არ ვიცი, შენ  
რამ გიკარნახა, რომ შენი... ჩვენი შვილ-  
ისთვის ეს სახელი დაგერქმია, მაგრამ  
ამაში რომ განგების ხელიც ურევია, მე  
ეჭვი უკვე ნამდვილად აღარ მეპარება...  
ჩვენი შეხვედრაც მგონი, განგების ნება  
იყო...

- ალბათ დაშორებაც, ხომ? - ისევ  
ენა წაიმწარა ნინიმ.

- შენ წარმოიდგინე, დაშორებაც... -  
მშვიდად უპასუხა ღიბომ. - იმ დღეს,  
როცა მე და შენ იქ... კემპინგში ერთად  
ვიყავით...

- ჰო, რა იყო? რა მოხდა იმ დღეს?...  
აღარ მეტყვი?...

- დედაჩემი სწორედ იმ დღეს დაიღ-  
უპა.

- რას მეუბნები?! მაშინ, ტელეფონზე  
რომ დაგირეკეს, ეგ ხომ არ გითხრეს?

- არა. დაიღუპაო - არ უთქვამთ.  
მითხრეს - დედაშენი და შენი და, ავარი-  
აში მოჰყვნენ და მძიმედ არიანო... ასე  
მითხრეს...

- შენ რა? დაც გყავდა?

- რატომ მყავდა? ღვთის შეწევნით,  
ახლაც მყავს. თანაც, იცი, რა ლამაზია?  
თუმცა, რას გახარებ - ნია ხომ უკვე  
შენც ნახე.

- ნია?... ის გოგო შენი და იყო?...

- აბა, შენ ვინ გეგონა?... ა-ა, გასაგე-  
ბია... ახლა ვხვდები, თბილისიდან ასე  
უცბად რატომაც გამოიქცეო... მე კი, რა  
აღარ ვიფიქრე და ვიმკითხავე...

ღიბო უცბად გაჩუმდა და ტელეფონ-  
მაც ხრიალი დაიწყო... ნინი კი ყურმილს  
ყურიდან მაინც არ იშორებდა და, თანაც,  
ხან ქვიშაში მხიარულად მოთამაშე ნი-  
ტას აკვირდებოდა, ხანაც - ცნობისმოყ-  
ვარებით აღსავსე მარის.

- ნინი, - უცბად, სადღაც, ძალიან  
შორიდან ისევ მოისმა ღიბოს ხმა, - სად  
წახვედი?

- ჰო, გისმენ... სად უნდა წავსულიყავი
- აქა ვარ...
- მომჩვენა, რომ კავშირი გაწყდა.

- მეც.  
- მისმინე... ახლა აქ, ჩემი მტარვალი  
ძმაკაცი მადგას თავზე...

- რომელი? „მოჭიკჭიკი“ გიორგი?  
- არა, „კასტალიომი“ ავთო.

- ეგ ვინლა?  
- ეს არის თუ არის... მარჯვენა ფეხ-  
ის ხელახლა მოტეხას მიპირებს ეს არაად-  
ამიანი...

- ასეთი რა დაუშავე?
- ვინ? მე თუ ჩემმა ფეხმა?
- ორივემ.

- მე არაფერი. ფეხი კი, მგონი, ცუდად  
მიხორცდება და თუ ავთოს ყველაზე უარესი  
პროგნოზი გამართლდა, სხვა გზა აღარ  
იქნება... ისე, ახია ჩემზე. მეუბნებოდა, ბიჭო,  
სურამლებმა თამაშის დადებისა რა იციან,  
ხელახლა „ჩაგათამაშებო“, - მაგრამ  
არ დავანებე...

- კარგი, მაშინ მოახლოებული გან-  
საცდელის წინ, ლაპარაკით მაინც აღარ  
დაგლლი და დაგემშვიდობებო.

- ნინი, მოიცა! - უცბად აყვირდა  
ღიბო. - ზვალ ისევ დაგირეკავ. თუ არ  
დავრეკე, ესე იგი, ამ უგულომ მართლა  
გამიმეტა... ამიტომ, ჩაინიშნე, რა, ჩემი ნო-  
მერი და იქნებ, შენ თვითონ დამირეკო...

- კარგი, მითხარი, დავიმასხოვრებ...

- არა, ჩაინიშნე! ხომ შეიძლება, დაგა-  
ვიწყდეს...

- კარგი, კარგი, ჩავინიშნავ, მითხარი.  
ღიბომ ნინის თავისი მობილურის  
ნომერი უკარნახა, შემდეგ ერთი ისე ამ-  
ოიხსრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლოდა  
და დაემშვიდობა.

ნინიმ დადუმებული ტელეფონის აპა-  
რატი ცოტა ხანს ხელში ისე უსაგნოდ  
ატრიალა, რომ მარამ იფიქრა, ცოტაც და  
ზღვაში მოისვრისო, მაგრამ შემდეგ ჩანთა  
მშვიდად გახსნა, აპარატი შეინახა და  
უცბად ცრემლები წამოსცივდა.

- ნინი, რა იყო? ასეთი რა გითხრა?  
- ნერვიულობისგან კინაღამ ხმა ჩაუწყ-  
და მარისაც.

ნინიმ ცრემლები მოიწმინდა, შემდეგ  
ჰაერი ერთი ღრმად ჩაისუნთქა და ღი-  
ბოს ამბავი სვენებ-სვენებით გადმოულა-  
გა მარის. ბოლოს კი, როცა მოყოლა  
დაასრულა, ისევ ბავშვით ასლუკუნდა.  
მარამ მაშინვე გულში ჩააკრა ნინი:

- კარგი, კარგი, დამშვიდდი, ახლა  
ტირილის კი არა, სინარულის დრო  
დაგიდგა. ხომ ყოველთვის გეუბნებოდი,  
რომ ღიბოს უყვარხარ, უბრალოდ, რაღაც  
ძალიან სერიოზულმა მიზეზმა შეუშალა  
ხელი, რომ მაშინ, შენამდე ვერ მოაღწია-  
მეთქი...

ნინიმ, როგორც იქნა, ტირილით გული  
მოიჯერა და შემდეგ ჯერაც ცრემლიანი  
თვალებით, ჰორიზონტს გახედა. იქ, მზის

უშველებელი სისხლისფერი დისკო ზღვაში ნელ-ნელა ინთქმებოდა. ნინიმ ბუნების ამ საოცრებას კარგა ხანს აღფრთოვანებულმა უცქირა, შემდეგ უცბად, გამოერკვა და ირგვლივ დაფეთებულმა მიმოიხედა:

– ნიტა!.. მარი, ნიტა სად არის?... სად არის ჩემი შვილი?!

– რამ გადაგარია?! გოგონებთან ერთობა. – შორიანხლოს ჩამომსხდარ ტინეიჯერების ჯგუფზე ანიშნა მარიმ.

გოგონებს ნიტა შუაში ჩაესვით და თავად გარშემო შემოსხდომოდნენ. ნიტას კი პაწია ხელები გაეშალა და რაღაცას ჰყვებოდა.

– ლექსებს ამბობს, – განუმარტა მარიმ ნინის.

ნიტამ უცბად ნინისკენ მოიხედა. სასწრაფოდ წამოხტა, ტანსაცმელზე შერჩენილი ქვიშა გულმოდგინედ ჩამოიფერთხა პაწია ხელებით, შემდეგ გოგონების წრე გაარღვია და დედისკენ გამოიქცა.

– დეე, ცოტნემ რომ ლექსი მასწავლა, ისევ დამავიწყდა, – შესჩივლა მან ნინის.

ცოტნეს ხსენებაზე ნინის ელდა ეცა: წუთის წინ ხომ მას ცოტნეს არსებობა საერთოდ აღარ ახსოვდა...

– არა უშავს, საყვარელო, ისევ გასწავლის...

- როდის?
- თბილისში რომ ჩავალთ.
- აუ-უ... მე რომ ახლა მინდა?!
- ნიტა, ჩემთან მოდი, მე გასწავლი... – გამოსძახა ნიტას მარიმ.
- შენ არ იცი.
- როგორ არ ვიცი?! ცოტნემ ეგ ლექსი მეც მასწავლა...

– არა, შენ არა... მარტო მე მასწავლა... მე... – გაჭირვებულა ნიტა.

– კარგი, კარგი, საყვარელო, მარტო შენ გასწავლა, ოღონდ, ნულარ ნერვიულობ – დამშვიდება დაუწყო ნინიმ შვილს და თან მარის გადაუღაპარაკა: ამ ბოლო დროს, ბავშვს ვეღარ ვცნობ – ძილით ხომ ძალიან ცუდად სძინავს და ყველა წვრილმანზეც ღიზიანდება. ექიმისთვის ხომ არ მჩვენებინა?

– კარგი, ერთი, რა, ნუ აზვიადებ! – შორს დაიჭირა ნინის წინადადება ექიმებისგან თავგაბეზრებულმა მარიმ. – უბრალოდ, ბავშვი ზღვაზე პირველად არის და აკლიმატიზაციის პერიოდი გაუგრძელდა...

– ურეკში ხომ არ გადავსულიყავით? ექიმმა ხომ ნიტასთვის მაინც, ურეკი უფრო მირჩია?..

– მერე, ცონტე და მისი შვილები?

– რა? არ ვითხარი, რომ ცოტნე ურეკში ერთი დღითაც კი არ ჩასულა? მისი შვილები კი, ერთ კვირაში თბილისში უნდა იყვნენ – სწავლა ეწყებათ.

– არა, ნამდვილად არაფერი ვითქვამს. ისე, როგორც შენ გინდა, ისე მოვიქცეთ.

– კარგი. ოღონდ, საღამოს ცოტნეს დაურეკავ და მაინც მოვეთათბირები...

საღამოს ცოტნემ თავად დარეკა. ნინიმ მას მაშინვე თავისი შემფოთება გაუზიარა.

– ტყუილად ნერვიულობ, – დამშვიდება დაუწყო ნინის ცოტნემ, – ზოგი ბავშვი ზღვას პირველად საერთოდ ვერ ეგუება... ისე, იქნებ, ურეკში თავი მართლაც, უკეთესად იგრძნოს... იქ ბავშვიც უფრო მეტია და ათასნაირი საბავშვო გასართობიც... ჩემი გოგონები, მაგალითად, ძალიან კმაყოფილები დაბრუნდნენ.

– უკვე დაბრუნდნენ?

– ჰო, დედაჩემი ვერ იყო კარგად და სასწრაფოდ წამოვიდნენ... ასე რომ... თუ გადასვლას გადაწყვეტ, დამირეკე. ურეკში ჩემი მეგობარი მუშაობს, შევეხმთანები და ყველა პირობას შეგიქმნით.

– უკვე გადავწყვიტე.

– კარგი მაშინ. ხვალ გიგი თავად გამოვივლით და ურეკში გადაგიყვანთ...

იმ ღამეს ნინის არაფრით მიეკარა ძილი. თვალწინ ხან თავიდან ფეხებამდე ღოღბანდებშემოხვეული დიტო ეღვა, ხანაც დამნაშავე

ბავშვივით მხრებაწურული ცოტნე. „დამერთო! ეს რა გამოცდის წინაშე დამყენე?! რა ვქნა? როგორ მოვიქცე?“ – გულში უკვე მერამდენედ იმეორებდა ნინი და თან ნიტას მშვიდ სუნთქვას აყურადებდა.

ფანჯარასთან მომდგარი მთვარის მქრქალ შუქზე, ნიტას ისედაც ლამაზ სახეს, რაღაც უცნაური, თითქმის ღვთაებრივი ნათელი ადგა... ნინიმ მძინარე შვილს ერთხანს კიდევ უცქირა, შემდეგ ფრთხილად აიყვანა ხელში და გულში ჩაიკრა.

– როგორც შენთვის უკეთესია, ჩემო სიცოცხლე, ისე მოვიქცევი... როგორც შენთვის აჯობებს, მხოლოდ ისე... – ჩაილაპარაკა ბოლოს თავისთვის, თუმცა, იმასაც მაშინვე მიხვდა, რომ ნიტასთვის რა აჯობებდა, რა იყო უკეთესი – ჯერ არც ეს იცოდა...

მეორე დღეს, ცოტნეს მეგობარმა მართლაც გამოუარა, თავისი მანქანით ნინის ავტომობილს წინ გაუძღვა და ყველანი ურეკისკენ გაემშურნენ, ჭიშკარში მდგარი სულიკო და მისი მონაგარი კი, მათ ხელს მანამ უქნევდნენ, სანამ გიგის და ნინის მანქანები თვალს საბოლოოდ არ მიეფარა.

ურეკში ჩასვლისთანავე ნიტა თავის ტოლებში გაერია და მართლაც გულთბილი მიიღინა. ვახშმის შემდეგ კი, აივანზე, მარის კალთაში მოკალათებულს, ისე ტკბილად ჩაეძინა, რომ იმის შიშით, არ გავალვიძო, მარი კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა. შემდეგ ბავშვი ნინიმ ჩამოართვა, ოთახში შეიყვანა და ფრთხილად მიაწვინა. უკან გამოსულმა ნინიმ სკამი აივნის კილისკენ მიაჩოჩა, ჩამოჯდა და იდაყვებით მოაჯირს ჩამოეყრდნო.

– დიტოს დღეს არ უნდა დაერეკა? – ჰკითხა უცბად მარიმ.

ნინი ისე შეხტა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო:


– დიტოს დღეს მძიმე დღე ჰქონდა – თაბაშირი უნდა მოეხსნათ, – ჩაილაპარაკა შემდეგ თავისთვის.

– ჯერ რა დროს თაბაშირის მოხსნა? – გაუკვირდა მარის.

– არა. ექიმს რაღაც არ მოსწონს, მგონი, მარჯვენა ფეხი ცუდად მიხორცდება და შეიძლება, თაბაშირში ხელახლა ჩამისვანო... – ასე მითხრა გუშინ.

– მერე, დღეს ერთხელ არ უნდა მოეკითხა? იქნებ, რა დღეა? ახლავე დაურეკე! – ბავშვივით დატუქსა მარიმ ნინი და ოთახიდან სასწრაფოდ მობილურიც გამოუტანა.

ნინიმ ცოტა ხანს კი იყოყმანა, მაგრამ შემდეგ დიტოს ნომერი მაინც აკრიბა.



# პელები პელები Australian Open-ზე

როგორც ჩოგბურთის მოყვარულთათვის არის ცნობილი, რამდენიმე დღის წინ, ავსტრალიის ტრადიციულ ღია ჩემპიონატზე ფინალში ერთმანეთს დები უილიამსები შეხვდნენ. „ოჯახურ ორთაბრძოლაში“ სერენა უილიამსმა იმარჯვა და ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა. უილიამსების საჩოგბურთო კარიერაში ეს უკვე მეოთხე შემთხვევა იყო, როდესაც დები ტურნირის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. სერენამ ოთხივეჯერ სძლია თავის უფროს დას.



სერენა უილიამსი


უნდა იქვას, რომ ავსტრალიის ღია ჩემპიონატი საკმაოდ დიდი ვნებათაღელვის ფონზე მიმდინარეობდა, რასაც, ისევე, როგორც ყოველთვის, რა თქმა უნდა, მასმედიის წარმომადგენლებიც უწყობდნენ ხელს. მაგალითად, ტურნირის გამარჯვებული უილიამს-უმცროსი თავისი პირველი მატჩის შემდეგ, არაეთიკური საქციელისათვის 1.500 დოლარით დაჯარიმა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის დისციპლინარულმა კომიტეტმა. სერენას ნერვები ვერ მოუთოკავს და თამაშის დროს, ფრანგი ემელი ლუსათვის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ამერიკელმა ჩოგბურთელმა პირველი სეტი წააგო. სერენა მაშინვე გააფრთხილეს ტურნირის ორგანიზატორებმა, შემდეგ კი, მისი საქციელის შესახებ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის დისციპლინარულ კომიტეტსაც დაწვრილებით აცნობეს. სხვათა შორის, ჩემპიონატის მხოლოდ პირველი სამი დღის მანძილზე, მეღბურნში, სხვადასხვა სახის დარღვევისათვის 15 ჩოგბურთელი დააჯარიმეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავსტრალიის ღია პირველობაზე ძალიან აქტიურობდნენ მასმედიის წარმომადგენლები, რომლებმაც დიდი ყურადღება დაუთმეს იმას, თუ როგორ იქცეოდნენ ჩოგბურთელები უშუალოდ თამაშის დროს. მათ სპეციალური გამოკითხვაც კი ჩაატარეს ბურთის მიმტანებსა და მატჩების მომსახურე სხვა პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლის შედეგადაც გამოირკვა, რომ ამ პროფესიის ადამიანებს ჩოგბურთელთა საკუთარი რეიტინგებიც კი ჰქონიათ შედგენილი. რეიტინგებში სპორტსმენები, ხასიათისა და ქცევის მიხედვით არიან ჩამოთვლილნი და არა საჩოგბურთო მიღწევების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ მეღბურნის ტურნირზე ყველაზე უხეში ჩოგბურთელი ჯენიფერ კაპრიატი ყოფილა. ბურთის მიმტანი ერთ-ერთი ბიჭუნას თქმით, ჩოგბურთის ამერიკელი ვარსკვლავი ძალიან თავშეუკაცებელი და უზრდელი ადამიანია. „იგი გამუდმებით, თანაც უხეშად ითხოვდა მისთვის პირსახოცის მიწოდებას და არასოდეს იხდიდა მად-


ლობას“, – თქვა ბიჭმა. ისე კი, ბურთის მიმტანთა აზრით, ტურნირზე ყველაზე ცუდად, ნაკლებად ცნობილი ჩოგბურთელები იქცეოდნენ. „ზოგიერთ მათგანთან ურთიერთობა, მართლაც საშინელებაა“, – აღნიშნა კორტის კიდევ ერთმა მომსახურემ. ყველაზე ზრდილობიან ჩოგბურთელებად

გამოკითხულებმა ლეიტონ ჰიუიტი, ანდრე აგასი, ჯეიმს ბლეიკი, კიმ კლიისტერსი და დები უილიამსები დაასახელეს, რომლებიც მომსახურე პერსონალს ზემოდან არასოდეს უყურებენ. აი, სხვა სიტუაციებში თავისი უხეშობით ცნობილი ჰიუიტი კი, თურმე ისე მეგობრულად ყოფილა განწყობილი ბურთის მიმტანების მიმართ, რომ მატჩების შემდეგ, მათ ხელის ჩამორთმევით ემშვიდობებოდა. მკითხველს აქვე იმასაც ვაცნობებთ, რომ ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე დიდ ჯენტლმენად ჯონ მაკინროია აღიარებული, რომელიც მარცხის შემთხვევაშიც არასოდეს გამოდიოდა წონასწორობიდან. სხვათა შორის, ამერიკელ ვარსკვლავს თავისი საჩოგბურთო კარიერის დასაწყისში, თავადაც უშუშავია კორტის მომსახურედ.

ალბათ გაინტერესებთ, თუ რითი გამოიჩინა ავსტრალიის ღია ტურნირზე თავი ჩოგბურთის სექს-სიმბოლომ – ანა კურნიკოვამ, რომელიც ბოლო წლებში, სულ უფრო შორდება სპორტს და თავს შობიხნეში იმკვიდრებს. ტურნირის დაწყებამდე, რუსმა ლამაზმანმა მონაწილეობა მიიღო სიდნეიში, Adidas-ის საკუთარი მაღაზიის პრეზენტაციაში. 21 წლის ანა სიამოვნებით არიგებდა ავტოგრაფებს და პოზირებდა ფოტოგრაფების წინაშე. შემდეგ კი, საზეიმოდ მიიხსნა ხელებიდან თაბაშირი, რაც ასევე მაღაზიის გახსნასთან იყო დაკავშირებული. სკანდალებზე მონადირე ჟურნალისტებმა ისიც შენიშნეს, რომ კურნიკოვა წელს ქვემოთ გაკეთებულ თავის ახალ სვირინგს საგულდაგულოდ მალავდა. რაც შეეხება ავსტრალიის ღია პირველობაზე ანას გამოსვლას, მან უკვე მეორე წრეში, ფისტინ ენინ-არდენტან დათმო შეხვედრა. ცხადია, რუსი ჩოგბურთელის მორიგი მარცხი არავის გაკვირვებია. გასაოცარი ის იყო, რომ კურნიკოვამ ტურნირზე პოპულარობის თვალსაზრისითაც იწვინა მარცხის სიმწარე. ავსტრალიის ღია პირველობისადმი მიძღვნილ სპეციალურ საიტზე, სლოვაკი ჩოგბურთელის – დანიელა ხანტუკოვას მიმართ უფრო მეტ გულშემატკივარს გამოუხატავს ინტერესი, ვიდრე ანასადმი. თუმცა, ამ უკანასკნელმა პოპულარობის მხრივ, მაინც გაუსწრო ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც ჰიუიტი, აგასი და დები უილიამსები არიან. ■



ანა კურნიკოვა



ჯენიფერ კაპრიატი




შევა არა მარტო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა რიგს განეკუთვნება, არამედ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოღვლის – კრისტინ პაზიკის

## ანდრეი შუჩინჯის ახალი სიყვარული

ბლიფრენდიცაა. კრისტინი თურმე ჭკუას კარგავს იტალიური მოდისთვის, თანაც, მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი ქალაქი მილანი ყოფილა, სადაც უკრაინელი ფეხბურთის ვარსკვლავი თამაშობს. ამერიკელი მოღვლი უკვე რამდენჯერმე მონაწილეობდა მილანში მოწვობილ სხვადასხვა ჩვენებაში, სულ ცოტა ხნის წინ კი, ლამისაა ნახევარი ევროპა გადარია, როცა შიშვლად გადაიღო ჟურნალისტთვის – GQ. საინტერესოა ისიც, რომ შევაძლე, კრისტინ პაზიკი თავად იტალიის პრე-

მიერ-მინისტრის, სილვიო ბერლუსკონის ვაჟის გელფრენდი იყო.



## მთბის შუკტი ლამაზი ძაღვების მთყვანელია

თუმცა აღრე, ამაში ბევრს შეჰპარვია ეჭვი, ჩოგბურთის ყოფილი ვარსკვლავის ზოგიერთი არჩევანის გამო. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ სოლიდურ წვეულებაზე ის მშვენიერი იუდიტ კამპისის თანხლებით გამოჩნდა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე – მით უმეტეს, რომ ლამაზმანი ერთი წამითაც არ მოშორებია თავის კავალერს და ისიც საჯაროდ აღიარა, რომ უკვე კარგა ხანია, ბეკერის თაყვანისმცემელია. აქვე დაეძინა, რომ იუდიტი უბრალოდ მშვენიერი გოგონა კი არა – გერმანული ბიზნესის ერთ-ერთი გიგანტის – პურ-ფუნთუშეულის მწარმოებელი კონცერნის ამპს-ის მეპატრონის ქალიშვილია...



## ბუნალტ გოლფის თამაშით იძვრეს თავს

ბრაზილიელი ვარსკვლავი არა მარტო საფეხბურთო მოედანზე აღწევს საუცხოო შედეგებს, არამედ გოლფის გაზონზეც საკმაოდ მოხერხებული ყოფილა. ამ ცოტა ხნის წინ, „რეალისა“ და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელ სპორტის ამ სახეობაში მადრიდში გამართულ, ნახევრად პროფესიულ ტურნირში მიუღია მონაწილეობა და ყველა მოწინააღმდეგეც უკან მოუტოვებია. პრესკონფერენციაზე, რომელზეც ტურნირის შედეგები შეჯამდა, კიჭამ განაცხადა, რომ ფეხბურთის გაცილებით უკეთ თამაშობს, გოლფი კი, მისთვის მხოლოდ ჰობია. „ფეხბურთი დედის რემესთან ერთად შევითვისე, აი, გოლფის თამაშს კი, მწვრთნელის დახმარებით ვეუფლები...“ – ხაზგასმით აღნიშნა რონალდომ.



## ეს უსუსტესი ძლიერი სძლესი...

კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ე.წ. სუსტი სქესი არცთუ ისე სუსტია და ძლიერს ფორაც შეუძლია მისცეს, ცოტა ხნის წინ, ფინეთიდან მოვიდა. დედაქალაქ ჰელსინკიდან 140 კმ-ით დაშორებით მდებარე პატარა ქალაქ ჰეინოლაში 16 ქვეყნიდან ჩასული 80-მდე ქალი და მამაკაცი სრულიად ახალი „სპორტის“ – საუნაში გაძლების მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად შეიყარა და... პლანეტის აბსოლუტურ ჩემპიონად ფინელი მესაზღვრე ქალი, 54 წლის ანიკა ჰელტონენი მოგვევლინა. მან საუნაში 13 წთ და 32 წმ გაძლო და არა მარტო ყველა ქალს აჯობა,



არამედ ამ „სპორტში“ უძლიერესი მამაკაცის – ასევე ფინელი ლეო პუსუს მაჩვენებელსაც ერთ წუთზე მეტი ხნით გადააჭარბა: ლეო 12 წთ-სა და 10 წმ-ში კისრისტეხით გამოვარდნილა საუნიდან.

ანიკამ, რომელიც ამ შეჯიბრებაში უკვე მეხუთედ მონაწილეობდა, თავისი მოწინააღმდეგეებიც შეაქო, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, კიდევ ორიოდე წუთსაც გაძლებდა გაუსადღის სიცხეში. ოქროს მედალი მან მეორედ აიღო, წინა წლებში კი, მეორე და მესამე ადგილებს სჯერდებოდა.

წლებანდელი ჩემპიონატი თურმე განსაკუთრებით გართულებული პირობებით გამოირჩეოდა წინამორბედი შეჯიბრებებისგან. სპორტსმენებს 110-გრადუსიანი ტემპერატურისთვის უნდა გაეძლოთ, რაც შარშანდელს 17 გრადუსით აღემატებოდა.

# Lexus-ს ექონიერებისთვის გადააქვს აქცენტი

პრესტიჟული ავტომობილების მწარმოებელი, იაპონური კორპორაცია „ტოიოტას“ ერთ-ერთი ახალი მოდელი IS 200 SportCross-ი, სპორტული კუპესა და საოჯახო ავტომობილის საუცხოო ნაზავს წარმოადგენს. სალონი იშვიათი ფუნქციურობით გამოირჩევა: ის ადვილად შეიძლება გადაკეთდეს ვრცელ სატვირთო დანაყოფად, ამასთანავე, მასში განთავსებულია უამრავი მოსახერხებელი დამჭერი და სამკერი, ბოთლებისა და ჭიქებისათვის, თაროები და უჯრები სხვადასხვა წვრილმანისთვის. IS 200 SportCross-ი 2 ლ სამუშაო მოცულობის ბენზინის ძრავითაა აღჭურვილი, რომელიც 155 ცხ.ბ. სიმძლავრეს განავითარებს, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი, 9,5 წმ-ში ფარავს.



თუმცა Lexus-ის პალიტრაში უამრავი მოდელია, რომელიც ლუქსის კლასის ავტომობილის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, სატიუნინგო ფორმებს, რომლებიც მანქანებს ინდივიდუალური შეკვეთით ამზადებენ, საკმაოდ დიდი სამოქმედო ასპარეზი რჩებათ. „ლექსუსის“ მარკების დახვეწაში დაოსტატებული, სპეციალიზებული ფორმა – თთ „ტოიოტას“ ოფიციალური პარტნიორია. მის ნაწარმს წარმოადგენს LEXUS

RX 300 Kompressor-ი, რომელიც გარეგნული ნიშნების – 18-დუიმიანი საბორბლე დისკების, სპორტული იერისა და რადიატორის გაუმჯობესებული ცხაურის გარდატეხიკურადაც დაიხვეწა TTE-ს ინჟინრების შრომის წყალობით. კერძოდ, მათ შესამჩნევე ცვლილებები შეიტანეს ძრავას კონსტრუქციაში: 3-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი აგრეგატის სიმძლავრე, სერიულთან შედარებით, 48 ცხ.ბ-ით – სულ 248 ცხ.ბ-მდე გაზარდეს. ბუნებრივია, ტიუნინგის შედეგად, ავტომობილს მოაშორეს სიჩქარის ელექტრონული შემზღუდავი (რომელიც 180 კმ/სთ-ით შემოიფარგლებოდა) და ის ახლა 215 კმ/სთ-ს ავითარებს. ამის წყალობით, 1850 კგ მასის მქონე მანქანა ადვილად გაეჯიბრება BMW X5-ს და არც მასზე ბევრად ძვირიც ეღირება: ევროპაში, სტანდარტული კომპლექტაციის Lexus RX 300-ის ფასი 50.000 ევრო ეღირება. ■



## Renault Ellypse – მომავლის ავტომობილის ექონიერებისთვის

ფრანგული კომპანიის ამ ახალი კომპაქტური მანქანის კონცეპტუალური მოდელი „მშვიდი“ კონტურით გამოირჩევა და თავისუფალია ყოველგვარი აგრესიულობისაგან. ავტომობილში გამოყენებულია უახლესი ტექნოლოგიები: კარები ალუმინისგანაა დამზადებული, კაპოტი, ფრთები და ძარის უკანა ნაწილი კი – პოლიპროპილენისგან. მანქანა სულ 980 კგ-ს იწონის. ხელსაწყოების პანელზე ვერ ნახავთ ჩვეულებრივ ღილაკებსა და ტუმბურებს – მინის გამჭმენდები, მასუქები და რადიოაპარატურა ერთიან ბლოკშია მოქცეული. სალონი ზედმიწევნით ფუნქციურია. საჭიროების შემთხვევაში, ყველა სავარძელი იმგვარად განლაგდება, რომ

მოსახერხებელი ტახტი გამოვიდეს. ლლყსე-ის დიზელის ძრავა ყოველ 100 კმ-ზე საშუალოდ, 3.2 ლ-ს წვავს – ეს მაშინ, როცა მისი სიმძლავრე 98 ცხ.ბ-ს აღწევს. ამ მოდელის შექმნისას, კომპანიის კონსტრუქტორები მიზნად ისახავდნენ იმას, რომ მომავლის ავტომობილის საკუთარი კონცეფცია წარმოედგინათ. მისი მთავარი ღირსებები – ფუნქციურობა, ეკონომიურობა და ეკოლოგიურობაა. ამ თვალსაზრისით, „ელიფსი“ თავისი იმ კონკურენტებისგან განსხვავდება, რომლებსაც აქცენტი სიჩქარეზე, დინამიკასა და სპორტულ დიზაინზე აქვთ გადატანილი. ■



## Chrysler PT Cruiser-ი გახეგნობას იცვლის

2002 წლის დამლევის, ამერიკულმა კორპორაცია „კრაისლერმა“ თავისი ახალი კონცეპტუალური მოდელი – Chrysler California Cruiser-ი წარუდგინა საავტომობილო სამყაროს. მანქანა იმ დიზაინერული იდეების შემდგომი განვითარების ეტაპს წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ წარმატებულ მოდელს – PT Cruiser-ს ელო საფუძვლად. PT Cruiser-ი 2000 წელს ჩაუშვეს სერიულ წარმოებაში და იმ დროიდან მოყოლებული, მთელ მსოფლიოში 440 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა.

გარეგნულად ახალი Cruiser-ი ძირითადად, თავისი წინამორბედის სტილშია შესრულებული: მასაც დგარის ფორმის მაშუქები, რადიატორის ქრომირებული ცხაური, ძარასთან გაერთიანებული ბამპერი აქვს. California Cruiser-ი სამკარიანი კონსტრუქციისაა, ოთხადგილიანია. საჭიროების შემთხვევაში, უკანა სავარძლების ხარჯზე სალონი შეიძლება საბარგულად გადაკეთდეს. მოდელის ოფიციალური პრემიერა შარშან შემოდგომაზე, პარიზის ავტოსალონზე შედგა.

აქვე დაბეჭდეთ, რომ PT Cruiser-ს მექანიკაში, ქლაქ ტოლუკაში მდებარე ქარხანაში აწარმოებენ. 2004 წლის გაზაფხულზე, იქვე დაიწყება PT Convertible-ის გამოშვება, რომელმაც ასევე ძალზედ კარგი შეფასებები მიიღო შარშან, ნიუ-იორკის ავტოსალონზე ჩვენებისას.



## Rover-მა ახად მხსნელს მიაგნო

Rover 75\_Silverstone Edition – ასე ეწოდება სპეციალურ მოდელს, რომელიც ორი – 1,8 ლ-იანი (120 ცხ.ძ.) და 2,5 ლ-იანი (177 ცხ.ძ.) ძრავითაა აღჭურვილი. მის საბაზო კომპლექტაციაში შედის: 17-დუიმიანი საბორბლე დისკები, გვერდითი სარკეების ქრომირებული კანტი, ტყავისა და ხისგან დამზადებული საჭე და სხვა აქსესუარები.

სპეციალური მოდელის დანიშნულებაა, გამოასწოროს ის კატასტროფული მდგომარეობა, რომელშიც ბრიტანული ფირმა უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა. სადღეისოდ, MG Rover-ის წილი ბრიტანეთის საავტომობილო ბაზარზე 4%-მდეა დასული, მაშინ, როდესაც XX საუკუნის

90-იანი წლების შუა პერიოდში, ეს მაჩვენებელი 11%-ს შეადგენდა. საგრძობლად შემცირდა ექსპორტიც; მაგალითად, 2002 წლის პირველ 4 თვეში, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ესპანეთი, იტალია და საფრანგეთი, რეალიზაციის მოცულობა შესაბამისად, 44,2, 39,7 და 16,8%-მდე დაეცა. უფრო კატასტროფულად შემცირდა „როვერის“ პროდუქციის გაყიდვა გერმანიაში, სადაც შემცირებამ 47%-ს მიაღწია; აბსოლუტურ ციფრებში ეს მაჩვენებელი 1687 გაყიდულ ავტომობილს ნიშნავს!

როგორც ცნობილია, რამდენიმე წლის მანძილზე, ინგლისური ფირმის მფლობელად გერმანული კონცერნი BMW

მოგვევლინა. მაგრამ ბავარიელებმა დიდი ჯვარი დაუსვეს თავიანთ მცდელობას, დაეძლიათ „როვერის“ კრიზისი და თავიანთი წილი აქციებიც გაყიდეს. ამჯერად, ბრიტანელ ავტომწარმოებლებს მშველელად ჩინელები მოევიწყნენ: ცოტა ხნის წინ, MG Rover-მა ხელი მოაწერა კონტრაქტს China Brilliance-თან, რომლის შესაბამისადაც, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წელიწადში 330000 ავტომობილი აიწყოება. ჩინელი პარტნიორის ინვესტიციები 340 მლნ ევროს შეადგენს და კომპაქტური მოდელის – Rover 25-ის წარმოების დაფინანსებას მოხმარდება, რომლის გამოშვებას 2005 წლიდან აპირებენ. ■



აკაკი ვევენავა

როცა შენ მიმართ კეთილგანწყობილი ადამიანების გარემოცვაში ტრიალებ, როცა მათგან ყოველდღიურად გრძნობ სითბოსა და ყურადღებას, დამეთანხმებით, ეს არცთუ ისე ცოტაა საიმისოდ, რომ თავი ბედნიერად იგრძნო. მით უმეტეს, თუ სახლიდან შორს, თანაც მარტო ხარ გადახვეწილი. ერთი მხრივ, ნოსტალგია გტანჯავს, მეორე მხრივ კი, ამერიკული გარემო გითრევს ქაობივით... სწორედ ასეთი გარემო, არცთუ ისე იშვიათად, მტკივნეულ კლანჭებს იმ დროს გამოაჩენდა ხოლმე, როცა სრულიად არ ველოდი. ჰოდა, მაშინ ერთბაშად ქრებოდა იმედის ნასახივც კი და ერთბაშად ნაცრისფერ ბურუსში ვიძირებოდი...

ეს ლირიკული გადახვევა ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ ჩემი „ამერიკული ოდისეის“ ერთმა ეპიზოდმა (რომლის შესახებაც ახლა ვიამბობთ) თითქოს ახალი ძალით დამანახვა, თუ როგორ შეიძლება იქცეს სრულიად უცხო ადამიანი შენთვის უახლოესად...

დიმა ბაზელის ჩემს ადგილს იკავებს...

დიმა ბაზელმა ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შეუძლებელი იყო, მასთან კონფლიქტი მომსვლოდა. რამდენადაც მე ფიცხი და მოუთმენელი ვიყავი, იმდენად დიმა ყოველგვარი პრობლემისადმი წყნარი და გაწონასწორებული დამოკიდებულებით მოცუბდა. მისი ოლიმპიური სიმშვიდე მე კი არა, ნებისმიერ დიდ პოლიტიკოსსაც შემურდებოდა. თითქოს ყოველ სიტყვას წონიდა, გაბრაზება მგონი, საერთოდ არც იცოდა...

სანამ დიმა შეეხვედბოდი, ჩემი მარშრუტი მოიცავდა: ბიბლიოთეკას, სატვირთო მანქანის კურსებს და შრომის ბირჟას, რომლის გამოც ზოგჯერ საკუთარი თავი მეცოდებოდა (ხან მტვირთავი ვიყავი, ხან ზეინკალი, ხან ელექტროშემდუღებელი და ათასი ჯანდაბა!), დიმა კი თავისუფალ დროს, ხან მუხუერში მიდიოდა, ხან თეატრში, ხან კონცერტსა თუ დისკოთეკაზე... ნიუ-იორკში რაიმე მნიშვნელოვანი კულტურული სიახლე მის გარეშე არ ჩაივლიდა. ცოტა ხანში მეც ამიყოლია და სწორედ დიმა გახდა ჩემი გზამკვლევი. მისი წყალობით შემოვიარე არაერთი კულტურული ცენტრი, რომლის შესახებაც მომდევნო წერილებში მოგიხსენებ.



# ჩემი «ამერიკული ოდისეის» ყველაზე სავლიანი ფურსლევი...

...დედა სვეტასთანაც ხომ სწრაფად გამოიხსნა საერთო ენა დიმა ბაზელმა. განსაკუთრებით ბნის ღიზინის სრულყოფისკენ მიისწრაფოდა ორივე. ეს სრულყოფა პირველ ეტაპზე, ავეჯის გადაადგილება-გადმოადგილებაში გამოიხატებოდა. მოკლედ, დიმა ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა, ლამის ყოველ მეორე დღეს იცვლებოდა ოთახებში „დეკორაცია“. რამდენადაც დიმა და დედა სვეტა იყვნენ აღფრთოვანებულნი თავიანთი ღიზინიერიული მგენებებით, იმდენად მე ვიყავი უკმაყოფილო, რადგან დაჩაგრულად მჩვენებოდა ჩემი თავი: ჩემი საწოლი ხან ოთახის თავში იყო, ხან ბოლოში, ხან სად და ხან სად. ერთი სიტყვით, ყოველი ასეთი გადაადგილებისას, რომ გავიღვიძებდი, თავი ხან სასტუმროში მეგონა, ხანაც სრულიად უცხო გარემოში. ერთი-ორჯერ პროტესტი გამოვთქვი – ჩემს საწოლს შეეშვით-მეთქი, – მაგრამ შენც არ მომიკვდე, ყური არავინ მათხოვა. თუმცა, ერთი მხრივ, თავს გაცილებით თავისუფლად ვგრძნობდი, ვიდრე მანამდე. სანამ დიმაც დედა სვეტას მღებური გახდებოდა. თანაც, დიმა მოსვლის შემდეგ, ჩემი ყოველთვიური ბნის ქირა 20 დოლარით შემცირდა (ასე ისურვა ჩვენმა კეთილმა დიასახლისმა). მეც, შესაბამისად, თბილისში 20 დოლარით მეტის გამოგზავნა შემეძლო... „თავისუფალ ჩიტად“ იმიტომ ვიქცევი, რომ დედა სვეტამ და დიმა მალე გამოიხსნეს საერთო ენა, ჩემი წილი ყურადღება ახლა, ახალ მღებურზე გადავიდა – დედა სვეტა ისე ერთობოდა დიმასთან საუბრით, რომ ისე ძალიან აღარ ვანიცდიდა ჩემს ხშირ დავიანებას. რამდენჯერ

გვიან ღამით ისე შევსულვარ ოთახში, რომ კამათით ან საუბრით ვართულო, ჩემთვის ყურადღება არც მოუქცევიათ. ერთი კია, ჩემი წილი ვაზში მაგიდაზე იღო, საგულდაგულოდ გამზადებული, მეც გემრიელად შევექცეოდი ხოლმე და დასაძინებლად მივდიოდი...

– დიმა, დავიჯერო, არ ილღები დედა სვეტასთან ამდენი ლაპარაკით? – ვკითხე ერთხელ დიმას.

– სხვა რა გზა მაქვს? შენ გვიანობამდე არ მოდიხარ შინ, ჩემთან გულს აყოლებს, უფრო სწორად – უშენობის დეფიციტს ივსებს... – ხუმრობის ხასიათზე დაღვა ჩემი ახალგაწილობილი მეგობარი.

– მაგარი ხარ. რომ იცოდე, რამხელა ტვირთი მომხსენი, თანაც ნემსის გაკეთებაც ხომ გასწავლე და ახლა მშვიდად ვარ: დედა სვეტა ცუდად რომ გახდეს, ნემსსაც შენ გაუკეთებ და...

– ჰო, რა გიჭირს? თავი ქედში გაქვს. შენთვის არ მითქვამს და ამ ბოლო დროს, დედა სვეტა სულ უფრო ხშირად ხდება ცუდად და მე მიწვევს მისთვის ნემსის გაკეთებაც და დახმარებაც. ისე, მისი ქალიშვილებისთვის ხომ არ დაგვერეკა?

– ცოტა ხანი დაეცადით, იქნებ გამოკეთდეს თუ არა და, დარეკვას რა უღვას წინ?!

**Yes!** – გამოცდა ჩაბარებულია!..

როგორც იქნა, დაღვა „ნანატრი“ გამოცდის დღე. და თუ ამ გამოცდას ჩავაბარებდი, სატვირთო მანქანის მართვის მოწმობას მივიღებდი. ეს მოწმობა ახლა, ჩემთვის კვებ-

იყოს უნივერსიტეტის არა, მაგრამ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომზე ნაკლები ღირებულებისა არ გახლდათ. თანაც გამოცდაზე მიმავალს, თან მიხაროდა, რომ ამ ჯოჯოხეთის დავემშვიდობებოდი (კურსებზე ჩემი სწავლის პრობლემებს ვგულისხმობ), თანაც გული მეთანადრებოდა — ისეთი გრძობა მქონდა, როგორც სკოლის ან თუნდაც ინსტიტუტის დამთავრებისას, — განცდა იმისა, რომ შენს ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გასრულდა და ახლა ახალი იწყებოდა, არანაკლებ რთული და წინააღმდეგობებით სავსე.

მოკლედ, ამ ნაცნობმა განწყობამ ამერიკაშიც „მიწია“, მძლოლების კურსებზე. თუმცა, ჩემს თანაგუგუფელებს წესიერად არც ვიცნობდი — ერთი თვის თეორიული კურსის შემდეგ, თითოეულ მსმენელს პერსონალური ინსტრუქტორი მოგვამაგრეს, რის გამოც ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით... მაგრამ გამოცდების ციებ-ცხელებისას ისე დავახლოვდით, თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გაგვეტარებინოს. თანაც ყველანი საშინლად ენერგიულობდით...

ჩემი ნერვიულობა დეიდა სვეტას შეუშინველი არ დარჩენია. ისიც ხვდებოდა, რომ ამ გამოცდაზე დიდად იყო დამოკიდებული ჩემი შემდგომი „კარიერა“ (თუ შეიძლება, ასე ეწოდოს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემს საოცნებო მოგზაურობას, რომელსაც სწორედ სატვირთო მანქანით — ტრაილერით ვაპირებდი).

— შეილო, შენ ნუ იდარდებ, გამოცდაზე რომც ჩაგჭრან, მაინც არ ინერვიულო, გული არ დაიავადო. მთავარია, ჯანმრთელად იყო და ყველაფერი აეწყობა... ყველაფერს ეშველება... — დილაადრიანად გამამხნევა დეიდა სვეტამ, რომელიც ჩემს გასაცვილებლად

ამდგარიყო, ჩემთვის დარჩინიანი ჩაიც გაეშალდებინა და წუხანდელი ღვეზელიც გაეცხვლებინა.

ეტყობა, მართლა ძალიან მეტყობოდა ალელვება. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო? — გამოცდა რომ ვერ ჩამებარებინა, ხელახლა მომიწევდა 4.000 დოლარის გადახდა, ხელახლა კურსებზე სიარული — ერთი სიტყვით, თავიდან უნდა გამეცლო ყველაფერი. მე კი, ის ნასესხები 4.000 დოლარი ბოლომდე გასტუმრებულიც არ მქონდა...

— ნუ გეშინია, შეილო. შეტყამე რამე. მე ვილოცებ შენთვის, შენს წმინდა გიორგის (იცოდა, რომ ქართველებს წმინდა გიორგის ძალი გეფარავს) შევთხოვ, რომ შეგეწიოს... სანამ სადარბაზოდან არ გავვლი, ვგრძობდი, რომ დეიდა სვეტა კარში იდგა და ჩემთვის ლოცულობდა...

ვინც მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდაზე გასულა, დამთანხმება, რომ თეორიის ჩაბარება არცთუ ისე ძნელია, აი, მანქანის ტარება — ეი. პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირება კი, ნაღდად სახლავფორთო რამ არის: დამაბული ზიხარ საჭესთან, მშვიდად უნდა შეასრულო ინსტრუქტორის მითითებები, არ დაიხე... ტრაილერზეც ასეა, ოღონდ აქ ზრის კიდევ ისეთი ნიუანსები, ზოგჯერ გამოცდილ მძღოლსაც რომ დააბნევეს. მართალია, წინ სვლა, მოხვევა, დამუხრუჭება, სიჩქარეების გადართვა და სხვა ტექნიკური საკითხები დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით უკუსვლაზე (მძღოლების ენაზე რომ ვთქვათ, „ზადნი ხოლზე“) — ეს ნამდვილად „მთელი ფილოსოფიაა“! შეიძლება, მთელი ცხოვრება ავტომანქანის საჭესთან ივადე, მაგრამ გადმოსატვირთ ბაქანთან ტრაილერის უკუსვლით მიყენება ბევრი ვარჯიშის გარეშე შეუძლებელია...

გამოცდაზე თხუთმეტი კურსდამთავრებული გავვდი. თეორიული ნაწილი ასე თუ ისე, ყველამ დავძლიეთ და ახლა ჯერი ჩვენთვის ლომად ქცეულ ტრაილერთან შერკინებაზე მიდგა.

ძალიან ველავდი. იძინად ძლიერ, რომ ხელები მიკანკალებდა. რიგით მეოთხეს მომიწია გასვლა. ნერვიულობამ პიკს მამინ მიაღწია, როდესაც წინა სამმა მსმენელმა გამოცდა ვერ ჩააბარა — სამივე უკუსვლაში ჩაიჭრა. იყო მომენტი, როდესაც ვიფიქრე — რაიმეს მოვიძიებუბ და გამოცდას გადავლებ-მეთქი, მაგრამ უკვე ჩემი გვარი ამოიკითხეს და კომისიის წევრებმა ტრაილერზე დავდომა მოხვდეს... — ნერვიულობ? — მკითხა კაბი-

ნაში მეჯლომმა ინსპექტორმა.

— სულაც არა! — ვუპასუხე და მანქანა დავძარი. ინსპექტორის შეკითხვამ გამომაცოცხლა და საბრძოლო განწყობაზე დამაყენა. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიარეთ, მაგრამ ყველაფერი საუცხოოდ გამომიდოდა. სითამამეც მომემატა.

— აი, ახლა კი, პირდაპირ რომ საწყობა, იქ მიაყენე მანქანა უკუსვლით.

„ახლა კი დაგერხა, კაკო!“ — გავიფიქრე, მაგრამ „მეტრს“ არ შეგაჩნევი და მიჩვენებითი სიმშვილით შევეუდექი დავალების შესრულებას.

ჩემდა გასაოცრად, მანქანა უნაკლოდ მივაყენე დათქმულ ადგილზე უკუსვლით.

— გეტყობა, მეორედ არ აპირებ გამოცდაზე გამოსვლას. მომილოცავს! — ძლივს გამოიმეტა ღიმილი ინსპექტორმა.

— oo, yes! — 15 წლის ბიჭვიით დავიყვირე და აღარ მახსოვს, ჩამოვხტი თუ ჩამოვფრინდი კაბინიდან. კურსელები ჩემს წარმატებას ტამით შეხვდნენ.

ისე მიხაროდა, ვერ ვისვენებდი. ძალიან მინდოდა, დიდასთვის და დეიდა სვეტასთვის მეხარებინა ჩემი წარმატების აბზავი, უფრო მეტიც — მათთან ერთად რესტორანში წასვლაც გადავწყვიტე.

ყურმილს დიდხანს არავინ იღებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დიდას ხმა გავიგონე და სულმოუთქმელად მივაყარე:

— მომილოცე დიდა! ჩავაბრე ბოჭო, გამოცდა! სასწრაფოდ ჩაიცი, დეიდა სვეტაც წამოიყვანე — რესტორანში გეპატიუებით... აბა, ჩქარა, ტაქსის გაჩერებასთან გელოდებით! უკვე მოვიდვარ!... — ის-ის იყო, ყურმილის დაკიდებას ვაპირებდი, რძმ რაღაც გაურკვეველი ბუტბუტი მომესმა — დიდას ხმას კიდევ ჰკავდა და არც ჰკავდა...

— რას მეუბნები, დიდა, გაიმეორე! — ისევ ჩავძახე.

— კაკო, დეიდა სვეტა ძალიან ცუდადაა, სასწრაფოდ მოდი! — ისეთი ხმა ჰქონდა დიდას, რომ ცივმა ოფლმა დამასხა. ერთი პერიოდი, გაშუმებული ვიდექი, მერე ადგილს ისე მოვწყვიდი, რომ ყურმილი არც ჩამო-



ნომბის ტელეფონი  
ქონსუტაცია  
ინსტიმი (18 წლიდან)  
☎ 822 009 005  
„მეტი“ „ვეფოსელი“  
„მეგაკომი“ — 0,70 ლ.  
თბილისი — 0,45 ლ.  
რაიონები — 0,65 ლ.

მივიდა. საშინელი სისწრაფით მივბრბოდი ავტობუსის გაჩერებისკენ, ისეთი სისწრაფით, რომ ფეხით მოსიარულეები გზას მითმობდნენ და გაცეხებულები მაცოლებდნენ თვალს...

ჩამხამებული სიხარული

კარი ღიამ გამიღო. ისეთი ფერდაკარგული და აღელვებული ღამხვდა, რომ შემეშინდა:

- რა სახე გაქვს, ბიჭო? რა შეშლილივით მიყურებ?

- კინალამ ხელში ჩამაკვდა. ისე დავიბენი, რომ აღარ ვიცოდი, რა მექნა!.. - შემომჩვილა.

- მერე, ნემსი ვერ გაუკეთე?

- კი გაუკეთე, მაგრამ ვერ დავაწყნარე, სულ ბორგავდა!

- „სასწრაფო“?

- გამოვიძახე, სადაცაა მოვლენ!

ღეღეღა სვეტას ოთახში შევედი. ამ რამდენიმე საათში, სულ ერთიანად გამოცვლილიყო ჩემი კვილი დასახლისი: სახეზე გაუსაძლისი ტკივილი აღბეჭდილია, ცახცახებდა და ბორგავდა...

- სვეტა ღეღეღა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. ახლა ექიმები მოვლენ... - ვცდილობდი, დამეშვიდებინა და შუბლზე ხელი დავადე. მივხვდი - უგონოდ იყო, არაფერი ესმოდა...

როცა ექიმები მოვიდნენ, როგორც კი შეხედეს მწოლიარეს, არც დაფიქრებულან - დაუყოვნებლივ საკაცეზე გადაიყვანეს... არ მახსოვს, მე და ღიამ როგორ მოვხვდით „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში, მაგრამ ის კი ცხადად მახსოვს, როგორი სისწრაფით მიქროდა ბრუკლინის ქუჩებში ჩვენი მანქა-

ნა. ეს იყო ნამდვილი ბრძოლა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, რომლის უნებლიე მოწმებდაც ვიქცეით მე და ღიამ.

მანქანიდან ღეღეღა სვეტა ბორბლებიან საკაცეზე გადაიყვანეს და საავადმყოფოს მიმღებში, ერთ-ერთ ღია სარკმელთან შეაჩერეს. სარკმლის იქით მაგილები და კომპიუტერები იდგა, კომპიუტერებს ლურჯხალათიანი ქალბატონები უსხდნენ.

„სასწრაფო დახმარების“ ექიმებმა ჩვენი დამშვიდება სცადეს:

- აბა, ბიჭებო, კარგად იყავით! თქვენს ბებოს ახლა საავადმყოფოს ექიმები მიხედავენ...

ღეღეღა სვეტას დავხედე. მიტკალივით თეთრი იყო. ერთ-ერთი ლურჯხალათიანი ქალბატონი ზანტად წამოდგა, სარკმიდან გადმოხვდა ავადმყოფს და მშვიდად იკითხა:

- რამდენი წლისაა?

- 70-ს გადაცილებულია! - სწრაფად ვუბასუე იმ იმედით, რომ ასევე სწრაფად გაქანებდნენ ექიმებთან.

- თქვენ ვინ ხართ მისი?

- შვილები ვართ! - უბასუხა ღიამ.

- ავადმყოფის გვარი! - ისევ ზანტად იკითხა ლურჯხალათიანმა.

- ლავროვა!.. - ვუბასუე და მივხვდი, რომ სადაცაა, აფეთქებოდი.

- გადახდის უნარი თუ გაქვთ? - გამოძვევდად გადმოგვხვდა.

- ვერ გავიგეთ, რას გვეკითხებით?! - დაიბნა ღიამ.

- რა ვერ გაიგეთ? ფული გაქვთ, რომ ავადმყოფი მივიღოთ? - ცივად დავვიძარცვლა სიტყვები ლურჯხალათიანმა.

- რა დროს ფულია? - ვერ ხედავთ, ადამიანი კვდება! - ველარ მოვითმინე და ამ სიტყვებს ქართულად მივაყოლე ხუთსართულიანი გინება.

- რა ენაზე ლაპარაკობთ? ან რა უფლებით მიყვირით? - გაცეცხლდა ქალბატონი.

ახლა ბრუკლინის ქუჩაში ნასწავლი, „კეთილხმოვანი“ ფრაზებიც მოვიშველიე...

- მაიკლ! მაიკლ, გამოდი!.. - შემინებული ხმით დაიყვირა ჩემი რისხვის ობიექტმა და ჩემ გვერდით მოულოდნელად, ერთი ახმახი, ზანგი მცველი გაჩნდა.

- არ იცით, აქ როგორ უნდა მოიქცეთ? - მკაცრი გამომეტყველებით მითხრა ახმახმა და საბუთები მომთხოვა.

- რა დროს საბუთებია?! ადამიანი კვდება. ექიმს დაუძახეთ, უშველეთ! ხალხი არა ხართ?!

- მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ! თქვენი საბუთები? - გაქვავებული სახით გაიმეორა ახმახმა. ამასობაში, ხმაურზე ექიმებიც გამოვიდნენ და ღეღეღა სვეტასთან

მივიდნენ. დახედეს, სანიტარს დაუძახეს და მისი საკაცე იმ დერეფნით, საოპერაციოსკენ გააგორებინეს. ზანგი მცველს მექანიკურად მივაწოდე პირადობის მოწმობა და საკაცეს დავედევნე. საოპერაციომდე მივდიე, ახლავდა შევაძინე, რომ ღიამაც მომყვებოდა... იქ კი, კარი „თავაზიანად“ მოგვიხურეს და ვვითხრეს - გარეთ დაგველოდეთო.

ერთი საათი მე და ღიამ ვოლიერში გამოძვევებული დათვებივით დავაბოტებდით. ეტყობა, ისეთი სახეები გვქონდა, რომ ახმახ მცველსაც კი შევებრალეთ: მოვიდა, უხმოდ გამომიწოდა ჩემი პირადობის მოწმობა და უხმოდვე გაგვეცალა.

ბოლოს, როგორც იქნა, ექიმიც გამოვიდა.

- სამწუხაროდ, ველარაფერს ვუშველით - ორმხრივი, ეტყობა, უსიცხო ფილტვების ანთების ფონზე, ინფარქტი განუვითარდა. ამ ასაკში ეს ძალიან მძიმეა... ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო... როგორც იქნა, გონზე მოვიყვანეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს დიდხანს არ გასტანს...

სარეანიმაციო ოთახში შევედი. ღეღეღა სვეტას წვეთოვანი ედგა.

- მოხვედით, ჩემო შვილებო?... ხედავთ, რა დღეშია თქვენი ღეღეღა სვეტა... - ძლივძლივობით წიაბუტბუტა მოხუცმა.

- რას ამბობთ, ღეღეღა სვეტა?! რესტორანში უნდა ვიქეიფოთ - გამოცდა ჩავაბარე!.. - უნათოდ დავიწყე ნუგემისცემა...

- მომილოცავს, კაკო... ეჰ, ნეტავ, ჩემმა ქალიშვილებმა მომიწერონ...

ცოტა ხნის შემდეგ, ისევ გაახილა თვალები, თბილად გავვიღიმა და დავვლოცა:

- თავს გაუფრთხილდით, შვილებო!.. - და ისევ დახუჭა თვალები. ასე იწვა მთელი ღამე - წყნარად, თითქოს ჩაეძინა კიდევ. მის გვერდით ვიყავით, შველა გვინდოდა, მაგრამ კერაფრით ვშველოდით.

გამთენიისას, ღეღეღა სვეტამ თვალი გაახილა. ისეთი შთაბეჭდილება შემექნა, თითქოს ვიდაცას შიშით უყურებდა. ერთბაშად დაიძაბა, გამომეტყველება ტკივილიანი გაუხდა... მოულოდნელად, საოცარი სინათლე ვიგრძენი. ღეღეღა სვეტას დავხედე. გაიღიმა... ამ ღიმილში უსაზღვრო სითბო და სიმშვიდე იგრძნობოდა... ერთი ღრმად ამოისუნთქა და... გულისცემის დამაფიქსირებელ აპარატში განგამის სიგნალი გაისმა...

ფეხზე ისე დავდექი, თითქოს ასკილოგრამიანი გირები მექაჩებოდა ძირს. უსამველოდ დამცხა, ლოყებზე სისველე ვიგრძენი...

აივანზე გავვიდი. ატლანტის ოკეანის მხრიდან მზე ამოდიოდა.

ღეღეღა სვეტას სიცოცხლე დასრულდა!.. ნიუ-იორკში ახალი დღე თენდებოდა.



# მესიხის სიყვარულს ყინალამ მედომანების ენდებები ემსხვერპლა

ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემის რადიოსადგური BRMB ადგილობრივი მუსიკალური ფესტივალის ბილეთების გათამაშებისათვის 15 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს. იმისათვის, რომ სასურველი ბილეთის მფლობელები გამხდარიყვნენ, კონკურსის მონაწილეებს გარკვეული დროის მონაკვეთი ხელოვნური ყინულის ბლოკებზე ჩამომსხდრება უნდა გაეტარებინათ. ამ უჩვეულო წამოწყების შედეგად, კონკურსის მონაწილე ლიზი მელომანი დუნდულების მძიმე მოყინულობით სავადმყოფოში გადაიყვანეს. სამ მათგანს კლინიკაში ათი კვირის გატარება მოუხდა. მუსიკის თაყვანისმცემელ კონკურსანტებს არა მარტო კანი,

არამედ ცხიმის საფარი და ნაწილობრივ, კუნთოვანი ქსოვილიც მოყინული ჰქონდათ. კლინიკის ქირურგის თქმით, მსგავსი მოყინულობა ადამიანს ხელზე ან ფეხზე



რომ დამართოდა, კიდურის ამპუტაცია გარდაუვალი იქნებოდა. რადიოსადგურის ხელმძღვანელობამ მომხდარის გამო სინანული გამოთქვა. თუმცა იმასაც დაებნთ, რომ „ყინულის კონკურსი“ ბირმინგემის რადიოსადგურის მესვეურთა პირველი ექსცენტრიკული იდეა როდია: ოთხი წლის წინ, ასევე ერთ-ერთი გათამაშებისას, მათ ორი სრულიად უცნობი ახალგაზრდის დაქორწინებაც კი მოახერხეს (წყვილმა ერთმანეთი პირველად რადიოს ოფისში ნახა და იქვე იქორწინა). ახალდაქორწინებულები თანაცხოვრების სამი თვის თავზე გაიყარნენ.

# იტალიელებმა მეძავეების შვიდად აყვანა გადანყვიტეს

იტალიის ხელისუფლება ქუჩის მეძაობასთან ბრძოლას კვლავაც აქტიურად განაგრძობს. პადუის ქალაქის საბჭოს წევრები ახალი ინიციატივით გამოვიდნენ, ისინი მოუწოდებენ იტალიის ოჯახებს, იშვილონ 5 „ქუჩაში მომუშავე გოგონები“. ამ აქციის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ ეს არის პირველი ნაბიჯი სიყვარულის მცირეწლოვან ქურუშთა გამოსასწორებლად და საზოგადოებაში მათ დასაბრუნებლად. ამ კამპანიას



648 5 6 3 7

იტალიაში – „იშვილე ციციანთელას“ სახელწოდებით მოიხსენიებენ, რადგან მსუბუქი ყოფაქცევის გოგონას ყარგონის ენაზე „ციციანთელა“ ჰქვია. პადუის ქალაქის საბჭოს წევრის რაფაელე ზამონის აზრით, „ბუნებრივია, ეს ინიციატივა ზღვაში წვეთია, მაგრამ იგი ძალზედ მნიშვნელოვანია იმ გოგონებისთვის, რომლებსაც ცხოვრების ხელახლა დაწყება სურთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო და მუნიციპალურმა დაწესებულებებმა დახმარება აღმოუჩინონ იმ ოჯახებს, რომლებიც გამოსწორების გზაზე დამდგარი გოგონების შვილებას გადაწყვიტენ“. უკანასკნელი მონაცემებით იტალიის ქალაქებში საკუთარი სხეულით 70 ათასი ქალი ვაჭრობს. „ციციანთელების“ უმრავლესობა აღმოსავლეთ ევროპიდან და აფრიკიდანაა ჩასული, მათი 40% არასრულწლოვანია. ამ ინიციატივას მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა დაცვის ორი ორგანიზაცია, რომლის აქტივისტებიც მორალურად ამზადებენ იმ ოჯახის წევრებს, რომლებიც საკუთარი ფრთის ქვეშ გოგონების შეფარებას აპირებენ. უკანასკნელ ხანებში, იტალიაში ქუჩის მეძაობის წინააღმდეგ აქტიური კამპანიაა გაჩაღებული. „პანელზე“ დაკავებულ გოგონას 4 ათასი დოლარით აჯარიმებენ, ხელმეორედ დაკავებისას კი, 15-დღიან პატიმრობას უსჯიან.

# სტეხილიზაციის საფასუხად – ველოსიპედი!

ინდოეთის ჯანმრთელობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ, რომელიც ქვეყანაში მოსახლეობის გვემზაზომიერი მატების პოლიტიკის გატარებაზეც არის პასუხისმგებელი, ვაზექტომიის (ვაზექტომია – ქირურგიული ოპერაცია, რომლის შედეგადაც მამაკაცები სტერილურები ხდებიან – ე.ი. კარგავენ განაყოფიერების უნარს) სტიმულირების მიზნით, ფრიად უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო. ყოველ მამაკაცს, რომელიც თანახმა იქნება, გადადგას ასეთი ნაბიჯი, აქციის ორგანიზატორები 20 გირვანქა სტერლინგად ღირებულ ველოსიპედს ჰპირდებიან. უკანასკნელ ხანებში, ბანკურის ოლქის 24 მცხოვრებს ქირურგიული ოპერაცია უკვე გაუკეთდა და შესაბამისად, ისინი ველოსიპედებითაც დასაჩუქრდნენ. „მარშან ზამთარში ქვეყანაში ვაზექტომია არაპოპულარული იყო – განაცხადა ოლქის სამედიცინო სამსახურის უფროსმა, – ნებაყოფლობით იგი მხოლოდ 25-მა მამაკაცმა გაიკეთა. წელს კი, ჩვენ ამ პროცესის სტიმ-


ულირებისათვის ჯილდოდ ველოსიპედი დავაწესეთ და მოსახლეობაც უფრო გააქტიურდა“. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ წლებგანდელი ზამთრის აქცია ნაყოფს გამოიღებს და შესაბამისად, ოჯახს ველოსიპედით ხელდაამწყვებული 250 მამაკაცი მაინც დაუბრუნდება. „ველოსიპედი ჩემთვის არაჩვეულებრივი საჩუქარია, – ამბობს ოთხი შვილის მამა, 35 წლის კუნია ბიხარ მახატო, რომელსაც ვაზექტომია უკვე ჩაუტარდა, – ბედნიერი ვარ, რომ მამაჩემის მიერ 40 წლის წინათ შეძენილი ველოსიპედის ახლით შეცვლის საშუალება მომეცა“.

დღეისათვის ინდოეთის მოსახლეობა მილიარდს აჭარბებს. მისი რიცხვი ყოველწლიურად 20 მლნ ადამიანით იზრდება. მეცნიერ-სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ თუ ინდოეთი მოსახლეობის ზრდის გაკონტროლებას ვერ შეძლებს (ისე, როგორც ამას ჩინეთში აკეთებენ), ინდოელების დიდი ნაწილი კვლავ სიღატაკის ზღვარს მიღმა დარჩება.



# ჯონ ლუკასი ამპლუას იცულის

„ვარსკვლავური ომების“ რეჟისორი ჯორჯ ლუკასი ირწმუნება, რომ მისი ცნობილი საგის უკანასკნელი სერიის გამოსვლის შემდეგ, იგი ასეთ გრანდიოზულ პროექტებს აღარ მოჰკიდებს ხელს და მხოლოდ მცირე ბიუჯეტის ფილმებს გადაიღებს. „ვაპირებ გავიარო ვა აბსოლუტური წარმატებიდან, აბსოლუტური ჩავარდნისაკენ“, – ასეთი კომენტარი გააკეთა რეჟისორმა ტელეკომპანია FOX-



ისათვის მიცემულ ინტერვიუში. მისი თქმით, მან იცის, ასეთი გადაწყვეტილებით უამრავ თაყვანისმცემელს გააწბილებს, მაგრამ იმედოვნებს, რომ მაყურებელთა ვიწრო წრის შენარჩუნებას ახალი ამპლუის სურათების გადაღების შემდეგაც შეძლებს. „ისეთი ფილმების გადაღებას, რომელსაც „ოსკარზე“ ექნება პრეტენზია, აღარ ვაპირებ და თუ ჩემი ახალი კინოსურათები მაყურებელს არ მოეწონება, ვერაფერს ვიზამ“, – ამბობს ლუკასი.

ამჟამად რეჟისორი „ვარსკვლავური ომების“ ფრიქველის მესამე ნაწილზე ინტენსიურად მუშაობს. ლუკასი აღიარებს, რომ მას საკმაოდ რთული სამუშაო ელის წინ, რადგან რაღაც ახლის და უჩვეულოს შექმნას აპირებს, თანაც ეს სურათი ლოგიკურად უნდა დაუკავშირდეს 30 წლის წინ გადაღებულ ფილმში აღწერილ მოვლენებს. რაც შეეხება „ვარსკვლავური ომების“ კიდევ ერთ, ახალ სერიას, ჯორჯ ლუკასი მისი გადაღების შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავს.

# უაინონა ტაიდრემა განაჩენის გამოცანის შემდეგ პიტუელი ბთლი მიიღო



ამერიკელმა მსახიობმა უაინონა რაიდერმა სკანდალური სასამართლო პროცესის შემდეგ, თავისი პირველი როლი მიიღო. უაინონას მაიკლ კლენის კომედიური ჟანრის ფილმში – „პანე-გირიკში“ გადაიღებენ, სადაც მას პარტნიორობას გაუწევს პოპულარული სატელევიზიო სერიალის – „ყველას უყვარს რომანო“ – ვარსკვლავი, რეი რომანო. ეს შავი კომედია ერთი ოჯახის სამი თაობის ამბავს მოგვითხრობს. ახლობლები კლანის მეთაურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იკრიბებიან ერთად, ამ ცერემონიისას კი ოჯახის არაერთ საიდუმლოს თუ ფარულ ურთიერთობას ეხდება ფარდა. გადაღებები 2003 წლის თებერვალში დაიწყება.

# ელტონ ჯონი კუინ სპეისისთან ერთად იმღებენ



ცნობილი გახდა, რომ ჰოლივუდის „ოსკაროსან“ მსახიობს კევინ სპეისის, რომელსაც ეს ჯილდო ფილმში – „სილამაზე ამერიკულად“ შესრულებული როლისათვის ერგო, ლეგენდარულ ბრიტანელ მომღერალთან, ელტონ ჯონთან ერთად სცენაზე გამოსვლის პატივი ხვდა წილად სპეისი და ჯონი მესტროს რამდენიმე სიმღერას ღუეტში შეასრულებენ. მათი ერთობლივი გამოსვლა სატელევიზიო კონცერტზე 5 თებერვალსა დაგეგმილი. კონცერტიდან შემოსული თანხები ლონდონის თეატრის – Old Vic-ის აღდგენას მოხმარდება. სერ ელტონ ჯონი Old Vic Theatre Trust-ის სატელევიზიო ფონდის თავმჯდომარეა, რომლის მიზანიც თეატრის შენობის გადარჩენაა. კევინ სპეისი კი ამ ფონდის დირექტორთა საბჭოს წევრია. კონცერტზე მათი ღუეტის გარდა, არაერთი ცნობილი მომღერლის გამოსვლა დაგეგმილი, მათ შორის: ჯგუფ „ტენასის“ ვოკალისტის – შარლენ სპიტერის, შინელ ოკონორის, ლულუს, ელვის კოსტელოსი და სხვების. ყოველი მათგანი სერ ელტონ ჯონის რეპერტუარიდან თავის საყვარელ სიმღერას შეასრულებს. ბილეთის მინიმალური ფასი ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

# ტენე ზელუგები კვლავ მბიჯიფ ჯონსის ბთლში მთგუვლინემა



როგორც ამბობენ, რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ჰოლივუდის ვარსკვლავი რენე ზელუგერი, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა „ბრიჯიტ ჯონსის დღიურების“ სიქველში მონაწილეობაზე. რაც იმას ნიშნავს, რომ მსახიობს კვლავ მოუწევს გასუქება. 2001 წლის ჰიტის გაგრძელება საფრთხის წინაშე დადგა, როცა ზელუგერმა განაცხადა, რომ მას აღარ სურს წონის შეცვლა. ამან ფილმის პროდიუსერები შოკში ჩააგდო. მაგრამ მისმა პარტნიორმა, ბრიტანელმა მსახიობმა კოლინ ფერტმა შეძლო ჭირვეული რენეს დაყოლიება. უკანასკნელ ინტერვიუში ზელუგერმა განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით იმუშავეს კვლავ კოლინთან ერთად და არც რამდენიმე ზედმეტი კილოგრამის მომატებაა მისთვის პრობლემა. იმასაც ამბობენ, რომ რენეს, პირველი სერიისაგან განსხვავებით, წონაში ბევრის მომატება არ მოუწევს, რადგან სცენარის მიხედვით, მისი გმირი ტაილანდის ციხეში ამოყოფს თავს. იმ პირობებში კი, კარგად მოგეხსენებათ, რომ გასუქება პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

# ჯესიკა ლანჯი და მანტინ მინი მისალმდ- ნელი თმის დაწყების წინააღმდეგნი ატიან



გამინგტონის ქუჩებში გამოსულ ათასობით ომის მოწინააღმდეგეს, მსახიობი ჯესიკა ლანჯიც შეუერთდა. იგი ცნობილია საკუთარი დემოკრატიული შეხედულებებით და ერასის საკითხთან დაკავშირებით, ამერიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოთქმული მკვეთრი შეფასებითაც. მსახიობი პოლიტიკოს ჯესი ჯექსონთან ერთად, ტრიბუნაზეც ავიდა და შეკრებილთა წინაშე განაცხადა: „ჩვენ არ გვსურს, ვიცხოვროთ მშვიდად მაშინ, როცა სადღაც, ჩვენი შვილები დაიღუპებიან.“ ლოს-ანჯელესში გამართულ ომის საწინააღმდეგო მიტინგის აქტიურ მონაწილეთა შორის იყო მარტინ შინი. სხვათა შორის, მსახიობი ტელესერიალ „დასავლეთის ფრთაში“ სწორედ აშშ-ის პრეზიდენტის როლს ასრულებს. ■

# კლუნი კვლავ მუშის წინააღმდეგ ილამძებრებს



BBC-ს ცნობით, ჯორჯ კლუნიმ კვლავ გაილაშქრა ერასში საომარი მოქმედებების დაწყების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ პრეზიდენტი ბუში ქვეყანას ისე მართავს „თითქოს სოპრანოს მავიოზური კლანის მეთაური იყოს“. „სოპრანოში“ კლუნი პოპულარული განგსტერული ტელესერიალის – „სოპრანოების ოჯახი“ – გმირს, დიდ ტონის გულისხმობდა, კლუნიმ საფრანგეთთან და რუსეთთან ერთად, კრიზისის მოწესრიგების პროცესის ჩაშლაში პრეზიდენტი დაადანაშაულა. მისი აზრით, გაეროს უშიშროების საბჭოს მუშაობაც არავითარ შედეგს არ გამოიღებს და „თუ აშშ დაიწყებს ომს, უამრავი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპება“. მსახიობი აცხადებს, რომ აუცილებელია ყველა შესაძლებლობის გამოყენება, რათა სადამ ჰუსეინთან მშვიდობიანი მოლაპარაკება შედგეს. ■

# ლიზ ჰატლის თანმსლოძმა მთღების ჩუენძაც დაჩრდილა

პარიზში, კრისტიან ღიორის სახლის მიერ მოწყობილ მოღების ჩვენებაზე, მსახიობი ელიზაბეტ ჰარლი, საზოგადოებისათვის უცნობ მაჰაკაცთან ერთად გამოცხადდა. იგი და მისი თავყანისმცემელი, პირველ რიგში მოკალათდნენ, მაგრამ ყველამ შეამჩნია, რომ მსახიობს პოლიუმისკენ ცალი თვალითაც კი არ გაუხედავს. 37 წლის მარტოხელა დედა პრაქტიკულად თვალს არ აცილებდა თავის თანმსლოძებს. ამან დამსწრე საზოგადოებაში ძალზედ დიდი ინტერესი გამოიწვია. იქ მყოფნი შეეცადნენ, გაერკვიათ იღუმადლი უცნობის ვინაობა. მოგვიანებით, რეპორტიორებმა განაცხადეს, რომ უცნობი არუნ ნეილი გახლდათ, თუმცა ამის მეტი მათაც ვერაფერი დაადგინეს. მიუხედავად იმისა, რომ მოღების ჩვენებისადმი ჰარლიმ დიდი ინტერესი ვერ გამოავლინა, მან კრისტიან ღიორის მარკის მხარდაჭერა თავისებურად გამოხატა: ჩვენებაზე იგი ცნობილი ფირმის სამოსში გამოწყობილი მიბრძანდა. ■

# აგილოტას მაუშუტძის დტინდელი ცტაუმა მისუენძას ატ აძლოეს



პოპულარულმა მომღერალმა კრისტიანა აგილერამ US Weekly-სათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 18 წლის წინ, იგი მამამისმა სასტიკად სცემა. იქიდან მოყოლებული, 22 წლის კრისტიანას შიშისა და პანიკის გრძობა, პერიოდულად დღემდე ეუფლება. პოპვარსკვლავის თქმით, ამერიკის არმიის სერჟანტ ფაუსტო აგილერასთან ცხოვრება, ოჯახის წევრებისათვის ჯოჯოხეთში ყოფნის ტოლფასი იყო. მისი რისხვის უმთავრესი ობიექტი გოგონას დედა, შელი კერნსი ყოფილა. განსაკუთრებით მძიმე პერიოდი ოჯახს მაშინ დასდგომია, როცა ისინი იაპონიაში გადასულან საცხოვრებლად, სადაც ფაუსტო აგილერას სამხედრო ნაწილი გადაუყვანიათ. 42 წლის ქალბატონის, შელი კერნსის თქმით, მათ ოჯახში ძალ-

ადობას ყოველდღე ჰქონდა ადგილი, ის კი ამით ისეთი დამინებული იყო, რომ ძილის წინ ბალიშის ქვეშ ყოველთვის დებდა ცრემლმდენი ვაზის პატარა ბალონს, რათა აუცილებლობის შემთხვევაში, ოდნავ მაინც დაემოშმინებინა განრისხებული ქმარი. ერთხელ, შინ დაბრუნებულ შელის ოთხი წლის კრისტიანა სასტიკად ნაცემი დახვედრია, გოგონას პირიდან სისხლიც კი სდიოდა. პატარას მოუყოლია, რომ იგი თამაშობდა, მამა კი, ამ დროს დამინებას ცდილობდა. გოგონას ხმაურიანი თამაშით შეწუხებულ ფაუსტოს იგი გამეტებით უცემია. საბედნიეროდ, ბავშვს მძიმე ფიზიკური დაზიანებები არ აღმოაჩნდა, თუმცა ამ შემთხვევამ მომავალი მომღერლის ფსიქიკაზე წარუშლელი კვალი დატოვა. ამ შემზარავი

ფაქტიდან ერთი წლის შემდეგ, კრისტიანას მშობლები გაიყარნენ. შელიმ ქმარი მიატოვა და საცხოვრებლად პიტსბურგში დედამისთან დაბრუნდა. აგილერამ ამას წინათ მომხდარი უსიამოვნო შემთხვევაც გაიხსენა, როცა იგი პოლიუდში მდებარე თავისი ფემინებელური სახლიდან გაიქცა და კარგა ხანს, დასაწყნარებლად ქუჩებში დახეტებოდა. „საშინლად ვკანკალებდი და მეშინოდა შინ დაბრუნების. არ მინდოდა, რომ ვინმეს ამ მდგომარეობაში დაენახე“, – განაცხადა მომღერალმა. ■

# დაავადება

რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამასაშვილი

## პანკრეატიტი

საუკუნის დასაწყისში ეს დაავადება ერთეულებს ჰქონდათ. ომის პერიოდში, შიმშილობის დროს, იგი აგრეთვე იშვიათობას წარმოადგენდა. დღეს, ალბათ, ცხოვრების პირობები მაინც უმჯობესდება, რადგან პანკრეატიტის – კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებითი დაავადების შემთხვევები საკმაოდ გაზარდა. ეს პათოლოგია კი უმეტესად ცხიმოვანი საკვებისა და ალკოჰოლის დიდი რაოდენობით გამოყენების შედეგად ვითარდება.

პანკრეატიტი ორი სახის არსებობს: მწვავე და ქრონიკული. მწვავე პანკრეატიტი დღეს მესამე ადგილზეა ქირურგიულ დაავადებებს შორის, მწვავე აპენდიციტისა და მწვავე ქოლეცისტიტის შემდეგ. თუმცა მწვავე პანკრეატიტიანი ავადმყოფი ყოველთვის არ არის საოპერაციო, მაგრამ მისი მეთვალყურეობა სწორედ ქირურგიულ განყოფილებაში უნდა ხდებოდეს.

## განვითარების მექანიზმი და მიზეზები

კუჭქვეშა ჯირკვალი გამოიმუშავებს სეკრეტს (წვენს), რომელიც სადინრის მეშვეობით (ე.წ. ვირსუნგის სადინარი) ჩაედინება თორმეტგოჯა ნაწლავში. როდესაც რაიმე მიზეზით ვირსუნგის სადინრის გამავლობა შეფერხებულია, წვენის გადაინება ვეღარ ხდება პანკრეასიდან და იწყება მისი ქსოვილების თვითმონელების ანუ აუტოლიზის პროცესი.

პანკრეასის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია ნალველ-კენჭოვანი დაავადება. ნალვლის ბუშტში არსებული კენჭები ხშირად გადმოდის სანალველე სადინარში და ახშობს იმ ხვრელს,


სადაც ჩაედინება ნალვლისა და პანკრეასის სადინარები. ეს იწვევს პანკრეასის სადინარში წნევის მატებას. უფრო მეტად, მასში შესაძლოა, ნალველიც მოხვდეს და ეს უფრო მეტად უწყობს ხელს პანკრეასის განვითარებას. ამიტომ პაციენტებმა, რომლებსაც აქვთ ნალველ-კენჭოვანი დაავადება და გამუდმებით აწუხებთ შეტევები, დროულად უნდა ჩაიტარონ ქირურგიული მკურნალობა

– ეს დაიცავს მათ ქრონიკული პანკრეატიტის განვითარებისაგან. რაც უფრო შორს გადაიდება ოპერაცია, მით უფრო ცუდი იქნება ეს კუჭქვეშა ჯირკვლისათვის და შესაძლოა, ნალვლის ბუშტის დაგვიანებით ამოკვეთის შემდეგ, მაინც დარჩეს ქრონიკული პანკრეატიტი.

პანკრეატიტის გამომწვევი მეორე, უხშირესი მიზეზია ალკოჰოლი. კუჭქვეშა ჯირკვალში არ არის ალკოჰოლის დამშლელი ფერმენტი და ამიტომ მასზე ალკოჰოლი პირდაპირ ტოქსიკურ ზემოქმედებას ახდენს. გარდა ამისა, ალკოჰოლის მიღებისას ირღვევა პანკრეასის სეკრეტის კონსისტენცია, წარმოიქმნება ცილოვანი საცობები, სადაც ილექება კალციუმი და შედეგად, კენჭები თვით ჯირკვალში ფორმირდება.

## სიმპტომები

პანკრეატიტს ახასიათებს საკმაოდ ძლიერი ტკივილი მუცლის არეში. იგი ხშირად „სარტყელისებური“ ხასიათისაა – გადაეცემა წელის არეში. ავადმყოფს ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს რაღაც ძმლაკვრად უჭერს სხეულის ზედა ნაწილში. ტკივილი სათობით გრძელდება და ძლიერ ტანჯავს ადამიანს. ზოგჯერ ტკივილი გულის არეში გადაეცემა და იგი სტენოკარდიულ ტკივილს ჰგავს, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ სტენოკარდიის შეტევა უხშირესად ფიზიკური დატვირთვის შემდეგ იწყება, ხოლო პანკრეატიტისა – საკვების მიღების შემდეგ (ცხიმოვანის,



ალკოჰოლის).

პანკრეატიტის მახასიათებელი ნიშანია გულისრევა და პირღებინება. ამასთან პირღებინება მრავალჯერადაა და შეგას არ ჰგვრის პაციენტს. თავდაპირველად, ნალვინარი მასა საკვების ნარჩენებს წარმოადგენს, შემდეგ ჩნდება ლორწო, კუჭის შიგთავსი და სისხლიც კი.

ზოგჯერ პანკრეატიტის შეტევას თან ახლავს ტემპერატურის მატება 38-39 გრადუსამდე.

პანკრეატიტი ბავშვებში პრაქტიკულად არ გვხვდება. დაავადების შემთხვევები 40-45 წლის ასაკში მატულობს, როცა უკვე ფორმირებულია ნალველ-კენჭოვანი დაავადება და ადამიანი ხანგრძლივად არღვევს კვების რეჟიმს, ღებულობს ალკოჰოლს. მამაკაცებში უფრო ხშირად ალკოჰოლური პანკრეატიტი გვხვდება, ხოლო ქალებში – ქოლეცისტოპანკრეატიტი (ნალვლის ბუშტის და პანკრეასის ერთდროული პათოლოგია).

## მკურნალობა

ქრონიკული პანკრეატიტის აბსოლუტური განკურნება პრაქტიკულად არ ხდება, თუმცა შესაძლებელია ხანგრძლივი რემისიის (ჩაწყნარების) მიღწევა გარკვეულ პირობებში. ალკოჰოლზე უარის თქმა და დიეტის დაცვა საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა, პაციენტი დიდი ხნით ივიწყებს დაავადების სიმპტომებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივე სიტუაცია არ გამოერდება, რადგან დიეტის რეგულარულად დაცვა, საკმაოდ უჭირთ ავადმყოფებს – ხან დღესასწაულია, ხან – წვეულება და...



მიმშილი, სიცხე და სიმშვიდე

მწვავე პანკრეატიტის შეტევისას საჭიროა მიმშილი და ცივის დაღება ეტიოპოლოგურ (კუჭის) არეში. თუმცა სიმშვიდე მოცემულ სიტუაციაში შეუძლებელია - ავადმყოფი წუხს, ვერ პოულობს ადგილს. რაც შეეხება დიეტას, 2-3 დღის განმავლობაში ინიშნება შიმშილი და ჰიდროკარბონატული წყლები (ბორჯომი) - 6 ჭიქამდე დღეში. მდგომარეობის გაუმჯობესებისას, დიეტა ფართოვდება. დასაშვებია მკვლე ხორცი, თევზი, ხაჭო, ყველი. სასურველია, საკვები იყოს მოხარშული და მცირე ულუფებით მიეცეს პაციენტს (4-6-ჯერ დღეში). კატეგორიულად იკრძალება ალკოჰოლი, ცხიმოვანი, ცხარე საკვები, კონსერვები, გაზიანი სასმელები, მყავ ხილი, შებოლილი, დამარილებული პროდუქტი, ხახვი, ბოლოკი, ძმარი, ძლოვკი.

ტკივილის შეტევის დროს გამოიყენება სპაზმოლიტური პრეპარატები - ნო-შპა, ბარალგინი; პაპავერინი, პლატიფილინთან ერთად. თუ პანკრეატიტით დაავადებული დიეტის დარღვევის დროს დროულად მიიღებს სპაზმოლიტურ პრეპარატებს, შესაძლოა, თავიდან აიცილოს შეტევა.

რაც შეეხება ანალგეტიკებს (ტკივილგამაყუჩებლებს), უმჯობესია, ისინი არ გამოვიყენოთ, რადგან პანკრეატიტის მსგავსი ტკივილი, შესაძლოა, სხვა პათოლოგიამ (მაგალითად, აპენდიციტი) გამოიწვიოს. ანალგეტიკების მიღება სურათს წაშლის, სპაზმოლიტიკები კი აპენდიციტის ნიშნებს არ ცვლის.

დიეტასთან და სპაზმოლიტიკებთან ერთად, პანკრეატიტის დროს ძალიან კარგია ფერმენტული პრეპარატები - პანკრეატინი, მეზიმ-ფორტე, ფესტალი, კრონი და სხვა. ისინი განსაკუთრებით შველის დი-


ეტის დარღვევის დროს. ფერმენტული პრეპარატები პაციენტმა უნდა მიიღოს ჭამის წინ, ჭამამდე ან ჭამის დამთავრებისთანავე. თუ ავადმყოფს აქვს ქრონიკული პანკრეატიტი, რომელიც გამოვლინდება კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეტორული უკმარისობით - მუდმივი ფალარათით, მაშინ ფერმენტული პრეპარატი მან უნდა სვას არა დროდადრო, არამედ საკმაოდ ხანგრძლივად (ერთი-ორი თვე). თუმცა შესვენებების გაკეთება აუცილებელია, რათა კუჭქვეშა ჯირკვალი სულ არ გაზარმატდეს.

თუ პანკრეატიტი მიდის ქოლესისტიტის (ნაღვლის ბუშტის ანთების) ფონზე, მაგრამ ბუშტში კენჭები არ არის, მაშინ ზოგჯერ ინიშნება ნაღველმდენი პრეპარატები, რომელიც უძრავლეს შემთხვევაში, მცუნარეული წარმოშობისაა, თუმცა მათი დანიშვნისას დანამდვილებით უნდა ვიცოდეთ, რომ ბუშტი კენჭებისგან თავისუფალია.

პროფილაქსია

გულის შეტევა ზამთარში უფრო საშიშია

ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს გულით დაავადებულ 11 ათას პაციენტზე. აღმოჩნდა, რომ გულის შეტევის ლეტალური გამოსავლის ალბათობა ცივ ამინდში 19%-ით მეტია, თბილ სეზონთან შედარებით (საინტერესოა, რომ სამედიცინო მომსახურებისა და წამლების ეფექტურობის იმავე პირობებში, როგორც ზაფხულში იყო). ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ზამთარში ადამიანის თავდაცვის შესაძლებლობები მკვეთრად ქვეითდება. ყინვიან ამინდში ხშირად მატულობს წნევა. ქოლესტერინის დონე სისხლში მაღალია, და რაც მთავარია, ხშირად წყდება იროზმები.



ყველასათვის არ არის ცნობილი, რომ სიცხესა და გულ-სისხლძარღვთა სისტემაში მიმდინარე უარყოფით მოვლენებს შორის, ურთიერთკავშირი არსებობს. ექიმები მიიჩნევენ, რომ ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყვნენ განსაკუთრებით ხანში შესული ადამიანები, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ რისკის ძირითად ჯგუფს.


არსებობს მარტივი საშუალებები, რომელიც თავიდან აგვაცილებს შეტევებს. ნუ გახვალთ გარ-

ეთ ჩაუცმელები. სახეზე წაისვით ცხიმიანი საცხი. ჩაიცვით თბილად მაშინაც კი, თუ ეზოში მცირე ხნით აპირებთ გასვლას. სახლში აუცილებლად უნდა იყოს ნორმალური ტემპერატურა. ზამთარში ნუ დაიწყებთ სპორტულ ვარჯიშს, რადგან ყველა ახალი დატვირთვა ამ პერიოდში კი არ აკაჟებს ორგანიზმს, არამედ დარტყმის ქვეშ აყენებს მას.

როგორ ვარეგულიროთ ქოლესტერინი


გულით დაავადებულთა სიკვდილის მიზეზი უძრავლეს შემთხვევაში კორონარული უკმარისობაა. იგი მაშინ ვითარდება, როცა გულის მკვებავი არტერიები ბლანტი, მოყვითალო ცვილის მაგვარი ნივთიერებით, ე.წ. ფოლაქით დაეცობა და მათში სისხლის გადინება ფერხდება. ამ მდგომარეობას ათეროსკლეროზს უწოდებენ. ფოლაქი შედგება სხვადასხვა უჯრედისა და ნივთიერებისაგან, მათ შორის - ქოლესტერინისაგან. ეს ცხიმი ანუ ლიპიდი წარმოიქმნება ღვიძლში და ზოგიერთ სპეციალიზებულ უჯრედში. ფოლაქი დროთა განმავლობაში შეიძლება გაიზარდოს. მისი ზრდა მანამდე გრძელდება, ვიდრე მთლიანად არ შეაჩერებს სისხლის დინებას. ექიმები ცდილობენ ახსნან, რატომ წარმოიქმნება არტერიის კედელზე ფოლაქი, მაგრამ დღემდე ეს გაურკვეველი რჩება. სამაგიეროდ, ჩვენთვის ცნობილია, როგორი დამანგრეველი ეფექტი აქვს სისხლძარღვის დახშობას: როდესაც სისხლი ვეღარ მიეწოდება გულის კუნთს, უჯრედები ჟანგბადის მწვავე ნაკლებობას განიცდის და ზიანდება გულის გარკვეული უბნები. სწორედ ეს მექანიზმი უღვევს საფუძვლად გულის შეტევას.

თუმცა ქოლესტერინი წარმოადგენს ფოლაქის წარმოქმნაში მთავარ დამნაშავეს, თავად იგი საშიში არ არის. ქოლესტერინი რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს: იგი საჭიროა სასქესო ჰორმონების წარმოქმნისათვის, მონაწილეობს მიეილის (ნერვიულ უჯრედთა ცხიმოვანი გარსის) წარმოქმნაში, აუცილებელია D ვიტამინის წარმოქმნისათვის. ორგანიზმი მის გარეშე ნორმალურად ვერ იცოცხლებდა, მაგრამ როდესაც



ქოლესტერინის დონე ძალზედ მაღალია, ეს სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს.

ქოლესტერინი მხოლოდ ორგანიზმში კი არ წარმოიქმნება, არამედ იგი შედის ზოგიერთ ცხოველურ პროდუქტში: კვერცხში, ხორცში და სხვა. ზოგიერთ ადამიანს აქვს გენეტიკური დეფექტი, რომელიც განაპირობებს უჯრედების მიერ დიდი რაოდენობით ქოლესტერინის წარმოქმნას. ამ დაავადებას მემკვიდრული ჰიპერქოლესტერინემია (სისხლში ჭარბი ქოლესტერინი) ეწოდება. მაგრამ ზოგჯერ ადამიანის ორგანიზმში ქოლესტერინის დონის მატება მხოლოდ



ცხიმით მდიდარი პროდუქტებით კვებასთანა დაკავშირებული და საკვებში ცხიმის შეზღუდვასთან ერთად, ქოლესტერინის დონეც ქვეითდება. აგრეთვე არსებობს სპეციალური წამლები, რომელიც ხელს უწყობს ქოლესტერინის ნორმალური მაჩვენებლის შენარჩუნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ის ადამიანები, რომელთაც სისხლში ქოლესტერინის შემცველობა ნორმაზე დაბალი აქვთ, მიდრეკილნი არიან ონკოლოგიური დაავადებებისადმი და რაც კიდევ უფრო გასაოცარია, აქვთ თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება.

სისხლში ქოლესტერინის ნორმალურ მაჩვენებლად ითვლება 120-დან 220 მგ/მლ-მდე. 200 მგ/მლ-ზე მაღალი მაჩვენებელი ზრდის გულის დაავადებათა რისკს, მაგრამ არსებობს სხვა პარამეტრებიც, რომელიც გავლენას ახდენს დაავადების განვითარებაზე. მაგალითად, მნიშვნელოვანია, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების შეფარდება დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან. ბოლო დროს მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებს (მსლ) „კარგ“ ქოლესტერინს უწოდებენ, რადგან ისინი აუცილებელია ღვიძლში ნაღვლის წარმოსაქმნელად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ორგანიზმში არ გროვდება, როგორც ჭარბი ქოლესტერინი. დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (დსლ) კი ცნობილია, როგორც „ცუდი“ ქოლესტერინი, რადგან ისინი

სისხლს გადააქვს მთელ სხეულში. იდეალურ შემთხვევაში საერთო ქოლესტერინსა და მსლ-ს შორის შეფარდება უნდა იყოს 6:1.

არსებობს კიდევ ერთი სახის ლიპიდი (ცხიმი) — ტრიგლიცერიდი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. ტრიგლიცერიდის მაღალი დონე (190 მგ/მლ-ზე მეტი) უპირატესად ქალებში ხშირად იწვევს გულის შეტევას. მამაკაცებისთვის კი ტრიგლიცერიდის საშუალო მაჩვენებლად ითვლება 400 მგ/მლ-ზე მაღალი მონაცემები.

აღმოჩნდა, რომ ეპიფიზი (ე.წ. ჯალღუზისებური ჯირკვალი, რომელიც ტვინის ეპიტალამურ არეში მდებარეობს) მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქოლესტერინის და სხვა ლიპიდების ნორმალიზაციის საქმეში. აგრეთვე მნიშვნელოვანია ფარისებრი ჯირკვლის როლი ქოლესტერინის მეტაბოლიზმში (ნივთიერებათა ცვლა). ფარისებრი ჯირკვალი გამოყოფს ჰორმონებს T3 და T4, რომელიც ორგანიზმში ქოლესტერინის დაშლისა და გამოყენების პროცესში მონაწილეობს. როცა ადამიანს უვითარდება ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობა ანუ ჰიპოთირეოზი, მის სისხლში ქოლესტერინის დონე ყოველთვის მომატებულია. თირეოიდული ჰორმონების მიღებისას კი, ქოლესტერინის შემცველობა სისხლში ნორმალიზდება ხოლმე.

უნდა ვიცოდეთ, რომ იშემიური დაავადებების დროს, ყოველთვის აუცილებელია სისხლში ქოლესტერინის და მისი ფრაქციების დონის განსაზღვრა. სადღეისოდ არსებობს პრეპარატები, რომელიც აწესრიგებს მის შემცველობას, რაც შესაბამისად, გულის იშემიური დაავადების პროფილაქტიკას წარმოადგენს.

რაც შეეხება ფიტოთერაპიას, ათეროსკლეროზული პროცესის შესაფერხებლად გირჩევთ, ყოველდღიურად მიიღოთ რამდენიმე კბილი ნიორი და აგრეთვე სადილზე მიერთვათ 1-2 ჭიქა ღვინო.

### ჰიპერჰიდროზი

ჰიპერჰიდროზი მომატებულ ოფლიანობას ნიშნავს. ვისაც პირადად არ ჰქონია შეხება ამ პრობლემასთან, წარმოდგენაც არ აქვს, რამდენად სერიოზული და შემანუხლებელია იგი.

ჰიპერჰიდროზი ორი სახის შეიძლება იყოს: გენერალიზებული (ანუ ზოგადი) და ლოკალური (ადგილობრივი, მაგალითად: ხელის, ფეხისგულეზე). გენერალიზებულ ჰიპერჰიდროზს ადგილი აქვს ნერვული სისტემის, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების, ნივთიერებათა ცვ-

ლის დარღვევების დროს. ასეთი პაციენტი იგზავნება ენდოკრინოლოგთან, რომელიც მკურნალობს ჭარბი ოფლდენის გამომწვევ მიზეზს და ოფლიანობაც საგრძნობლად კლებულობს.

ლოკალური ვარიანტის დროს ოფლიანობს არა მთელი სხეული, არამედ მხოლოდ მისი ფრაგმენტები — ხელისგულეები, ტერფები ან ილიები. ზოგჯერ ეს იმდენად ინტენსიურია, რომ ოფლი ხელებიდან წვეთების სახით გამოიყოფა ხოლმე.

### მიზეზები

თუ ზოგადი ჰიპერჰიდროზის მიზეზი ორგანიზმის სხვა დაავადებებია, ლოკალური ჰიპერჰიდროზი თავად წარმოადგენს დაავადებას. საბედნიეროდ, ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ მას სოციალურ და პირად ცხოვრებაში მრავალი სირთულე ექმნება. ელემენტარული ხელის ჩამორთმევა კი ასეთი ადამიანისათვის მტანჯველ პროცედურადაა ქცეული.

ლოკალური ჰიპერჰიდროზის მიზეზები ბოლომდე დადგენილი არ არის, მაგრამ შესწავლილია მისი მექანიზმი.

ხელისგულებზე, ტერფებსა და ილღებში ოფლის გამოყოფა თერმორეგულაციასთან არ არის დაკავშირებული, ანუ ჰაერის ტემპერატურასა და წლის დროზე დამოკიდებული არ არის. ამ მიდამოებში ოფლის წარმოქმნაზე პასუხს აგებს სიმპათიკური ნერვული სისტემა, რომელიც ჩვენს ნებას არ ემორჩილება. სიმპათიკური ნერვული სისტემა არეგულირებს, მაგალითად, გულების შევიწროება-გაფართოებას, სისხლძარღვთა ტონუსს, გულისცემის სიხშირეს. ეს პროცესები ადამიანის ცნობიერების გარეშე მიმდინარეობს.

ჯანმრთელ ადამიანს ჭარბი ოფლდენა ნერვული აღგზნების, სტრესის დროს უვითარდება, ხოლო ჰიპერჰიდროზით დაავადებულებს — ჩვეულებრივ მდგომარეობაში.

ლოკალური ჰიპერჰიდროზით მოსახლეობის დაახლოებით 1%-ია დაავადებული.

**ჰიპნოზი დეზოდორანტს ვერ შეცვლის**

ილღების ჰიპერჰიდროზი უფრო ხშირად ქალებს აწუხებს. დანარჩენი ვარიანტები კი ორივე სქესის წარმომადგენლებში თანაბრადაა განაწილებული.

ბოლო დრომდე ასეთ პაციენტთა ეფექტური დახმარების მეთოდი არ არსებობდა, თუმცა მოწოდებული იყო მკურნალობის არაერთი ხერხი: ჰიპნოზები, რეფლექსოთერაპია, მლოგვის აბზანები, საცხები შეველოდა მხოლოდ მათ, ვისაც ჰქონდა არა ჰიპერჰიდროზი, არამედ — ოფლის ჭარბი გამოყოფა (ნორმის ზედა ზღვრამდე). ნამდვილ ჰიპერჰიდროზზე ზემოქმედება კი პრაქტიკულად ნულის ტოლი იყო.

დაავადებას რენტგენოთერაპიითაც კი ებრძოდნენ, რომლის დროსაც სხივების ზემოქმედებით იწვევდნენ ღერმატიტს (კანის ანთებას), რის გამოც საოფლე ჯირკვლები იშლებოდა. ამჟამად ეს მეთოდი აღარ გამოიყენება.

უკანასკნელ წლებში გამოჩნდა ჰიპერჰიდროზთან ბრძოლის 3 ქმედითი საშუალება — 2 კონსერვატიული და ერთი — ოპერაციული.

**ხანგრძლივმოქმედი დეზოდორანტი**

ღარიბი წარმოდგენს პორტატულ ფიზიოთერაპიულ აპარატს ელემენტებზე. ჭურჭლის ძირზე მოთავსებულია ალუმინის ფირფიტები, მასში ასხამენ წყალს, ზევიდან ადებენ ნაბადს და ყოფენ ხე-

ლებს ან ფეხებს. ხელსაწყო ხანგრძლივმოქმედი ელექტრონული ანტიპერსპირანტია (პერსპირაცია — კანის სუნთქვა). დენის მოქმედებით ალუმინის ფირფიტებიდან გამოთავისუფლდება ალუმინის იონები, რომელიც ახშობს კანის საოფლე ჯირკვლების საღინრებს და ისინი წყვეტენ ოფლის გამოყოფას. ანტიპერსპირაციული ეფექტის მისაღწევად პროცედურების საერთო ხანგრძლივობა შვიდ საათს უნდა შეადგენდეს. პაციენტი ყოველდღიურად იტარებს ერთსაათიან პროცედურას ტელევიზორთან ჯდომის დროს. ილღებისთვის ხელსაწყოს სპეციალური ფორმა აქვს — მას თერმომეტრით იდებენ ილღაში. პროცედურის დროს ადამიანს მსუბუქი ჩხვლეტის შეგრძნება უნდა ჰქონდეს. რაც უფრო ინტენსიურია ჩხვლეტა, მით მეტია ეფექტი, მაგრამ საჭიროა სიფრთხილე, რომ დამწვრობა არ განვითარდეს.

პროცედურის დადებითი მხარე ისაა, რომ სახლში შეიძლება მისი ჩატარება, ხოლო უარყოფითი — მისი დროებითი ეფექტია. ამასთან იგი ეფექტურია პაციენტთა 60%-ში და ხანგრძლივი გამოყენებისას კანზე მიკრონახეთქები, შეწითლება და გაუხეშებული უბნები ჩნდება.

**ბოტოქსის ინიექციები**

ბოტოქსს პლასტიკურ ქირურგიაში ნაოჭებთან საბრძოლველად იყენებენ. ეს ნივთიერება შეჰყავთ სახის რომელიმე წერტილში, რითაც სახის მიმიკური კუნთების ბლოკირებას ახდენენ — ადამიანი იცინის და სახე უძრავად რჩება.

ბოტოქსი საკმაოდ ძლიერმოქმედი საშუალებაა. მას ბოტულიზმის გამომწვევი შხამისაგან ღებულობენ. მიკროლოზებით შეყვანისას იგი დროებით წყვეტს კავშირს ნერვსა და კუნთს შორის.

ჰიპერჰიდროზის დროს ბოტოქსის ინიექციები კეთდება ილღებში, ტერფებში და ბლოკირება ხდება არა კუნთის, არამედ საოფლე ჯირკვლების. ეფექტის ხანგრძლივობა დაახლოებით 6 თვეა.

პროცედურა საკმაოდ ხანმოკლეა (20 წუთამდე). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოტოქსი ძვირად ღირებული პრეპარატია.

**ოპერაციული გზა**

ოფლის გამოყოფის პროცესი შეიძლება შევწყვიტოთ ოპერაციითაც. არსებობს ორი მეთოდი — სიმპათექტომია და კიურეტაჟი.

სიმპათექტომია ნერვის ამოკვეთას ნიშნავს. სინამდვილეში მას კი არ კვეთ-


ენ — კვანძვენ. სიმპათიკური ნერვული სისტემის მთავარი ღერო ხერხემლის გასწვრივ გადის. გულმკერდის ნაწილში კი, მისგან ხელებისაკენ მიმავალი ტოტები გამოდის. თუ ამ განტოტებებს გადაკვანძვით, ნერვული იმპულსი დაბოლოებამდე ვერ მიაღწევს და ოფლის გამოყოფა არ მოხდება.

ილიის ნაკეცში აკეთებენ 5 მმ სიგრძის ნახვრეტს. სპეციალური ოპტიკური ინსტრუმენტებით პოულობენ ნერვს და ადებენ ტიტანის კვანძს.

ზოგჯერ ორგანიზმში „ჯანყდება“ ოპერაციული ჩარევის წინააღმდეგ და იწყება ე.წ. კომპენსატორული ჰიპერჰიდროზი, რომლის დროსაც ოფლი ჭარბად გამოიყოფა სხვა ადგილებში: ზურგზე, მუცელზე, ფეხებზე. შემთხვევათა 2%-ში კომპენსატორული ჰიპერჰიდროზის მასშტაბი პირველადისას აღემატება ხოლმე და მაშინ სასწრაფოდ კეთდება კვანძის მოხსნა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს 3 თვის განმავლობაში, თორემ შემდგომში ნერვი ატროფირდება (განიღვევა) და უკუპროცესი აღარ ვითარდება.

ტერფების ჰიპერჰიდროზის დროსაც შეიძლება სიმპათექტომიის გაკეთება, მაგრამ თუ ხელის ნერვები მხოლოდ ხელებს აინერვირებს, ფეხებისკენ მიმავალი ნერვები სასქესო ორგანოების ფუნქციასაც არეგულირებს. ამიტომ სიმპათექტომიის შედეგად ორგანიზმის და ეაკულაციის ფუნქციაც ირღვევა.

ილიისათვის გამოიყენება კიურეტაჟი — საოფლე ჯირკვლების მოშორება პატარა კიურეტის გამოყენებით. ილღაში ჯირკვლები კანქვეშა შრეში — 5 მმ სიღრმეზეა განლაგებული, ხოლო სხვა უბნებში — გაცილებით ღრმად. კიურეტაჟის შემდეგ რჩება ჯირკვალთა 30%. მის შედეგად არასოდეს არ ვითარდება კომპენსატორული ჰიპერჰიდროზი. შედეგი კი მუდმივია.



# ყველაფერი ტომ ლაპლაპერეს...



თუ ვერცხლის კოვზებს, დროთა განმავლობაში, შავი ლაქები გაუჩნდა, გამობარ მძარში ამოვლებული რბილი ქსოვილით გაწმინდეთ;

თხელი მინისგან დამზადებული ჭიქები და ბოკალები გამჭვირვალე რომ გახდეს, მარილიანი წყლით გარეცხეთ და გასაშრობად დადეთ;

ბროლის ჭურჭელი ბზინვარებას დაიწყებს, თუ მას ძმრით გაზავებულ წყალში ამოავლებთ;

ფაიფურის ფიგურები, რომელიც

სწრაფად იმტვერება, ლიმონის წვენი გაზავებულ წყალში უნდა გარეცხოთ;

თუ თქვენი სადღესასწაულო სერვიზი მოიჭრული ზოლებითაა მორთული, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ სოდა. მას ერთი წვეთი ნიშადური უნდა დააკუროთ და შემდეგ, წყალში ამოავლოთ.

დაბოლოს – უბრალო პლასტმასისგან დამზადებული ჭურჭელიც კი, შეიძლება იმგვარად გაეწმინდოთ, რომ თვალს გაუხარდეს: საამისოდ, სპირტიანი ბაჰის გამოყენებას გირჩევთ.


## ნიღაში „სილის ნაში“ კანს გაგიასალგაზტრავებთ

როგორც ცნობილია, ზამთარში, სახისა და ხელის კანს სიმშრალე ემატება, ამიტომ, ამ სეზონში მასზე განსაკუთრებულად უნდა იზრუნოთ. კვირაში ერთხელ მაინც, მკვებავი ნიღაბი უნდა გაიკეთოთ. ერთ-ერთი საუკეთესო, ხილის რეცეპტი ასეთია:

ერთი მთლიანი, ფაფის მაგვარი მასის მისაღებად, გახეხეთ: ხურმა, ვაშლი, მსხალი და კივი. მიღებული მასა დაიდეთ მანამდე დაბანილ სახესა და ყელზე. 20

წთ-ის შემდეგ, ჯერ თბილი, მერე ცივი წყლით ჩამოიბანეთ.

ეცადეთ, ზამთარში, რაც შეიძლება ხშირად გაიკეთოთ ასეთი ნიღაბი. თუ აღნიშნულ მასას კიდევ, 1/2 ს/კ კარაქსაც დაუმატებთ, არაჩვეულებრივად ნაზი, მკვებავი კრემი გამოგივათ. ოღონდ გახსოვდეთ: შინაურულად დამზადებული კრემები და ნიღაბები მხოლოდ ერთჯერადი გამოყენებისთვის გამოდგება.



## სუბსათი მაცივარშიც შეიძლება გათუქდეს

ყველა დიასახლისმა როდი იცის, რომ პროდუქტის შენახვის ვადა, სულ ცოტა, ორჯერ მაინც შეიძლება გავზარდოთ – მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მას მაცივარში ან, მით უმეტეს, საყინულეში, ჰერმეტიკულად მოხუფულ ჭურჭელში მოათავსებთ. ეს წესი არ ეხება ახალ ხილსა და ბოსტნეულს, რომელიც უმჯობესია, სპეციალურ პაკეტებში გაახვიოთ, რადგან უჰაერო სივრცეში მას შეიძლება, ობი მოეკიდოს ან დალპეს.

ვინ არ იცის, რომ მაცივარში სურსათი დიდხანს ძლებს, მაგრამ გაყინვა ყველა პროდუქტს როდი უხდება. მაგალითად, ძეხვსა და ახალ ხორცს ის გემოს უკარგავს.

საქმიან ქალებს დრო არ რჩებათ საიმისოდ, რომ ყოველდღე მოამზადონ სადილი, ამიტომ გირჩევთ, საჭიროზე მეტი კერძი მოამზადოთ და შემდეგ, გაყინული შეინახოთ. საჭიროებისას, გამოიღებთ „ნახევარფაბრიკატს“, გააღებთ, გააცხელებთ და რამდენიმე წუთში, სადილი მზად გექნებათ. ოღონდ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ასეთ დროს ჭარბად არ უნდა გამოიყენოთ სანელებლები, რადგან მათ შორის ზოგიერთს, გაყინვის შემდეგ, გემო ეცვლება.

საუცხოოდ ინახება მაცივარში: ტომატის პიურე, გახეხილი ვაშლი, გახეხილი ყველი, პასტერიზებული ან ადუღებული რძე, მზა წვნიანები, კარტოფილის პიურე.



# კვირის (3 - 9 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

## მეჩხულო - 21/1-19/11



ამ კვირაში, უსიამოვნებესაც კი, საკუთარი თავის სასარგებლოდ შემოაბრუნებთ. ისეთ პრობლემებსაც ნუ შეუმინდებთ, რომელიც შეტისმეტად რთული მოგვეჩვენებათ. ოღონდ, დასასული მიზნის მისაღწევად ზნობრივი ხერხები გამოიყენეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარემოებები ვინმეს გაცურებას გაიძულებთ, რაც თქვენც საგრძნობლად გავნებთ.

## თევზები - 20/11-20/11



ეცადეთ, არაფერი შეცვალთ პროფესიულ სფეროში, რადგან ცვლილებები შეიძლება საზიანო გამოდგეს თქვენთვის. გირჩევთ, ყური დაუგლოთ საკუთარ ინტუიციას, ვინაიდან ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეგვევით იმის უნარი, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლოთ, ღირსეულად ჩააბაროთ სულიერი გამოცდა.

## მშვიტი - 21/11-20/12




უმჯობესია, ამ კვირაში უარი თქვათ ახალ პროექტებში ჩაბმვაზე. ეცადეთ აგრეთვე არც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღოთ. გარემოებები ნაკლებად შეგიწყობთ ხელს მიზნის მიღწევაში და ნებისმიერი აქტიური მოქმედება შესაძლოა, თქვენს საწინააღმდეგოდ შემობრუნდეს. თუმცა, არც თქვენი პირადი პრობლემების სხვისთვის გადაბარებას გირჩევთ.

## კურო - 21/12-21/1



არ გაგიკვირდეთ, თუ მოვლენები ჩვეულებრივზე ნელ ტემპში განვითარდება. რაც მთავარია, ეცადეთ, ხელოვნურად არ დააჩქაროთ მოვლენების განვითარება. მალე მიხვდებით, რომ გეძლევათ საუკეთესო შანსი, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოთ და არ გადადგათ დაუფიქრებელი ნაბიჯები.

## მარცხი - 22/1-21/11



არ გირჩევთ უახლოეს პერიოდში სერიოზული პარტნიორული ურთიერთობების დაწყებას. ახალი კავშირები დაუსრულებელი პრობლემებისა და უსიამოვნებების მომტანი შეიძლება გახდეს თქვენთვის. ამასთანავე, პარტნიორებზე იმდენად დამოკიდებული შეიძლება აღმოჩნდეთ, რომ სრულიად დაკარგოთ თავისუფალი არჩევანის საშუალება.

## კირჩხიბი - 22/11-22/11



გულახდილად დაელაპარაკეთ იმ ადამიანებს, რომლებთანაც ბოლო დროს, დაძაბული ურთიერთობა გჭირბოდათ. ორივე მხარე მოახერხებს, ყურადღებით მოუსმინოს ერთს და ეს მეტადაც დაგაკავშირებთ ერთმანეთთან. განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ სამსახურში - ნებისმიერი შეცდომა შეიძლება ძვირად დაგიჯდეთ.

## ლომი - 23/11-23/11




ეცადეთ, ყველაფერს გვერდიდან შეხედოთ და არ მიიღოთ აქტიური მონაწილეობა თქვენ ირგვლივ მიმდინარე მოვლენებში. ეს ბევრ ისეთ პრობლემას აგარიდებთ, რომელიც სრულიად არ გეხებათ. რაც მთავარია, ეცადეთ, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას არავითარ შემთხვევაში არ გარისკოთ.

## ქალწული - 24/11-23/12



მზად იყავით უსიამოვნებისთვის. თუმცა იქნებ, პრობლემები არც გაგიჩნდეთ, რაც სასიკეთო იქნება თქვენთვის. მაგრამ თუ სიტუაცია მაინც, თქვენთვის არასასურველად განვითარდება, თავს ნუ მოიტყუებთ იმით, რომ ყველაფერი თავისით მოგვარდება - რაც უფრო მალე იპოვით გამოსავალს, მით უფრო ადვილად გაუმკლავდებით შექმნილ გარემოებს.

## სასწორი - 24/12-23/1



მნიშვნელოვანი შეხვედრებისა თუ ახალი ნაცნობობის გაჩენის დრო ნამდვილად არ არის. უცნობ ადამიანებთან საერთო ენის პოვნა გაგიჭირდებათ. ამასთანავე, შეიძლება, დაუზუსტებელი ინფორმაცია მოგაწოდონ, რაც საზიანო იქნება თქვენთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, თავი აარიდეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტების ხელმოწერასა და სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებას.

## ღმინი - 24/12-22/1



ნუ იკისრებთ სხვისი ქონებისა თუ ფინანსური სახსრების განკარგვას - ესოდენ მძიმე პასუხისმგებლობა შეცდომებისა და მატერიალური ზარალის ფასად შეიძლება დაგიჯდეთ. გირჩევთ, რომ არც შუამავლებს ენდოთ - ეს უსიამოვნებებისგან გერკისნით. უმჯობესია, დროებით გადადოთ საქმეები და კარგად დაისვენოთ.

## მშვიდი - 23/12-21/1



სამწუხაროდ, სასეხებით შესაძლებელია, რომ ამ კვირაში, უსიამოვნებები არ ავცდეთ. მთავარია, არ გადადოთ დღეს გადასაწყვეტი საკითხები სახვალიოდ, რადგან ასეთ შემთხვევაში, გაცილებით მეტი დრო და ენერგია დაგჭირდებათ მათ გადასაჭრელად.

## თხის რქა - 22/12-20/1



ეცადეთ, გამოიყენოთ იმ ადამიანებთან თბილი ურთიერთობის ნებისმიერი საშუალება, რომლებიც ყოველთვის წარმოადგენენ თქვენთვის ჭეშმარიტ დასაყრდენს. მათი მორალური მხარდაჭერა უთუოდ წაგადგებათ. თუმცა, ამავე დროს, სერიოზული საკითხები მაინც თავად უნდა გადაწყვიტოთ, სამისოდ კი, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და, რაც მთავარია, არ აჩქარდეთ.

# ადვილია თუ არა თქვენი ცდუნება?

როგორ გგონიათ — შეგიძლიათ თუ არა, გამოიჩინოთ ნები- სყოფა მაშინ, როცა აშკარად ცდილობენ თქვენს ცდუნებას? საქმე მარტო სიყვარულს არ ეხება — შეიძლება, თქვენი ცდუნება ვინმემ საქმიან ურთიერთობაში, საკუთარი წინსვლი- სათვის მოინდომოს. როგორ მოიქცევით ამ შემთხვევაში?



გეუბნებათ, რომ ძალიან ცუდად გამოიყურე- ბით. როგორი რეაქცია გეწებათ?

- 1) როგორ მოიქცევით, თუ მკაცრ დი- ეტაზე მყოფს, ახლო მეგობრები კარგი სამზარეულოთი განთქმულ რესტორანში დაგაპტიებენ?
  - ა) აუცილებლად წახვალთ — დიეტა მოიცდის — 3;
  - ბ) რესტორანში წახვალთ, მაგრამ ეცდებით, მხოლოდ დიეტური კერძები მიირთვათ — 2;
  - გ) მაღლობას გადაუხდით, მაგრამ რესტორანში არ წახვალთ — 1.
- 2) როგორ მოიქცევით, თუ მალაზიაში ისეთ ნივთს წააწყდებით, რომლის ყიდ- ვაზეც დიდი ხანა ოცნებობთ, მაგრამ ფული არ გყოფნით?
  - ა) ფულს ისესხებთ და იყიდით — 2;
  - ბ) სთხოვთ, რამდენიმე დღით შეგინაზ- ონ სასურველი ნივთი, სანამ ფულის შოვ- ნას შეძლებთ — 1;
  - გ) ფულს არ ისესხებთ, მაგრამ ინერვ- იულებთ, რომ სასურველი ნივთი ვერ შეიძინეთ — 3.
- 3) შეგიძლიათ თუ არა, ათხოვით თქვე- ნი მანქანა მეგობარს სოფელში წასასვლე- ლად?
  - ა) არა, ეტყვიით, რომ მანქანა არასოდეს არავისთვის გითხოვებიათ — 1;
  - ბ) არ ათხოვებთ და იმას მოიმიზეზებთ, რომ მანქანა გაფუჭებულია — 2;
  - გ) ათხოვებთ და მიუღი დღე, საკუთარ თავზე დაბოლმილი და გაბრაზებული ივ- ლით — 3.
- 4) როგორ მოიქცევით, თუ სტუმრად სათესავებთან ხართ წასასვლელი, რადგან

- მშობლებისთვის სიტყვა გაქვთ მიცემული, ამ დროს კი, მეგობარი დაგირეკავთ და მზარულ წვეულებაზე დაგაპტიებთ?
  - ა) მშობლებს ეტყვიით, რომ სასწრაფოდ სამსახურში გამოვიდახეს და მეგობართან ერთად წვეულებაზე წახვალთ — 2;
  - ბ) შეუსრულებთ დანაპირებს მშობლებს — 1;
  - გ) დაურეკავთ მშობლებს, აუხსნით სიტუ- აციას და მხოლოდ მათი თანხმობის შემთხ- ვევაში წახვალთ წვეულებაზე — 3.
- 5) როგორ მოიქცევით, თუ საწინააღმ- დეგო სექსის ახალგაჯნობილი მომხიბე- ლელი ადამიანი კაფეში დაგაპტიებთ?
  - ა) ჩათვლით, რომ ეს შესანიშნავი იდეაა — 3;
  - ბ) ეტყვიით, რომ ჯერ მოიფიქრებთ და პასუხს ტელეფონით აცნობებთ — 2;
  - გ) უარს ეტყვიით — 1.
- 6) როგორ გძინავთ ღამით?
  - ა) თხელ მისურში — 2;
  - ბ) პიჯამაში — 1;
  - გ) შიშველს — 3.
- 7) გჯერათ თუ არა ჰოროსკოპების?
  - ა) დიახ, ამას მუდამ დიდ მნიშვნელო- ბას ანიჭებთ — 2;
  - ბ) არა, ეს უაზრობაა — 1;
  - გ) მხოლოდ მაშინ, როცა ჰოროსკოპი კარგ ამბავს გიწინასწარმეტყველებთ — 3.
- 8) წარმოიდგინეთ, რომ მიუღი დღე, ახალი ტანსაცმლის ძებნაში გაატარეთ და როგორც იქნა, საზივიო სადამოსთვის შესაფერისი სამოსი შეარჩიეთ. წვეულე- ბაზე მისულს კი, საუკეთესო მეგობარი

- ა) შინ გაიქცევით და ტანსაცმელს გამოიცვლით — 3;
  - ბ) ყურადღებას არ მიაქცევთ კრიტიკას — 1;
  - გ) ცოტა ხანს მოიცდით და სხვა მე- გობრებსაც ჰკითხავთ აზრს — 2.
- 9) რა მდგომარეობაშია თქვენი ტანსაც- მლის კარადა?
- ა) ყველაფერი მოწესრიგებულია და თავ- თავის ადგილზე დევს — 1;
  - ბ) ცოტაოდენი არეულობა იქ მუდმი- ვად სუფევს — 2;
  - გ) მუდმივი ქაოსია — 3.
- 10) როგორ მოიქცევით, თუ ქურაში გასული აღმოჩენთ, რომ სამეზავრო ფული შინ დაგრჩათ?
- ა) იმეზავრებთ უფასოდ — 3;
  - ბ) ივლით ფეხით — 1;
  - გ) ფულის ასაღებად, შინ მიბრუნდებით — 2.

## დააჯამეთ ქულები

10-16 ქულა: ცხოვრებაში ზუსტად გაქვთ გან- საზღვრული ყველაფერი, რისი მიღწევაც გსურთ და ისიც კარგად იცით, რისი გაკეთება არ გინდათ. ურყევი პრინციპები და შეხედულებები გაქვთ და მათ გადახვე- ვას არ აპირებთ. ზოგჯერ მონყენილობაც გიპყრობთ იმის გამო, რომ მოვლენებს მუდამ ფიზიკური თვალთ- ადევნებთ თვალს. ეცადეთ, დროდადრო, მეტი გასაქანი მისცეთ გრძნობებს და გამუდმებით არ იფიქროთ მოვლენების შემდგომ განვითარებასა და შესაძლო სა- ფრთხეზე.

17-23 ქულა: ხანდახან „ჩუმი“ და „ჩაკეტილი“ ადამი- ანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, მაგრამ როცა საჭირო ხდება, ხასიათის გამოვლენასაც არ ერიდებით. თუმცა, ამ სტიქიურობის დაძლევა კარგად ახერხებთ ხოლმე. გრძნობასა და გონებას შორის ყოველთვის თქვენში

უფრო მეტად გონება იმარჯვებს, ამიტომაც, ვერც გაიხსენებთ ისეთ შემთხვევას, როცა ცდუნებას აჰყვით და ამით საკუთარ თავს ავნებთ. ძნელად მოსარჯულე- ბელი ადამიანი ხართ, არ გიზიდავთ ხანმოკლე შეხვე- დრები და ძალიან აფასებთ ერთგულებას.

24-30 ქულა: ცხოვრებისგან ყველა სიამოვნების მიღებას ცდილობთ და იშვიათად ამბობთ უარს ცდუნებაზე. სხვებისგანაც მოითხოვთ, რომ თქვენს თამაშში ჩაებათ. ურთიერთობაში გამგები, მოსიყვარულე და გულწრფე- ლი ხართ, თუმცა, საწინააღმდეგო სექსის წარმომადგენ- ლებისგან მცირედ ყურადღებასაც უმაღლ ამჩნევთ. იმ- პულსურიც ხართ და გულის კარნახით უფრო ხშირად ხელმძღვანელობთ, ვიდრე გონებით, ამიტომაც არის, რომ საკმაოდ ხშირად აღმოჩენილხართ უხერხულ სიტუ- აციაში, სასიყვარულო თავგადასავლის გამო.

# საქსონიელებმა ლეის სმაში ბავაჩიელებს აჯობეს



აქამდე ლუდის სმის ყველაზე დიდ მოყვარულებად ბავარიელებს მიიჩნევდნენ და ამ სასმლის მოხმარებითაც პირველ ადგილზე სწორედ ისინი იმყოფებოდნენ. მაგრამ შარშან, სიტუაცია შეიცვალა – საქსონიელებმა ბავარიელები დაჯაბნეს.

საქსონიის სასოფლო-სამეურნეო სამინისტროს მონაცემებით, გასული წლის მანძილზე, ერთ სულ მოსასლეზე (ჩველი ბავშვების ჩათვლით) საშუალოდ, 168 ლ დაღეული ლუდი მოდის, მაშინ, როცა ბავარიელებმა მხოლოდ 165 ლ მოიხმარეს. საერთო მონაცემებით ისიც დადგინდა, რომ ბოლო ხანებში გერმანელებმა, რომლებიც ლუდს ქერის წვენად მოიხსენიებენ, სმას უკლეს. 2002 წელს ლუდის მოხმარებამ ერთ სულ მოსახლეზე 123,5 ლ შეადგინა, რაც მთელი რვა ლ-ით ნაკლებია, ხუთი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით.

# თხილამუხებით სჩიადი აჩაბთა გაეხთიანებუდ საამიხოებშიც ყოფიდა შესაძლებელი



არაბთა გაერთიანებული საამიროების ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ პატარა ქალაქი ალ-აინსი (300 ათასი მცხოვრებით) უახლოეს თხუთმეტწელიწადში საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმის ცენტრად აქციოს. პლანეტის ყველაზე სუფთა და კარგად გამწვანებული ქალაქის საპატიო წოდება, ალ-აინსმა უკვე ორჯერ მოიპოვა. ქალაქი მდიდარია სამკურნალო-მინერალური წყლებით; საამიროების ყველაზე დიდი ზოოპარკი და „ალ-ფილის“ ატრაქციონების პარკიც სწორედ იქ მდებარეობს. ამჟამად ალ-აინსის მახლობლად მდებარე ჰაფიტის მთაზე (1075 მ ზღვის დონიდან) მთელ აგს-ში პირველი სამთო-სათხილამურო კურორტი აშენდა. როგორც ჩანს, არაბები აღარ ხუმრობენ და ალ-აინსი, უახლოეს ხანში, მართლაც საერთაშორისო ტურიზმის ცენტრად იქცევა.

# საჩუქების სტატისტიკა






თურმე მამაკაცები უფრო მეტ ფულს ხარჯავენ საჩუქრებში, ვიდრე ქალები – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანეთის ერთ-ერთი სოციოლოგიური სამსახურის თანამშრომლები. მათი მონაცემებით, საყვარელი ქალისათვის რომანტიკული საჩუქრის მიძღვნა ყველაზე მეტად 16-34 წლის ასაკის იმ ბრიტანელი მამაკაცებისთვის ყოფილა დამახასიათებელი, რომლებსაც თავიანთ პარტნიორებთან ერთი წლის ურთიერთობა აქვთ და ამასთან, ერთ ჭერტკვეშ არ ცხოვრობენ. სოციოლოგებმა ისიც გაარკვიეს, რომ პარტნიორები, რაც უფრო დიდხანს ინარჩუნებენ ამ ტიპის უკმირს, მით ნაკლებს ხარჯავენ საჩუქრებზე. წყვილებმა, რომლებსაც ურთიერთობის ერთი ან ორი წლის გამოცდილება აქვთ, საჩუქრებში საშუალოდ 100 ან 200 გირვანქა სტერლინგს იხდიან; ისინი კი, ვინც მათთან შედარებით სოლიდური სტაჟით გამოირჩევიან, მხოლოდ რამდენიმე ათეულ გირვანქა სტერლინგს თუ იმეტებენ ამგვარი ხარჯებისათვის.

# ნახყოფილმა დაცხიამში 7,5 მლნ დოლარი მოიგო

ტეხასის შტატის მცხოვრებმა ლუის ბეტანკურმა წინასაშობო ლატარიის გათამაშებისას, ბილეთის ექვსივე ციფრი სწორად გათვალა და 7,5 მლნ დოლარიც მოიგო, მაგრამ ერთ თვეში ახალგაშობი მთელი მთელი ფორტუნამ ზურგი აქცია. გაირკვა, რომ იგი ნარკოტიკებით ვაჭრობდა და აშშ-ის საბაჟო სამსახურის სპეცრაზმელები შინ ჩხრეკაზე ესტუმრნენ. ნარკოდილერს ჭურჭლის სარეცხ მანქანასა და საკუჭნაოში დამალული 1,6 კგ კოკაინი აღმოუჩინეს. ბეტანკური დააპატიმრეს: მას ნარკოტიკების უკანონოდ შენახვასა და გასაღებაში წაუყენეს ბრალი. შტატის ხელისუფლებას ჯერ ვერ გადაუწყვეტია, ჩამოართვას თუ არა ნარკოდილერს ლატარიაში მოგებული მილიონები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა კონფისკაციის მომხრეა. ბეტანკურის კარის მეზობელი მოგებული თანხის ნახევარზე პრეტენზიას აცხადებს: მისი მტკიცებით, ის და ლუი მუდამ ერთად ავსებდნენ ლატარიის ბილეთებს. ლატარიის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მათ შეისწავლეს ბეტანკურის ბიოგრაფია და საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. „ჩვენ ყოველი მოგებული მონაწილის მონაცემებს ვამოწმებთ: იხდის თუ არა ის გადასახადებს, ალიმენტს, აქვს თუ არა მიღებული მონაწილეობა საქველმოქმედო საქმიანობაში და სხვა მისთანებს, მაგრამ მოგების მათთვის გადაცემის შემდეგ, როგორ ხარჯავენ ისინი ამ ფულს, ჩვენ ვეღარ ვაკონტროლებთ“, – აცხადებს ლატარიის გათამაშების პრესმდივანი, ქეთელკინსი.



# ფოტოკუჩიონები



# განსხვავებული უჩინარი

68/6

TV-პროგრამა  
27.01-2.02 2003 წ.

სისხლიანი დრამა სისუფრთა სალონში

## ჩიტიანი

114(17) ზანდი 60 თ.

44



ვინ აწინანებს  
პოლიციის მაღალჩინოსნის  
შვილს — თიკა ჯაბგურიას

48



შავშავაძე  
ინგა გრიგოლიას  
სილუაბი დახვო

58



ვახი, როგორც მხვირით  
ორ სულაპურზე უკრავს,  
„იპერილოგაზე“ უარს ამბობს

„ჩვენი უოს“  
საიდუმლო ვისია,  
ანუ  
გია ჭანბურია  
ელაპარაკდა

